1919
2011

ᲒᲒᲝ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

1

ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათინათი

I

თბილისი 2011

გულნაზ სარაიშვილი

ჟურნალ „ათინათის“
მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
მეცნიერებათა მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის
პრეზიდენტი

თუ შეიხედავ ჩემს სულში,
ზეციური ძალით დაიმუხტები,
ჩემო მკითხველო.

თ – უ დაგჭირდები ვიქცევი საბნად,
უ – ფაქიზესო, ჩაგისვამ უბეში.

შ – ური შორს ჩემგან, მტკივა და აბად,
ე – ნით მსურს ბევრჯერ მოგცე ნუგეში.
ი – ცის სულებმა მათთან, რომ ვსტუმრობ,
ხ – ანდახან· როცა მენატრებიან. . .
ე – ნძელებს ვკოცნი, ჰო, არა ვხუმრობ,
დ – ედის ცრემლებით ამტირებიან.
ა – რ მინდა ვინმემ დარდით იაროს,
ვ – ეფერები და წამლად ვედები.

ჩ – ემად ყველა რომ გავიზიარო,
ე – კლებშიც იქნებ ვნახო ედემი.
მ – უმლი მესევა, წინ ბურუსია,
ს – აით გადავდგა ნაბიჯი ნეტავ.

ს – ეტყვა ცვივა და ცივი სუსხია,
უ – ღრან ტყეებში სიარულს ვბედავ. . .
ლ – ოცვა ვთქვი. . . თავი დაბლა დავხარე,
შ – ევშფოთდი. . . ღმერთმა ხმა მომაწვდინა:
ი – მედი ხარ და ყველას დამხმარე,

ზ – ღვა ტკივილებით ცრემლებს გაწნიდა.
ე – ლვის მათრახით გავროზგავ ყველას,
ც – აზე დიდი გაქვს ტკივილით გული.
ი – ა ხარ ნაზი, ხან ცისარტყელა,
ჟ – ჩუმრად ბრძოლობ დარდწამოსხმული.
რ – იოში არა, ბროლის ხარ მძივი,
ი – რმის შვილი ხარ, დაეძებ დედას,

ძ – აძით შემოსილს თუ შვილზე ჩივის,
ა – ქარწყლებ იმის დარდსა და ხევდას.
ლ – ოცვა გამშვიდებს, იმედი უფლის,
ი – ღიმი მაშინ, მზეს ხედავ როცა.
თ – ოვლის სუსხსაც შენ არასოდეს უფრთხი,
დ – იდ ტკივილებს კი გიმშვიდებს ლოცვა.
ა – სე მოვედი მკითხველო შენთან,
ი – მედებს მოგცემ, რაც გამაჩნია.
მ – ოდი, უსმინე ამ გულის ფეთქვას,
უ – ფალი ლოცავს, ვინც შემამჩნია.
ხ – ის ჩამოხლეჩილ ტოტზეც კი ვტირი,
ტ – კივა და ცრემლი ცვივა მერქნიდან.
ე – ნა არა აქვს არც სახე-პირი,
ბ – უნება კაცად ხომ არ შექმნიდა?!
ი – ა-იაებსაც ბევრჯერ გაჩუქებ,

ჩ – ამიჩის ჩირით ჩაგიტკბობ პირსაც. . .
ე – რთი ვარსკვლავი ჩემიც აშუქებს,
მ – იღიმის, ალბათ ჩამთვალა ღირსად.
ო, – როგორ, მინდა ცის ცისარტყელებს,

მ – ივეფაქიზო მეც ჩემებურად.
კ – უნაპეტ ღამეს აფოთქილ ტყემლებს.
ი – მედის ქუდი, რომ დაუხურავთ.
თ – უკი შემხვდება ანკარა წყარო,
ხ – არ-ირემივით ჩავიკლავ წყურვილს. . .
ვ – არდო, ეკლები არ გამაკარო,
ე – ცლება მიწა, ჩემს ლამაზ სურვილს.
ლ – ოყაზე ცრემლმაც დაიდო ბინა,
ო – ცნებებს კვლავ აქვს იმედი ხვალის,
არ დაიჯეროთ, რომ მშვიდად მძინავს,
ვერ გადვიხადე ტკივილის ვალი.

28342

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მივესალმები იმ სიახლეს, რაც ჟურნალ „ათინათის“ სახით შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, ვუსურვებ სულიერად „ათინათივით“ გაებრწყინებინოს მკითხველები და თავისი წვლილი შეეტანოს ერის სარწმუნოებრივი აღორძინების საღმრთო საქმეში.

ედიშერ ჭელიძე

თბილისის სასულიერო აკადემიის
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პატროლოგიისა და დოგმატიკის კათედრის გამგე

ყოველი ახალი ლიტერატურული ორგანოს დაბადება ერის კულტურულ ცხოვრებაში მოვლენას წარმოადგენს. ის ჩვენი ქვეყნის სიცოცხლის გახანგრძლივების უტყუარი ნიშანია. თუ თანამოაზროვნეთა ჯგუფი, თავისი ნაღვაწის გამოსახატავად ახალ ჟურნალს, ან გაზეთს აარსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ჯგუფს, პრეტენზია აქვს ორიგინალური სიტყვა უთხრას საზოგადოებას.

„ათინათი“ მშვენიერი სახელია, დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ ერთ შუქად მოემატება საქართველოს ლიტერატურულ-სახელოვნებო დარგს.

გაძლებას, გაძლიერებას, ახალი შემოქმედებითი გზების აღმოჩენას და ლიტერატურულ ცხოვრებაში დამკვიდრებას ვუსურვებ ჟურნალ „ათინათს“.

რეზო მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული პროზის
რაინდის ტიტულის მფლობელი.

გულმხურვალედ და გულწრფელად მოგესალმებით, ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამფუძნებლებს, პედაგოგებს, მეცნიერებს, ისტორიკოსებს, მიმაჩნია, რომ კიდევ ერთი ეროვნული საქმე იმარჯვებს, რამეთუ ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი (აკადემიის პრეზიდენტი) კარგად არის ცნობილი, როგორც განათლების დარგის უნიჭიერესი ორგანიზატორი, პედაგოგი, პოეტი...მას მხარს უმშვენებს თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი კაცი – ლეგენდა, ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, მსოფლიოს მოქალაქე, მსოფლიოს სპორტსმენი, მსოფლიო რეკორდების გინესის წიგნში მრავალგზის გამარჯვებით შეტანილი. მან ბიბლიით, „ვეფხისტყაოსნითა“ და ქართული დროშით მსოფლიოს ველოსიპედით შემოუარა, პროპაგანდა გაუწია საქართველოს, ქართველ ერს და დედა ეკლესიას მთელ მსოფლიოში.

ბატონი ჯუმბერი ჭეშმარიტი ცოტნეიდელია, „აღმსარებელი მცნებისა უფლისა და დამდებელი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის“, ამიტომაცაა, რომ ის საპატრიარქოს ხშირი სტუმარია. მან ფაზისის აკადემიის ეგიდით მონაწილეობა მიიღო ცოტნე აღმსარებლის კანონიკური ხატის სამების დიდებულ ტაძარში დაბრძანების ისტორიულ მოვლენაში, ცოტნე დადიანის ხატი აკურთხა და დალოცა ილია II აღმაშენებელმა ქადაგებაში. მოიწონა ფაზისელების აქტიური საქმიანობა ქვეყნის საერო და საეკლესიო ცხოვრებაში.

1977 წელს, როცა ილია II აღმაშენებელმა ქართული ეკლესია ჩაიბარა, მხოლოდ 52 ტაძარი და მონასტერი იყო მოქმედი. ამჟამად 1000–მდე მეტი ფუნქციონირებს და ასობით მიმდინარეობს კვლავ ეკლესიების მშენებლობა, ამიტომაცაა, რომ ერმაც და ბერმაც სიცოცხლეშივე შეამკეს დამსახურებული ეპითეტით – ილია II აღმაშენებელი.

ფაზისის საერო აკადემია ახლად დაფუძნებულ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას საჩუქრად გადასცემს ჟურნალ „ცოტნეიდელის“ სრულ კრებულს.

უსასყიდლოდ დაეხმარება თეოლოგიის საფუძვლების, მხატვრული კითხვის დაუფლებაში.

მაშ, ავანთოთ სიბრძნის კიდევ ერთი სანთელი, გავერთიანდეთ სულიერად და დავიბრუნოთ დროებით წართმეული ტერიტორიები, ჩვენი ერთობა ხომ "მტრისთვის სასრჩობელაა" და მოკეთისთვის ღვთის მადლით მაცოცხლებელი ჟანგბადი. გფარავდეთ ღმერთი, უფალი იესო ქრისტე, ამინ!

ნუგზარ ნადარაია

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

„ათინათის“ სიბრძნით იარეთ, ცოტნეიდელებო!

ღრმა პატივისცემით და სიხარულით მინდა მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი. ახალი ქართული, ქრისტიანული და პატრიოტული ჟურნალის დაარსება, მინდა გისურვოთ ახალი გამარჯვებები, მტკიცე ჯანმრთელობა თქვენ და ჟურნალის რედაქციის თანამშრომლებს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ნამდვილი მამულიშვილები გამოჩნდებიან სწორედ იმ დროს, როდესაც სამშობლოს ისინი ყველაზე უფრო სჭირდებათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანა განსაცდელშია.

დიდია თქვენი პირადი დამსახურება, ქართული პოეზიისა და პროზის განვითარების საქმეში, ლიტერატურული პრობლემების ფუნდამენტალურ მეცნიერულ კვლევებში, თქვენი ცოდნა და გამოცდილება სამაგალითოა, მისაბაძია მომავალი ეროვნული თაობისთვის. უფალი იყოს თქვენი და ჟურნალ „ათინათის" კოლექტივის მფარველი.

ვახტანგ გაჩეჩილაძე
ექიმი-ოფთალმოლოგი
სახელმწიფო მრჩეველი

მისასალმებელია, რომ შეიქმნა მსოფლიო მოქალაქის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია და აკადემიასთან არსებული ჟურნალი „ათინათი".

ჟურნალ „ათინათს" ვუსურვებ ისეთი სახელი დაემკვიდრებინოს ქართულ სალიტერატურო საზოგადოებაში, როგორი სახელითაც ცხოვრობს და მოღვაწეობს დიდი მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლეჟავა.

გივი სიხარულიძე
მსახიობი, მწერალი

ახალი საქმის დაწყება ყოველთვის იმედის მომცემია, მითუმეტეს, როდესაც იცი რომ ეს ეხება სწავლას, ცოდნის გაღრმავებასა და ურთიერთობების დამყარებას. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერების მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის მიერ ჟურნალ „ათინათის" დაარსება ძალიან სასიხარულო ამბავია. რამდენადაც მე ვიცი, ამ აკადემიის პრეზიდენტმა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა დაარსა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის კერძო სკოლა „გრაალი", სადაც აპირებს აფხაზური ენის სწავლებას და ეს ნაბიჯი კარგ როლს შეასრულებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობის მოწესრიგებაში. დრო მიდის და ორი ქვეყნის ურთიერთობა უფრო შორდება. ვისაც ახსოვს ჩვენი თბილი დამოკიდებულება არ აქვს საშუალება თვალნათლივ გადასცეს ეს კავშირი მომავალ თაობას. ამ შემთხვევაში ენის სწავლება ერთ-ერთი მთავარი გადადგმული ნაბიჯია ამ ურთიერთობის აღდგენისკენ. მე იმედი მაქვს ჯურნალი და მომავალში სკოლა „გრაალი" ამ გზით თავის სიტყვას იტყვის, რადგან ამ საქმის სათავეში დგანან პიროვნებები, რომლებსაც ნამდვილად უყვართ თავიანთი საქმე და დიდი გამოცდილება აქვთ მომავალი თაობის აღზრდაში. გულითა და სულით ვულოცავ პირველ ნაბიჯებს ჟურნალ „ათინათს" და დარწმუნებული ვარ ჟურნალი არაერთხელ გაგვახარებს თავისი ფურცლებიდან.

ირმა ოსია
აფხაზური ენის სპეციალისტი

სიკეთე და მადლი არ მოშლოდეს ჟურნალ „ათინათს". მკითხველის გული დაეპყროს და ახალი სიტყვა ეთქვას საზოგადოებისათვის.

ნინო რეხვიაშვილი
ჟურნალ „რაჭველების" მთავარი რედაქტორი

პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უფასოდ“

2010 წლის მაისში ქუთაისსა და მის შემოგარენში კვირაში დაახლოებით კი არა, – ზუსტად ხუთი დღე წვიმდა, ხოლო დარჩენილ ორ დღეს საწვიმრად ემზადებოდა.

დაღალა წვიმამ ქალაქი.

შავნაცრისფრად აღრიალებული რიონი სოლომონის სასახლის მოაჯირს ლოკავდა.

აკაკის ბაღი ყვავებს დარჩენოდათ.

ათასში ერთხელ ბაღს ირიბად გადაკვეთდა შავქოლგიანი მოქალაქე. იგი, ფეხსაცმელ-შარვლიანად უიმედოდ შესველებული, გულდაგულ მიტყვამპალებდა მერიისკენ, შუაგზაზე შეჩერდებოდა და, თითქოს რაღაც გაახსენდაო (თუ დაავიწყდაო, სულერთია რა), უკან იზამდა პირს.

უკან წამოსვლისას რატომღაც გუბეებს აღარ ახტებოდა. პირდაპირ წყალში მოტოპავდა და მუხრუჭმოშლილ ქოლგას თავზე რომ არ ჩამომხობოდა, სახელურთან მუჭით იჭერდა.

ქოლგიანს იქეთაც და აქეთაც სამი უქოლგო ქუთაისელი მიაცილებდა. შარვლები მუხლსზემოთ, განაუთავებ ზოლთან, სამ-სამი თითით პიწკად ეჭირათ და ჭადრიდან ჭადრისაკენ გულმოდგინედ გარბოდნენ, თანაც ისე, რომ ქოლგიანი მხედველობიდან არ გაქცეოდათ.

ბაზრიდან თეატრამდე ტროტუარზე გადმოშვერილ ბრეზენტის ფარდებს შეფარებული ბაღისკიდელები ნერვული სახეებით ასცქეროდნენ ტყვიისფერ ზეცას.

ბაღისკიდელები წუხდნენ იმ არცთუ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქალაქის მერის არჩევნები ახლოვდებოდა და მერობის 147 კანდიდატიდან ერთის მეტი ვერ ახერხებდა საშუალოდ დღეში ცხრაჯერ მაინც ამომრჩევლებთან შეხვედრას.

აშკარა იყო: აბეზარი წვიმების გამო საარჩევნო კამპანია კრახს განიცდიდა.

მერობის კანდიდატებმა თავიდან შედარებით მორცხვად და თავშეკავებულად დაიწყეს თავიანთი უტოპიური პროგრამების გამოცხადება.

მერე და მერე ისე გაერთვნენ ერთმანეთთან შეჯიბრში, რომ გაზის, ელექტრონის და წყლის გადასახადი კაპიკებზე დაიყვანეს, ბოლოს ის კაპიკებიც ხელში ისე შემოადნათ, რომ ღობესმომდგარ, თავზე ტომარაჩამომხობილ და კალოშებში ფეხჩაკრულ ამომრჩევლებს ომახიანად დასძახოდნენ – ყველაფერი უფასო იქნებაო.

დაეჭვებული ამომრჩევლები, რომლებსაც უფრო ადრე და უფრო მღელვარედ, არაერთგზის მოუსმენიათ არანაკლებ გიჟური დაპირებანი, თავიანთ ხმას ამჯერად ოქროს ფასს სდებდნენ.

მეათასეჯერ მოტყუებულებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ამჯერად მაინც ჩაატარებდა „მეგობარი“ ამერიკა საქართველოში დემოკრატიულ არჩევნებს.

ერთადერთი კაცი ქუთაისში, ვისაც ქალაქის მერის მოახლოებული არჩევნები სულ ფეხებზე ეკიდა (ფეხებს მეც და სხვებიც ფრაზისთვის მეტი დელიკატურობის მისანიჭებლად, ზრდილობის გულისთვის ვხმარობთ) იყო საშუალო მწერალი კირილე კაკაურიძე.

კირილე თავის ოთახნახევრიანი, შვიდაგურიან სვეტებზე შემდგარი სახლის შუშაბანდში ტაბურეტ სკამზე იჯდა, საწერ მაგიდაზე კი ნოველების ახალგამოცემული კრებული „რიონის სიოს ნაამბობი“ ედო და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

სამოცდაათს მიტანებული გახლდათ.

შესახედავად ძალიან ჰგავდა კინომსახიობ ჯიგარხანიანს.

ისეთივე ჯაგარივით ურიცხვი, სავარცხელგადასმული, ჭაღარა თმა ჰქონდა და ჯიგარხანიანივით ნაღვლიანი თვალები.

სიარულის დროს ნაბიჯს ჯერ ფეხის წვერიდან იწყებდა და მერე ისე ფრთხილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჰქონდა ტანის სიმძიმე ქუსლზე, გეგონებოდათ, ფეხსაცმელში ქუსლის მხარეს ლურსმნის წვერი აქვსო ამოჩრილი.

მკითხველს ალბათ აინტერესებს, რა იყო კირილე კაკაურიძის ღრმად დაფიქრების მიზეზი.

ახალი ქართველის გასაგებ ენაზე რომ ვთქვა, კაკაურიძეს პრობლემა ჰქონდა.

დავწერე სიტყვა „პრობლემა" და ტანში გამაჟრჟოლა.

გვქონდა, როგორ არ გვქონდა (და ენათმეცნიერებისთვის ახლაც გვაქვს) კაცის მდგომარეობის გასარკვევად მშვენიერი მიმართვები („როგორ ხარ?", „რა დაგემართა", „რა გაგჭირვებია?", „რამ შეგაწუხა?", „რასა იქმ?", და ა.შ.), მაგრამ ეს ყველაფერი – ჩვენი მუსაიფის შნო და ლაზათი, ერთბაშად შეცვალა გაურკვეველი წარმოშობის „პრობლემამ".

„პრობლემა გაქვს?" „რა პრობლემაა", „პრობლემა არ არის" და ა.შ. ისე დაუმშვენდა ცხვირი, ვინც თავისი ლექსიკური თუ გონებრივი სიღარიბის გამო „პრობლემას" რომ წამდაუწუმ ხმარობს, ეს გამოთქმა მშვენიერი იყოს.

გორში სტალინის კოპწია სახლ-მუზეუმი ხომ გინახავთ, თუ აივნის ადგილას შუშაბანდს დავუმატებთ, ზუსტად ისეთი გახლდათ საშუალო მწერალ კირილე კაკაურიძის სახლი.

მაპატიოს კირილემ, რომ მისი საშუალოობა გავამხილე. თავად კირილემ არ იცოდა, რომ იგი საშუალო მწერალი იყო. საერთოდ არცერთმა საშუალო მწერალმა არ იცის, რომ იგი საშუალო მწერალია.

სამოცდაათს რომ მიუახლოვდა და არცერთი პრემიის ლაურეატი რომ არ იყო, შეხვედრებს რომ არ უწყობდნენ და ტელეკორესპონდენტები მის დანახვაზე კამერას ცას რომ მიუშვერდნენ, ნელ-ნელა შეეპარა ეჭვის სუსტი ჭია მისი საშუალოობის შესახებ, თუმცა არც ეს იყო ამჯერად კაკაურიძის ურვის მიზეზი.

მოგეხსენებათ, გამომცემლობები კარგახანია ჰონორარს აღარ იძლევიან.

ჰონორარის ანგარიშზე კირილე კაკაურიძეს ორმოცდაათი ცალი „რიონის სიოს ნაამბობი" მისცეს, თან დააყოლეს:

თქვენი ხათრი და პატივისცემა რომ არა, ბატონო კირილე, სხვების მსგავსად ფულს გადაგახდევინებდით, ხომ იცით, საერთოდ მხატვრული ნაწარმოების გამოცემა ჩვენთვის წამგებიანი საქმეა. უფრო სარფიანი საარჩევნო ბიულეტენების და ბუკლეტების (ფულს ხელზე გვიხდიან) ბეჭდვაა, მაგრამ როგორც ჩვენს ძველ ავტორს, უარი ვეღარ გითხარითო.

ამაზეც მადლობელი ვარო, ჩაილაპარაკა კირილემ, ცელოფანის აბგა მხარზე მოიგდო და „რიონის სიოს ნაამბობი" შინ მოიტანა.

ზის ახლა შუშაბანდში, წინ ნაცნობი მწერლების სია უდევს და თავისი „შემოქმედებითი საქმიანობის" ახალი ეტაპის დასაწყისისთვის ემზადება.

რა არის ეს „ახალი ეტაპი?"

კირილეს წესად აქვს თავისი ახალი წიგნი თბილი და გულისამაჩუყებელი წარწერებით ჩამოურიგოს თანამოკალმეებს. ასე დაარიგა წინა ოცდარვა წიგნი. ახლა კი ოცდამეცხრე წიგნის დარიგების წინ ავი ფიქრები მოსვჯარვია და ხელ-ფეხს უბორკავს.

რა დაემართა კირილეს, რა ხდება მის თავს, ან სულაც რა პრობლემა აქვს პატივცემულ მწერალს?

„ავალიანს წიგნს აღარ მივცემ. სულერთია, მაინც არაფერს კითხულობს. ამაწინათ კაბინეტი რომ გამოიცვალა, დამლაგებელმა კატუშამ დამირეკა, მოდი შენი წიგნები წაიღე, თორემ უნდა გადაყაროო. მივედი, თურმე ავალიანს, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში გულისამაჩუყებელი წარწერებით წიგნები ვაძლიე, არცერთი სახლში არ წაუღია და შესაბამისად არც გადაუშლია. ჩუმად მოვაგროვე ჩემი წიგნები, წამოვიღე და გულდაგულ ამოვხიე ის ფურცლები, სადაც ავალიანს მივმართავდი – ჩემს უსაყვარლეს მეგობარს და ერისკაცს მეთქი...

ბარაბაძეს არ ვაჩუქებ, რად უნდა, შეიძლება სახლში მიტანით მიიტანოს, მაგრამ გადაშლით არ გადაშლის, დარწმუნებული ვარ. ნამეტანი ბრახუნა კაცია, რომ იტყვიან, ცხვირზე ბუზს არ ისვამს. არ ტოვებს წიგნის წამკითხველი კაცის შთაბეჭდილებას.

კაკალაძეს რა წიგნებიც აქამდე ვაძლიე, იმასაც ვნანობ, ერთხელ არ უთქვამს, - წავიკითხე ჩემო კირილე, ეს მომეწონა და ეს კი არ მომეწონაო. რა მოხდა, შე კაი კაცო, კაცმა წიგნი მოგართვა – თავისი სულის ნაწილი. დაკარგე ერთი საღამო, ჩახედე, წაიკითხე, იქნებ ვინ არის, იქნებ რას წერს.

არც ვაწაძეს მივუტან ამ წიგნს. ძალიან გათამამდა და გაყოყლოჩინდა ამ ბოლო დროს, იფიქრებს; ალბათ იმიტომ მაჩუქა ახალი წიგნი, რომ უნდა წერილი დავუწეროო. არა და რაში მჭირდება მაგის უნიჭო რეცენზია. ჩემთვის ყველაზე უკეთესი შეფასება ისაა, ტროლეიბუსში რომ კაცი შეგხვდება და შენს ნოველას ისე დაწვრილებით მოგიყვება, თითქოს მისი დაწერილი იყოს.

ჭაჭუას ვაჩუქებდი, როგორ არ ვაჩუქებდი ცოცხალი რომ იყოს.

კერძაძე ახალგაზრდა მწერალია და წესით წიგნს არ უნდა ვამადლიდე, მაგრამ ტუტუცი ბავშვია. მე ავადგმევინე ფეხი ლიტერატურაში, მწერალ მამას მეძახდა, ამასწინათ მაგათ გაზეთში მოვკარი თვალი, კერძაძემ ამა და ამ ნოველაში წლიური პრემია მიიღოო. ერთიც ვნახოთ, ჩემი ნოველა! თითქმის გადაუწერია. სიუჟეტი ჩემი, ხასიათები ჩემი. ეს რა გიქნია ბიჭო - მეთქი, დავურეკე. ლუღლუღი დაიწყო: ჩემდაუნებურად მომივიდა, მაპატიე, ბატონო კირილეო. რას ვიზამდი, ვაპატიე.

გულორდავა კაი მწერალია. ეკუთვნის კიდეც ჩემგან წიგნის ჩუქება, მაგრამ ნამეტანი ყავარზე აქვს კუდი გადებული ამ ბოლო დროს. თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს. რომ შემხვდება, ისე მელაპარაკება, თითქოს სოლომონ ბრძენი მყავდეს და მე კიდევ მისი ნაფიცი მოწაფე ვიყო. რავა იყო, გასაიდუმლოებულ დაწესებულებაში დოლ-გარმონით რომ შეხვედიო, მეუბნება ყოველ შეხვედრაზე და ხითხითებს. მე მგონია, ჩემი ეს ერთადერთი მოთხრობა აქვს წაკითხული და სხვა არაფერი. რატომ უნდა შევაწუხო ჩემი წიგნით. მოხუცი კაცია, ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს, მაგრამ მოფამფალდა ამ ბოლო დროს და თავისი ტომეულების შედგენის ფუსფუსშია გართული. მიდი ეხლა და დაუდე ჯარიმასავით შენი წიგნი წასაკითხად, როგორი საქმეა.

არც კაპუცაძეს ჩავუგდებ ჩემს წიგნს ხელში. არ გვესმის არა, ჩვენ ერთმანეთის. ამ პოსტმოდერნისტმა ლაწირაკებმა ძალიან გააიოლეს წერა. ყოველ სამ თვეში თითო რომანს წერენ.

რაც შეეხება ონაშვილს, მიყვარდა მისი მოთხრობები, როცა ნორმალური მწერალი იყო. ამ ბოლო დროს ალკოჰოლმა გადაუარა ტვინზე, წერის ფაღარათი აქვს ატეხილი და წერს გაუთავებლად სისულელეებს. არავინ ჰყავს, რომ ამ კაცს ქაღალდი დაუმალონო? ყური მოვკარი ამასწინათ ონაშვილი მიყვარს იმ ძველი სიყვარულით და მეცოდება...“

უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან ტაქსი გაჩერდა.

თერთმეტს აღარაფერი უკლდა.

წვიმა მიერეკებოდა ახალდაგებულ შავ ასფალტზე ჯინსიან გოგო-ბიჭებს და მათი ასაკისთვის შეუფერებლად ფეხაჩქარებულ ასოცირებულ პროფესორებს.

- გამარჯობათ!

კაკაურიძე უშველებელი აბგით წიგნის კიოსკთან მიბათქუნდა.

- გისმენთ ბატონო, - ჯიხურიდან თავი გამოყო ბერეტიანმს წაბლისფერთმება ქალმა, რომელსაც თმა და ბერეტი ერთი ფერისად მოუჩანდა.

- წიგნები მოვიტანე, - კირილემ ნაწვიმარი შუბლზე ჩამოიწურა – დავსველდი, ეს ოხერი.

- რა წიგნია? – ცოტა არ იყოს ცხვირაბზუებით გახედა აბგას გამყიდველმა.

- ჩემი წიგნია. ნოველები.

- სასიამოვნოა ბატონო, მარა ჩვენ უფრო სახელმძღვანელოებს ვყიდით. მოთხრობები ძნელად საღდება.

- არ უყვართ ახალგაზრდებს ნოველები?

- რავა არ უყვართ, ბატონო, მარა, მოგეხსენებათ, სტუდენტებს ფული არა აქვთ.

- მე თქვენ ვერ გამიგეთ, ქალბატონო. ეს წიგნი მე გასაყიდად არ მომიტანია. ორმოცი ცალია. ასეთი რამ მინდა შემოგთავაზოთ, თუ შეიძლება, რასაკვირველია. დავაწყოთ აგერ სკამზე და დავაწეროთ „უფასოდ". მაინტერესებს, აბა, რა მოხდება. თუ მთლად არ ვყავართ წყალს წაღებული, უნდა წაიღონ სტუდენტებმა. მეცით პატივი, ძალიან გთხოვთ.

სასწაული არ მომხდარა.

ათიოდე წუთის შემდეგ „უფასო წიგნის" გასწვრივ სტუდენტთა რიგი დადგა.

არ გეგონოს, მკითხველო, თითქოსდა ანგარიშმიუცემლად ეცნენ უფასო წიგნს მკითხველები.

გადაშლიდნენ, ჩახედავდნენ, ამოიღლიავებდნენ, მეჯიხურეს მადლობას ეტყოდნენ და ლიფტისკენ გარბოდნენ.

ზოგს ორი წიგნი მიჰქონდა.

სულ რაღაც ნახევარ საათში კირილე კაკაურიძის წიგნი სკამზე აღარ იდო.

კირილე კი, გულში სითბოჩაღვრილი კირილე თავაწეული მიაბიჯებდა ტროლეიბუსის გაჩერებისკენ.

წვიმა გადაღებას ამ ცოტა ხანში მაინც არ აპირებდა.

მარტოხელა მგელი

სოფელს მგელი შემოეჩვია.

მგელი თვალით არავის უნახავს. სამაგიეროდ ნახეს არველაძეების ყელგამოღადრული ხბო, ჩხობაძეების რქებდამტვრეული და მუცელგამოფატრული საჯიშე ვაცი.

საკრებულომ მგლის მოკვლა ორ გამოცდილ მონადირეს — ბახვა ენდელაძეს და გრიშა ჩუბინიძეს დაავალა.

ბახვა და გრიშა რიბირაბოზე გავიდნენ სახლიდან. თან ბახვას გრძელცხვირა და მაღალფეხება, გამოცდილი მეძებარი ხაპია ახლავთ.

მოიძიეს, მოითარეშეს, მოიბილიკეს მთელი ხეობა. შეუჩუჩხურეს, შეუსახრჯოხეს მგლის სავარაუდო ბუნაგ-სამალავებს, მაგრამ ოთხფეხა ყაჩაღის კვალს ვერსად მიაგნეს.

რომ მოშუადღევდა, კონწოლიას მთის ბოლოს ჭანჭახის სათავესთან სანგარში ჩასხდნენ და მგლის აგდება ხაპიას მიანდეს.

ხაპიამ ლაქაშებში ტუცა დრუნჩი და გაუჩინარდა.

— ბახვა, ე შენი ძაღლი ატეხილი ხვარაა, რაცხა წეღან ნამეტანი იყნოსავდა აწითლებულ უკანალს იხუმრასავით გრიშამ.

— შენ ხუმრობ და დროც ქეა აწი.

— შარშანაც დამპირდი მაგის ლეკვს.

— შარშან გამიცდინა წელი. გვიან გომოუშვი გაღმა და არ დამაკდა.

— დაუზარელია ძაღლია, არ უნდა ლაპარაკი.

— კიე, ექვსი წლისაა და ჯერ დაღლილი არ მინახავს.

— რა ჯიშია მაგი?

— რა ჯიშია, ვერ გეტყვი, ვერ მოგატყუებ და ისე დოუყენე გვერდით, რა ჯიშიც გინდა. პასპორტებიან-ჯინჯილებიანი ძაღლები რო ყავთ, ბარე ორი დავარდნილა ენაგადმოგდებული და ჩემი ხაპია ქე დაშლიგინობდა ზეით-ქვეით. ამას რო თავი გაანებო, ერთნაირათ მუშაობს ფრინველზეც და ნადირზეც. იცი ამფერი ძაღლი სხვა ამ ჩვენ შემოგარენში?

— მოძებნის ვითომ იმ ბალანამოსაგდებ მგელს?

— რავარც ეტყობა, მარტოხელა მგელია. ხროვა რო იყოს, ჯერ ერთი, სოფელს მეტ ზარალს მიაყენებდნენ და თან სანამ ჩვენ გევიგებდით, ცხრა მთას გადეივლიდნენ. ხროვა ერთ ადგილზე არ ჩერდება. თუ აქანაა, ამ ტყეჯაგებში, სადმე, ხაპია უეჭველი იპოვის.

— რო წამოაგდოს და ზევით ქნას პირი?

— არ მოხდება ეგ. ნადირი ყოველთვის გასასვლელს ეძებს. იგი ეკალბურდებში არ შევარდება, როარ გეიხლართოს. თუ დაადგა კვალზე ძაღლი, უეჭველი აქეთ გამოვარდება და ჩვენც აგერ ვართ. რა გიდევს პატრონაში?

— დათვის უაკანი.

— შენ დატენე?

— აპა? ამგენის დატენილს ვენდობი?

მონადირეები გაჩუმდნენ და ორ წიფელას შორის იმ გასასვლელს მიაჭიჭინდნენ, სადაც მათი ვარაუდით მგელი უნდა გამოჩენილიყო.

გრილოდა.

მყუდროებას მხოლოდ ჟამკარარუული როჭოს ჩხავილი არღვევდა.

* * *

„აქა ხარ... აქა ხარ... სულ ახლოს ხარ... ცხვირში მიღიტინებს შენი სუნი... კიდევ ცოტაც და წაგადგები თავზე... გაგიდებ წინ და, მე თუ ვერ დაგეწიე, ბახვას ტყვია დაგეწევა... აქა ხარ... ვერსად წამიხვალ!“

უეცრად ხაპიას წინ ზამთრისპირის ტყისფერი ნადირი აღიმართა.

ისინი ცხვირმიდებულები, გაქვავებულნი ჰყნოსავდნენ ერთმანეთის დრუნჩპირს.

ურჩხულს ჩამქრალი ღველფისფერი თავყური ჰქონდა.

ხაპიას არ შეშინებია. ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ის იყო, უნდა დაეყეფა, რომ უცნობმა არსებამ არაამქვეყნიური სიმშვიდით უთხრა:

— არ დაიყეფო, მე მგელი ვარ.

— ვიცი და სწორედ მაგიტომ უნდა დავიყეფო.

— როგორც გინდა, მაგრამ სანამ დაყეფებას მოასწრებ, ნაფლეთებად გაქცევ.

— მე შენი არ მეშინია.

— მე არ გაშინებ, შენი დაყეფება უბრალოდ სხვა გზას არ მიტოვებს.

— მე რა ვქნა? მე ხომ იმისთვის წამომიყვანეს, რომ შენ მომეძებნე.

— ხომ შეიძლებოდა, ერთხელაც ვერ მოგეძებნე. ვინ წამოგიყვანა?

— ბახვამ და გრიშამ, ბახვა ჩემი პატრონია, გრიშა მისი ძმაკაცი. ახლა ისინი გასასვლელთან სანგარში სხედან და გელოდებიან. ჩემი საქმე უბრალოა; მე ახლა დავიყეფებ, შენ გასასვლელისაკენ გაიქცევი და მოგკლავენ.

— კი მაგრამ, რატომ მომკლავენ?

— მაგას მე მეკითხები?გუშინწინ ხბო... გუშინ ვაცი...

— თუ დაფიქრებულან თქვენები, რატომ აქამდე არ ვეცემოდი სოფელს? შენ გგონია, მსიამოვნებს ეზო-ეზო წანწალი და გაავებული ძაღლების ყეფა-გნიასი? მაგრამ რა ვქნა. ტყეებში ირგვლივ ხანძრებია. შიმშილით ხომ არ მოვკვდები.

— შენი მესმის, მაგრამ ჩემიც უნდა გაიგო. ქვეყანა რომ დაიქცეს, მე ჩემი წესი უნდა შევასრულო.

— რა წესი?

— რაც ბუნებას დაუწესებია. ოდითგან ხომ ასეა, შენ გარბიხარ, მე მოგსდევ.

— ერთხელაც რომ შენ გარბოდე და მე მოგსდევდე?

— ასეთ მეძებარს პატრონი სანადიროდ მეტჯერ აღარ წამოიყვანს.

— აბა კარგად დამაკვირდი... ხომ ხედავ, როგორ ვგავართ ერთმანეთს... სუნიც კი ერთნაირი გვაქვს.

— დავუშვათ ასეა... ეგ არაფერს ცვლის.

— მერედა ვისი გულისთვის სწირავ თავს? ვისი გულისთვის მებრძვი?

— მე... ჩემი პატრონი ქვეყანას მირჩევნია.

— გასაგებია... მან შენ ლუკმა გაგიჩინა... თვითონ რომ კარგად დანაყრდება, გამოხრულ ძვალს გადმოგიგდებს ხოლმე სუფრიდან... ეს არის და ეს.

— მხოლოდ ძვალზე როდია საქმე. მე ჩემს პატრონს ვერ მოვატყუებ... მას ჩემი იმედი აქვს. ასე რომ არ იყოს, დღეს სანადიროდ არ წამომიყვანდა... მითუმეტეს ჩემს მდგომარეობაში.

— ეგ უკანასკნელი შეგეძლო არ გეთქვა... ისედაც მივხვდი სუნზე... ცოტა აქეთ მოიწი... მგელი ხაპიას თვალის დახამხამებაში ზურგზე მოერგო. მუცლის ბოლოს წინაფეხები სალტესავით შემოადო და თავისკენ დაქაჩა.

— არა... არა... გეხვეწები... ჩვენს შორის ეგ არ შეიძლება! შენ სხვა ხარ... სხვა რჯულისა ხარ... თავი მომეჭრება... არა, არა, რა... გეხვეწები... გეხვეწები... ნუ დამამტვრიე ნეკნები... მტკივა... მართლა მხეცი ხარ... მართლა მგელი ხარ...

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ორივენი კონწოლიას მთის აღმართს ჩრდილო-დასავლეთისკენ მიუყვებოდნენ

ხაპიამ უსაფრთხო გასასვლელამდე მიაცილა მგელი.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ მძულს ამ დღეებში სოფელში გამოჩენა. დაგადგებიან ძაღლები — დიდი, პატარა, ბებერი, ახალგაზრდა... ყველა თავის თავს გატენის, ყველას თავისი წილი უნდა... ერთხელ სცადა ბახვამ, არ გაეღო ჭიშკარი, მაგრამ ყმუილით კინაღამ აიკლეს. ერთი ხვადი მეტრნახევრიან ეკლიან ღობეს გადმოახტა და ზედ გადაიფატრა თავისი საოხრე. ახლა მარცხნივ გახვალ და პირდაპირ იარე.

— ვიცი... ველარ შევხვდებით ერთმანეთს?

— ალბათ ველარ.

* * *

ხუთი თვის შემდეგ სოფელში ხმა გავარდა; ბახვა ენდელაძის მონადირე ძაღლმა ხაპიამ მგლის ლეკვები დაყარაო.

ეს ამბავი რადიო-ტელევიზიას არ გადმოუცია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით პატრონმა თვენახევრის შემდეგ შენიშნა, ხაპიას რომ დაცქვეტილყურებიანი ლეკვები სწოვდნენ.

თვით ხაპიას არაფერი უკვირდა. იგი თავდრუნჩს ულოკავდა ლაჯებში მომწყვდეულ ლეკვებს და ბუნების საოცრების სახილველად მოსულთ დამნაშავესავით შესცქეროდა.

22 აგვისტო. 2010წელი

ჟურნალისტმა იუზა გაგნიძემ იმ დღეს გვიან გაიღვიძა.

,,ჭკუა ვერ ვისწავლე.. რას ვნერვიულობ და რისთვის ვტეხავ ღამეს. ჩემი გაჭირვება არ მეყოფა? ურუგვაი მეიგებს თუ პარაგვაი, რა ჩემი ჭკუის საქმეა. კისერი ერთს უტეხია და კინჩხი მეორეს.“

ტელევიზორი ჩართო და ,,მოამბეს“ მიაგულისყურდა, წესად ჰქონდა, პირველ რიგში ,,მოამბე“ უნდა ენახა.

სწორედ რომ ,,მოამბე“ აძლევდა უხვ მასალას თავისი ცეცხლოვანი ინტერვიუებისა თუ ფელეტონებისთვის.

მსოფლიოში ხანძრების გარდა საინტერესო არაფერი ხდებოდა.

ჟურნალისტს გული დასწყდა. ,,როგორც ჩანს,, დღესაც სამტრედიის დატბორილ სოფლებზე უნდა დავწერო. ნუთუ ერთი მიტინგი მაინც არ ჩატარდება სადმე. სად გაქრა ეს ხალხი.“

იუზა ოპოზიციონერი ჟურნალისტი იყო და, კაცმა რომ თქვას, ოპოზიციის გამარჯვება უნდა გახარებოდა, მაგრამ მთლად ასეც არ იყო საქმე. შარშან შიშით შესცქეროდა ოპოზიციის ლიდერების გაქცევ-გამოქცევას თბილისსა და ქუთაისს შორის.

,,ვთქვათ და გეიმარჯვეს ამგენმა, მერე რა ვქნა, რაზე ვწერო, ვინ ვლანძღო მეო. არა და მაქებარი ჟურნალისტი ვის რა ჭირად უნდა. დღეს, როცა ხელისუფლებას ტყავს ვაძრობ, ძლივს კითხულობენ ჩემს ნაწერს და მერე ვინღა წაიკითხავსო.“

არ სურდა, არა, იუზა გაგნიძეს, ხელისუფლების დამხობა, თუმცა მან არ იცოდა, რომ ხელისუფლებაზე გამარჯვება არც ოპოზიციის ბელადებს უნდოდათ.

ეს უკანასკნელნიც შეგუებულნი იყვნენ პწკენია ოპოზიციონერის უდიდპრეტენზიო როლს.

წვერი გაიპარსა,ფეხზე ისაუზმა. ერთ დროს გრძელკოზიროკიანი,აწ უკვე ბერეტად გადაკეთებული ბუკლეს ქუდი შუბლზე ჩამოიმხო, მინიჩანთა მაჯაზე ჩამოიკონწიალა და კარი გამოიტკაპუნა.

ცხელოდა, მაგრამ ხვამლიდან საწვიმარი ღრუბელი იშლებოდა და დაბლა იწევდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნაშუადღევს გაწვიმდებოდა.

– ჭამე რამე? – სასტუმროს წინ ფეხებწაჭრილ ტაბურეტზე მოკალათებული გერშონია ურია ყოველ დილით ერთსა და იმავეს ეკითხებოდა.

– ვითომ... წევიჭამე რაცხა.

– მიწა ჭამა, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო.

– შენი მიკვირს, გერშონია. ქვეყანა გარბის.შენ რატო არ წახვედი ისრაელში?

– რა მინდა ისრაელში, დაგენაცვლე. ომი და უბედურობა მინდა ამ ხნის კაცს, მეე?

– რავა, ომი აქანა გაკლია? ხო ნახე, შარშანწინ, რო გადაგვიარა რუსმა.

– აქანა სხვა ომია, დაგენაცვლე. აქოურია ომი დღენახევარში მთავრდება და ისრაელში ორმოცდაათი წელია ჭამენ ერთმანეთს. აქანა ჭოლაია ეძგვერაძე თავისი თბილისელი სტუმრებით რესტორანში რო შევიდა საქეიფოთ, სანამ წამსვლელი-დამრჩომის სადღეგრძელოს დალევდნენ, ომი უკვე წაგებული გვქონდა.

იუზას გერშონია ურიასთან კამათი არ დაუწყია. ფეხსაცმლის მწმენდავს ყველაფერზე თავისი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა.

თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, რიონს ჩახედა. ტალახისფერად მოშლიგინებდა რიონი. წყალს კალაპოტი ამოევსო და სოლომონის სასახლის მოაჯირს ლოკავდა.

„რიონის ამნაირი გადარევა ოქტომბრის ბოლოსთვის არ მახსოვს. აპრილის წყალდიდობას ჰგავს. ბუნებაც ეირია ამ ბოლო დროს. როგორც ჩანს, ზევით, შოვის მთებში დიდი წვიმებია.“

ხიდის მოაჯირს თაფლისფერპლაშიანი ქალი დაყრდნობოდა და წყალს ჩასცქეროდა.

იუზას ერთი გამოხედა, რკინის ბადეში მარჯვენა ფეხი გაუყარა, აიწია და...

— არ გადახტე! — დაიღრიალა იუზამ. ვეფხვის ნახტომით ქალთან გაჩნდა, ხელი სტაცა და მოაჯირს გამოარიდა.

— გამიშვი! გეხვეწები, გამიშვი! მაინც გადავხტები! რა გინდა, რა ჩემდა ჭირად გამემეცხადე! — სლუკუნებდა ქალი და დასხლტომას ლამობდა.

ოცდაათის არც იქნებოდა. გავეშება და გაბრაზება საოცრად უხდებოდა. გაფართოებულ გუგებში მწყერისფერი თვალები ხტოდნენ. საწვიმარზე ხორბლისფერი ხუჭუჭა თმა ჩამოშლოდა. ხან ერთ მაჯას ითავისუფლებდა, ხან მეორეს. უფრო ღონიერი ჩანდა, ვიდრე იუზას ეგონა.

— გამიშვი რა, გამიშვი, ნუ დამაწყვიტე მკლავები... მაინც გადავხტები... ვინ გკითხავს შენ... რას ერევი ჩემ საქმეში!

წულუკიძის ბაღში ძელსკამზე ძალით დასვა. ყოველი შემთხვევისთვის მარცხენა მაჯაზე ხელს არ უშვებდა.

— ქალო, სრულ ჭკუაზე ხარ შენ?!

ქალი აგურის ფხვნილის ბილიკს ჩასცქეროდა.

იუზამ კითხვა რომ გაუმეორა, მწყრალად ამოხედა.

— მაინც გადავხტები...

— შენი ნებაა, მარა რისთვის იკლავ თავს, გამაგებიე და კი ბატონო, გადახტი.

— ასე გეკუთვნით თქვენ, ყველას.

— ვინ ყველას?

— მთელ ქვეყანას... გამიშვი, გეხვეწები... მე ჩემსას მაინც არ დავიშლი... რას ერევი ჩემს საქმეში... წაი, შენს გზაზე.

— ყველას ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს, ტასიკო, წავალ, აბა რას ვიზამ, მარა, ასე ვერ დაგტოვებ... მერე მთელი ცხოვრება უნდა ვინანო.

— ა, ხომ ხედავ, ჩემი დახრჩობა იმდენად არ გაწუხებს, რამდენადაც შენ თავზე ფიქრობ, სინდისი შეგაწუხებდა, რომ არ გადაგერჩინე... ჩემნაირები ფეხებზე გკიდიათ, ამიტომ ყველას ჯინაზე უნდა გადავხტე, ყველა უნდა დაგსაჯოთ ამითი.

— მიზეზი მითხარი და კი ბატონო, გადახტი.

იუზამ ჩათვალა, რომ აფექტის მდგომარეობა გადავლილი იყო და მაჯაზე ხელი გაუშვა.

— მეტი მიზეზი რაღა იქნება. ამ ხნის გოგოს არა დედა, არა მამა, არა ქმარი, მესამე ქმარმა გუშინ გამომაგდო, ეჭვიანობის ნიადაგზე. ქუჩაში დავრჩი, ა, ნახე. (პლაშის ჯიბეებში ხელი ჩაიყო და ორივე ამოიბრუნა) ჯიბეში ერთლარიანი არ მიჭყავის. სამსახურის დაწყება მინდოდა, არი, რავა არ არი, საჩემო სამსახურები, მარა ვინც მპირდება, ყველა ლოგინისკენ მიმათრევს. არ უნდა იყოს წესიერი გოგოს ადგილი ამ ქვეყანაზე?!

ამ დროს წულუკიძის ბაღში ორი ახალგაზრდა პოლიციელი შემოვიდა. მიიხედ-მოიხედეს და პირდაპირ მათკენ წამოვიდნენ.

ტასიკო მთელი ტანით შემოტრიალდა და იუზას ჩაეფსკვნა.

— გეხვეწები... არ გაატანო ამგენს ჩემი თავი... უთხარი ჩემი საცოლეა თქვა, ჩემთან ცხოვრობს სახლში თქვა... გეხვეწები... გადამარჩინე!

პოლიციელები რომ ორივეს თავზე წაადგნენ, ტასიკო წამოხტა და ხიდისკენ გაიქცა. პოლიციელები დაეწივნენ, იქით-აქეთ ამოუდგნენ და ძალად გაახელკავეს.

— რას ჩადიხართ... ეს ქალი ჩემთანაა... თქვენ უფლება არ გაქვთ... მე ჟურნალისტი იუზა გაგნიძე ვარ!

იუზამ პირადობის მოწმობა ამოიღო.

— წამობრძანდით ბატონო და იქ გეტყვიან ყველაფერს, ჩვენ პატარა ხალხი ვართ...

პოლიციაში ასეთი რამ გაირკვა:

თაღლითობის გამო ორჯერ ნასამართლევი მარინა ჭანუყვაძე (და არა „ტასიკო"), თვეზე მეტია, რაც თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა, იგი ხშირად ჩნდება ქუთაისის ოთხი ხიდიდან (თეთრი ხიდი, ახალი ხიდი, ჯაჭვის ხიდი, წითელი ხიდი) რომელიმეზე. დგას და წყალს ჩასცქერის. ცოტა არ იყოს, ინტელიგენტური გარეგნობის, ნორმალურად ჩაცმულ მსხვერპლს რომ შეამჩნევს, ხიდიდან გადახტომას ცდილობს. ასე, თვითმკვლელობაგადაწყვეტილი ქალის წუწუნ-აღსარებით ამყარებს ურთიერთობას თავის გადამრჩენთან. მახეში გაბმული მოქალაქე თავს ვალდებულად თვლის, რითაც შეუძლია, დაეხმაროს უმწეო ქალს. ზოგს სახლშიც მიჰყავს (მარინა თავის გადამრჩენთან არც სარეცლის გაზიარებაზე ამბობს უარს), გულუბრყვილო მოქალაქე ყურადღებას რომ მოადუნებს, მარინა ჩანთაში ჩაიცურებს მასპინძლის რამე ღირებულ ნივთს, მერე კარგად დასაჩუქრებული, დილით ცრემლიანი თვალებით ეთხოვება გადამრჩენელს და პირობას აძლევს, რომ თავს აღარ მოიკლავს.

ორი კვირაა ვეძებთ და ძლივს მოვიხელთეთო, პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსმა კაკაურიძემ.

იუზას ახსნა-განმარტება დააწერინეს და სასამართლოზე მოწმედ დაგიძახებთო, დაუბარეს.

მიდიოდა რედაქციისკენ ჟურნალისტი იუზა გაგნიძე და გაოგნებული იყო, რა დამაჯერებლად იქცეოდაო, ფიქრობდა.

მან უკვე იცოდა, გაზეთის ხვალინდელ ნომერში რა უნდა დაეწერა. მოსაფიქრებელი იყო მხოლოდ მასალის სათაური და ისიც, თუ როგორ დაეკავშირებინა ეს ყველაფერი ხელისუფლებასთან.

იუზა ხომ, როგორც თავში გითხარით, ოპოზიციონერი ჟურნალისტი იყო.

აგვისტო, 2010. თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის მოწმობა

შპს „ჰერმესი“ - სევდანარევი ირონიით წავიკითხე და მანქანიდან გადმოვედი. დაახლოებით ცხრა წლის ბიჭუნა კარებთან შემეფეთა:

–ვუყურებ რა, მანქანას ვუყურებ რა...

უყურე ბიძიკო, უყურე! ვუთხარი მე და იმ „ბედნიერების“ სავანეში შევდგი, ფეხი საიდანაც, თითქოს, ჰადესის ოხშივარი იფრქვეოდა.

ჩემი მეუღლის გარდაცვალების მოწმობა მჭირდებოდა.

იქ გამეფებულმა რეალობამ შემძრა. სრულიად ჩაბნელებულ მოსაცდელში ამოვყავი თავი, სადაც ძლივს გავარჩიე ჩაშავებული ჭირისუფლები, რომლებიც ჩემსავით მოსულიყვნენ აქ თავისიანის გარდაცვალების დამამტკიცებელი მოწმობის მისაღებად.

მკვდრების მთავარი „ყარაულის“ კაბინეტი მოვიკითხე. მიმასწავლეს. კარები შევაღე თუ არა, მდივანს შევეფეთე, რომელიც ისე ჩაშავებულიყო, რომ გულზე სევდა შემომაწვა.

–გამარჯობათ, ქალბატონო! უფროსი აქ არის?

–არა ბატონო! დღეს არ იქნება, თავაზიანად მიპასუხა ქალმა და დასძინა იქნებ მე გამოგადგეთ რამეშიო.

პატარა ოთახის კარი შეაღო, სადაც ორი ქალბატონი იჯდა – პატივცემულს მიმიხედეთო – უთხრა და უხმოდ გავიდა გარეთ.

სკამზე ჩამოვჯექი. ორივე ქალი ძაძებში იყო გამოწყობილი. ცნობისმოყვარეობით ძლეულმა ვიკითხე – შავები მოდისთვის გაცვიათ?

– ისე თქვენმა მტერმა და ავადმახსენებელმა ჩაიცვას შავები. ძმა და ქმარი ერთ დღეს დამეღუპა, ავტოკატასტროფაში.

მეორე ქალმა, ეტყობა, ახლა მე არ დამისვას იგივე კითხვაო, მწუხარებით წამოსთქვა – მე კი, ქმარიო.

ცუდად გავხდი. ამ შენობაში რომ შემოვედი, ჩემი თავი ყველაზე ტრაგიკული კაცი მეგონა. აქ კი, თურმე, როგორი უბედურება ტრიალებდა.

მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორების მოკლეკაბიანი, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხედვა. ახლა კი ისე მომინდა მათი დანახვა, როგორც მწყურვალს წყალი. ვიგრძენი სიცოცხლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. ერთი სული მქონდა, აქაურობა დამეტოვებინა.

საბუთი მომცეს. მადლობა გადავუხადე და სიკვდილის ამ ყუთიდან კი არ გამოვედი, გამოვფრინდი.

პატარა ბიჭი ისევ შემომეგება.

– ბიძია ხომ ვუყურე მანქანას, ფული მომე, რა!...

ჯიბიდან ოცი თეთრი ამოვიღე და გავუწოდე.

–გმადლობთ ძია, გმადლობთ! მითხრა თუ არა მოწყდა ადგილს. გამიკვირდა ვერ მივხვდი, სად გარბოდა. დაახლოებით ოც მეტრში მყოფ ჯიხურთან გაჩერდა, ოცთეთრიანი მიაწოდა და ორი ცალი საღეჭი რეზინი იყიდა. ერთი იქვე გახსნა. ისეთი სიამოვნებით დაიწყო ღეჭვა, ლამის ნერწყვი მომადგა. – ბიჭი, ბიჭი, მოდი ჩემთან! – დავუძახე. ისიც სწრაფად მომიახლოვდა. ვგრძნობდი „ჰერმესის“ კედლებში გამეფებული სიკვდილის შემდეგ, ამ ბიჭის სახით, როგორ შემოფრინდა ჩემს გულში სიცოცხლე. თავზე ხელი გადავუსვი და სიყვარულით ვკითხე:

–გიყვარს „ჟუვაჩკა“? აქ ცხოვრობ?
–ძალიან ბიძია! აქ ვცხოვრობ.
–მამა ვინ არის?
–არა მყავს.
–დედა?
–შარშან მომიკვდა.
–როგორ, ვისთან იზრდები?
–უბანში.
–რას ჰქვია, უბანში?
–ჰოო, ეგრე ხან ვისთან და ხან ვისთან.
–სახლი ხომ გაქვს?
–არა. სწორედ მაგას გადაყვა დედაჩემი. მამას სახლი ბანკში ჰქონდა ჩადებული. მამის გარდაცვალებიდან ექვს თვეში, ვალის გადაუხდელობის გამო, სახლი ბანკმა წაიღო.

იმის შემდეგ დედამ ორი დღე იცოცხლა! დაასრულა ბიჭმა ამბავი.

–ვაჰ, ღმერთო! ეს რა დღე გამითენე... ამოვიგმინე...

მერე პატარას შევხედე და ინსტინქტურად ვუთხარი: – წამოხვალ ჩემთან საცხოვრებლად?

–წამიყვან რო... მითხრა და თავისი სიცოცხლით სავსე თვალებით, თვალებში ჩამხედა.

–წაგიყვან! – ვუპასუხე მე და ვანიშნე მანქანაში ჩამჯდარიყო. როცა გვერდზეე გავიხედე, შევნიშნე რომ, თურმე, მთელი უბანი ისმენდა ჩვენს დიალოგს. ერთი ხანში შესული ქალი მომიახლოვდა და მითხრა: – თუ მართლა წაიყვან, ღმერთი დაგლოცავს...

–უკვე წავიყვანე! ვუპასუხე და საჭეს მივუჯექი. ბიჭი, ცოტა დაბნეული მაგრამ აშკარად ბედნიერი, ჩემს გვერდით წამოსკუპებულიყო. როცა მანქანა დავძარი, მესმოდა როგორი სიყვარულითა და თბილი შეძახილებით აცილებდა მას მთელი უბანი.

მე კი, სიკვდილის მოწმობის მაგივრად, სიცოცხლის მოწმობით ვბრუნდებოდი შინ.

გამაფრინე

პლეხანოვის გამზირზე მთავარ ფოსტასთან მანქანა გავაჩერე და ის იყო შესვლას ვაპირებდი, რომ ჩემი ყურადღება პატარა ბიჭუნამ მიიპყრო, რომელიც ბებიას რაღაცას უხსნიდა. მერე კაი ვაუკაცივით თითქოსდა დიდგორის ბრძოლაში 100 ოსმალოს სისხლი მაინც ჰქონდა დაღვრილი, ფოსტაში შევიდა. მის კაცურ მიხრა-მოხვრაზე გამეცინა და ჩემთვის ჩავილაპარაკე. რა იქნება ეხლანდელ ახალგაზრდებს ასეთი შემართება რომ ჰქონდეთ-მეთქი. დარბაზში შევედი, რიგში ჩავდექი. ამერიკიდან შვილის მიერ გამოგზავნილი ამანათი უნდა მიმეღო. ისე მოხდა, რომ ამ პატარა რაინდის უკან მომიწია დგომა. ბიჭი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა: ხან იატაკზე გასრიალდა, ხან მოძველებულ სავარძელზე თავით დაერჭო და ყირა გაჭიმა. მერე ესეც არ იკმარა, იატაკზე დაჯდა და მუშტებით ისეთი კუთხე გააკეთა, ყოფილ მრავალგზის ჩემპიონს აზარიანსაც შეშურდებოდა.

შევატყე რომ ნელ-ნელა ყველას დაავიწყდა, რისთვისაც იყვნენ ფოსტაში მოსულები და გამალებით ადევნებდნენ თვალყურს ბიჭის მოძრაობებს. ბებიამ იფიქრა, ხალხს აწუხებსო, რიგიდან გამოენთო, შეშინება დაუპირა. ახლავე აქ მოდი, თორემ პოლიცია წაგიყვანსო.

ბიჭმა ჭკვიანური თვალებით შეხედა ბებიას და უპასუხა:

–პოლიციამ ის წაიყვანოს ვინც წასაყვანია.

მთელი ფოსტა სიცილისგან ჩაბუერდა. მე საღეჭი რეზინების მთელი დასტა ჩავუდე ხელში, თან ლოყაზე მოვეფერე. მერე შევეკითხე:

რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდე? – არც კი დაფიქრებულა ისე მიპასუხა: მელ გიფსონი, გიორგი სააკაძე და ჰერაკლეო.

თვალზე ცრემლი მომადგა. ვიფიქრე, – საქართველოში ძლიერი ქართული გენი კიდევ შემორჩენილა–მეთქი; თორემ ჩემი მეზობელი თემუკას შემხედვარეს საკაცეთი შემძულდა. რიგი ნელ-ნელა მიიწევდა წინ.

–რა გვარისა ხარ და რა გქვია?

–გურიელი, ჯუბა მქვიაო,– მიპასუხა სხაპასხუპით. ვიფიქრე, ნანატრ გვარს მეუბნება–თქო და ბიჭის ბებიას ვკითხე მოკრძალებით, მართალს მეუბნება?

მომიტრიალდა ქალბატონი და ოდნავ ნაწყენი ტონით დასძინა: – რავა, არა ჰგავს გურიელს, თუ რაშია თქვენი საქმეო.

მერე კეთილად ჩაიცინა და მითხრა: – ნეტავ ჯღამაძე ყოფილიყო შვილი და მამა ჰყოლოდაო.

გულმა რეჩხი მიყო, ქალს ბოდიში მოვუხადე.

–არაფერს შვილო, შენ რა გაქვს საბოდიშო, ჩვენს მთავრობას დავასხი თავს ლაფი! ამდენი ბავშვის სიცოცხლე რომ შეიწირეს ძმათამკვლელ ომში.

ყველაფერს მივუხვდი და ფრთხილად ვკითხე – თქვენი შვილი იყო?

–სიძე იყო ის უბედური. არწივივით ბიჭი. პირველსავე ბრძოლაში დაეცა ტამიშის მისადგომებთან. დავრჩით მე, ჩემი ქალიშვილი და ეს ანგელოზი, ამას ენაცვალოს ბებო. შიმშილით სული რომ არ ამოგვძრომოდა, ჩემი გოგო გერმანიაში წავიდა: ერთ ოჯახში ბავშვს უვლის. იქიდან გვარჩენს.

ფიქრებით სადღაც წავედი, მომაგონდა სამამულო ომის შემდგომი წლები. გადასახლებული მამა, შეურაცხყოფილი სული, ზედმეტი შრომისაგან ნირწამხდარი დედა, ყოველთვის სევდიანი ბებიის თვალები და ლამის ტირილი დავიწყე.

როცა მათი რიგი მოვიდა, ბებიამ ხელჩანთიდან ვიდეო კასეტები ამოიღო, გასაგზავნ ყუთში ჩადო, ბერლინის მისამართი დააწერა, მერე შვილიშვილს მიუბრუნდა და უთხრა: – აი, დედაშენი მიიღებს ამ კასეტებს და გაიხარებსო.

ის იყო ქალი კასეტების ჩაბარებას აპირებდა, რომ ბიჭმა მუდარით მიმართა, – ბებო, გეხვეწები, კასეტები შენ დაიტოვე, ამ ყუთით კი მე გამაფრინე!

თითქოს მეხი გავარდაო, ისე იმოქმედა ამ სიტყვებმა. მთელ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩვენ ხომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც გაღატაკებული ხალხი დალასლასებს, ხოლო ყუთები დაფრინავენ...

ბებოს ცრემლები დაპაღუპით წამოუვიდა. შვილიშვილი ხელში აიტაცა და გულში მაგრად ჩაიკრა. ბიჭი გაოცებული შესცქეროდა ატირებულ ქალს და თუთიყუშივით იმეორებდა – გამაფრინე ბებო, გამაფრინე ბებო რა!...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი თვალები

მოწმენდილ ცაზე მოულოდნელად ატყდა ჭექა-ქუხილი. ელვამ მეხი შიგ გულში მომახვედრა, აზრი დავკარგე, აღარ მახსოვს, გონს როდის მოვეგე. ტანზე დავიხედე, კაბაზე სისხლის კვალი წითლად მემჩნეოდა. მისი მიზეზი დაკეტილი კარი იყო და კარს მიღმა მოსაუბრე წყვილი, რომლებიც ჩემს პიროვნებას უსაფუძვლო ბოდმას ანთხევდნენ.

კარებთან ვიდექ და შიგნით შესვლის უფლება არ მქონდა. ჩემს სამუშაო ოთახში არხეინად ზეიმობდნენ, ოთახიდან სიცილ-კისკისის ხმა გამოდიოდა, უზნეოთა ტკარცალი... ჭრილობა მაწუხებდა, სისხლიც არ ჩერდებოდა, კიბეებიც ლასლასით ჩავიარე, საფეხურებზე მოურჩენელი კვალი რჩებოდა.

მეტროში ჩავედი, წყვილის ვნებებში ჩაკლულ ჩემს სიალალესთან უიმედობა კენჭაობდა...

ეშმაკი იმარჯვებდა. ჩემს თავზე ვბრაზდებოდი. რატომ განვიცადე ასე? სისუსტე ვიგრძენი, კედელს მივეყრდენ, ელმავალმა შემომაკივლა. თვალი გავახილე. მთვრალი კაცივით ფეხარეული ვაგონში შევედი. სკამზე ჩემოვჯექი. ფიქრებში ჩავიძირე...

- უფალს მიენდე, -თითქოს ვიღაცამ დამიძახა და გამომაფხიზლა... რატომ მოხდა ასე? ნუთუ ყველაფერი ეს სინამდვილეა? ვის დავურეკო? ვინ გაიგებს. სული დამიჩეხეს. რისთვის? სიკეთისათვის? ვისაც ვუშველე, იმან მომკლა.

როგორ ვერ იცან, გავუწყერი იდუმალ ფიქრებს,
თუ ეშმა იდგა ჩემს წინაშე ნიშნის მოგებით,
ვერიდებოდი გზის აღმართზე სუსხიან ჭინჭარს,
გული აღმუვლდა, აბობოქრდა, ვითარცა თერგი.

უცებ ზეციური ძალით რაღაც ტვირთი მომეხსნა. ხმა მეჩურჩულებოდა: - შენი დანაშაული, შენი სიკეთეა, სხვა არაფერი, რა გადარდებს, ჭკვიანი თვალები გითვალთვალებს, ის გაგიგებს.

- რომ ვერ გამიგოს?
- არ არსებობს.
- მართლა?
- თავს გაწირავს სიმართლისათვის.
- მერედა სად არის სიმართლე?
- ნუ ჩქარობ, ყველაფერი გაირკვევა.
- მოვითმინო?
- დიახ!
- ნუ დარდობ, ჭკვიანი თვალებიდან სილამაზეს შეიგრძნობ. სუსხიან ამინდში გათბები, სიცხეში კი გრილი ნიავივით აგელამუნება ნატკენ გულზე.

ცრემლში გავლებული სტრიქონები ჩემს დაუკითხავად იკავებდნენ ადგილს თეთრ ფურცელზე:

ნაღვლიან დღეებს ქარიშხალი ეფერფაშება,
ჩამოიღვენთნენ უღიმღამოდ, როგორც სანთლები.
ხოშკაკალები სულში შეძვრნენ დარდის რაშებად
და დამიგროვდა სევდიანად ისევ სათქმელი.

სადღა დარჩა სათქმელი?! წერტილს დავუსვამ ყველაფერს, რატომ დავკარგე წონასწორობა? ესეც, ალბათ, გამოცდა იყო უფლის წინაშე. ემოციებმა მაჯობა.

მეზიზღება ჩემი თავი. გაშლილ სუფრაზე ყველა ნაყრდება, წინააღმდეგობა შემხვდა? ბოდიში. მერედა, ვინ ვარ, ერთი უბრალო მომაკვდავი და სხვა არაფერი. პოეტობით ვამაყობ? ეს ხომ უფლის საგანძურია, ჩემი რა არის? არაფერი, - ჩამესმის ხმა. შენი მხოლოდ მიმტევებლობაა.

შავად მოქუფრულ ცაზე უცებ მზის სხივი გამოჩნდა. მერე ისევ მიიმალა, მაღლა ავიდა, სხივს დავუწყე ძებნა.

- ნუ დამეძებ, მე სხივი არ ვარ.
- აბა, მოჩვენება ხარ?
- არა, ჭკვიანი თვალები ვარ.
- რა გინდა ჩემგან? ხომ ხედავ, რა დღეში ვარ.
- შენ გპატრონობ.

სიბნელეში ორი თვალი მომჩერებოდა ხან მკიცხავდა, ხან მანუგეშებდა, ხან მითანაგრძნობდა, მამართლებდა. ცრემლები მცვიოდა. ნუთუ დავიღალე, არა, ძალა უნდა მოვიკრიბო. მაპატიე, უფალო! შეურაცყოფა მომაყენეს? მტვრის ნამცეციც არ ვარ, ერთი უბრალო მოკვდავი ვარ, მეტი არაფერი. შენ ჯვარზე გაგაკრეს.როგორ მეზიზღება ჩემი თავი. ოთახში გამომწყვდეულმა ორმა უსუსურმა ადამიანმა გამომიყვანა მოთმინებიდან. რა პატარა ადამიანი ვყოფილვარ. რით ვიმართლო თავი, ალბათ, ბედის ბრალია ყველაფერი.

წმინდაო მარიამ! შენ დამადევნე გზაში კეთილი ანგელოზი, გმადლობ ამისათვის. კვლავ შენი მადლით იწერება სიტყვები, უფალო ჩემო!

დაღლილ სულს ვუყურებ, ნატანჯს და დაფლეთილს,
ნეტავი ეს ბედი კიდევ რას მპირდება,
სიცოცხლე არ მოდის არასდროს დაკვეთით,
არადა, სუყველას ო, როგორ გვჭირდება.

თითოეულ ადამიანში უნდა დაინახო მოციმციმე ღვთის ხატი, უნდა შეძლო, რომ გიყვარდეს შენი მტერი, სულიწმინდის საჩუქარი ღირსეულ ადამიანებს ეძლევათ... სიყვარულისაკენ კი სამ მცნებას მივყავართ: შერიგებას, მოწყალებას, თავდაჭერას. ჭკვიანი თვალები მარიგებენ, სიკეთით მმუხტავდნენ.

კანტმა თქვა: „ზოგიერთი ადამიანი ზეცაში ეძებს შვებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დედამიწაზე გზა აებნა.“ – არა! მე გზა არ ამბნევია. ადამიანი, რომელიც სასიკვდილოდ იყო განწირული, ფეხზე დავაყენე, სული მოვათქმევინე და დიდი სიკეთის მაგიერ ხორცი ამათალა, სასიკვდილოდ ამცრა.

უერთგულესს და სიკეთის მორჩილს,
ქარმა ზმუილით გამიღო კარი.

ზღვასავით მშფოთვარე გავხდი. აბობოქრებული ტალღებივით სევდის კლდეს ვეხეთქები. არადა, ნახევრად გადამხმარ ბალახზე გადაპკურებული ნამი, იმედი და სიყვარული ვიყავი.

თმა თეთრდება, გული კვნესის, სევდის შემდეგ.
მარტოდ შთენილს ისევ ლექსი არ მაბერებს...
ძილშიც ფიქრის გაყინული რწმენა შემდევს,
რას გაუძლებს ჩემი გული ამდენ ძერებს.

-ხმამ დაიქუხა: სულის სიწმინდის საჩუქარი გაიხსენე, მიუტევე, წინააღმდეგობას თუ გაუწევ, დაღუპული ხარ ...

ფეხიდან მიწა მეცლებოდა, თავი დავხარე, დავიჩოქე,დიდხანს ვფიქრობდი. ხელები მკერდზე გადავაჯვარედინე, ზეცაში ავიხედე და ღმერთს შევფიცე, რომ მტერსაც მივუტევებდი.

გულის სითბო

ბურუსით ტყეს სევდის სამოსი წამოუსხამს. ჩიტები აღარ ჭიკჭიკებენ. ფოთლები წვიმის წვეთებით სანთლებივით ჩამოღვენთილან. მთის ძირში მდგარ სახლს სახურავი დაძველებია და წყალი დაუპატიჟებელი სტუმარივით იატაკზე მოკალათებულა.

სახლის პატრონი ელვა-ქუხილმა გამოაღვიძა. გარეთ გავიდა, იცოდა რომ სახურავიდან წყალი ჩამოვიდოდა, მაგრამ წვიმა ისეთი სიხშირით მოდიოდა, გეგონებოდათ კოკით ასხამენ წყალს ზეციდანო. ამირანი იძულებული გახდა შინ შეტრიალებულიყო და ბედს მინებებოდა, პირჯვარი გადაიწერა, მიმქრალი ბუხარი რკინის საკეცით გამოქექა. ნაცარში ერთი მილეული ნაკვერჩხალი იპოვა, სული შეუბერა, ნაკვერჩხალმა ლაპარაკი დაიწყო. კიდევ კარგი რომ მომისწარი, უკვე ისე მიილია ჩემი სიცოცხლე მეც ნაცრად ვიქცეოდი და კერია რით უნდა გაგეთბო?

– ამირანმა უკან დაიხია, ეგონა ალბათ წვიმის თქაფა-თქუფში რაღაცა მომეჩვენაო.

– ნუ გეშინია, მე ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ სიკეთის თესვით მილეული.

– მერედა ჩემს ბუხარში რა გინდა?

– ჰმ! ვიცი გაგიკვირდება, მაგრამ გეტყვი ჩემი ბედის ისტორიას. მე სახელად სიკეთე მქვია, ღმერთმა ამ მისიის შესასრულებლად მომავლინა დედამიწაზე.

– ჩემთან რა უნდა გააკეთო?

– ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები, ნურც გამომწვევად მიყურებ, მე ის ქალი არ ვარ ვინც შენ გაგიწამებია და მოუშუშებელი ჭრილობებით გიტარებია. შენ საერთოდ ქალის ფასი იცი?

– ამ წუთში კი, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანია.

– გვიანი არაფერია, თქვი რა გიჭირს და მე დაგეხმარები.

– ვერ დამეხმარები.

– რატომ, უკვე მოკვდა?

– არა, ცოცხალია, მაგრამ მე თვითონ მთვლის მკვდრად.

– უღალატე?

– კი.

– უყვარდი?

– ძალიან.

– მერედა არ გაგიგონია? თუ ქალს უყვარხარ ღმერთის წყალობა რომ გაქვსო?

– ვიცი, მაგრამ, მეც ღმერთმა ასეთი მომავლინა, რომ მაცდური ქალების ბადეში ვიღოღიალო.

– მე დაგეხმარები.

– არა, უკვე ჩემი დღეები დათვლილია, აგერ სახლიც თავზე მენგრევა.

– გამოგიტყდები და გეტყვი: მეც დავკარგე ადამიანების ნდობა, უმადურობამ დამლია, შენ სული რომ არ შეგებერა, მეც გავქრებოდი. ეტყობა ღმერთმა შენთვის მომაძლიერა, კიდევ მოგცა ერთი შანსი, თუ ეს არ გამოიყენე, შენი კვალის ნამცვრევი აღარ დარჩება დედამიწაზე.

ნაკვერჩხალი გაქრა. ამირანმა „მამაო ჩვენო" თქვა და ზეზე წამოიჭრა. არა, უსათუოდ მომეჩვენა, გარეთ გამოვიდა, წვიმას გადაეღო. ეზოსთან სატვირთო მანქანები გაჩერდნენ, წითელი სახურავით და სახლის თავხვებით დატვირთული. ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება ჩემს თავსო და ჩაიკეცა. ძია კაცო! – ჩამოსძახეს მანქანიდან - წყალობაა, წყალობა უფლისგან, მიიღე ღმერთკაცისგან საჩუქრები. ერთ კვირაში მოვალთ, სახლს კიდეც შეგიკეთებთ და სახურავსაც გადაგიხურავთ.

ამირანმა წამოიწია, სახლში ლასლასით შევიდა, თავის თავს სრულ მოაზროვნე ადამიანად აღარ თვლიდა, ბადე გამოიტანა, თევზის ჭერას გულს გადავაყოლებო და მდინარე ძირულისკენ გეზი აიღო. შიშისა და სიცივისაგან კბილი-კბილს აცემინებდა.

მდინარის პირზე ცეცხლი შენიშნა, იფიქრა, იქნებ ცოტათი მაინც გავთბეო და იქით გაუხვია. ნედლი ტოტები ალზე ტკაცუნობდნენ და ნაპერწკლებს ყრიდნენ, ხის კუნძი მოძებნა, ცეცხლთან ჩამოჯდომა მოისურვა.

არ მიხვიდე, ჩამოსძახა ხმამ, მაგნაირმა მაცდურმა სითბომ დაგღუპა, შენ სახლში მეუღლე გყავს, ის გაგიღვივებს ერთგულების ცეცხლს. სახლში წადი! შენგან გამწარებული მეუღლის გული როგორმე უნდა შემოიბრუნო, მან შემოგწირა სიცოცხლე, გაჩუქა შვილები, დათმო სიმდიდრე და შენ ღარიბ ქოხში არჩია ყოფნა. მიდი მასთან, ჩემი ამაგიც არ დაივიწყო, თორემ ისე ჩაიძირები, მატლივით გაგსრესენ.

სახლის მხრიდან ხმები მოდიოდა, მომაწოდე, აბა, ჰე, საღამომდე მოვრჩეთ. ეჰე, ჰე, თქვენ ვინ ხართ მანდ, კეთილო ანგელოზებო? ჩვენ ღმერთკაცის დავალებას ვასრულებთ. თქვენ ერთი კვირის შემდეგ დამპირდით მოსვლას. კი, ასე იყო ნამდვილად, მაგრამ ღმერთკაცს გაუგია შენი მეუღლის ტკივილი და მისი გულის გასახარად დაგვაჩქარებინა სახლის დახურვა.

- ვაუკაცებო, სახელი მაინც მითხარით, იმ ღმერთკაცის.

- ბიძინა ჰქვია, ივანიშვილია გვარად. შენი ამბავი ერთმა მწერალმა ქალმა უამბო მას და აი, ახლა ხომ ხედავთ, როგორ ვშრომობთ. ასე დაგვაბარა: შენც შენი სიკეთის აგური დადე სხვებისთვისო.

ამირანს თითქოსდა მაშინ გაახსენდა ცოლის არსებობა, ოთახში შეიჭრა... - მე დავბრუნდი - თქვა და თავდახრილი იდგა მეუღლის წინ.

იდამ გაუღიმა, მოდი ამირან, შვილებს სჭირდები, თორემ ჩემი სიცოცხლის დღეები შენ დიდიხანია მოკალი. ხედავ იდა, ჭერი იხურება, ეგებ ჩვენს სახლში გულის სითბოც დატრიალდეს. არა მგონია ამირან, შენ გულის სითბოს ფასი ისწავლო. იდამ ამოიოხრა და ლექსით უთხრა სათქმელი:

ტკივილების საწუთრომ, მხოლოდ ჩემთან იარა,
დამაბერტყა სევდა და თვალი დამიბრიალა.
ცრემლი ბევრი მომგვარა, სიყვარული კი არა,
გამაშორა შენთან და ახლა მოგატრიალა.

გარეთ ქარმა დაიზუზუნა, ბუხარში ჯერ კვამლი დადგა... მერე კი ერთბაშად ავარდა ალი, ეს ცეცხლი ოჯახის სიყვარულის ცეცხლი იყო, სახლში გულის სითბო დატრიალდა.

სიყვარულის ისტორია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ჰოდა ერთხელ, როდესაც ეს ყველაზე უკეთესი ღმერთი იჯდა მაღლა, ძალიან მაღლა, თავის უმშვენიერეს სამეფოში, მზის ტახტრევანზე, სად იყო და სად არა, უეცრად მის წინ პაწაწინა გოგონა გაჩნდა.

- ოჰ, ეს პატარა ქალბატონი აქ საიდან მობრძანებულაო, ჩაილაპარაკა განცვიფრებულმა ღმერთმა და გოგონა სიყვარულით შეათვალიერა.

- მე? – მე აქ ნატვრამ მომიყვანა, - მიუგო გვარიანად დაბნეულმა ბავშვმა. მომიტევეთ, მეუფეო, თქვენი შეწუხება არც კი მიფიქრია, ისე, ვიჯექი ფანჯარასთან, საკუთარ სახლში და რაღაცას ვნატრობდი. ძალიან, ძალიან ვნატრობდი, ისე, რომ თვალებზე ცრემლებიც კი მომადგა. უეცრად მე თვითონაც ვერ გავიგე საიდან, ფრთები გამომესხა, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი და თქვენს წინაშე აღმოვჩნდი.

უფალმა გაიღიმა და ხელი გაუწოდა.

- მოდი ჩემთან, პატარავ, ნუ გეშინია, მომიყევი რა იყო ის უმშვენიერესი ნატვრა, ჩემამდე რომ მოგაღწევინა.

მე... მე სიყვარული მინდა ვისწავლო. ნამდვილი, სრულყოფილი სიყვარული. მარტო ჩემთვის კი არა, ყველას გავუნაწილებ, როცა მექნება. არა, ისე არ იფიქროთ, რომ სულ არ შემიძლია სიყვარული, მაგრამ მე თვითონ არა ვარ კმაყოფილი. ეს ის არ არის, რასაც ეს სიტყვა იტევს.

- ჩემო პატარავ, იცი, რომ შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელმაც ყველაზე დიდი განძი მთხოვა, სამწუხაროდ, ასეთი რამ ჯერ არავის უთხოვია. ზოგი სიმდიდრეს მთხოვს, ზოგი ჯანმრთელობას, ზოგი – შეწყალებას, მოკლედ, ამქვეყნიურ სათხოვარს რა დალევს. აი, სიყვარული მასწავლეო კი ჯერ არავის უთხოვია. ეტყობა, ამიტომაც მოაღწიე ჩემამდის. მეც ხომ სიყვარულის მეტი არაფერი შემიძლია. სწორედ ამ სიყვარულის გამო ვესტუმრე ერთხელ დედამიწას. სიყვარულით ვაპურებდი ადამიანებს და ვუკლავდი წყურვილს, სიყვარულით ვკურნავდი მათ იარებს და მათივე სიყვარულისთვის ვეწამე, რადგანაც ისინი, ვინც მე ასე უსაზღვროდ შევიყვარე, გადამერჩინა და აღარასოდეს არ მომკვდარიყვნენ. აი ასეთია ჩემი სიყვარულის ისტორია.

რაც შეეხება შენს ნატვრას, პატარავ, გაუძლებს კი შენი გული ამ ტვირთს, რადგან სიყვარული ტვირთია. თუმცა ძალიან მსუბუქი და მშვენიერი, მაგრამ გზა ამ მსუბუქ ტვირთამდე მიმავალი ბეწვის ხიდია, გახვალ კი შენ ამ ხიდზე თვალახვეული, მზადა ხარ იმ განსაცდელისთვის, რაც სანუკვარ განძამდე მიგიყვანს?

- მე შევეცდები, უფალო, - ჩაიჩურჩულა ბავშვმა. - თუ გვერდით მეყოლები და არ მიმატოვებ, მე შევძლებ!

- ჩემო პატარავ, აი შენ, ჩემი უსაზღვრო სიყვარული და მადლი. წადი და იარე... და მე ვნახავ, როგორი იქნება შენი სიყვარულის ისტორია. ადამიანები შეიძლება ვერც კი ხვდებიან, მაგრამ მათი ცხოვრება ხომ სხვა არა არის, თუ არა სიყვარულის ისტორიები, სევდიანი ისტორიები, სადაც უმრავლესობა ძალზე ძუნწია და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ხელგაშლილობა. წადი, პატარავ, გაშალე ხელები და ისწავლე, - როგორ უნდა გასცე სიყვარული, რომლითაც ღმერთმა ასე უხვად დაგაჯილდოვა.

პოეზია

ხე ცნობადისა

ხე ცნობადისა
ისევ ყვავილობს...
ნაყოფსაც ისხამს ასევე.
ჩვენ კი – ადამის შვილები
ლეღვის ჩეროში ვისვენებთ.

აკოლოთია

სიო ნელა მიმოარხევს
ტოტებს, - მწვანე ფოთლიანს.
ციდან სივრცეს ეფინება
მთვარის აკოლოთია.
წუთისოფლის გზას მივყვები,
ხმაური და შფოთია.
ტანმაღალი ტაძარი დგას, -
სულის აკოლოთია.

დამინახა ღმერთმა

ვნებების იქით დავდექი,
ხორცის წადილთა იქით
და...
დამინახა ღმერთმა.

ხატწერა

იტევს კაცის გენიას
ტაძრის კედლის ხატწერა.
ჟამმა მისი დიდება
უკვდავებით გაწელა.

გეთსიმანიის ბაღში

მთვარიან ღამეს სწვავს აგონია,
ბინდი იცლება მთაში.
მზე ამოდის და თავი მგონია
გეთსიმანიის ბაღში.
სადღაც ღრუბელი მოჰგავს გოლგოთას,
ელავს გუმბათის ყელი.
ნისლის ბარტყულა შვენის ბოლო მთას,
ნათლის ბითეზდა მშველის.
მზე ისე შვენის კამკამა ზეცას,
როგორც გაჩენის დღიდან.
თითქოს და ქრისტემ ამოიხედა
გენესარეთის ტბიდან.

ბიბლიის გზაზე

ღმერთი შემომხვდა
ბიბლიის გზაზე.
ვეღარ ვიცანი, ღმერთმანი!
ვიდრე არ ვნახე ძელზე გაკრული
და... ჯვარს ვუწერდით ერთმანეთს.

ზეთი კანდელის

სივრცე მორკალა ფრთოსანმა,
ხეს სტუმრობს ღამის მთეველი.
მთვარე ამოდის!.. ოსანა!
ცა ჩანს, ვით კათაკმეველი.
მეცხება ზეთი კანდელის,
გარბის ღრუბელი მკრეხელი.
ვარსკვლავიან ცის კანკელი
დამყურებს, როგორც მეხელი.
განგებამ უფალს მამონა,
ჩემში სული ქრის მორჩილის.
ვერ დამიმონებს მამონა,
თავზე რომ მადგას ყოჩივით.

ათი მცნება

ქვის ფიცარზე
ათი მცნება,
როგორც ღმერთმა გაიაზრა,
სინას მთიდან
მოაქვს მოსეს, -
ჩვენი სულის აიაზმა.

საიდუმლო სერობა

ყოფნას წუთისოფელში
აწ გერჩიოს ბერობა.
ჩამავალი მზე მოჰგავს
საიდუმლო სერობას.

ტრაპეზარი

მოსვენებას დაუკარგავს
ხეებს ქარი აბეზარი.
მონასტრისკენ!
მონასტრისკენ!
გველოდება ტრაპეზარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმშობლისადმი

გახუნდა ჩემი მაისური,
მარიამობის ღამის ფერი;
ბევრი სურვილი ამისრულე –
ცაში ფრენასთან შენაფერი.
ის „ივირონიც“ მოვიარე,
ხატთან ვილოცე ადრე დილით...
შენ ხარ ვენახი მსხმოიარე,
მე კი ჭიგო ვარ, გადრეკილი.

* * *

შენ ისევ შორს ხარ,
როგორც წმინდა ქალაქის ზღუდე, -
იერუსალიმ!..
მე არც წარმართი მებრძოლი ვარ,
არც ჯვაროსანი,
გადმოვიარო ცხრა მთა და ცხრა ზღვა...
შენ ისევ შორს ხარ...
ვით აღდგომის ცეცხლი, მინათებ
ტაძარს და... არ მწვავ...

სპარსული ექო

თქვი, რომელია უფრო რთული,
ალავერდი-ხან, -
იქ როცა გტკივა საქართველო,
თუ აქ, სპარსეთში?..
(თანაბრად ნამავს წინანდლის და
შირაზის ვარდებს
ცრემლი და ცვარი...)

უფრო რთულია,
ოცდაცამეტთაღიან ხიდზე
გადაატარო შეჰირი და
ნამგალა მთვარე!..

სარკეები

დაცლილი ჰოლი.
დიდ სარკეებში ვირეკლები
მარჯვნივ და მარცხნივ.
ვიცოდე მაინც,
რომელში ვარ უფრო ნამდვილი? . .
შენ არ ითვლები,
შენი თვალების სარკეებში
ნეკერჩხალს ვგავარ,
მეყვსეულად ფოთლებშემოცლილს. .
.

არაქნე

ღმერთმა არა ქნას,
შენ ქსოვაში მეჯიბრებოდე,
არაქნე!..
პარნასზე ჩემი მოქსოვილი
ეგიდა მოსავს
ულალთმიან ჰერას. . .
რატომ არ გჯერა? . .
ისე .დავკუწავ ქედმაღლობას,
როგორც შენს ნაქსოვს.
მე ისიც მახსოვს, რაც გაივლე
გულში და რადგან
სიკვდილი ზოგჯერ
ძღვენია მართლაც. . .
შენ უნდა ქსოვდე
დღენიადაგ უნაზეს ფარდაგს,
ანდა ცის რიდეს. . .
ქსოვდე და შლიდე,
ქსოვდე და შლიდე,
ქსოვდე და შლიდე...

ფერები

დღეს დავრჩი თეთრი, თეთრი, თეთრი ღვინის ამარა
და შავი, შავი, შავი ღამე მოდის კოჭლობით;
ვუქშიებ შორით შემოფრენილ მწვანე ღამურებს,
რომლებიც სულში სმარაგდისფერ კედლებს ფხოჭნიან
და მერე რუხი, რუხი მთვარე უმატებს წუხილს,
სწყდება ცარგვალს და უგზოუკვლოდ იწყებს ბორიალს. . .
შემინდე, ღმერთო! . . მინდა მოსვლა, მინდა და უღელ-
ტეხილი ისევ ინისლება. . . კი ვარ ბორიო,
მაგრამ სუსტი,
სუსტი,
სუსტი,
სუსტი იმდენად,
რომ ობლად მდგარი
ყვავილიც კი ვერ შევარხიე. . .

წყნეთის ფერდობი
/ფიქრიას/

ჰგავს ვერცხლის შანდალს
შუაღამით წყნეთის ფერდობი,
ზედ რომ სანთლებად დანთებულან ლამპიონები.
კვლავინდებურად შენ მყავხარ და
შენ ერთს გენდობი გულით, გონებით. . .
და როცა გხედავ ასე ჩუმს და ასე ნაღვლიანს,
მახსენებ ნაცნობ ზღვაურსა და ცხუმის ამინდებს;
ადრეც გითხარი, წვიმა ჩვენი ბროლის სახლია, -
ნეტა გაწვიმდეს! . .

ღამე – მორფინი

არ ვიცი როგორ, ან საიდან შედიან გულში,
სკალპელით, მაშით, თუ „წამწამთა მორცხვი ფოფინით“,
წვიმა სახურავს თუნუქისას ტყვიებად უშენს
წვეთებს და ღამე, როგორც ორი გრამი მორფინი,
დაივლის ოთახს... (სიკვდილია ყველა შეხება
და ვერცხლის მთვარეც – ბოშა ქალის მძიმე საყურე...)
ან შემოუშვი, ღმერთო, წვიმა – ბროლისფეხება,
ან გულის კარიც სხვა კარებთან ერთად დახურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწამოთ ღმერთი

დანატვრებულა ქართლის დედის წმინდა ფიალა
არც მტკვარი ყვება ისტორიას ცრემლთა დროების,
აქ ჩემს მიწაზე სიყვარულმა დაიგვიანა
„ღიმილის ბიჭებს“ მისტირიან ყაყაჩოები.
მიკვირს ქართველო სად გამქრალა შენი ნუგეში
ამ ბოროტების აღმართებმა საით გვატარა
ვაგლახ, ვერ ვზიდეთ ჩვენი ჯვარი წუთისოფელში
ბორკილახსნილი მოგვევლინოს ლამის სატანა.
არ მეორდება თევდორეს და ცოტნეს გმირობა,
მუმლმა კი ჩვენი ბებერმუხის სისხლი დალია,
ვეღარ მოურჩა უფლისციხეს ძველი ჭრილობა
და მერამდენედ იმეორებს „ავე მარიას“.
აღსდექი მუხავ! არ დაუდო ტოლი იუდას –
აგერ ლეკვები იზრდებიან ლომის სადარნი,
და შენს მიწაზე აღავლენენ ლოცვას ღვთიურად.
მოდგმა ქართლოსის, ფარნავაზის, მოდგმა თამარის;
და ჩვენ ქართველნო, ერთად დავდგეთ
ცისკრის ქარებად! . .
სანამ დიდგორობს ქართულ სისხლის
თუნდ ერთი წვეთიც,
და ჩვენი სულის გადასარჩენად,
და სიყვარულის გადასარჩენად,
და საქართველოს გადასარჩენად
ვიწამოთ ღმერთი!

ენავ გრიგალო

შენ, „უქარქაშო ხმლების“ წერას გადაყოლილო,
იალბუზიდან მობუბუნე ისევ მეძახი.
– მეფე დავითის სინანულის საგალობელო
– დემეტრეს კალამს აწერინე – „შენ ხარ ვენახი“.
ბაზალეთის ტბას ჩაძირულო აკვანის ენავ,
შენ – სისხლისა და გორის კვერთხო ხევისბერების
შენ – წიწამურთან გაყიდულო ოცდაათ ვერცხლად,
ჭირისუფალო გაუმაძღარ არაგველების.
შენ არაერთხელ გადაურჩი თურქებს, არაბებს,
ბერმა ზოსიმემ გაგინათა წმინდა კანდელი,

შენ უსამშობლო ქართველებიც დაასაფლავე,
– ხვიჩას და გოჩას კვნესა იყავ უკანასკნელი.
ენავ, ლაშარზე შემომდგარი ბერი ლუხუმის,
ენავ – მანდილო უსპეტაკეს ქართველი დედის,
ენავ – გამზრდელო ბათუსა და ჰაჯი–უსუპის,
შემწყნარებელო მოღალატე – საფარბეგისა.
შენ შთააგონე ამა ქვეყნის კირითხუროებს,
როგორ აეგოთ სვეტიცხოვლის ტეტრა კამარა;
– შენ ჯვარი იყავ გოლგოთისკენ სატარებელი,
და მკლავმოჭრილმა არსაკიძემ მხრებით გატარა.
მხოლოდ შენ შეძელ – დაგენგრია ციხე ქაჯეთის,
შენ ააშენე ნიკორწმინდა, გრემი, ხახული.
შენ იყალთო ხარ, ვარძია ხარ კლდეში ნაკვეთი,
ეს შენ ჩაუდგი არაბ აბოს სული ქართული.
ტყუილად როდი გიწოდებენ ენას ღმერთების,
ვაჟას შვლის ნუკრო მოგეფეროს ენა რომელი,
ირაკლისათვის ხან ფუნჯო და ხან საჭრეთელო,
მხოლოდ შენს ჰანგზე ღიღინებდა ყარაჩოღელი.
რამეთუ მზე ხარ, თან რომ აჰყავთ ცაში არწივებს,
მხოლოდ შენ უწყი, რასაც ნიშნავს ავი ზმანება.
შენ პაოლო ხარ, სიყვარულს რომ აღარ აცდიდნენ
და თეთრ გედივით რომ ისურვა გარდაცვალება;
იქნება ნათელ მზის და მთვარის მგალობელი ხარ;
გალაკტიონის გრაალი ხარ ლოცვას ჩვეული,
ან იქნებ სულაც ორპირელი ტიციანი ხარ,
მუდამ სისხლისფერ მიხაკებზე შეყვარებული.
ენავ წყალმკვეთო,
ენავ მეხო,
ენავ ლამაზო,
შენ აპრილი ხარ აფეთქებულ ნუშის სადარი.
და ერთი სიტყვით, შენ ის დიდი იაკობი ხარ,
სიყვარულით რომ აგიშენა წმინდა ტაძარი.
ახლა, როდესაც სიყვარული შენთვის ციაგობს,
ახლა, როდესაც სწვდები ცას და ცის დასალიერს –
ლოცვების ენავ,
წირვის ენავ,
ენავ გრიგალო,
დალოცვილ იყავ,
ქებულ იყავ,
მრავალჟამიერ!

ლამზირა შეყილაძე

* * *

რარიგ მწყურია ქართველთა ერთობა,
ტაძარში გვიხმობენ წკრიალა ზარები.
სამშობლოს ტკივილი თვალებში გვეტყობა,
გვიყვარდეს ერთურთი, მოშუშდეს ბზარები.

ცხოვრების კიბე

ბედისწერაა ცხოვრების კიბე,
შორეულ წარსულს ეტყობა კვალი.
კვლავ ბევრი დამრჩა სავალი კიდევ,
გთხოვ არ ჩამიქრეს უფალო, კვარი.

ხან რა ტკბილია მოგონებები,
ხანაც სიმწარე – დარდთა თარეში.
ხშირად მაურჟოლებს, ვერაფრით ვთბები,
ხან დავსდევ ფიქრებს, მწუხრით გალეშილს.

ხან მივუყვები სევდიან აღმართს,
ხან წამწამებზე მეტყობა ნამი.
ხან იმალება იმედი სადღაც,
ხანაც აცვია მზის მოსასხამი.

მადლობელი ვარ ყველაფრისათვის

შენ მომავლინე ქვეყნად უფალო,
და გამინათე სულის სარკმელი.
შეუცნობადი მხიბლავს საწუთრო,
შენთვის მინთია გულში სანთელი.

მუხლმოდრეკილი შემოგღაღადებ
და ბუტბუტებენ თრთოლვით ტუჩები.
მიწაზე ვდგავარ, ზეცის კარიბჭეს
ლოცვით და კრძალვით ვებღაუჭები.

მაოცებს შენი უხვი წყალობა,
სიყვარული და სრული სიწმინდე,
რარიგად მატკბობს ეს საოცრება,
შენით შემოდის ჩემში სიმშვიდე.

მადლობელი ვარ ყველაფრისათვის,
რაც ბედისწერამ ჩემთვის ინება.
რად მინდა ქვეყნად სხვა რამ სიმდიდრე,
მხოლოდ უფალი მყავდეს იმედად.

მონატრება მაპატიე

მიყვარხარო... მეფიცები,
დავიჯერო, რომ არ ხუმრობ?
შენ თუ მართლა გენატრები,
შენზე მეტად მე გნატრულობ.

აღარ ვიცი, რა დავარქვა
ამ სიყვარულს, ჩემზე ძლიერს.
შენ ხარ ჩემი სიცოცხლე და
უშენობა ვერ დავძლიე.

გადავღალე მზერით გზები,
გულში გზნება ვერ დავტიე,
დღე და ღამე შენ გნატრულობ,
მონატრება მაპატიე...

დედა

შენით ვიცან ეს ქვეყანა,
შენ მაჩუქე სიცოცხლე.
მუდამ შენით ვიამაყებ,
სანამ ქვეყნად ვიცოცხლებ.

შენით ვუმზერ დილის რიჟრაჟს
ალისფერ მზეს ამომავალს.
ჩემს სამშობლოს მუხლჩაუხრელს,
ქალდეველთა შთამომავალს.

შენ ხარ რეა-კიბელე და
სხივნათელი მზისებრ თბილი,
სიყვარულით გულსავსე და
სიცოცხლეზე უფრო ტკბილი.

რარიგ მინდა შენ რომ გგავდე,
ჩემს ერისთვის დავდნე სანთლად.
ჩემი ქვეყნის სიყვარული,
იქ წავიღო სულის საგზლად.

სულმნათი კვარი

დედაო ღვთისა! წმინდა ქალწულო,
სიცოცხლის წყარო, შუქთა ნათება.
ოქროს სირმებით დალალ-დაწნულო,
მზისა და მთვარის გამონათება.

ყოველ ცოდვილთა შემწყალებელო,
არსობის მადლით გვესაკმევლები.
შენ ხატებასთან მუხლმოყრით მოსულს,
თვალთაგან მცვივა წრფელი ცრემლები.

კრძალულად ვდგავარ ტაძრის კუთხეში,
ტკბილად ჩამესმის ციდან გალობა.
სულს მიმზიანებს სულმნათი კვარი,
გულში მეღვრება უფლის წყალობა.

ვეძებ სამართალს

შენ, საქართველო, ტკივილო ჩემო,
შენზე ფიქრები დარდებს მიმატებს.
დღევანდელობა ჯვარცმას მაგონებს,
როცა უფალი მისცეს პილატეს.

ბნელმა მოიცვა ის არემარე,
როს ბორკილს ხსნიდნენ ყაჩაღ ბარაბას.
თავისი ეზღოთ ამ საქმის მთავრებს,
ჩვენ კი მას შემდეგ ვეძებთ სამართალს.

ნუ შეგაშინებს შური და მტრობა,
სიყვარულით ხარ მარად ქებული.
დედა ღვთისმშობლის წილნაყარი და
თვით ღვთისგანა ხარ მირონცხებული.

ოცნება

დღედაღამ შენზე ვოცნებობ, კარგო,
შენი ბაგეთა სიტკბო მწყურია.
ასე რომ ძლიერ მესურვილები,
შენდამი წრფელი სიყვარულია.

თუკი შენა ხარ სხეულთან ახლოს,
გულში მზიანი გაზაფხულია.
შენი ალერსი ბაგეზე რომ თრთის,
სულში სალბუნად ჩათბუნულია.

ვესათუთები მე ამ ოცნებას,
რადგან შენს გულში სიცოცხლე მქვია.
ისე უხდები შენ ჩემს სიყვარულს,
ვითარც გაზაფხულს ლურჯთვალა ია.

მონატრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ალბათ მოიწყენენ მთები,
ზამთრის სევდა შემოაღებს კარს.
მხოლოდ შენი სიყვარულით ვთბები,
მხოლოდ შენი სიყვარული მწვავს.

თეთრი ნისლი დაწოლილა მთებზე,
ეს სიზმარი ბავშვურ სიზმარს ჰგავს.
ღამე მთვარეს გადაიწვენს მკლავზე,
მე კი შენი მონატრება მკლავს.

ამ მოლოდინს აღარ უჩანს ბოლო,
ჩემი გული შენს სიყვარულს მთხოვს.
ჩემს ფიქრებში შენ არსებობ მხოლოდ,
მონატრებულ ჩვენს სიყვარულს ქსოვს.

* * *

ფიქრმა ჭკუა ამირია,
გონი გონზე აღარ არის.
ვერაფერი გამიგია,
ვინ მგელი და ვინ თხა არის.

* * *

ცხოვრება მუდამ რად არის შარზე,
დაქახცული ვარ, რა მიხარია.
იმდენი საქმე მაყრია თავზე,
სიკვდილო შენთვის არა მცალია.

მთვარე ღამეს მითევდა

ღამე იყო სევდისფერი,
დარდი საწოლს მიფენდა.
ფიქრმა მთენთა ცრემლით სველმა,
მთვარე ღამეს მითევდა.

გნატრობ მაგრამ ვერ მოხვედი,
ქარი ხევ-ხევ დაქროდა.
დრო უშენოდ სწრაფად გადის,
წლები სადღაც მიჰქონდა.

მეკი კვლავაც შენზე ვფიქრობ,
მახსოვს თავდავიწყება.
ვერ შევძელი ჩემო კარგო,
შენი გადავიწყება.

ღამე იყო დარდიანი,
სევდა კბილით ეჭირა.
დღე ქალივით ფიქრიანი,
ღამეს მკლავზე ეწვინა.

გულნაზი ხარაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიხმობ, დედაო!

ჩემი დედა ხარ, გიცქერი კდემით,
სანთლის შუქივით ჩემს გულში ჩნდები,
ბევრჯერ მატარე ფიქრების გემით,
შემოგცქერი და ცრემლებად ვდნები.
ჩემი დედა ხარ, კალთას მაფარებ,
შვილს და მომავალს შენ ჩაგაბარებ,
შენით ფრთებშესხმულს ყველგან მატარებ,
ქარიშხალს, წვიმას არ გამაკარებ.
ო, ღმრთისმშობელო, წმინდა მარიამ,
იბერთა მიწა ხომ გაბარია!
ახლა ეს ჟამი ო, რა მწარეა,
ჩემი ერი რომ არივ-დარია.
ძნელბედობის ჟამს მოგიხმობ, დედა!
და სიტყვას კრძალვით კვლავ შემოგბედავ,
ცრემლი იღვრება და მადლიც ქრება,
ამ ჩემს მამულში ეს რატომ ხდება?!
სამაჩაბლოში ქართველი კვდება,
გვკლავს აფხაზეთში ყოფნის წადილი,
უშველე მამულს, დაგვლოცე დადავ,
გემუდარები ხელებგაწვდილი!

ერის ტკივილი

ერის ტკივილით ვეღარ ვისვენებ,
სევდის პერანგი მიტომ ჩავიცვი.
როგორმე იქნებ მეც მომისმინოთ,
აკვნესდა გული, ღალატს განვიცდი.
რადგანაც ისევ ვხედავ მამულში,
ავი ზრახვებით შემოსულ სულებს.
ცხელ წყალს ასხავენ დაფარცხულ პურში,
ძალით მართმევენ ამ ჩემს მამულებს.
სამშობლო ტირის, არ ძალმიძს შველა,
აღარ ინდობენ ბრძენს და გამრიგეს.
პეპლის სიცოცხლე არგუნეს ყველას,
ომის ქარცეცხლო აღარ დაგვინდე.
ვერ დავიკვეხნი ვიბრძოლებ კიდევ,
ნავში ჩავჯექი შორს რომ გავცურო.
გულუბრყვილობის ავკეცე კიბე,
ნებით კიდევ რომ აღარ მაცდუნონ.
ენით ნანატრი მშვიდობა მინდა,
ღმერთო ეს ვიცი შენით მოხდება.
მოვკვდე თუ კიდევ ვისმინე გმინვა,
ერთი ქართველი თუ კვლავ მოკვდება.
რამდენჯერ უნდა დამჭრან და მკაფონ,
თავზე გრიგალმა გადამიარა.
ვარდის ეკალო შენ არ გამკაწრო,
სამშობლოს ვდარდობ, უცხოს კი არა.

ვინ უფრო მიყვარს?!

ვინ უფრო გიყვარს? მკითხეს და ვდუმვარ,
თითქოს ვიბნევი, თითქოს ვფიქრდები.
ოი, უფალო, ნეტავ ვინა ვარ?
ვინ უფრო მიყვარს რატომ ვფითრდები...
სარწმუნოება, მამული მიყვარს,
მიყვარს ტაძრების მე მდუმარება.
ხის საწნახელი პირსავსე მიყვარს,
მტევანი ფეხქვეშ რომ იწურება.
გულის ჩურჩული, სულ ჩუმი მიყვარს,
ცის მნათობივით სულს რომ ანათებს.
ავი გრძნობები ახლოს არ მიმყავს,
არ ვეფერები მე სხვის ადათებს,
მიყვარს მთის სუფთა ანკარა წყარო,
რომ მიხალისებს მთასა და მდელოს.
მიწას არ ვტოვებ სხვის ანაბარას
სულ ვეფერები ჩემს საქართველოს!
რა შეკითხვაა, მიყვარს ვინ უფრო?
თავს მირჩევნია ჩემი შვილები,
ვინც მიცისკროვნებს მე ამ საწუთროს,
მზე, ვარსვლავები, შვილიშვილები.

რაა სიცოცხლე?

მე ასე მჯერა ყოფნა წამია,
და ქარიც წაშლის ჩვენს ნაფეხურებს.
ო, ეს ცხოვრება ზოგჯერ მწარეა,
დარდის თავშალი მით მოვიხურე.
იმედი მაინც ციმციმებს ცაზე,
და აჩორჩქალდა გული მკერდიდან.
რაა სიცოცხლე, თუ ლამაზ ხმაზე,
სიმღერას კაცი თუ მოერიდა.
გრძნობით „ურმული“ თუ არ ვიმღერე,
თუ არ ვისმინე ხმა მეგობარის,
თუ თქვენ საამოდ ვეღარ დავწერე,
მაშინვე შესვით შესანდობარი.

დავით კილურაძეს

დავით შენზე, ვხსნი ამ კითხვას,
იცი ნიჭის ფასი.
პირფერობით ეს არ მითქვამს,
ხარ, იმედის თასი.
შენ ერთს გაქებ,
გავხდი უტყვი,
მორჩა სიტყვის ციცინი.
როცა გნახავ მაშინ გეტყვი,
მტრის ჯიბრზე რომ ვიცინი. . .

თუკი მოგიხმობს

თუკი მიმიხმობს ფშავ-ხევსურეთი,
მგზავრად გავყვები ქიქინა ნიავს...
მტკვარო, არაგვი იმიტომ გერთვის,
ცრემლით ნაგროვი დარდი, რომ მიგაქვს.
მე კი სანაცვლოდ ვაჟას ჩარგალში,
მივაყურადებ მთებს, ვითარც სულდგმულს!
წყალსაც ჩავასხამ ნაპრალს ხახაში,
და გავამხნევებ, ნაღვლიან ბულბულს.
თუ სადმე შემხვდა ობოლი ნუკრი,
დავარწმუნებ რომ ნახავს დედიკოს.
ჩუ, საყვარელო, ყვავილობს ნუში,
იქნებ ირემი მის ჩრდილში იყოს.
ძირს დაგდებული ია თუ ვნახე,
მას სიფაქიზით ჩავდებ ჭიქაში,
წყლით დავუბრუნებ სიცოცხლის სახეს,
მერე?... გადავრგავ ისევ მიწაში.
ყველას ვუშველი ტირიფის გარდა,
მას სულ ახურავს მწუხრის ზეწარი,
წარსულის დარდი მეც ჩამისახლდა,
თაფლი სხვას შეხვდა, მე კი ნესტარი.

ლექსიც ზეიმობს

„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“
ეს რომ ავხსენი თეთრი თმებიც შემომეპარა,
ბევრი დღეები სამშობლოში ვიხილე მწარე,
მამულში წვიმს და არ იქნა და არ გადიდარა.
ტირის სტრიქონი... გამიჩერდა ძარღვებში სისხლი,
ჭაობის ქინქლა დამესია პოეტს გარშემო.
სისინა ქარი დაშხუილობს ჩვეული რიტმით,
ვაი-ვიშების ეპოქაში რაღა ვაშენო.
კვნესის კალამი, მაგრამ დარდის ნავი ჩავძირე,
გამომაცოცხლა ნაკადულმა სწრაფი რაკ-რაკით.
დიდი სიფრთხილით იმედები მზეზე გავფინე,
გავითავისე „ეგრისელი“, როგორც „აკაკი“.
„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“
ტაბიძის სიტყვებს ვკითხულობდი, როს ვიყავ ბავშვი,
ჩვენ ვიცით დარდი, სევდიანი, სული მწუხარე,
ვჯავრობთ, მამული ხშირად არის ორპირა ქარში.
იქნებ ომები გვაწერინებს, ან ტყის შრიალი,
ანდა, გრძნობებით გათანგულნი რომ დავბარბაცებთ,
ყურში ჩაგვესმის დედამიწის ღერძის ტრიალი.
მეც გული მტკივა: თუმც არ მინდა აუგი დამცდეს.
ბედის ბრალია, რომ ანგრევენ მგოსანთა კარავს?
როგორ შებედეს, ღმერთის რჩეულთ ბუდის ჩამოშლა,
სველი წამწამი, ცრემლებს თვალში ვედარ აკავებს,
და სიხარულის თბომავალიც უკან ჩამომრჩა.
„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“
ვამხელთ სტრიქონთან, სიხარული თუ რამ გვრგებია. . .
ჩვენს ჯიშს და მოდგმას, წლების უკან ეს მოახარეს,
პოეტ ქალბატონს, მეცხრე შვილი დაბადებია.
დაბადებია, გაუზრდია, ენის ჭყლოპინით,
დანაყრებულან, ერთი ლუკმა სულყველას ყოფნით,
დიდება დედას! ლექსიც მზეობს, მოდის ფოფინით,
ის უკვდავია... კვლავ ვამაყობთ, ჩვენ დიდი მგოსნით.

* * *

ჩემს ირგვლივ თურმე ქარად ტრიალებ, . .
სულის ნიავად თავს მაჩვენებდი. . .
ვტირი და ვეფხვის ხმაზე ვღრიალებ,
დამარცხებას კი ვეღარ ვნებდები,
ქარივით ამ გულს წეწავ და წიწკნი.
სასესხებელი გახდა იმედი,
მალე თაგვივით დაიწყებ წრიპინს,
ღამურას ფრთებს რომ მკერდზე იფენდი.

ო, ციცო ფიფქო

შემომათოვე, ო, ციცო ფიფქო,
მე მაინც წინ-წინ მივედინები,
ჩემი ჟინი გჭირს მგონია თითქოს,
მხარზე მანტიად რად მეფინები.
თუ გაბრაზებას კვლავ დამიპირებ,
მე რწმენით იმედს ჩავეხუტები,
არაფერია ცოტას ვიტირებ,
და სამუდამოდ გაგებუტები.

ვცდილობ. . .

ვცდილობ და მინდა, რომ გაპატიო,
ის დამცრების, წყენის წუთები. . .
ჩემს სულში აბა სად დავატიო,
ფაქიზია და ნასათუთები.
ქარმა თილისმად შემოგაპარა,
წამალი სადაც შხამი ერია.
სატანამ თავის კვალში გატარა,
„ოროველასაც“ შენთან მღერიან.
არ მსურს ბეჭებზე, რომ მაჯდეს მწერი,
ან მელამ კუდი მომიქიცინოს,
ანდა გადვიქცე ვით მიწის მტვერი,
დადგნენ მერე და ჩემზე იცინონ.

მუზა

ჩემს სულში სუფთა თუ რამ მებადა,
ყველაფერს მიჯობს რითმი და მუზა.
თმები თოვლივით გადამებარდნა,
ლექსი ფიქრებთან წამს ამეტუზა.
ამაზე კარგი მე რა მენატრა,
ჩემთან არს მძიმე, მარავალწერტილი,
ცრემლი და დარდი რატომ მენახა,
ან რატომ ვიყო გულდაწყვეტილი.
ქაღალდი გახდა მესაიდუმლე,
გულში დღეები ამიყვავილდნენ.
მასში გაგცვალე, ნუ დამემდურე,
ლექსზე ძალიან როგორ მიყვარდე?!

აფხაზეთი

აფხაზეთის ომის ცეცხლი ვნახე,
სისხლის ღვარი, ცრემლები და ჯვარცმა.
იქ კვლავ ცივა, ქარი ჭადრებს არხევს,
კვლავ ბატონობს სიკვდილი და ძარცვა.
ყვავ-ყორნებით დაკორტნილი გალი,
მკერდს უშვერდა მტრის ყუმბარებს დახლილს.
კრთოდა სივრცე, წითლდებოდა წყალი,
ბღვა რეცხავდა იქ სისხლიან მახვილს.
სუსხს აფრქვევდნენ მარტოსული მთები,
ვიხანჯლავდით იმ ტკივილებს გულთან.
ქართველების მოჭრილ თავებს მტრები,
სტადიონზე აგორებდნენ ბურთად.
მაგრამ ქრება, დრო სატანის კვალი,
ვარსკვლავები განაგრძნობენ ციმციმს,
აფხაზეთი საქართველოს თვალი,
კვლავ ქართულად ამღერდება ვიცი!

წმინდა ილიას სახელს ვიფიცებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ილიას სახელს ვიფიცებ,
ჩემს საქართველოს, მეც რომ დავიცავ,
ბევრი ტკივილი უკვე ვითმინე,
ბევრსაც ისევე გულში ჩავიკლავ.
წიწამურთან კი ილიას სისხლით,
დანამულო ქვა, ჩუმად ბერდები,
ხალხის გოდებით და ხალხის რისხვით,
მკვლელო, მიწაშიც როგორ ჩერდები.
ყვავილის ღეროს სისხლი ჩაწურა,
ფურცლებზე დარჩა შავი წერტილი.
და დიდი მგოსნის სულის ნაჟურმა,
ერი დატოვა გულდაწყვეტილი.
სისხლის ტბას ნიშნავს წითელი ფერი,
შავი წინწკლები, გასროლილ ტყვიას.
საქართველოში კვლავ დაძრწის მტერი,
ამას ყველაფერს ღალატი ჰქვია.

სანდრა რულოვსს

მადლის მთესველი, თვით ქმნი ლეგენდებს
ამიტომ, შენ მე გულში გაღმერთებ.
ნატანჯ-ნაკუწი სამშობლო ინდე,
მე კი კალამი შენთვის ავღმართე.
უფალი გლოცავს ცის ტალღებიდან,
მჯერა ღრუბელი მზით დაიდარებს. . .
ვეძებ მე ქალ-ღმერთს დაბადებიდან,
„რეა-კიბელას“ შენ შეგადარე.

* * *

ხან სულს მაძლევ, ხანაც მიკვრს,
მკაცრი სიტყვით მაკრთობ,
გული არ გთმობს... და ამიტომ
სულ მალიმალ გნატრობ.
ხან კი ფიქრი სიამისა,
მახალისებს, მართობს,
სიფაქიზით გელოდები,
მითხარ: როდის გნახო?
თუ განელდა გათანგული
ფერი ცის და ლილის
რაღას ვიზამ, რას ვუშველი,
კვლავ ცრემლებით ვივლი.

იმერეთში

ოცნებობდი, ლექსის წერა მომენატრა,
ღვთიურ გრძნობამ ამიძგერა საწყალს გული,
ფიქრებმა კი ხვანის მთები მომატარა,
დამანახა ჩემი კუთხე დახატული.
იქ აკაკის ნატერფალი შემეგება,
ვხედავ მგოსანს, სიყვარულით ღამენათევს.
სტუმრისათვის ჭიქა ღვინის შეგებება,
მჩვევია და ამას ვერვინ ვერ წამართმევს.
წლები მიქრის...
დამათოვა ჩუმად თმაში,
სიბერე კი დაჭიხვინობს დაზათრული.
თამადა ვარ სიყვარულის გამოხსნაში,
იმერეთში სხვაფერია გაზათხული.

დედაენის ძეგლთან

დედაენის ძეგლთან ახლოს მდგარი,
ვუყურებდი ქანდაკებას მშვიდად,
შემოგფიცავთ... ფიცი არის მყარი,
მშვიდობა და სიყვარული მინდა.
რას შესცქერი მაღლა ქანდაკებავ,
რა მადლი აქვს იაკობის მელანს.
წიგნის სიბრძნე ჩვენს გონებას კვებავს,
და მზის შუქად გვეფინება ყველას.
დედაენავ, გადამრჩენო ერის,
ხმლით და სიტყვით გიცავთ შემართული.
ლექსებს ვამბობთ, თუ ქართულად ვმღერით,
გალობაა ის შენს ლოცვად თქმული.

მზის ათინათი

გული მტკივა და ბევრი ვერ მამჩნევს,
სიკეთეს ხედავს ათასში ერთი,
რადგანაც რწმენით მივეხდე გამჩენს,
დამცქერის ციდან მაღალი ღმერთი!
შარა-გზას ვეძებ ეკლიან ტყეში,
მივკაფავ ბარდებს და წინ მივიწევ.
მათოვს და მაწვიმს დარდების თქეში,
დედაღვთისა კი კვლავ არ მივიწყებს...
ღამეა, ვწევარ, ფიქრებს მივეხდე,
აღარ მასვენებს, რეკავს საათი.
ლექსებს მოუხმობ, როგორც იმედებს,
თუმცა მიხდება მასთან კამათი.
ხან ვეფერები, ეხიბლავ რაღაცით,
ხან თვით მაძინებს ტკბილი „ნანათი“...
და მერე დილით გამომაღვიძებს,
ოქროსთმიანი მზის ათინათი.

შენ არ მომილოცე მარტი

წუხელის ცრემლებით გავათიე,
ღვთისმშობელს შევთხოვდი ნატვრით,
ღამეა... ვარსკვლავები ანთია,
შენ არ მომილოცე მარტი.
ცრემლებით წამწამები დამენამა,
მაფრქვევს ხოშკაკალა მარცვლებს.
ჩემთვის ერთი სიტყვა დაგენანა,
შენს თავს ალბათ სხვები მართმევს.
ხედავ?.. დავიწყების ჟამი დგება,
გულში ამომსვლია ფითრი.
თვალიდან ნიაღვარი გადმოსკდება,
საყვედურს იმიტომ გითვლი.

მხსნელად დაგიგულე

მხსნელად დაგიგულე... აღარ ავტირდები,
დათბა... ენძელები ამოსულა,
ფრთები თუ ვიშოვე, შენთან მოვფრინდები,
ჩემთვის მზის სხივივით ჩამოსულხარ.
სულზე უტკბესო, მინდა მოგეფერო,
ვარდის ფურცლებივით გული გაგიშალე,
ქარი არ დაგინდობს, აღარ გადიმტერო,
კრძალვით გაგაფრთხილე... გახსოვს?.. დაგიშალე.
აბა დამაკვირდი, გრძნობით შემომხედე.
ჩემი წამწამების ჩრდილში დაგასვენებ,
ნიავს გამოყევი, ნაზად შემეგებე,
კოცნას სიყვარულით გაგახსენებ...

ჩემი ტკივილი მოურჩენელია

(აკროსტიქი)

ჩ – უმად ვქვითინებ, ვგრძნობ ცრემლები დაშრიტავს თვალებს,
ე – სისინება ქარი გულს და იმედებს წაშლის.
მ – ტკივა და სიცილს ძალიან ვთხოვთ, ნურც დამავალებთ,
ი – ნება ღმერთმა, რომ ვიარო კვლავ დარდის თავშლით.
ტ – კივილით ღელავს, ნაღვლიანობს ჩემი ძირულა
კ – ედელსაც დაშლის, ფიქრიანი სევდის დღეები,
ი – ცით? იმედი ჩემგან რა შორს გადამწირულა,
ვ – ეშაპს მაგონებს დაუნდობელს, დარდის დევები.
ი – ქნებდა ისევ მოვახერხო, ფეხზე ადგომა,
ლ – ოგინს არ გავშლი, . . გამამხნევებს სულის საგზალი,
ი – ებს მოგიტანთ ჩემო ძმებო, ყოველ აღდგომას,
მ – ინდა გჯეროდეთ, ერთ ლუკმასაც თქვენსკენ ვაგზავნი.
ო – ხვრით და კვნესით მითენდება ზამთრის ღამე და. . .
უ – ფალს ვუჩოქებ. . . სამოთხეში გქონდეთ ადგილი,
რ – ეკენ ზარები, თვალებს ახელს ცაზე მთვარე და. . .
ჩ – უმად ფაჩუნობს, ახლო-მახლო თქვენი აჩრდილი.
ე – ლვა-ქუხილით, ჩამოინგრა თქვენი ჭერები,
ნ – ექტარი ფუტკრის, ბალღამივით შხამი გამიხდა,
ე – რთხელ კი არა მილიონჯერ მოგეფერებით. . .
ლ – ევი, ბეჟანი ლექსის ყანწით მწამს წინ დამიხვდა.
ი – ტირა თქვენზე ზეცის დასმა, ტიროდა მთებიც. . .
ა – ხლაც ამ წუთში თქვენზე ფიქრით ვათენებ ღამეს,

გიხსენებთ მე და. . . გამითეთრდა დარდისგან თმები,
რომ არ ვიდარდო, თქვენ მირჩიეთ ისევე რამე.

იდუმალ ჭალას

ჩასძინებიათ თხმელის ხეზე ნიბლია ჩიტებს,
ციცინათელა კი ანათებს იდუმალ ჭალას.
მდინარის ტალღა შიშველ ხეებს მოატივტივებს,
და უთენია, გლეხი ჩეხავს გადამხმარ ჩალას.
ბუმბერაზ ტყეზე ნისლი დაწვა, მთა დაიფარა,
დაიფარება ამ ბურუსში ყვავილის ღეროც,
ასეთ ამინდში ცხვარი გარბის, იშლება ფარა,
ბუნება ელის სამხრეთიდან მოფრენილ წეროს.
მოულოდნელად მეც გამიჩნდა ტკივილი-განცდა
გულსაც ძალიან სტკენია და სჯობს არ ვთქვა არსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი

თოვს....
თოვლმა მიწა თეთრად მორეკლა,
დამდგარა ფიფქთა კორიანტელი,
ჰგავს იალაღზე ფარის მორეკვას
გაცრეცილ ციდან ცვენა ფანტელის.
თეთრი ფუტკრების ჯარია ვხედავ,
ასე ლამაზი, ასე ულევი,
თავს იწონებენ ტოტებში ხეთა,
მოსილნი ფიფქის სამკაულებით.
ფიქრი ფიქრივით დაეცა მიწას
და თვალი ირგვლივ შემოვატარე,
თუმცა ოთახში საამოდ თბილა,
საბანს ვახურებ მაინც პატარებს
და...
მახსენდება სოფელი ჩემი,
ვიცი ჩემსავით არ სძინავს დედას,
მშობლისთვის მუდამ ბავშვებად ვრჩებით,
ვართ სიხარული, ნუგეში, სევდა.
თოვს...
თოვლმა მიწა თეთრად მორეკლა.
დამდგარა ფიქრთა კორიანტელი,
ჰგავს იალაღზე ფარის მორეკვას
გაცრეცილ ციდან ცვენა ფანტელის.

სევდა

დღეს სევდა სულზე ისე მკიდია,
ვით მსხმოიარე ვაზზე აკიდო,
ჩვენი ვარამი ისე დიდია,
მინდა ღრუბელზე გამოვეკიდო.
როგორც ნაგაზის ყიდვას არავინ,
შენს წუხილს არვინ არ იზიარებს.
გსურს ჩაიკეცო სადმე კარავში,
რომ უმკურნალო სულის იარებს.
უცებ მოსწყდება მიწას ნატეხი,
სულს დაგიამებს ფიქრი ნათელი,
მოგონებებში ჩაიჩეხები,
დაიღვინთები, როგორც სანთელი.
... და არა გტოვებს დარდი მამულზე,
ჯაერი დაგფარავს, ვით მიწას ფიქრი,
გულით ოცნებობ ქვეყნის წარსულზე,
გინდა შეემთრო აწმყოზე ფიქრი...
დღეს გულზე სევდა ისე მკიდია,
ვით მსხმოიარე ვაზზე აკიდო,
ჩვენი ვარამი ისე დიდია,
რომ მსურს ზეცაზე გამოვეკიდო!

* * *

ბაღში ვზივარ და
შვილიშვილს ვეთამაშები,
რასაც მიბრძანებს
უსიტყვოდ ვუსრულებ სურვილს,
ჟამი-ჟამ ზეცას წამიერად ეღიმება,
ჩემზე თუ ეცინება.
ხანგამოშვებით დაიგრუზება,
წამიც და სილაგაწნულ
ღრუბელს წასკდება ცრემლი,
რომელიც ჩამოგრძელდება
და მიწას დაეთხლიშება,
მე შევკრთები,
შვილიშვილი კისკისებს
სასაცილოა მოხუცი ბავშვი.
არა?

გამხადე შენი წაწალი

უნდა ცხოვრება შევცვალო,
მომწყინდა მარტო წანწალი,
დროზე მომხედე, შე ქალო,
გამხადე შენი წაწალი!
არ გარგებს, მჯერა, ეგ ყოფა,
მოვეშვათ დღეებს ნისლიანს,
ერთურთ ალერსი გვეყოფა,
ჩიტნიც საშულარს იცვლიან.
ჩამოგოგმანდი წყაროზე,
გულს გადაგიშლი, იცოდე,
უფალი-ღმერთი გწყალობდეს,
მე შენი ეშხით ვიწვოდე....
უნდა ცხოვრება შევცვალო,
მომწყინდა მარტოს წანწალი,
დროზე მომხედე, შე ქალო,
გამხადე შენი წაწალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ქართველი ხარ

თუ ქართველი ხარ და დღეს ქართველობ.
მჯერა, საწუთროს შენს სათქმელს ვეტყვი.
დღეს თუ მასები შენს თვალწინ კვდება,
წარსულს გახედე, გვწყალობდა ღმერთი.
ნუ აგაღელვებს ზეცის სმაღლე.
კვლავ გათენდება, ილოცე წრფელად —
ავ ბედისწერას ნუ ეძონები
არ ეშინოდა სიკვდილის „მერანს“.
არც კი იფიქრო, დარჩები მარტო,
შენი სამშობლო ჩაგიკრავს გულში.
თუ გალაქტიკა წალეკავს ცოდვებს,
მზე დაივანებს გაწმენდილ სულში!

შენი ვარსკვლავი ცაზე ანათებს

ღამით თუ მდგარხარ ღია სარკმელთან,
ალბათ გინახავს შუქსავსე ზეცა –
შენი ვარსკვლავი ცად რომ ანათებს
აღარ იდარდო, წამით თუ შეცბა .
შენს საიდუმლოს კრძალვით მიამბობს
ასე ციმციმით მიყვება ამბავს.
– „შენ უყვარხარო“ – ჩუმად გამანდობს
და დამაჯერებს ზათხულის ზღაპარს.
მერე წარსულის ფიქრები გამცემს –
„არ მომკვდარაო ის გრძნობა წრფელი“,
სხვას კი არ ენდო, ზეცას შეხედე,
ცაზე ვარსკვლავი ანათებს შენი!

შენ ხომ ჩემი გაზაფხული გერქვა

მიკვირს რისთვის დამიტოვე ცრემლი,
ჩამიტოვე სულში დიდი სევდა.
მე ხომ შენთვის გზა გავლიე ბევრი,
შენ კი ჩემი გაზაფხული გერქვა.
სიყვარული შენ მაჩუქე როცა,
ნაზი გრძნობის ქარი გეცვა ტანზე.
არ მაღირსე ერთი ტკბილი კოცნა,
არ ვიჯერებ, რომ გამცვალე სხვაზე.
მიკვირს რისთვის დამიტოვე ცრემლი,
ჩამიტოვე სულში დიდი სევდა.
მე ხომ შენთვის გზა გავლიე ბევრი,
შენ კი ჩემი გაზაფხული გერქვა.

აზროვნებით რთული ხარ

ვერ გიპოვნე, გძებნე, რატომ გშორდები,
დაგინახე, ცრემლს ვყრი სინანულისა.
სამყაროში თუკი განმეორდები,
ისევ გეტყვი: „აზროვნებით რთული ხარ“.
ფიქრობ სულ სხვას და მოქმედებ სხვაგვარად,
შავად მოჩანს თეთრი მოგონებები.
თუმცა შენ ხარ აგვისტოს მზე თაკარა,
არ გწამს ღმერთი, ამიტომაც გშორდები.
ამის შემდეგ რა მოხდება ვინ იცის,
ალბათ ყველა გზას თავისას იპოვის,
გზა კი არა, აღარ დარჩა ბილიკიც,
ჰოდა, მითხარ, შენ სულს როგორ იპოვნი?

ისმის ხმაური

ისმის კივილი, ვისთვის ან რისთვის?
შეძახილები ბნელი ღამისთვის?
ისმის ხმაური, ცუდი საქმისთვის?...
ალბათ ტკივილი დარდის, ჟამისთვის.
ხალხის გოდებით ტალღა გორდება,
მეორედ მოსვლა განმეორდება.
საქართველოში ეს არ მოხდება,
იმედი, ფიქრი არ დაშორდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას

თვალწინ გაგირბენს ჩემი ბავშვობა,
როგორ მირწევდი სიმღერით აკვანს.
სხვა სითბო ჰქონდა იმ სიტყვას „შვილო“
სხვა მადლი ჰქონდა იმ ქართულ „ნანას“.

მე ყველა დედა მინდა დავლოცო,
რადგან ეს მადლი კურთხეულია.
და სიყვარულიც დედაზე მეტად
ალბათ არავის არ შეუძლია.

* * *

ლოცვის იმედით გულანთებულნი
იმედს არ ვკარგავთ ძაძები გვეყო!
მუხლდაჩოქილი უფლის ხატის წინ
ჩემთვის ვჩურჩულებ – „მამაო ჩვენოს“.

უფალო, შეგთხოვთ – გაგვაძლიერო! –
წმინდა ქალწულო ისმინე ჩვენი! . .
გაერთიანდი ამერ–იმერო,
რომ ქართველობდეს ქართველი ერი.

ჩვენ უფლის გზაზე უნდა ვიაროთ.
მზე სიცოცხლისა ლოცვით ამოდის.
არ შეგვეშინდეს დიდი დაღმართის
სანამ ვქართველობთ უფლის წყალობით.

* * *

უცხო ფერი აქვს ცას ნაკამკამარს
შვიდფერ სიმშვიდეს შევყურებ კრძალვით.
მიწას ტკივილის წუთები ებრძვის,
ცა კი სავსეა საოცარ მადლით.

მიწას წუხილის წუთები ებრძვის –
გზა გასასვლელი სველდება თითქოს.
ნამად ქცეულა სამყაროს ცრემლი
ცად კი იღვრება ღვთიური სითბო.

* * *

სიცოცხლის ფერი დასდებია ცას ნაკამკამარს,
შვიდფერა ქამარი ძალიან შვენის,
ღრუბლების ფთილას ვთხოვ არ გაბრაზდეს,
წვიმის წვეთები დაუშვას შვებით.
ჰაერში სიცოცხლის სუნი ტრიალებს,
სავსე, ლამაზი ოცნების ფიქრით,
ნამად ქცეული წვეთთა ბრჭყვიალი,
იმედს იძლევა მომავლის ხილვით
და ამ იმედით თქვენ გაგიმარჯოთ!

იმედი ხვალის
(ვუძღვნი ქეთის)

მინდორში გაშლილ პატარა ყვავილს
წვიმის წვეთები ეთამაშება.
ამ პაწაწინა ლამაზ სიცოცხლეს
რისი თქმა უნდა ნეტავ ამქვეყნად?
ეფერებიან და უმღერიან,
თურმე ნუ იტყვით – უყვართ იმგვარად,
მზემ სითბო მისცა, მთვარემ სიმშვიდე
და ეს ქვეყანაც ამად იწამა.
სიყვარულია მისი წამალი,
ამიტომ ნუსხავთ მისი მშვენება.
სხვას ღიმილს ჩუქნის ყოველ ცისმარე,
მე კი არნახულ ბედნიერებას.

ჩემს ჰიათურას

გზად მიმავალი მინდა გავჩერდე,
მიწის სურნელი ღრმად ჩავისუნთქო,
მოვიდე მინდა გამხმარ ბალახთან
და სიყვარულით გულს ჩავიხუტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოპორტრეტის მაგიერ

მიყვარს ყვავილი და მიყვარს დენთი
და არ მივტირი დროის მანქანებს,
რადგან თუ მომკლავს სიკვდილი ერთი,
მეორე – თითსაც ვერ დამაკარებს.

არ დადგა ჩემგან შემკრთალი ნუკრი,
არც – სიყვარულის მშვიდი მსახური
და არ მადარდებს, ამქვეყნად თუკი
მოვედი გონჯი და უსახური.

მოხარული ვარ, რომ გრიგალისგან
ზურგით არასდროს შევტრიალდები,
მოხარული ვარ, რომ დედამიწას
თავქარიანიც ვეპრიანები,

რომ ცისქვეშეთში სულ ხიფათს ვეძებ,
რომ ბედისწერას არ ვეხუმრები,
რომ პოეზიის ციცაბო კლდეზე
უნდა ამოვჭრა საფეხურები...

მე და შენ

მე – სიფრიფანა პოეტი ქალი,
შენ – გოლიათი, ჩემგან ძლეული,
შენ თუ თვლი, რომ შენ დამადგი თვალი,
ცდები: თვითონ ხარ ჩემი რჩეული.

ფერად სათვალით მე არ გიყურებ,
არც შენ გაქვს, ალბათ, ჯადოქრის ჯოხი,
მოდი და მხრებით გადამიხურე
დიდი იმედის პატარა ქოხი.

მე ვარ ტკივილი, მცირე და დიდი,
მე ვარ შენს ირგვლივ – ახლოც და შორიც,
მე დაგრთე ნება, რომ იყო ხიდი
ჩემს ზამთარსა და გაზაფხულს შორის.

შენ თავს მევლები სუსტსა და ძლიერს,
შენ – მძლეთამძლე და მაინც ძლეული,
შენ რომ გგონია, შენ ამირჩიე, –
თვითონ ბრძანდები ჩემი რჩეული.

* * *

გადავლილია ათასი სეტყვა,
გამზადებულა რიგით შემდეგი,
უმსუბუქესი რამაა სიტყვა,
უმძიმესია სიტყვის შედეგი...

სიკვდილს

შეუსვენებლად მოედინები,
რომ დააღამო ჩემი დილები,
ვაიმე, როგორ მეზარები და,
ვაიმე, როგორ მესიკვდილები?!...

* * *

მე რომ სიცოცხლე მიყვარდეს,
მაქვს გამართლება ათასი,
ფიქრი ხანდახან ავია,
სიტყვაც, – ხანდახან კაპასი...

უნდა ვაშენო ჯიუტად
ჩემი ციხე და დარბაზი,
სანამ ამოვა ფილტვიდან
ჟანგბადის ბოლო ნაფაზი...

ძველ ნაცნობს

ავუჩქარე ნაბიჯებს
ღვთის და კაცის შეწევნით,
ვიცი, კიდეც გამისწრებ,
ოღონდ ვერ დამეწევი.

ზოგჯერ მარშით მივდივარ,
ზოგჯერ კიდეც ვეცემი,
უსათუოდ გამისწრებ,
თუმცა ვერ დამეწევი.

ვიცი, სანთლით დამეძებ
და ხელების ცეცებით,
კი, ბატონო, გამისწრებ!
მაგრამ ვერ დამეწევი.

ლინა კვაჭაძე

* * *

მინდა ტაჯმაჰალთან შენ მე მიგიყვანო,
თვალი აგიხილო, გრძნობა გაგიმხილო.
ასე გამიგია, სიყვარულისთვისო
იმ ერთს აუგია, მისი გულისთვისო.
მინდა ტაჯმაჰალთან მე ის დავითიცო –
რას არ გავაკეთებ შენი გულისთვისო,
შენი გრძნობისა და შენი მზერისთვისო –
ასე გამიგია, სიყვარულისთვისო
ეს ის ადგილია უკვდავს რომ გაგხდისო.
თეთრი კედლებიდან ყველგან ცრემლი დისო
განა სინანულის? სიყვარულისთვისო.
ასე გამიგია, თურმე გრძნობისთვისო
იმ ერთს აუგია, მისი გულისთვისო.
ირგვლივ სითეთრეა, ყველგან სიხარული,
ეს ხომ ტაძარია დიდი სიყვარულის.
მინდა ამ ტაძართან მე შენ მიგიყვანო,
გრძნობა გაგიმხილო, თვალი აგიხილო.

* * *

გავიხედე ბილიკისკენ
და მოჩანდა რაღაც შავი
თანდათან მომიახლოვდა
შევამჩნიე იყო ქალი
მიდიოდა ვიღაც ქალი
და სამოსი ეცვა შავი
თავზე ჰქონდა მოხვეული
იმ ქალს შავი თავსაფარი,
მოდიოდა და ამბობდა
რად მომესწრო მე ეს დღეო
შვილი მყავდა და დავკარგე
ნახვაც ვეღარ მოვასწრეო.

მაია რთველიაშვილი

გაფიქრებაც მიჭირს

რატომაა ფიქრი გარს რომ მეხვევა,
და მავიწყებს ქვეყნად ყველა ტკივილს.
მოგიმორო?! მსურს გულიდან გაგდევნო
ოჰ, ამისი გაფიქრება მიჭირს.
თითქოს არ ხარ ჩემთან ახლოს მაგრამ
რატომ ბედავს გული შენზე ძგერას,
მე ვფიქრდები, სიყვარული არ გაქვს
იყო ჩემი მხოლოდ ჩემი გერქვას.
მივატოვებ მე ყველაფერს კარგო,
ფიქრს საშინელს რაც მაგონებს შენ თავს.
თუკი სხვებმა სიყვარული გარგო,
მაშინ გული, შენთვის რატომ ფეთქავს?!

სიცოცხლე

სიცოცხლე სწყურდა თოვლის ფანტელსაც,
გზას იგრძელებდა ციდან მოფარფატე.
ირგვლივ არემარე ნისლში ჩაიძირა
ფიფქო, სევდის ღამე გულზე დამახატე.
გრძნობდი ნაზო ფიფქო, სიცოცხლის დასასრულს
და გაშინებდა სიკვდილზე ფიქრი.
ვხედავდი საზღვრებს იქით ლამაზ გაზაფხულს
ჩემი არ იყო და მიპყრობდა შიში.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუარა სორდია

ღვთისგან ხელდასხმული მსოფლიო მოგზაურის დიდი მისია

ღვთისმეტყველები და პოეტები ადამიანის სულს ადარებენ დაუდეგარ ზღვას, რომელიც მუდმივად შფოთავს, ვერ ეტევა ჩარჩოებში, ელტვის ახალ ნაპირებს, სწყურია შორეული მხარეების მოხილვა, შემეცნების გაფართოება და ამის საუკეთესო საშუალებაა მოგზაურობა, ხეტიალი უცნობ სივრცეებში.

მოგზაურობას სხვადასხვაგვარი ასპექტი აქვს. ცნობილია მოგზაურობა რეალურ სივრცეში, ლოკალურ ჭრილში და მსოფლიო, კოსმიური მასშტაბებისკენ ლტოლვა.

პოეზია, მწერლობა დიდი მოგზაურობაა ადამიანის სულში, გულში, ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

ამიტომაც გვეცხადებიან პოეტები და მწერლები მოგზაურის, მეზღვაურის, მოხეტიალის, მარადი მგზავრის, აგასფერის ნიღბებით.

ფიზიკური მოგზაურობის პარალელურად, საუბრობენ სულის ასტრალურ (ვარსკვლავურ) მოგზაურობაზეც.

მოგზაურობა ამდიდრებს სულიერ სამყაროს, ხელს უწყობს პროგრესს. მოგზაურობის, ქვეყნებთან, ხალხებთან კონტაქტის გარეშე ვერ განვითარდებოდა კაცობრიობის სული, კულტურა, ვერ მიიღწეოდა წინსვლა.

„მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნოებრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენეასისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“(ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახის-მეტყველება, თბ.1991, გვ. 304).

სტეფან ცვაიგი განარჩევს „გულდინჯ მკვლევარებს და დესპარადორებს, ფსიქოლოგ მეცნიერებს, მშობლიური მხარის შემსწავლელ გეოგრაფებს და პოეტებს, ზღვარის გადალახვას რომ არ ერიდებიან“ (სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966, გვ. 216).

სწორედ „მამაც ზღვარგადამლახველთ“ ხელეწიფებათ კაცობრიობის გონის შორს გაწევა.

ნიჭიერებს სწყურიათ ადამიანურ შესაძლებლობათა გაფართოება, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების შორს გაწევა, რადგან მაძიებელი სულისთვის ბორკილია ყოველდღიური, ყოფითი წვრილმანები, ეგოისტური, მეშჩანური, პირადული ინსტინქტების ტყვეობა.

მოგზაურობის მარშრუტი კი შეიძლება იყოს მიწა, ცა, ზღვა, უდაბნო, კოსმოსი, ოთხივე სკნელი, ასტრალური სამყარო, პოლუსები, განედები, მერიდიანები, ბერმუდის კუნძულები, ანდები, მშვიდთა მიწა, წმიდა სულების სავანე – შამბალა.

წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე წერს: „მთელი სამყარო უმცირეს დროში მოვიარე და ამავე დროს მშვიდად ვიჯექი ჩემს სავარძელში“ (წერილები ერისკაცთა მიმართ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I , 1990, გვ. 267).

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მიდრეკილება მუდამ ახასიათებს ცოცხალ არსებას. მას ჰქვია სარვა-გატა, რაც ნიშნავს მას, „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს“.

„ფაუსტში“ მეფისტოფელი საუბრობს „არსებულს იქით“ გამგზავრებაზე.

გიორგი გურჯიევის აზრით, ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობის მიზანი უნდა იყოს უჩვეულო, „უცნობი მიწა“ (სიყვარულის ორი სახე, თბ. 1992, გვ. 103-104).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ კაცნი „მოგზაურობენ ადგილზე დგომით, ერთ ადგილას შთენილნი“...

იტალიელმა გენიოსმა სულის თვალით იხილა ოთხივე სკნელი და თავის მიზანს ასე მიაღწია: „გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“.

პოეტის გონითი საზღვრების გაფართოება მომავლისკენ იყო მიმართული: „ცნობიერებას იხვეჭ ახალს მერმისისათვის“ (ღვთაებრივი კომედია, 1941, 213-215).

გალაკტიონ ტაბიძისთვის „გული გზა და მოგზაური“ იყო, ხოლო სულის გემის, „ოცნების ნავის“ მოგზაურები – მოგონებებია, მასში ია-ვარდი, სიხარული დამკვიდრებულა (ია მარიამ ღვთისმშობლის, ვარდი და სიხარული ქრისტეს სიმბოლოებია).

პოეზიაში სიმბოლურ შინაარსს იძენს ტრანსპორტის სახეებიც: გემი, ნავი, ხომალდი, კრეისერი, მერანი, ეტლი, დილიჟანსი, ურემი.

დიდი მოგზაურობის განხორციელება მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ, რომლებიც, განსხვავებით პატარა სამყაროს პატარა ადამიანებისგან, დიდ სამყაროში ცხოვრობენ : „დიდი სამყაროს პარალელურად, რომელშიც დიდი ადამიანები, დიდი საგნები არსებობენ, არის პატარა სამყაროც, პატარა ადამიანებით და პატარა საგნებით. დიდ სამყაროში გამოიგონეს დიზელ-მოტორი, დაიწერა „მკვდარი სულები“, აშენდა დნეპრის ჰიდროსადგური და განხორციელდა გადაფრენა მსოფლიოს გარშემო. დიდ სამყაროში ადამიანებს კაცობრიობის კეთილყოფისადმი სწრაფვა ამოძრავებთ. პატარა სამყარო შორსაა ასეთი მაღალი იდეალებისგან. მის ბინადართ ერთი მისწრაფება აქვთ – როგორმე ისე იცხოვრონ, რომ შიმშილის გრძნობა არ განიცადონ. პატარა ადამიანები დიდების უკან მიიჩქარიან “ (ილია ილფი, ევგენი პეტროვი, „თორმეტი სკამი, ოქროს კერპი“, თბ. 1964, გვ. 369-370).

მოგზაურობა დიდი გამოცდაა, იგი სულისა და სხეულის განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს.

დიადი მიზნების რეალიზებისათვის აუცილებელია ნიჭი, მოწოდება, წინწამწევი იმპულსები, შინაგანი გამობრწყინება, რაც ღვთისგან ხელდასხმულთა ხვედრია.

სულის გამოღვიძების სტიმული კი შეიძლება მინი-სიკვდილი იყოს.

ჯუმბერ ლეჟავა მსოფლიოს მოქალაქეა,მან განახორციელა უპრეცენდენტო მოგზაურობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 238 ქვეყანაში 9 წლისა და 3 თვის მანძილზე, 3333 დღის განმავლობაში, 600 ათასამდე კილომეტრი გაიარა, აქედან 300 ათასამდე ველოსიპედით და ამ პერიოდში ნანახი ღირსშესანიშნაობების, განცდილისა და გადატანილის შესახებ შექმნა დღიურები, წიგნები, ფოტოები, რუკები.

დიდი მოგზაური ამავე დროს არის მსოფლიოს 11 გზის რეკორდსმენი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მისი სახელი შესულია „გინესისა“ და „დივოს“ არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში.

ამ საკაცობრიო მისიის შესრულებას წინ უსწრებდა ნაწლავების დამბლა და თრომბოზი, მთლიანად შინაგანი ორგანოების განგრენა, ორი ურთულესი ოპერაცია და 3 კლინიკური სიკვდილი.

ამ პროცესის დამახასიათებელია სხეულისა და გონების გათიშვა.

მეცნიერების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

ინდივიდს აქვს ბიოლოგიური შესაძლებლობა, ზოგიერთი ფორმით და გაუხანგრძლივებელი დროით, იარსებოს სიკვდილის შემდეგ.

სიკვდილის მოვლენა დასაბამითვე აფორიაქებდათ ადამიანებს და ამაზე შეიქმნა აუარებელი ლიტერატურა. არსებობს სიკვდილის რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური (მატერიალისტური თუ იდეალისტური) ახსნა.

ცნობილია ეგვიპტური და ტიბეტური მკვდრების წიგნები, რომლებიც წარმოადგენდა გარდაცვალების სახელმძღვანელოს.

ტიბეტის მოაზროვნეთა ასეული წლობით ასწავლიდა თაობებს, თუ როგორ უნდა მომკვდარიყვნენ, რომ მიეღოთ სიკვდილი, როგორც აუცილებლობა.

ტიბეტური წიგნის მიხედვით, სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ემზადებიან სიკვდილისთვის და ამას უცქერიან, როგორც სიცოცხლის პროცესის ნაწილს, სიკვდილის შიში საერთოდ დაძლეულია.

ტიბეტურ წიგნში მოთხრობილია ღვთაებრივ სასამართლოზე, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადჟა აფასებს მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარკის საშუალებით. სარკეში აირეკლება მიცვალებულთა კარგი და ცუდი საქმეები (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1950, გვ. 130).

ამერიკის მკვდართა წიგნის სახელწოდებაა „გარდაცვალების მეცნიერება“, იგივე „გარდაცვალების ხელოვნება“.

ამერიკელი უ. გოულდი ხალხს ასწავლიდა „შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას“, მისი დევიზი იყო „მოკვდი სიკვდილზე ადრე“.

დოქტორ უორდენის პროგრამა იყო „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“.

მომაკვდავები იუწყებოდნენ, რომ ამ წიგნმა შეცვალა მათი ცხოვრების მოდელი, ისინი ახლებურად აღიქვამდნენ სიკვდილს, ავადმყოფობას, ჯანმრთელობას.

ადამიანმა უნდა გადაიტანოს მინი სიკვდილი, რათა გააკონტროლოს თავისი უკანასკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1991, რუსულად).

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა ჩვენი სულისა. უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქვეყნად, ვინც მაღალი გრძნობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდავებისკენ მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის“.

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია. შემოქმედებითი ძალები მწვერვალს აღწევს საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისათვის ვარჯიში მთავრდება სულიერი განახლებით. ეს სიმბოლური სიკვდილი შეგვაგრძნობინებს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, სიკვდილისწინა განცდა ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების პოტენციურ გამოვლენას.

ძმის სიკვდილის განცდამ შეძრა კონსტანტინე გამსახურდია, სულიერი ხედვა, შემოქმედებითი ფანტაზია გაუმძაფრა და ოჯახის ტრაგედია მხატვრულ სიტყვად განსხეულდა ნოველაში „ზარები გრიგალში“.

პირადი ავადმყოფობა, სიკვდილისთვის თვალებში ყურება გახდა მწერლისთვის დიდი იმპულსი, რომ მესამედ დაეწერა დაკარგული რომანი „დიონისოს ღიმილი“.

ამიტომაც უწოდებს დიდი პროზაიკოსი სიკვდილს „ჩვენი სულის უკანასკნელ წრთობას“.

მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ რთული გზით იარა განსაკუთრებულ წარმატებამდე.

მას მსოფლიო რეკორდებში, მსოფლიო მოგზაურობაში გამარჯვებამდე ავადმყოფობასა და სიკვდილზე უნდა გაემარჯვა, რადგან წილად ხვდა მიღმურ სამყაროში გადახედვა, სიკვდილის აჩრდილთან შეხვედრა.

მოგზაურის მიერ დროებით გაღმა ნაპირზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებები ემთხვევა კლინიკური სიკვდილის გადამტან ადამიანთა ნაამბობს, რომლებიც აფიქსირებენ ბნელი გვირაბის გავლას, გაუცხოებას, ხოლო შემდეგ კაშკაშა სინათლესთან ანუ უზენაესთან შეხვედრას, რაც სულიერი განახლების სტიმული ხდება. განგების ნებით ისინი ისევ უბრუნდებიან მიწიერ ცხოვრებას დიდი მისიის აღსასრულებლად (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1991წ. რუსულ ენაზე).

ჯუმბერ ლეჟავა აღწერს კლინიკური სიკვდილის მომენტს,როცა წვალებით გაიარა შავი გვირაბი, შეხვდა თეთრწვერულვაშა, თეთრ ანაფორაში ჩაცმულ სიხარულის მომტან მოხუცს: „ხელების ცეცებით მივიკვლევდი გზას გვირაბულ წყვდიადში.ხშირ-ხშირად იცვლებოდა ხედები. მეყვსეულად აღმოვჩნდი თიხნარ ციცაბოებში, წვიმს, გრიალებს ქარი. მივხეტიალობ, მივადექი რკინის ურდულებით შეკრულ დიდ ოვალურ კარს, რომელიც მთლიანად ხის მორებით იყო აწყობილი. ძლივს შევაღე იგი, მოვიშველიე მხარი კარის გასაღებად, 50 მეტრამდე სიმაღლისა და 25მეტრი სიგანის კვერცხისებური შენობის შესასვლელში გავჩერდი. კარები შუა სიმაღლეზეა ჰაერში, რადგან კიბეები არ არის. მის ფსკერზე სამი გამოქვაბულის შესასვლელი მოჩანს, რომლებიდანაც შუა გვირაბს თეთრწვერულვაშა, თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი იცავს. თითოეული მათგანი დაყრდნობილია შესაბამისი ფერის კვერთხზე.

„შენ ლეჟავა ხარ?“ შემეკითხა მათგან შუა გვირაბის მცველი უხუცესი. დავუდასტურე.

„თეთრანაფორიანი მიღიმოდა, რამაც უზომო სიმშვიდე მომგვარა და როცა მეგონა, ვპოვე-მეთქი სასუფეველი, უკან გამობრუნება მიბრძანა: „ჯერ კიდევ საზიდი გაქვს ცხოვრებისეული ჭაპანი, მიწიერი გაქვს საკეთებელი. შენ შეიძენ უდიდეს ენერგიას, რაც ხალხს უნდა მოახმარო.“

შემდეგ იყო მკრთალი სინათლე, იმედი, დიდი ნათელი, კაშკაშა მზე და ულამაზესი ყვავილებიანი ველი: „გამოვბრუნდი... ვატყობ სიხარულს... თვალსაწიერში ძალზე მკრთალმა სინათლემ ბოლომდე გაურკვეველი იმედი აღმიძრა. მერე უეცრად მკვეთრად ინათა და მზით გაკაშკაშებულ, სხვადასხვა ფერის ყვავილებით დაფარულ ულამაზეს მინდორში ვიდექი უკვე. წამში აილაგმა გამოვლილ გზაზე თავს გადამხდარი ფათერაკები – ქვეწარმავლებით სავსე ხეობებში ხეტიალი, სისხლით გატიკნილ ღამურათა ფრთების სახეზე ხეთქება, წვიმაში, ქარში, სიცივეში თიხნარი ფერდობების გადალახვა“.

დიდი მოგზაური გვამცნობს ამ ხილვის შედეგებს: „ეს იყო ჟამი მეორედ დაბადებისა, კლინიკური სიკვდილისგან თავდახსნას რომ მოჰყვა, რამაც ისეთი შეძლებითა და ძალით აღმჭურვა, რომ საკვირველი რამ შემაძლებინა – მრავალი მსოფლიო და გინესის რეკორდი დამამყარებინა წოლბჯენიდან მკლავებზე

აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში, ცხრაწელიწადნახევარი აღმაფრენა მიბოძა, 238 ქვეყანა შემომატარა, მაშრიპ - მაღრიბი დამაპყრობინა“.

სიზმრისეულ ხილვაში გამოცხადებული თეთრწვერა, თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი უფლის სახეა, როგორც ვაჟა-ფშაველას „მოჩვენებაში“, გოდერძი ჩოხელის „მგელში“, რევაზ ინანიშვილის „სახატეებში“.

უფალთან შეხვედრა მხოლოდ სულით სპეტაკ, წმინდა ადამიანთა ხვედრია და მაღალი მისიის შთამაგონებელი, წინსვლა-წარმატების სტიმული ხდება.

იმქვეყნიურ, არამიწიერ, აღმაფრენის მომნიჭებელ სინათლესთან შეხვედრას ყველა თავისებურად აღიქვამს. ვერლენისთვის იგი მზისფერია, ბოდლერისთთვის – ოქროსფერი, ედგარ პოსთვის – წითელი, გალაკტიონისთვის – ვარდისფერი, ტ. გრანელთან – ცისფერი.

მიუთითებენ, რომ „გამობრწყინების“ მომენტი ენით გამოუთქმელი ქმედითი ბიძგია. ეს არის ძალების მოზღვავება, ბრძნული გამონათება, სულიერი განახლება, იმედი, მას „კოსმიურ შემეცნებასაც“ უწოდებენ, „სულის სიმღერად“ აღიქვამენ, რომელსაც წინ მიჰყავს მისი განმცდელი.

ჯუმბერ ლეჟავას შეხვედრა თეთრწვერა, თეთრკვერთხიან მოხუცთან, ნათელთან, კამკაშა მზესთან და ყვავილებიან მდელოზე ყოფნა მოასწავებდა რწმენით, ენერგიით ავსებას, უჩვეულო, საკაცობრიო მისიის აღსრულებისთვის ფსიქოლოგიურ შემზადებას.

წამება, განსაცდელი, გამოცდა სუსტებს ასამარებს, ძლიერებს – პირიქით...

მსოფლიოს მოგზაური და მსოფლიოს სპორტსმენი ჯუმბერ ლეჟავა საუბრობს თავის „ჯოჯოხეთური წამებით შექმნილ ბიოგრაფიაზე“.

„სიცოცხლის მანძილზე ჯოჯოხეთი მრავალჯერ გავიარე – მათ შორის კლინიკური სიკვდილი რამდენჯერმე, უმეტესობა სამივე მოგზაურობის დროს.

„. . .დიდი მოგზაურობის დამთავრების ფაზაში ხშირად ჩემს თავს ვეკითხებოდი: საკმარისად ეწამე? ყოველთვის ასე ვპასუხობდი – საკმარისზე მეტად“. (ჟურნალი „მოგზაური“, თბ. 2010, 1, გვ. 6).

„. . . იფიქროს მკითხველმა, რაც სურდეს, მე კი ვიტყვი, რომ ამ ფაქტმა მთელი ჩემი ცნობიერება და, შესაბამისად, ცხოვრებაც შეცვალა, სიცოცხლისკენ გამობრუნებული ამ არამიწიერი ხილვა-ზმანების უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. ადამიანი, ამ მატერიულ მოცემულობებში, მაინც გონიერ არსებად რჩება. მეც, როგორც გონიერი ინდივიდი, შევეცადე მომეხდინა მთელი იმ ფანტომური სინამდვილის რაციონალიზაცია. ამეწონ-დამეწონა და შემეტანა მასში ლოგიკური სიმყარე. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი: სამყაროში ყველაფერს თავისი კოდი და სიმბოლო ჰქონდა. თუ გსურდა მოცემულობათა არსში წვდომა, აუცილებლად უნდა გესწავლა სამყაროს ღვთაებრივი და საიდუმლო ანბანი. ადამიანებს სწამთ, რომ სამყარო, ყოფიერება, ნებისმიერ თავის გამოვლენაში ილუზორული და მაგიურია, რომ გვეთამაშება და გვატყუებს. კლინიკური სიკვდილის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ასე არ იყო. სამყარო, სინამდვილე, რომელსაც მივუბრუნდი სიკვდილის შემდეგ, ის სამყარო არ იყო, რაც გარდაცვალებამდე იყო. სიმართლე რომ ვთქვათ, სინამდვილის კარდინალური გარდასახვა სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩემი შეხედულებების და აზროვნების ტოტალური ცვლილებები. მივხვდი, სამყარო და ყოფიერება კი არ ტყუოდა, ჩვენ ვკითხულობდით მის წიგნს შეცდომით და უკუღმართად. ამიტომ გვეგონა, რომ იგი მუდამ გვატყუებდა“ (იქვე, გვ. 20).

„კლინიკურმა სიკვდილმა, ფაქტობრივად, დიდ საიდუმლოს მაზიარა. მე შევძელი არა უბრალოდ მექანიკური მობრუნება; არამედ შემობრუნება და ე.წ.

ცხოვრების წიგნის მართებული კითხვა. სიკვდილმა სიცოცხლე მასწავლა, მაპოვნინა გზა კოსმიური ენერგიებისკენ – გზა ვიტალობისა და ვიტალური ძალების დაუფლებისა, რომელიც, პირობისამებრ, სიკეთეში და სიყვარულში უნდა გამელია.

მობრუნებულმა ვარჯიში დავიწყე და სულ რაღაც 6 წელიწადში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებში 11 მსოფლიო რეკორდი დავამყარე – რომელთაგან უმეტესობა „გინესისა“ და „დივოს“ არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში შევიდა. თავიდან ექიმები რამდენიმე კვირის სიცოცხლეს თუ მიწინასწარმეტყველებდნენ, ახლა სამაგალითო ჯანმრთელობის მქონე ხანში შესულ მამაკაცად მაღიარეს, რომელსაც 20 წლის ჯანმრთელი ახალგაზრდის ორგანიზმი ჰქონდა“ (გაზ. „სოვეტსკი სპორტი“ და სხვ.).

კლინიკურმა სიკვდილმა, ფაქტობრივად დიდ საიდუმლოს მაზიარა (ჟურნალი „მოგზაური“, თბ, 2010 1, გვ. 20).

ღვთისმეტყველები, მოციქულები საუბრობენ განსაცდელის, სიძნელეების სიკეთეზე: „ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნეებში დაფარული სათნოება“ (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, თბ. 2002, გვ. 32).

„ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცადება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ“ (იაკობი, 1, 12).

„არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი... არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ,რომ შესძლოთ გადატანა“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 10,13).

„... ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 10,3).

„იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან ... ის არის მათი გადარჩენის წინამძღვარი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10).

„რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6).

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ღვთისაგან ხელდასხმული რჩეულია, რომელმაც რაინდულად გადაიტანა მისთვის განკუთვნილი ყოველი წინააღმდეგობა და თაობებს დაუტოვა სიკვდილის დამარცხების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მართვის ინდივიდუალური პროგრამა, რაც კაცობრიობის ყურადღების ღირსია.

ქართული ეროვნული გონის შორს გაწევის დასტურია დიდი მოგზაურის დღიურები, 55 ტომი, რომლებიც საყურადღებოა ფილოსოფიური, რელიგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ესთეტიკური ასპექტებით.

პლანეტის ამ გამორჩეული ადამიანის ნიჭი ასევე გაცხადდა ფერწერაში, იგი აქაც წარმოგვიდგა, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა საუკუნეებს ელაპარაკება, მისი საქმეები და ნააზრევი ეკუთვნის მარადისობას და გვარწმუნებს ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობაში, ქართული ეროვნული ფენომენის განსაკუთრებულობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტე მოსია

„ღმერთი სიყუარული არს“

ბიბლიური კოსმოგონიით, ღმერთმა ყველაფერთან ერთად სიყვარულიც გააჩინა და უწყალობა მას სწორუპოვარი ძალა. ახალი აღთქმის სწავლებით, სიყვარულის მშობელი არის ღმერთი: „სიყუარული ღუთისაგან არს“ (I კათ. ეპ. ი. 4,7). უფრო მეტიც. სიყვარული არა მხოლოდ მომდინარეობს ღმერთიდან, არამედ თვითონ ღვთაებაც სიყვარულია: „ღმერთი სიყუარული არს“ (I კათ. ეპ. ი.4,16). ასე მკვიდრდება ბიბლიური ეთიკური შეხედულებები, რომელიც ქრისტიანული აზროვნების განვითარებაში განუსაზღვრელ როლს თამაშობს.

პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ ერთმანეთთან შედარებულია სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, რომელთაგან ეს უკანასკნელი შეუვალი უპირატესობით სარგებლობს: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამივე ესე; ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს“ (I კორ. 13,13). ყოველივე ზემოთთქმული ქრისტიან არსებას მოუწოდებს საღვთო მიჯნურობის განცდისა და შემეცნებისკენ. აქეთკენ ლტოლვა კი მოასწავებს მიწიერი ვნებების („ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“) იგნორირებას, რომელსაც წუთისოფლის ხორციელი სიამოვნების დათრგუნვამდე დაჰყავს ქრისტეს მოძღვრების ერთგული: „სიყუარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა. აწ უკუე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების“ (იაკ. 4,4).

ახალი აღთქმა, ღვთაებრივ მიჯნურობასთან ერთად, ცოლ-ქმრული სიყვარულის არსშიც გვახედებს. ცხოვრებისეული, ჭეშმარიტი მიწიერი სიყვარული ასახვას პოულობს ძველ აღთქმაშიც. ამ მხრივ საგანგებოდ გამოყოფენ „ქებათა ქებას“. იგი მიჩნეულია ძველი ებრაული სატრფიალო პოეზიის უზადო ძეგლად. გარკვეული მოსაზრებით, ამ თხზულებიდან საილუსტრაციოდ მოვიტან ერთ ვრცელ ამონარიდს, სადაც წარმოჩენილია და დახასიათებული სიყვარულის ძალა, ენერგია, სიმტკიცე და დაუშრეტელობა: „რამეთუ მტკიცე არს, ვითარცა სიკუდილი, სიყვარული ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური გარემოდს მისსა კლდე, გარემოდს მისსა კლდე ცეცხლისაჲ, ცეცხლისა ალთა მისთაჲ. წყალსა მრავალსა ვერ ძალუც დაშრეტა სიყვარულისა, მდინარენი ვერ წარღუნიან მას, უკეთუ მისცეს კაცმან ყოველი ცხოვრებაჲ თჳსი სიყუარულსა“ (ქებ. 8,6-7).

კიდევ ერთ ბიბლიურ კონცეფციას გავეცნოთ, სადაც შთამბეჭდავად არის განცხადებული სიყვარულის არსი და ბუნება: „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოდნ, არა განლაღნის... ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (I კორ. 13,4-7). უსიყვარულოდ ადამიანის არსება უაზროა და არარაობა: „სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რა ვარ“ (I კორ. 13,1). ეს სიტყვები ასოცირდება „ვისრამიანულ“შეგონებასთან: „არ უნდა მიჯნურსა კაცსა ყუედრება, ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია“. სხვა საგულისხმო ნიმუშებსაც გავეცნოთ: „მეცნიერება განალაღებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს“(I კორ. 8,1); „ხოლო ნაყოფი სულისა არს: სიყუარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება...“ (გალ. 5,22); „შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განჰდევნის შიში; რამეთუ შიშსა ტანჯუაჲ

აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“ (I ეპ. ი. 4,13). ამასვე იმეორებს შუა საუკუნეების ერთ-ერთი ნოველა: „სიყუარულმა ყოველსა განდევნის შიში“(შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I I , გამოსცა მ. დვალმა, თბ.,1974, გვ. 9)

ბიბლიური საღვთო მიჯნურობის საფუძველს ქმნის ღმრთის მოაზრება სიყვარულად. ამდენად, ხილული და უხილავი სამყარო თუ არსებანი ღმერთი-სიყვარულიდან გამომდინარეობენ, ანუ ყველაფრის შექმნას სიყვარული დასაძირკვლებია. ამიტომ მართებთ ადამიანებს უდიდესი მოწიწება და მოკრძალება საღვთო მიჯნურობისადმი, რომელსაც შოთა რუსთაველი „პირველ მიჯნურობას“ უწოდებს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“. დავით გურამიშვილმა დაასახელა რა ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი ათი „ხელობა“ (ბრძენი, ოსტატი, ხუცესი, ვაჭარი, მოლაშქრე, მხვნელი, გლახაკი, ხელმწიფე, მღვდელმთავარი, მიჯნური), ყველაფერზე წინ ღვთის „მიჯნური“ დააყენა. „დავითიანის“ მიხედვით „მიჯნურმან უნდა ტრფიალი(ე.ი. ღმერთი) გულმართლად შეიყვაროსა, მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით, აროდეს გაეყაროსა“.

ვინ არის ღირსი ღვთის ტრფიალისა? ღვთაების შეყვარების უფლება აქვს მხოლოდ მას, ვისაც ძალუძს მისი მცნებების დაცვა. ეს მცნებანი კი ზნეობრივი კანონებია, რომლითაც ყველა ქრისტიანი ადამიანი უნდა ხელმძღვანელობდეს, რომელზეც უნდა იზრდებოდნენ ქრისტიანთა თაობანი: „რამეთუ არს სიყუარული ღვთისა, რათა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ, და მცნებანი მისნი მძიმე არ არიან“ (I კათ. ეპ. ი. 5,3). ამ მცნებათა შორის პირველი ადგილი სწორედ ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულს უჭირავს: „რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთობას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (ი. 15,12). ამგვარი სიყვარულის მაგალითი კი ძისთვის (ქრისტესთვის) მამას (მამა ღმერთს) მიუცია: „ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქვენ; დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა“ (ი. 15,9). მაცხოვარი ასე შთააგონებს ადამიანებს: „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა“ (ი. 15,10).

ამ ფრაზის თანახმად, სიყუარულისა და მცნებათა შენახვა-დაცვის პრეცენდენტი ქრისტესთვის მამა ღმერთს მიუცია. როგორც ძე ბაძავს მამას, ისე ქრისტეს მორწმუნე ადამიანებმაც მაცხოვარს უნდა მიბაძონ, ვინაიდან მესიის მოვლენებით ღვთის სიყვარული გამოცხადდა ადამიანებს შორის, მათივე საცხონებლად: „ამით გამოცხადდა სიყუარული ღუთისა ჩუენ შორის, რამეთუ ძე თჳსი მხოლოდშობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რათა ჰჳსცხონდეთ მის მიერ“ (I კათ. ეპ. ი. 4,9).

წმინდა მოციქულის ერთ-ერთ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ღმერთი არა სადა ვის უხილავს, უკეთუ ვიყუარებოდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩვენ შორის ჰგიეს, და სიყვარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს“ (I კათ. ეპ. ი. 4,12). ე.ი. უხილავ ღმერთთან მიახლოვება, მისი დანახვა და შეცნობა შესაძლებელი ყოფილა ადამიანთა ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გზით.

ციტირებულ სიტყვებს ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელ მორალურ დამოძღვრამდე მივყავართ. იგი ერთმანეთის სიყვარულისკენ მოგვიწოდებს, ერთმანეთისადმი პატივისცემისა და მოყვრობას შთაგვაგონებს. ბიბლიური შეგონება და აფორიზმი, რომელსაც ქვემოთ დავიმოწმებთ, არასოდეს დაკარგავს ჰუმანურობით მოსილ ღირსებას: „საყუარელნო! ვიყუარებოდეთ ურთიერთას,

რამეთუ სიყუარული ღუთისაგან არს; და ყოველსა რომელსა უყუარდენ, ღუთისაგან შობილ-არს; და იცის ღმერთი“ (I კათ. ეპ. ი. 4,7)

(დაწვრილებით იხ. ნ. ნათაძე, ლიტერატურული წერილები, თბ.,1973, გვ.220-222.)

ასე რომ, როგორც მოციქული გვასწავლის, ღმერთის ცოდნა უწინარესად ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულში გამოიხატება. ღმერთის შეცნობა და წვდომა ოდენ მას ძალუძს, ვისაც ადამიანთა სიყვარული შეუძლია, ვინაიდან „რომელსა არა უყუარდეს, მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ (I კათ. ეპ. ი. 4,8). ამ შეგონებებში თვითნებური კორექტივის შეტანა ზნეობრივი კანონის დარღვევას მოასწავებს, რომლის მოქმედი მაცდურად ცხადდება, „უკეთუ ვინმე ჰსთქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი, და ძმა თვისი ჰსძულდეს, მტყუარ არს; რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალუძს შეყუარებად“ (I კათ. ეპ. ი. 4,20).

ვისაც შესწევს ძალა ღვთაების ტრფიალისა, მას უპირველესად ძმისა და მოყვასისადმი სიყვარული უნდა ახსოვდეს: „და ესე მცნებაჲ მოვიღეთ მისგან, რათა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს ძმაჲცა მისი“ (I კათ. ეპ. ი. 4,21). ადამიანისადმი უზადო სიყვარული და პატივისცემაა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში. კერძოდ, წმინდა მოციქული იმას კი არ უქადაგებს, რომ ღვთისადმი აბსტრაქტულმა სიყვარულმა შეიპყროს ადამიანი და სხვათა სიყვარულს არ სცნობდეს, არ გრძნობდეს. ღვთის შეყვარებამდე თითოეულმა ჩვენგანმა კაცთა შორის, ძმათა და მოყვასთა შორის უნდა გამოსცადოს სიყვარული.

„ვიყუარებდეთ ურთიერთაში“ წარმატება ღვთაების სიყვარულშიც გამარჯვების საწინდარია. „ყოვლისა წინა ურთიერთას სიყუარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაჰფარის სიმრავლე ცოდვათაჲ“ (I კათ. ეპ. ი. 4,8). ამაზე უფრო დიდი ჰუმანიზმის მაგალითის დაფიქსირება თვით საერო ლიტერატურის ძეგლებშიც კი გაჭირდებოდა. ადამიანთა სიყვარული ერთმანეთისადმი თავის თავში მოიცავს (საჭიროების შემთხვევაში) კაცთათვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანას: „უფროსი ამისი სიყუარულისა არავის აქუს, რათა სული თჳსი დაჰსდუას მეგობართათჳს“ (ი. 15,13). ალბათ, ამ სიბრძნითაა დაღდასმული „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი აფორიზმი: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ზემოთ თქმულის მოკლედ შეჯამება ასეთ სურათს გვაძლევს: ღმერთმა ყველაფერთან ერთად სიყვარულიც გააჩინა, თვით უფალიც სიყვარულად გამოეცხადა ადამიანებს. ღმერთი ადამიანებმა რომ შეიცნონ, შინაგანად იხილონ, მისი ტრფიალი შეძლონ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისადმი სიყვარულში უნდა გამოსცადონ გული, გრძნობა და გონება. ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარებისას დაიმსახურებენ ღვთაების სიყვარულს, დაიახლოვებენ მას და თავიანთ შორის ამყოფებენ. ბიბლიური შეგონებით, ვისაც ძმათა და მოყვასთა სიყვარული არ შეუძლია, მას არც ღმერთის შეყვარების ძალა შესწევს. მხოლოდ ადამიანთა სიყვარულის უნარის მქონეს ძალუძს მაცხოვართან გამიჯნურება, მისი მცნების, ზნეობრივი კანონების მოვლა-პატრონობაც, რადგანაც იცის, რომ „საღმრთოჲ სიყუარული თავი არს ყოვლისა კეთილისა“(მამათა სწავლანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 207)

დაბოლოს: აღნიშნულ საკითხზე საუბარს სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით დავამთავრებთ: „ვინაჲთგან ღმერთი არს სიყუარული, რაღა-მე გნებავსთ, სიყუარულისა მაძიებელნო? რომელმან მოიგოთ სიყვარული, ღმერთი მოგიგიეს

და რომელმაც ჰპოოთ სიყვარული,ღმერთი გიპოვნიეს. სიყვარული სხვა არ არა რა არს, გარნა ძედ მაღლისად წოდებად. ნეტარ ხართ, რომელმან მოიგოთ-ესე.

სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1963, გვ. 92-93.

ზემოთ ვისაუბრეთ ღვთაებრივ სიყვარულზე, როგორც უფლის კანონის (სჯულის) აღსრულებაზე. როგორც თეოლოგი გვასწავლის, ეს კანონი წერია თითოეული ადამიანის გულში (შინაგანი სჯული-სინდისი) და ღვთის ათ მცნებაში (გარეგანი სჯული). ათი მცნება ორგვარი სიყვარულის შემცველია: 1. სიყვარული ღვთისადმი, 2. სიყვარული ადამიანისადმი. პირველი – ოთხი მცნება შთაგვაგონებს ღვთისადმი სიყვარულს, მორჩილებას, მის განდიდებას, კერპთა თაყვანისცემის უგულებელყოფას. გვიკრძალავს ასევე ღვთის სახელის ცუდად ხსენებას, ანგარებას, ნაყროვანებას, ამპარტავნობას, მეშვიდე დღის (შაბათი) ღვთისთვის შეწირვას. დანარჩენი მცნებანი გვინერგავს სიყვარულს მოყვასისადმი (ანუ ყოველი ადამიანისადმი), რომელშიც სათანადო ადგილი ცოლქმრულ სიყვარულსაც უჭირავს.

სწორედ უზენაესმა არსებამ დააწესა ცოლქმრობა. გავიხსენოთ: ღმერთმა აკურთხა პირველი ცოლქმრული კავშირი (დაბ. 1,28), ქრისტეც კანას ქორწილში ანალოგიურად მოიქცა. დაუვიწყარია ცოლქმრულ ურთიერთობაზე შეთხზული სტრიქონები: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს (შეუერთდეს – ტ.მ.) ცოლსა თვისსა და იყვნენ ორივე იგი ერთ ხორც“ (დაბ. 2,23-24); „რამეთუ უფროს უყვარს კაცსა ცოლი თჳსი, ვიდრე მამა-დედაჲ თჳსი“ (I I I ეზ. 4,25).

ერთი შეხედვით, თითქოს და მოულოდნელიც ჩანს დედ-მამისა და ცოლქმრული სიყვარულის ერთმანეთთან შედარება, ან დაპირისპირებაც კი. კაცი, რომელიც ცოლს ირთავს, ტოვებს მშობლებს, მათ ალერსს თუ მზრუნველობას და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ უნდა „დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი, ვიდრე მამა-დედაჲ თჳსი?“ ეს ასე უნდა გავიგოთ: ცოლის შერთვა, ოჯახის შექმნა შვილის გაჩენის საწინდარია, შვილთა შეძენა უფრო აძლიერებს და ადუღაბებს მეუღლეობრივ სიყვარულს. მეუღლე იძლევა საშუალებას შვილის გაჩენით ბიოლოგიურ-გვაროვნული არსებობის გაგრძელებისა, მათი ფიზიკურ და სულიერ მონაცემთა შერწყმისა. ასე რომ, ცოლის სიყვარულში, პატივისცემასა და დაფასებაში ირეკლება არა მარტო ქალისადმი (როგორც პიროვნებისადმი) სიყვარული, არამედ როგორც დედისადმი-შენი შვილის მშობლისადმი.

ქრისტიანული მოძღვრებით, „რომელმან იქორწინოს თჳსი იგი ქალწულებაჲ კეთილად ჰყოფს; ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს“ (I კორ. 7,28). ღვთის მიერ დაწესებული კანონიერი (სჯულიერი) ქორწინება (ცოლქმრობა) ნებაყოფლობითია, ძალდაუტანებელი. მოწოდებასავით გაისმის წმ. მოციქულის სიტყვები იმის შესახებ, თუ კაცი ან ქალი ვერ თოკავს ვნებათა ღელვას, სჯობია იგი ქორწინებით დააგვირგვინოს: „ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინედ, რამეთუ უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განკურვებაჲ“ (ეფ. 7,9).

როგორ შევათანხმოთ ამ რჩევა-დარიგებას ზემოთ ციტირებული სიტყვები: „ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს“. ამის პასუხს თავად მოციქულთა წიგნები იძლევა: დაქორწინებულთ ამქვეყნიური ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგებაზე, ოჯახის მოვლა-პატრონობაზე უხდებათ ფიქრი, ზრუნვა და ნაკლები დრო-განწყობილება რჩებათ საღვთო მიჯნურობისთვის, ხოლო „უქორწინებელი იგი ჰზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა“ (I კორ. 7,31). ამიტომ შთაგვაგონებს მოციქული: „შეთუყოფილ-ხარ ცოლსა, ნუ

განუტევებ; თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ ცოლსა“ (I კორ. 7,27), რამეთუ „ქორწინებული ჰზრუნავს სოფლისა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა“ (I კორ. 7,33).

ლუდვიგ ფოიერბახი წერს: „ვისაც ქალი არ უყვარს, მას არც ადამიანი უყვარს“ (ლუდვიგ ფოიერბახი, ქრიატიანობის არსება, თბ. 1956, გვ. 114)

ამ ბრძნული აზრის მიხედვით, ქალისადმი სიყვარული ოდენ მის ცოლად შერთვაში როდი გამოიხატება, არამედ, საერთოდ, ადამიანისადმი სიყვარულშიც. მაგრამ ქალიც არის და ქალიც. როგორი ქალი უნდა შეირთოს კაცმა ცოლად? ბიბლია გვმოძღვრავს: კაცი უნდა დაქორწინდეს ბრძენ, ჭკვიან, კეთილ, უშურველ, გამრჯე, გულუხვ, მხნე ქალზე: „რომელმან პოვა ცოლი სახიერი, პოვა მან მადლი და მიიღო ღმრთისაგან მხიარულებაჲ“ (იგ. სოლ. 17,21); „დედა-კაცი მხნე ვინ პოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალსასყიდლისა“ (იგ. სოლ. 31,10). დავით გურამიშვილის ენით რომ ვთქვათ, „ამგვარი ცოლი არ გიორგულებს, გაუფრთხილდების შენს ბაღში რგულებს“

ბიბლია კრძალავს ცოლად მოყვანას ისეთი ქალისას, რომელიც მეძავია, მრუში, უგნური, უკეთური, ბოროტი, სახელგატეხილი, შეგინებული, „ქვრივი და განტევებული“, ანგარებიანი. ასეთი ქალი უღმრთოდაა მონათლული ბიბლიური სიბრძნის სამყაროში: „ვითარცა ძელსა მღილი, ეგრეთ წარწყმიდოს ქმარი თჳსი დედაკაცმან ბოროტის მოქმედმან“ (იგ. სოლ. 12,4); „დედაკაცსა მეძავსა და შეგინებულსა ნუ შეირთევდ, დედა-კაცსა განტევებულსა ქმრისაგან თჳსისა ნუ მოიყუანებ“ (ლევ. 21,7); „ნუ შეემთხუევი დედა-კაცსა მეძავსა, რათა არა ვითარ შთავარდე საბრხესა შინა მისსა“ (ზირ. 9,3); „რომელმან დაიყენოს მემრუშე, უგუნურ და უღმრთო არს“ (იგ. სოლ. 18,22); „უმჯობეს არს ცხოვრება ლომთა თანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედა-კაცისა ბოროტისა თანა“ (ზირ. 25,28). საგულისხმოა, რომ დავით გურამიშვილი მთლიანად ბიბლიას ემყარება უმანკო და მანკიერი საცოლის დახასიათებისას. იგი უშუალოდ იმოწმებს ისო ზირაქის წიგნს: „ისო ზირაქში ბრძენმა დაწერა... უმჯობეს არსო ლომ-ვეშაპთანა, ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა“ პოეტს ბიბლიურ შეგონებებში სათანადო „კორექტივი“ შეაქვს.

იგი საცოლე ახალგაზრდებს ურჩევს, ნუ მოინდომებენ „ლამაზ, პირ-სირინოზიან“ ქალების შერთვას ცოლად, ვინაიდან „ბევრი ჰყავს მას მტერი, მდევნელი და მჭერი, მახის დამრწყმელი“; „ნუ გსურს ქალთ ქმრობა შავ-თვალ-წარბისა, რომლისაც გული სხვასთან წარბისა“. დავით გურამიშვილს ამ მხრივ, საერთოდ, ყველა ლამაზი ქალი როდი ჰყავს „ნიშანში ამოღებული“, არამედ კონკრეტულად ისეთები, რომლებიც ვნებათა ღელვას და გულისთქმას არიან აყოლილნი, გამოირჩევიან მრუშობითა და მეძავობით.

ბიბლია გვასწავლის, რომ ადამიანები სიყვარულის საფუძველზე უნდა ქმნიდნენ ოჯახს, ცოლ-ქმრის ბუნება, ხასიათი, თვისებები, ერთმანეთს უნდა ჰგუობდეს და ეთანხმებოდეს. საღმრთო წერილში არც უნებლიე ცთომაა დავიწყებული. თუ ვინმემ „დაუწინდებელი ქალწული“ შეაცდინა, ნამუსი ახადა, იგი ცოლად უნდა შეირთოს; „უკეთუ ვინმე შეაცთუნოს ქალწული დაუწინდებელი და დაწვეს მის თანა, მიყვანებით მიიყვანოს იგი თავისა თვისისა ცოლად“ (გამოს. 22,16).

საღმრთო წერილი განსაკუთრებული სიბეჯითით ქადაგებს ცოლ-ქმარს შორის ერთგულებას, ურთიერთპატივისცემას, სიყვარულის გრძნობის უნაკლოდ მოვლა-პატრონობას: „ესრეთ ჯერ-არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყუარული, ვითარცა ხორცთა თვისთა, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თვისი, თავი

თვისი უყუარს“ (ეფ. 5,28); „ცოლი თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ-არს, არამედ ქმარი: ეგრეცა და ქმარიცა თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ-არს, არამედ ცოლი“ (I კორ. 7,2-4). ცოლ-ქმარს შორის ერთგულების ზღუდის დამრღვევი სიძვაა და ღალატი; „რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა, და სხუა შეირთოს, იმრუშოს, და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს“ (მათე, 19.9). ცოლი, რომელიც არ სარგებლობს ქმრის პატივისცემითა და ერთგულებით, არ იმსახურებს ოჯახის უფროსის მოწონებას, საჭიროა იგი ქმარმა დროულად მოიცილოს, დააბრუნოს საკუთარ სახლში: „მო-თუ-ვინმე-იყვანოს ცოლი და შეირთოს იგი და არა სათნო ეყოს, ანუ თუ და-რაიმე-აპყრას მის თანა საქმე ჯერკუალი, დაუწერენ მას წიგნი განსატევებელი და მიეცინ ხელთა მისთა და გამოავლინენ იგი სახლით მისით“ (I I სჯ. 24,1).

როგორც დავინახეთ, ბიბლიაში გამოვლენილია სიყვარულის როგორც სასულიერო (საღვთო), ისე საერო ხასიათიც. ე.ი. ღვთაებრივ მიჯნურობასთან („მიჯნურობა პირველი“) ერთად მიწიერი სიყვარულიც („ხელობანი ქვენანი“) გვხვდება. თუმცა ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, არ არის გაიგივებული „საზეო საქმესთან“.

ლიტერატურის მათითებელი

1. ბიბლია (მცხეთური ხელნაწერი), გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981-1986
2. დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ; 1955
3. მამათა სწავლანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, აკ. შანიძის რედაქციით, თბ; 1955
4. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I I I, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ; 1963
5. სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ. 1956
6. ლუდვიგ ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ; 1956
7. ნ. ნათაძე ლიტერატურული წერილები, თბ; 1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო წურწუმია

ჯუმბერ ლეჟავა

„მსოფლიო მოქალაქე" და „მსოფლიო სპორტსმენი" – ასეთი ოფიციალური ტიტული მიენიჭა მსოფლიო მოგზაურს ბ–ნ ჯუმბერ ლეჟავას. აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ქართული და აფხაზური ოჯახების შერიგებისა და ჰუმანიტარული თანადგომის კავშირი – „დიოსკურია 2005" ამ ტიტულებს კიდევ ერთ ტიტულს უმატებს – „მშვიდობის მსოფლიო დესპანი".

ბატონმა ჯუმბერმა თავისი სტარტი სამშობლოდან, საქართველოდან, კერძოდ, რუსთავიდან აიღო. სამწუხაროდ, მაშინდელ საქართველოში არსებულმა სამოქალაქო და პოლიტიკურმა ვითარებებმა მას საშუალება არ მისცა ემოგზაურა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ეს ბედის ირონია იყო, მაგრამ შევეშვათ ამ მოვლენების სკრუპულოზურ ანალიზს. მთავარი აქ ქართული მოვლენის სრულიად საპირისპირო, 180 გრადუსით შებრუნებული ვითარება გახლავთ:

ეს მოხდა არაბეთის ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთ იემენსა და სამხრეთ იემენს შორის ომია გაჩაღებული, ჩრდილო იემენელთა შტაბს აცნობეს: უცხოელი მსოფლიო მოგზაურია, რომელიც ველოსიპედით აპირებს მსოფლიოს შემოვლას...გადასვლა უნდა სამხრეთ იემენშიო. შტაბის უფროსობა გაოგნებულია: სად უნდა გადავიდეს ამ დაბომბვასა და ჯოჯოხეთურ ცეცხლშიო. შტაბში მიყვანილი ჯუმბერი თავისას არ იშლის, ცოცხალი თავით სვლა–გეზს არ შეიცვლის. კურიოზულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩრდილოეთ იემენის სამხედრო შტაბის მეთაური უკავშირდება სამხრეთელთა შტაბს და სთავაზობს ორი საათით ცეცხლის შეწყვეტას, რათა მსოფლიო მოგზაურმა თავისი ველოსიპედით საზღვარი უსაფრთხოდ გაიაროს. ასეც ხდება – ჩრდილოელები მას საზღვრამდე, საზღვრიდან კი სამხრეთელები უსაფრთხო ზონამდე მიაცილებენ ბატონ ჯუმბერს და ... ქვემეხები ისევ იწყებენ გუგუნს...

ამჟამად ბატონი ჯუმბერი აპირებს აფხაზეთში ჩასვლას და იქაურ, აწ გარდაცვლილ მეცნიერთა, მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და გამოჩენილ სპორტსმენთა უჭირისუფლო საფლავების მონახულებას, რათა ყოველ საფლავთან წუთიერი დუმილით პატივი მიაგოს მათ ხსოვნას.

ბატონი ჯუმბერი, იმოგზაურებს 1992–93 წლებში აფხაზურ კონფლიქტში დაღუპულთა ქართულ და აფხაზურ ოჯახთა შერიგებისა და ჰუმანიტარული თანადგომის კავშირ „დიოსკურია 2005"–ის სახელით.

„დიოსკურია 2005"–ის თავჯდომარე და მთელი პრეზიდიუმი თხოვნით მიმართავს თბილისის მერს-ბატონ გიგი უგულავასა და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ზაალ სამადაშვილს, რომ თბილისის ერთ–ერთ ქუჩას მიენიჭოს ჯუმბერ ლეჟავას სახელი.

ხაიმ სუტინის ფერწერული განმარტოება

ხელოვნების ნებისმიერი სახეობა შედევრის დაბადებას და მის გამარადიულებას ემსახურება; სულის ჩადგმა ნაწარმოებში ამოუხსნელი ზეძალებისგან მომდინარეობს და ერთ-ერთ საოცრებათაგანია სამყაროს მთლიან სივრცეში. როგორც სიცოცხლის გაჩენაა ღვთიური გვირგვინი, ასევე ხელოვნების შედევრის შობაა მისი ტოლფასი. გენიოსში ორი დიდი კოსმიური საოცრებაა, მისი პირადი ფიზიოლოგიური სიცოცხლე და შემოქმედებითი სულიერება. ორი კოსმიური მზეა მასში ჩაღვრილი და ორივე ერთდროულად ასხივებს. როგორც კი რომელიმე მათგანი ჩაქრება, ის მაშინვე წყვეტს მიწიერ სიცოცხლეს (პიროვნება) და სრულიად სხვა კოსმიურ სამყაროში გადადის. მისგან შობილი შემოქმედებითი მრავალსულიანობა კი მარადიულობის გალერეაში დამოუკიდებელ სიცოცხლედ რჩება... აი, ასეთია ყოველი შედევრის და მისი შემოქმედის კოსმიური პორტრეტი.

ფერწერა, ეს მონუმენტური იქნება თუ დაზგური, უნიკალური ოქროს ნაკეთობათა და ძვირფას ქვათა საგანძურში, მოზრდილ ბურთად ჩაგორებული ბრილიანტია. – ფერმწერი ღმერთსა და ადამიანს შორის ზეციური შუამავალიაო, გვმოძღვრავს დიდი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო.

რამდენიმე წელია ლუვრის საგამოფენო დარბაზების ხშირი სტუმარი გახლავართ. ათასწლეულების თუ ჩვენი ათასწლეულის უგვიანესი ეპოქებიდან მოყოლებული, კაცობრიობის ღვთიური ნიჭის საგანძურში ნებისმიერი ერის თუ რასის წარმომადგენელი, ერთნაირი სულიერი და გონებრივი განწყობილებით უშუალო კონტაქტს ამყარებს ფერწერის, ქანდაკების თუ დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებთან: განსაკუთრებით ხალხის გაუთავებელი რიგია ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასთან“, რაფაელთან, ბოტიჩელის, ტიციანის, დელაკრუას, ბრეიგელის, რემბრანდტის, დიურერის, გოლბეინის, კრანახის, მცირე ჰოლანდიელების, გოიას, ველასკესის, ელ-გრეკოს და მრავალ სხვა კლასიკოსთა შედევრების წინ. იგივე მდგომარეობაა უახლოესი საუკუნის ფერწერის და ქანდაკების ვარსკვლავებთან; რომლებიც ექსპონირებულია პარიზის სხვადასხვა მუზეუმებში: სეზანთან, ვან-გოგთან, გოგენთან, ბურდელთან, მაიოლთან, დესპიოსთან, ჰენრი მურთან, ცატკინთან, ბრანკუსისთან, ვლამინკთან, დერენთან, მატისთან, ჟორჟ რუოსთან, დიუფისთან, პიკასოსთან და კაზიმირ მალევიჩთან, შაგალთან, მოდილიანთან და კანდინსკისთან. აქ ხსენებულ მხატვართა გვარებს გადაავლეთ თვალი, როგორი მოზღვავებაა ებრაული ნიჭისა. მათ შორის აღსანიშნავია უდიდესი ფერმწერი ხაიმ სუტინი; დიდი ხანია ამ შესანიშნავი ფერმწერით ვარ გატაცებული, დაინტერესებული და აღფრთოვანებული.

პარიზში, კერძოდ „ორანჟერიის“ მუზეუმში, სუტინის ოცდაათამდე ორიგინალი, ფერწერული ტილო ვნახე. მერე მუზეუმშივე მხატვრის ძალიან კარგი ალბომიც შევიძინე. საქვეყნოდ აღიარებულია, რომ სუტინი უდიდესი ფერმწერია. საოცრად დამოუკიდებელი და ყველა ფერმწერისაგან გამორჩეული ინდივიდი. სუტინის მიერი მხატვრებიდან ისეთმა გამორჩეულებმა, როგორებიც არიან: ამადეო მოდილიანი, მარკ შაგალი, ვასილ კანდინსკი, ხუან მირო, ჟორჟ რუო და მრავალმა

სხვამ ისე ძლიერად იპოვეს თავიანთი სულიერი სახე და ფერწერის ფორმა, მანერა და სტილი, რომ პირადად მე ამის სრული აღწერა მიძნელდება.

ხაიმ სუტინის ტილოზე ფერის ცის ნაკადად მოსვლაა და სულიერი განწყობილების უცნაური გახელებაა, დიდი მისტიკური ფერმწერი, როგორც მარტოობის მხატვარი, თავისუფალი გონებისა და ხალასი სულისაა... მის სურათებში ფერთა ნიაღვრული მოვარდნაა და კოსმიურ სივრცეში, დედამიწის ფერთა სრულყოფილი და დამოუკიდებელი მოგზაურობაა; უსაზღვრო ჟღერადობის ფერთა, ლაქათა და ხაზთა სწრაფმავალი დინამიკაა. ყოველივე ეს საოცრება, თითქოსდა ხელშესახებ ხილულ სულად გვესახება. ვდგავართ მისი სურათის წინ და ირგვლივ იდუმალ ფერთა და ლაქათა ღრმა ენერგიული მოძრაობაა ყველგან. ზოგჯერ ნიავივით ტრიალებს სრული მიწიერი საამო მისტიკა. სუტინის ფერწერული სურათების მისტიკურ-ზღაპრული განწყობილება, თავშეუკავებლობით და აწყვეტილი დინამიკით, მძაფრი ტემპერამენტითა და უშველებელი მელანქოლიური სევდის მეშვეობით იძერწება ახალი მხატვრობის უცხო და ჩვენგან შორეული ფერწერული მაგია, რომელიც ყოველ ნორმალურ ადამიანს მაჯის პულსს აუჩქარებს, სულს აუფორიაქებს და ორგანიზმის მიკროუჯრედიც მისდა შესატყვისად გაცოცხლებულია (რა ცოტა ხანს იცოცხლა ამ დიდმა ფერმწერმაც). ამრიგად, მის ირგვლივ გამოფენილ მრავალ მხატვარს გვავიწყებს და მხოლოდ მისეული ნიჭის და საოცარი ინდივიდის ტყვეობაში ვარდები. მხატვრის მიერ ფერწერულად მკვრივად ჩამოსხმულ პორტრეტებში, გროტესკულობის და ყოველგვარი კარიკატურობის გვერდის ავლით, პერსონაჟთა არნახული მძაფრი ხასიათებია გახსნილი, შესაძლებელია ბოსხსაც შეშურდებოდა ყოველივე ეს. სურათის ხასიათური განწყობილება, შაშხანიდან გასროლილ ტყვიასავითაა, რომელიც მიზნის შუაგულ წერტილშია მოხვედრილი. დიდი რემბრანდტის, ვან გოგის, სეზანის, დერენის, გოგენის, მოდელიანისა და მრავალ ფერმწერთა ჯადოქრული მთავარი არტერიები და ჯანსაღი, სისხლის გამტარი ძარღვები სუტინშია ჩაქსოვილი. აქედან გამომდინარე, უნაკლო ნიჭის მხატვარი-ინდივიდი დიდ სუტინადაა ჩამოქანდაკებული. ყოველი ფერწერული სურათის ზედაპირზე, ფუნჯით წერის არნახული თავისებურებაა (მხოლოდ ფუნჯის) და ჯანსაღი სულის უკიდეგანო აწყვეტაა. მხოლოდ ასეთია ნაღდი ბუნების ფერთა დამოუკიდებელი არსებობა და დედამიწისეული სურნელით გაჟღენთილი მარადიული სიცოცხლე. მატისში, დერენში, პიკასოში, მოდელიანში, ვან-გოგში, დიუფიში, ფერი, ხაზი, ფორმა და სიტყვიერად ძალიან ძნელად გამოსახატი მხატვრული საოცრება, სურათის შინაგანი გემოვნება და კულტურა, რომელიც სრულყოფილად ემსახურება ფერწერული კომპოზიციის შექმნას; გენიალური მგოსნის ყოველი აბზაცის, საკუთარი პოეტური სტილის და უხილავი რიტმ-ხაზის განწყობილებასავითაა შობილი სუტინის ფერწერა, ანტუან ბურდელის შემოქმედებასავითაა ქვეყნიერების წინაშე ხელოვნების ამბოხებულად მოსული მისი სურათის ყოველ მონაკვეთში სრული მისტიკის კოსმიური, უსასრულო დინამიკა. ფეთქებადი ფერთა ფორმების მძლავრი კონტრასტული ლაქების და სურათში ამ ძალთა შემბოჭავი მხატვრული ხაზების და აუცილებელი ფერადოვანი წერტილების ზეძალა რომ არა, სურათის შემადგენელი ფერები და ფორმები ნიაღვრად გადმოვიდოდა კოსმიურ უსასრულობაში; სხვადასხვა ფორმის და ორნამენტიანი ჩარჩოების საცოდავი ცარიელი სახეები უნდა გენახათ მერმე...

სუტინის ფერთა ღელვა, მისი სისტემა და იშვიათი შემადგენლობა, სამყაროს რომელიღაც შორეულ გალაქტიკაში აფეთქებული, უზარმაზარ პლანეტასავითაა, რომელმაც წარმოშვა მრავალი მიკროპლანეტა და უთვალავი მეტეორი, რომელნიც უკიდეგანოდ მიმოფანტულია სამყაროს უსასრულობაში. ამდაგვარ კოსმიურ სასწაულს მოგვაგონებს ხაიმ სუტინის ზეემოციური შემოქმედება და დინამიკური ფერწერის უსასრულო და საკვირველ ფერთა ალიაქოთური ატეხვა; ხელოვნებაში ნებისმიერი მოდერნი უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ ცხოვრებისეულ და ბუნებრივ იდეას... სუტინის მუზეუმის ყველა მხატვრებისაგან განსხვავებული დარბაზიდან გავდივარ, ჩემთვის გარკვეული ფერწერული მიზნების და იქვე, მათივე სტილის დასაზუსტებლად, ასევე სუტინის, სხვა ფერმწერ მხატვრებთან შედარებისთვის. ამჯერად დერენის დარბაზში ვჩერდები და სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ღია ცის ქვეშ მოვხვდი: აქ სულიერი სიმშვიდე ვიგრძენი, მაგრამ, შინაგანი ფერწერული გამჭირვალება და უხმო, მძაფრი და ჩვენს სუტინთან ნათესაური დინამიკაა დერენშიც...

დერენთან, ძუნწი ფერების, შინაგანი სურათული ფუნქციის აწევაა მაღალ დონეზე და თანამედროვე მხატვრის საუბარია დიდი კლასიკოსების გახსენებით. დერენის ულამაზესი სურათებიდან გადავინაცვლე სხვა მომდევნო საგამოფენო დარბაზში და აგერ, ჩემი ტანჯული მოდელიანი შემომეგება. ფერი? ფერი აქ გახლავთ, მაღალი მხატვრული გემოვნების და მხატვრული შემადგენლობით საამოდ მსუყე, ღრმა შინაარსიანი, დრამატული, მაგრამ მხატვრის მიერ შექმნილი ყოველი ფორმა, ხაზი და კონკრეტული ულამაზესი ლაქები, ჯერ არნახული სიცოცხლით სავსე და ღრმად სულიერია. ჯანმრთელ ფერთა ჟღერადობისაა და სრულიად ახალი მუსიკალური ფორმის შობაა, ყოველი დეტალიც კი სურათში უდიდესი მათემატიკოსის დონეზეა გაანგარიშებული.

ხაიმ სუტინის შემოქმედებაში, სამყაროს უახლოესი ციური სხეულების ჩვენი პლანეტის და მასზე მცხოვრებ ადამიანთა სულიერი ამბოხის ფერწერული სურათია შექმნილი, რომელსაც გაგრძელება არ უწერია. ის შემოქმედებითი ალიაქოთი, მხოლოდ სუტინით მოვიდა და ძალიან ჩქარა წავიდა; ამ უძლიერესმა ფერწერულმა ქარბორბალამ ავტორი უდროოდ მიიტაცა. რატომღაც უზენაესი ძალისაგან სამუდამოდ დაკანონებულია, რომ გენიები ვაუკაცურად ეწირებიან მათსავე უდიდეს ნიჭიერებას და მაღალ სულს, ანუ ყოველი მათგანი ჩაძირულია კოსმიურ უმწვავეს შემოქმედებით საიდუმლოებათა უსასრულობაში.

ხაიმ სუტინს, თავისი შემოქმედებითი აზროვნების გალერეაში არ სჭირდებოდა აბსტრაქტული ფორმების მოხმობა; რადგან მთლიანობაში მისი ფერწერული მტკიცე სულიერი მოგზაურობა, ხალასი აბსტრაქტითაა გაჟღენთილი ამ ზოგადსაგნობრივმა მხატვრობამ უფრო გაამძაფრა ფერწერის სულიერი ჟღერადობა და ფერის ინტენსიურობა,მოძრაობა და ფერთა და ლაქათა დინამიკა. აბსტრაქტული ხელოვნებით, შესაძლოა მას სწრაფმავალი, კამკამა მდინარიდან ამოგდებული თევზივით ხელიდან გასხლტომოდა, ის უნიკალური სულიერება, რომელიც ანკარა მთის წყაროდ მოედინება მისი მარად მღელვარე სურათებიდან; სუტინი დამსახურებულად აღიარებულია თანამედროვე რემბრანტად...

სამწუხაროდ, ამ დიდი მხატვრის ბიოგრაფია მე არ მაქვს ძირფესვიანად შესწავლილი. მაშინ მე უფრო და უფრო მივუახლოვდებოდი მხატვრის გონებრივ და ფერწერის ენით სულიერ განსჯას, მის ღრმასა და ურთულეს შემოქმედებას. შესაძლოა სუტინის უფაქიზესი ნიჭის ნიუანსებამდეც ჩავწდომილიყავი...

სუტინი, როგორც სხვა მრავალი სახეობის ხელოვანთა უმეტესობა, შემოქმედებითი უკმარისობის მელანქოლიური შემოტევებით იტანჯებოდა ალბათ...

ხაიმ სუტინთან, ფერწერული ღვთიური ნიჭის სიმაღლის განუზომელობაა და შემოქმედი ჯადო სულის ვან-გოგისეული აღმაფრენაა, რომელიც ზღვის ტალღებად გამუდმებით ეხეთქებოდა მისი პიროვნების ცოცხალ კედელს. კაცობრიობის ისტორიის მიღმა ფესვებგადადგმული ძველებრაული სული ბობოქრობს მის სურათებში, რომელზეც კოსმიური მკაფიო მელანქოლიის და სევდის მგრძნობიარე მისტიკური ძაფი გაედინება.

მხატვრის სული უკიდურესად აფორიაქებულია, რომელიც ქართველი დიდი მგოსნის ტერენტი გრანელის არ იყოს, დედამიწაზე განსასვენებელ ადგილს ვერ პოულობს. არადა რომელ განსასვენებელზეა საუბარი, როცა მხატვრის სულიერი ჭურჭელი, კოსმიური ხელოვნების მდუღარე ცისფერი სითხითაა სავსე. მატისის და მოდელიანის სურათებს რომ შეჰყურებ, გინდა მათგან ფერთა დინამიკის, ხაზის ცოცხალი მოძრაობის უფრო მეტი და მეტი სულიერი გახელება იხილო, მაგრამ როცა აზრი, ფორმა, ხაზი და ფერთა შერჩეული ლაქები, ნაწარმოების სრულიად ახალი სურათულობის კანონზომიერებაზე მუშაობენ, ზემოთხსენებული ელემენტები ყოველივეს ეწირებიან, თანმიმდევრობით რეგულირდება და სურათულ მაღალ სიდიადეს საკვირველი ჰარმონიულობით აწესრიგებენ...სუტინის ნებისმიერი პიროვნული პორტრეტი, ნატურმორტი თუ პეიზაჟი, ფერწერულად თითქმის თანაბარ დონეზეა აყღერებული და ბეთხოვენის მეცხრე სიმფონიის დარად, გუგუნებს სურათთა ფერწერული საოცარი მუსიკა.

რა თქმა უნდა, აქაც ვლინდება მხატვრის განსაკუთრებული უნივერსალიზმი და უსაზღვრო ნიჭით ყველგან წვდება.

ფერწერის უდიდეს ჯადოქართან წითელი და თეთრი ფერი,მუქი ლურჯი, ნარინჯისფერი და ცისფერთა უამრავი ვარიაციები, კეთილშობილი ტონალობით გაჯერებული მრავალსახეობა შავებით: სხვადასხვა ტონალობის და ფერების მწვანეებით, უამრავი სახის ყვითლები, იისფერთა თანხლებით, მთლიანობაში კი მის სურათებზე სპექტრის ყველა ფერთა მონაწილეობა და საკუთარ ფერწერულ ჟღერადობადაა გარდასახული. ასევე საჭირო ადგილებში მათი დაბალი ფუნქციის მიხედვით, ფერთა თავისებური ჟღერადობის ფერწერული წნევა, უმდაბლეს ტონალობამდეა დაყვანილი, რომელიც საოცარ, სრულიად ახალ მხატვრულსა და ფერწერულ სახებას ემსახურება.

სუტინის მდიდარი ფერწერის, მსუყე ფერთა მრავალი ტონალობა, იქვე ძუნწი და მაღალმხატვრული ხაზის უფრო მასშტაბიანი ლაქების ძლიერი ჟღერადობა მძლავრ სტიქიურ დონეზეა თავმოყრილი და უჩვეულოდ ჰარმონიზებული. ამდაგვარი უცნაური და უცხო ფერწერის სტიქიური მოვარდნა, სრულიად ახალ მხატვრულ ფერწერულ სურათებს ჰქმნის. ოკეანის შუა ზედაპირზე ბუნებრივად წარმოშობილ ქარბორბალასავით სულიერებით სავსე შემოქმედებას მაღალი საზოგადოების წინაშე. ხელოვნებათმცოდნეები მოდელიანთან, მატისთან, კანდინსკისთან, პიკასოსთან, სალვადორ დალისთან და ზოგიერთი სხვა კორიფეების გვერდით საკადრისად არ მოიხსენიებენ, ზემოთ ჩამოთვლილმა მხატვრებმა, სურათის სალაპარაკო-მხატვრული ენა უკიდურესად დაამუშავეს. სუტინი კი ცალკე აფეთქებული დუმილია. უცნაური და ამდაგვარი ფორმის, კოსმიური სურათი დაფიქსირდა მხატვარში... ამ შემთხვევაში, ჩემებურად ავხსნიდი მკვეთრად განსხვავებულ მდგომარეობას. ოდითგანვე ადამიანები, მისი

გაჩენის თუ დედამიწაზე ჩამობრძანების დღიდან, ანუ სანამ ჩამობრძანდებოდნენ, რა თქმა უნდა, ისინი პირვანდელ საუფლოშიც თავიანთი გონებით და აზროვნებით სამყაროს ზე ძალებისგან ჩაგზავნილი კანონიკებით დაკანონებული იყვნენ და არიან... ეს აუცილებელი და ხელთუხლებელი სამყაროსეული მარადიული კანონიზაციაა, ჩვენს ცხოვრებაშიც ყველგან ვლინდება რელიგიური გარემოდან დაწყებული (რელიგიური სამყარო კი მკაცრი კანონიკებითაა შემოფარგლული, რომელიც დოგმატიზმად მოიხსენიება). მხატვრებიდან მაგალითისათვის მოვიყვანოთ მოდილიანი, ის ხომ უდიდესი ინდივიდი და გენიაა, რომლის შემოქმედება უზენაესის თანადგომით მკაცრად დაკანონებულია, ამგვარად, მოდელიანმა შექმნა თავისი დამოუკიდებელი სტილი და ყველასგან განსხვავებული მხატვრული გარემო, რომელიც მოდილიანისეულად შექმნილ კანონიკებშია ჩაკირული. უფრო სრულყოფილად რომ ავხსნათ, შორეული თავისუფლებიდან ჩამობრძანებულ სრულიად ახალ მხატვრულ სახეს ზეციური კანონიკებიც ჩამოჰყვა და მთელ მის შემოქმედებაში განთავსდა. იგივე შემოქმედებით პროცესს გადიან ბოსხი, კრანახი, ბრეიგელი, ელ-გრეკო, ნიკო ფიროსმანაშვილი, პიკასო, მატისი, სარიანი და სხვა მრავალი (ამ ურთულეს თემაზე ცალკე შეიძლება ვრცლად დაიწეროს) ყოველი მათგანი ემორჩილება მათდაუნებურად გარკვეულ კანონიკებს, რომელიც ჩვენამდე უხილავი არხებით სამყაროს კოდექსის წიგნიდან მოჟონავს და ის ყოველ დიდ შემოქმედებით და მეცნიერულ სიახლეებს თანამგზავრობს. მაგალითისათვის, ვასილ კანდინსკის შემოქმედება და ალბერტ აინშტაინის მეცნიერებაც გვეყოფა. მათი მხატვრული და მეცნიერული სიახლე, აბსტრაქტული ხელოვნებით ხომ კოსმიურ კანონიკებშია გაფილტრული...

ხაიმ სუტინი კი, თავისი შორეული და მაღალი კოსმიური გონებიდან გამომდინარე, ამდაგვარ სისტემასთან დაუმორჩილებლობას ამჟღავნებს, რატომღაც მხატვარი ყოველი ფერწერული ტილოს ხატვას იწყებს თავისი პიროვნულობიდან გამომდინარე, მძაფრი სტიქიური აწყვეტილობით და უსაზღვრო ფორიაქით, რომელიც ყოველგვარი ფერწერის აუცილებელ კანონებსაც კი სცილდება. მერე, საბედნიეროდ, როგორც ნებისმიერი ბუნების სტიქიურ აბობოქრებას აწესრიგებს სამყაროს კანონიკური უძლიერესი ზე ძალა, ასევე ხაიმ სუტინის ფერწერას ამშვიდებს იგივე კოსმიური წესრიგი: მაგრამ მაინც მხატვრის ნებისმიერი სურათის მესამე პლანზე ნათლად შეინიშნება ამბოხებული ადამიანის მოძრაობა, ყოველგვარი ფერწერის და მხატვრული შემოქმედებითი კანონისადმი დაუმორჩილებლობისა. აქვე, მხსნელ შემთხვევაში სამყაროს მთლიანობის მომწესრიგებელი ზე კანონიკური მძლავრი ზეგავლენა რომ არა, სუტინი კაცობრიობის და უკვდავი ხელოვნების წინაშე გაშიშვლებული წარსდგებოდა თანამედროვეობიდან მარადიულობაში ქაოსური ფერწერის საკვირველ ნიმუშად. მოგეხსენებათ, უამრავი ფორმის და სახის, ურთულესი თვისებების და ძალის მქონე ქაოსიცაა სამყაროს უზარმაზარ სამზარეულოში. მაგრამ მათზე უფრო დიდი და ღვთიური სიდიადის კანონთა წინაშე, ის უთუოდ უძლური და უსუსურია. ამ შემთხვევაში, ხაიმ სუტინის თითქოსდა უდრეკი ზეციური ნიჭი და მთლიანი შემოქმედება ზე ძალამ იხსნა ამდაგვარი კოსმიური ქარბორბალასაგან და მხატვარი-ფერმწერი, წარმოგვიდგინა სამყაროს კანონიკურ თვისებათა დასრულებული ფორმის ტყუპისცალად და აქაა კაცობრიობის მოწინავე და მაღალ ხელოვნებაში ხაიმ სუტინისეული სიახლე და მარადიული სიდიდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუარა სორდია

„გრაალი“ - კაცობრიობის მარადიული იდეალი

გრაალის ორდენის რაინდები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში (გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა).

ორგვარ სიბრძნეს განარჩევენ ბიბლიაში: მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრძნეს (ბარუქი, 3,23) (ეშმაკეულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილს.

პავლე მოციქული აცხადებდა: „...ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე,როგორც წესია: „მათ ცბიერებაში შეიპყრობს ბრძენებს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 3,19)

სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოგვიწოდებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (Iკორინთელთა, 2,7)

წმინდა მამა განასხვავებდა „ხორციელ გონებას“ და „ღვთის მადლს“ (II კორინთელთა, 12)

პავლე მოციქულისთვის მიუღებელი იყო „ფუჭი ამპარტავნობა ხორციელი გონებით“ (კოლასელთა, 2,18)

მისი იდეალი იყო სულიერი გონება, ღვთის სიბრძნე: „ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით“ (კოლასელთა, 1,9)

უზენაესის შესაცნობად საჭიროა „სიბრძნისა და გამოცხადების სული:“ „...ვლოცულობთ, ...რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2,17)

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა ზერელე „სწავლას“ და „შემეცნებას“, კიცხავდა „ხორციელ სიბრძნისმეტყველებას“ და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას“ (3,47-48, 49-50).

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია-არარელიგიურია, ინტერნაციონალური(აკაკი მინდიაშვილი) (4,116).

ნამდვილი მწერლობა ყოველთვის რელიგიური იყო და მისი ორიენტირი იყო ღვთის სიბრძნე.

ათეისტური ტირანიით ცნობილ მეოცე საუკუნეშიც იყვნენ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატები, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ რწმენასთან, სულიერებასთან, მარადიულ იდეალებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება გრაალის პრობლემისადმი.

გრაალი ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია.

უკვდავების ძიება კაცობრიობის მარადიული იდეალია, ამიტომ ყველა ქვეყანაში არსებობს გრაალის იდენტური საკრალური, დაფარული საგანი. ასეთია უკვდავების სასმელი „სომა“ ინდოეთში, ირანული ტრადიციით-„ჰაომა“.ეს სასმელი, სათანადოდ შემზადებული, ადამიანს აღუდგენდა მარადისობის განცდას.

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და რომელიც შემდგომ იოსებ არიმათიელმა (ქრისტეს ფარულმა მოწაფემ)

ქრისტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.

ლეგენდის მიხედვით, თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა. ეს კელტურ და ქრისტიანულ კულტურებს შორის კავშირის გაბმას მოასწავებდა.

თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისაგან,რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას. ეს ზურმუხტი გვაგონებს ურნას, შუბლის მარგალიტს, რომელიც ინდურ ტრადიციაში ძალიან ხშირად შივას „მესამე თვალის" ადგილს იკავებს და მარადისობის განცდას ანიჭებს.

ლეგენდაში ისიც ნათქვამია, რომ გრაალი ადამს ჩაბარდა მიწიერ სამოთხეში, მაგრამ დაცემისას დაკარგა იგი სამოთხიდან განდევნილმა, რადგან ზეადამიანურ მდგომარეობას ცოდვილნი ვერ ეზიარებიან.

შემდეგ შეთმა (სეთი, ადამ და ევას ძე კაენისა და აბელის შემდეგ) სამოთხეში შესვლის უფლება მიიღო და დაიბრუნა თასი. მას თავის მიმდევრებთან ერთად უნდა დაეარსებინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი.

ცნობილი არ არის, სად და ვინ შემოინახა გრაალი ქრისტეს ეპოქამდე.

გრაალი იკარგება ან იფარება, როცა ის უშუალო კავშირს წყვეტს უზენაეს ცენტრთან.

ავგუსტინეს მიხედვით, წარღვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის „ენოქის სამკვიდრებელი და წმინდა მიწა". მისი თხემი „მთვარის სფეროს ეხება", ე.ი. ცვალებადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში.

მაგრამ როცა შესუსტებულია რწმენა, იგი დახურულ ცენტრებში ინახება.

„გრაალ" სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. გრაალი თასიც არის და წიგნიც. ეს უკანასკნელი ასპექტი ცხადლივ აღნიშნავს ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სულიერ ცენტრებს განუყრელად უკავშირდება მრგვალი მაგიდა, მის ირგვლივ შემოკრებული თორმეტი პერსონაჟით. ეს მაგიდა განკუთვნილია გრაალის მისაღებად(5,10).

გრაალს უკავშირდება მონსალვატის „მთა ხსნისა", სიმბოლო მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს „შორეულ ნაპირზე", მოკვდავთაგან რომ ვერავინ მიუახლოვდება. იგი „მიუწვდომელ მხარეში", შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და „პოლარული მთაც." ეს არის უკვდავების მიწაც, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ.

გრაალის უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას. აღმოსავლეთში სამსხვერპლო თასი შეიცავდა უკვდავების სასმელს: ვედური ტრადიციით-სომას, ხოლო მაზდეანურით-ჰაომას.

თასის დაკარგვა მოასწავებს არა იმდენად ნივთიერი დოვლათის დაკარგვას, არამედ ტრადიციის შებღალვას. და იგი კვლავ ზებუნებივი ჩარევით უნდა აღდგეს. თასი უნდა გამოჩნდეს კვლავ ზეციდან მაღალ მთაზე, ან აღმოჩნდეს გამოქვაბულში, ან მიწაში ჩამარხულს უნდა წამოედოს სახნისის პირი. ასეთ ანდრეზებში თასი ჭეშმარიტებისა და წმინდა რეალობის ნივთიერი გამოხატულებაა და მისი ორმაგი ადგილმდებარეობა-ცაში და მიწაში-ჭეშმარიტების „ხილვადობისა" და „შებურვილობის" პერიოდებზე მიუთითებს (რენე გენინი, მთა და გამოქვაბული, „ლიტერატურული საქართველო", 1987, 27 დეკემბერი, გვ. 5).

„და თუ ანდრეზის საკრალური შინაარსი ასაღორძინებელია ცნობიერებაში, მისი აღორძინება კვლავ სიწმინდის წიაღშია შესაძლებელი (იქვე).

რენე გენონის ნააზრევში განსაკუთრებით საყურადღებოა თასისა და წიგნის იდენტურობის დაშვება.

ხოლო მოციქულთა რიცხვის თანაზიარი თორმეტი რაინდი, მრგვალი მაგიდის გარშემო რომ არიან შემოკრებილი და ზნეობრივ სრულყოფას ესწრაფვიან, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ეკლესია, რომელთა მინიმალური რიცხვი თორმეტია „მოციქულთა დადგენილებების“ (V) თანახმად, კრებული მორწმუნეთა ბარძიმ-ფეშხუმის მოლოდინში, რომელსაც მათ წინაშე საფარველი (დაფარნა) უნდა აეხადოს, რომ სათითაოდ ეზიარონ „უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა.“

ზურაბ კიკნაძე არ ეთანხმება თასის ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში გრაალის ლეგენდის გამოძახილის დანახვას. ფშავ-ხევსურეთის საყმოებში თასი სადღესასწაულო სიწმინდეა, მაგრამ მხოლოდ თავისი საიდუმლოებრივი წარმოშობითა და მოუხელთებლობით თუ მოგვაგონებს იგი გრაალს. თასის მცველი და მპყრობელია უხუცესი (იქვე).

გრაფ თარხანის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის დროს თასის ასაკი რამდენიმე საუკუნეს აღწევდა.

თასი ძვირფასი, არამიწიური ქვისგან იყო გამოთლილი, რომლის შუაში ძვირფასი ქვა იჯდა. ეს ქვა მამაღმერთმა ლუციფერის განდევნის დროს მისი გვირგვინიდან მოხსნა, რითაც დაცემულ ანგელოზს სამყაროს მართვის უფლება წაართვა. შემდეგ სასმისი, ღმერთმა თავისსავე შექმნილ ადამს გადასცა, მაგრამ მისი შეცოდების შემდეგ თასი კვლავ ზეცაში დააბრუნა და ქრისტეს უბოძა.

არსებობს ლეგენდის სხვა ვერსიაც. მთავარანგელოზ მიქაელის მითითებით, ანგელოზები თავს დაესხნენ ლუციფერს და შერკინების დროს მთავარანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ამოუგდო ლუციფერს გვირგვინიდან ზურმუხტის თვალი. შემდეგ მისგან გააკეთეს სასმისი, რომელსაც წმინდა გრაალის თასი ეწოდა.

გრაალის თასში თავმოყრილია ის დიდი სიძლიერე, რომელიც მამა ღმერთმა თავის შვილს გადაულოცა. გოლგოთაზე კი მაცხოვრის სისხლი ბოლო წვეთამდე სწორედ ამ თასში მოგროვდა. სისხლი არ დედდებოდა და არ ციოდებოდა. თასმა იოსებს ხელები დასწვა. მისი ტემპერატურა მზის ტემპერატურას უტოლდებოდა, მაგრამ არაფერს წვავდა. იოსებმა ანგელოზისგან მიიღო მითითება, როგორ უნდა შეენახა და დაეცვა თასი. ეს მითითება თასთან ერთად მან გადასცა მემკვიდრეს, რომელმაც სულ მალე პალესტინა დატოვა და ქრისტეს მრწამსის გასავრცელებლად დასავლეთისკენ გაეშურა.

გრაალის თასის კვალი IV საუკუნეში იკარგება... გრაალის თასმა „ვერ აიტანა“ ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვა და გაქრა. ამის შემდეგ ის ინახება საიდუმლო ტაძარში და ელის დროს, როცა კვლავ წარდგება მსოფლიოს წინაშე.

გრაალის თასის კულტი შუა საუკუნეების ბრიტანეთში წარმოიშვა. თასს აქვს უნარი გაჯანსაღებისა, თუ მას ადამიანი რვა წლის განმავლობაში დაეუფლება. ასევე, ვინც მისგან სითხეს მოსვამდა, ყველა ცოდვა მიეტევებოდა, ჩვეულებრივი მოკვდავი და ცოდვილი თასს ვერ დაეუფლებოდა.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვით იოსებ არიმათიელი, წმინდა ფილიპეს დავალებით, იერუსალიმიდან ბრიტანეთში გადავიდა და მისთვის მინდობილი

რელიქვიაც თან წაიღო. იქ, გლასტონბერთან, მან მიწაში ჯოხი ჩაარჭო. ჯოხმა ფესვები გაიდგა და კვრინჩხის ბუჩქად გადაიქცა, რომელიც წელიწადში ორჯერ ყვაოდა. იოსებმა ეს მოვლენა ღვთის ნიშნად მიიჩნია და იმ ადგილას ეკლესია ააგო, რომელიც მოგვიანებით სააბატოდ გადაიქცა, მიიჩნევენ, რომ გრაალის თასი სწორედ გლასტონბერის სააბატოს მიწისქვეშეთში ინახება. განსხვავებული ცნობით, თასის ადგილსამყოფელად ესპანეთში მდებარე სალვატის ტაძარი მიიჩნევა, რომელიც ერთ ღამეში აუშენებიათ ანგელოზებს.

მეფე არტურზე შექმნილ ლეგენდებში მთავარია გრაალის თასის ძიება.

1485 წელს, თამაზ მელორმა გამოაქვეყნა წიგნი „არტურის სიკვდილი." მასში აღწერილია, როგორ გაემართა 150 რაინდი წმინდა გრაალის საძებნელად კამელოტიდან. ციხე-სიმაგრეს,სადაც თასი ინახებოდა,პირველი სერ ლანსელოტი მიუახლოვდა. გაიღო კარი, იქიდან დიდი სინათლე წამოვიდა და როგორც კი ზღურბლზე გადმობიჯება დააპირა, შემოესმა ხმა, რომელმაც ამცნო, რომ თუ შენობაში შევიდოდა, აუცილებლად დაისჯებოდა. ლანსელოტმა უკან დაიხია, მაგრამ ღია კარიდან დაინახა დარბაზის შუაგულში აღმართული კათედრა წმინდა გრაალის თასით, რომელსაც ანგელოზები ეხვეოდნენ. კათედრის წინ თეთრებში გამოწყობილი მლოცველი ღვთის მსახური იდგა. ლანსელოტს მოეჩვენა, რომ მას ფეხზე დგომა უჭირდა, ღმერთს სთხოვა, მიეცა მისთვის უფლება, მოხუცს მხარში შესდგომოდა. როცა გადააბიჯა ზღურბლს და კათედრისკენ გაემართა, ცხელი ჰაერის ტალღამ უკან გადააგდო, შემდეგ რამდენიმე ხელმა აიტაცა ჰაერში და გარეთ გაიყვანა. ლანსელოტი არ აღმოჩნდა ღირსი, რომ გრაალს მიახლოებოდა. რელიქვიამ ის უარყო. ლანსელოტის შემდეგ მოსულმა დიდგვაროვნებმა დაინახეს, როგორ დაეშვა ზეციდან ხელი, აიტაცა გრაალის თასი და ზეცაში წაიღო.

შუა საუკუნეებში გრაალს სიყვარულის ტაძარს უწოდებდნენ. მისი შეხების უფლება მხოლოდ უმანკო მამაკაცს ჰქონდა.

ლეგენდის მიხედვით, მამა ღმერთს სამყაროს შექმნის დროს ხელში წმინდა გრაალის თასი ეპყრა.

ბიბლიაში გრაალის პირველი ხსენება მეფე მელქისედეკს უკავშირდება. ის გრაალის მცველად მოიაზრება.

ვის ხელში არ გამოიარა გრაალმა, იკარგებოდა და ხელახლა მოიძებნებოდა ხოლმე, ის მოულოდნელად ქრებოდა, ასევე მოულოდნელად გამოჩნდებოდა სრულიად შეუცნობელ ადგილებში.

მაცხოვრის ჯვარცმისას გრაალი ზეციდან დაეშვა უამრავ თეთრებში გამოწყობილ ანგელოზთან ერთად და ის მოულოდნელად აღმოჩნდა იოსების ხელში. იოსებმა იესოს სისხლი მოაგროვა თასში. ჯვარცმის შემდეგ გრაალის თასი მამა ღმერთის ტახტრევანთან ამაღლდა, ხოლო ჯვარცმისა და ქრისტეს სხეულის დაკრძალვის შემდეგ იოსებმა გრაალი წმინდა მარიამს მოუტანა და უთხრა: „დღეიდან შენ ხარ მისი მცველი, შენ ხარ ქრისტეს ხორცშესხმული თასი. შენ ხარ წმინდა გრაალი და ცოცხალი საკურთხეველი. ნეტარო მარიამ, მიიღე ჩემი ხელიდან ეს წმინდათაწმინდა ჭურჭელი ჩვენი ღმერთისა და გაუფრთხილდი მას. ღმერთი აღუთქვამს მუდმივ სიცოცხლეს მას, ვინც ამ წმინდა სასმისიდან მის წმინდა სისხლს მოსვამს".

მარიამმა პირველმა მოსვა წმინდა სასმისიდან ღვთის სისხლი, რომელიც მაშინვე „გამრავლდა" და პირვანდელი მოცულობა დაიბრუნა.

წმინდა გრაალს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა: თასის შიგნით თავიდანვე სასწაულები ხდებოდა. ვინც მასში ჩახედვას მოახერხებდა, მხსნელის აჩრდილს ხედავდა. მაცხოვარი ჩნდებოდა თასში და იქიდან ესაუბრებოდა მათ, ვისაც ამის ღირსად მიიჩნევდა.

წმინდა სასმისის ანგელოზები აუწყებდნენ წმინდა ქალწულს, რა განსაცდელი ელოდა გრაალს, როგორ ბოროტებას ჩაიფიქრებდნენ მის წინააღმდეგ ჯერ იუდეველი ფარისევლები, შემდეგ კი მათი მემკვიდრეები, ქრისტიანი მამები, იმპერიული რწმენისა და რომაული ცეზარეპაპიზმის დროს. ფარისევლებმა დააწესეს დიდი ფულადი ჯილდო იმისთვის, ვინც სინედრიონში წმინდა გრაალის მიტანას შეძლებდა.

წმინდა გრაალი მხოლოდ ადრექრისტიანული აღაპების დროს, ლიტურგიებზე, ერთდროულად ჩნდებოდა რამდენიმე ადგილზე, იცვლიდა ფერს, მის თავზე კი გამუდმებით ეკიდა ცეცხლოვანი ჯვარი. ხანდახან კი თვით მაცხოვარი ცხადდებოდა და თასში ჩაეშვებოდა ხოლმე.

თასის მოულოდნელი გამოჩენა რწმენის გამყარებას უწყობდა ხელს. წმინდა გრაალის მეშვეობით ჩამოყალიბდა რაინდთა საძმო, რომლის წევრებსაც სამუდამო უმანკოების ფიცი ჰქონდათ დადებული. ისინი იკვებებოდნენ მხოლოდ ზეციდან მოვლენილი საკვებით. ტრაპეზის დროს მაგიდაზე მხოლოდ ვერცხლის და თიხის ჭურჭელს დგამდნენ. სპეციალური ლოცვის აღვლენის შემდეგ,მაგიდის თავზე გამოისახებოდა გრაალი. ჭიქები საუკეთესო ღვინით ივსებოდა, ხოლო ლანგრებზე, საუკეთესო თევზი და არამიწიერი საკვები ჩნდებოდა. რაინდები ღვთის ნებას გრაალის შიგთავსში კითხულობდნენ, რომელიც სითხეში წარწერების სახით ჩნდებოდა.

დედამიწაზე ცნობილია გრაალის 180 მცველი.

IV საუკუნეში, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, გრაალი გაქრა. რაინდები ტყეში გადასახლდნენ. შუა საუკუნეებში, ინკვიზიციისა და ჯვაროსნული მოძრაობის დროს, გრაალი უფრო მიყრუებულ ადგილზე გადაიტანეს.

ფაშიზმის მიმდევრები ჰიტლერის დავალებით ცდილობდნენ გრაალის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათ მხოლოდ იმ შუბს მიაგნეს, რომლითაც დაჭრეს იესო. შუბი დიდი ხანი ინახებოდა ნიურნბერგის ახალ საიდუმლო საცავში, მაგრამ მესამე რაიხის დაცემის შემდეგ, 1945 წლის 30 აპრილს, ამერიკულმა სპეცდანიშნულების რაზმმა საიდუმლო სამალავი აღმოაჩინა. 1945 წლის 4 იანვარს რელიქვია გაიგზავნა ვენაში, სადაც დღემდე ინახება ჰოფბურგის სასახლის განძსაცავში (გრაფი თარხანი, გრაალის თასის მცველები...ჟ. „გზა“, 2007, 28 ივნისი-4 ივლისი).

გრაალი, ეზოტერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა.

ალქიმიკოსებისთვის „გრაალი“ ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან, ანუ „ფილოსოფიურ ქვასთან“ არის გაიგივებული, რაც ანტიკურ პერიოდში იგივეა, რაც შუა საუკუნეებში „გრაალი“. „ფილოსოფიური ქვის“ ძიება არის სულიერი გზა, რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება ძიებას „ოქროს საწმისის.“ რამდენადაც „ფილოსოფიური ქვა“ და გრაალი იდენტურად მოიაზრება, „ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკურ გრაალს ეწოდება „ოქროს საწმისი.“

„გრაალი“, ბერძნული ვერსიით, ღვინისა და წყლის შესარევ ჭურჭელს, ლათინური ვერსიით ჭეშმარიტ სისხლს, ხოლო ისლანდიური ვერსიით სიხარულის კალათას ნიშნავს.

„გრაალთან“ დაკავშირებულია ადამიანის ასტრალური სხეულის განწმენდა ქვენა ინსტინქტებისა და ვნებებისაგან. ძველი ბერძნები ამ უდიდეს სულიერ პროცესს „ოქროს საწმისს“ უკავშირებდნენ. (თენგიზ ბურჭულაძე, დავით აღმაშენებელი და გრაალის რაინდები, „რიწა“, 1982).

ცნობილი რუსი მოგზაური, მხატვარი და ორიენტალისტი ნიკოლოზ რერიხი წერს: „Великая чаша сделана из драгоценного камня. Много внимания уделялось чудесному камню, упавшему с далекой звезды... Должное время камень исчезает, чтобы опять появиться в сужденный срок в совершенно другой стране“(Н. Рерих, Избранное, М. 1979,გვ. 127).

პოეტ იოჰან იოზეფ გორესის (1776-1848წწ). აზრით, „გრაალში“ ჩაწნულია უძველეს ქურუმთა საიდუმლო სიბრძნე. იგი პარალელს ავლებს ჰერკულესის თასთან, რომელსაც ბაკხუსის მისტერიების დროს იყენებდნენ. ეს თასი ჰერკულესს მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა, რომელიც კოლხი მედეას პაპა იყო.

ზოგიერთი მკვლევარი „გრაალის“ თასს ჰერმეს მეგვიპტელისა და ჯემშიდის თასსაც უკავშირებს. პერსეპოლისის ამშენებელი ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმული სითხეც სიბრძნისა და უკვდავების სიმბოლოდ მოიაზრება.

ბრიტანეთში „გრაალის“ ორდენის რაინდთა შორის იყო რაინდი პარციფალი (პარსიფალი), რაც სიტყვასიტყვით მოხეტიალეს ნიშნავს. მან მოიპოვა წმინდა სასმისი და ღვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. მას სათნოებისთვის ერგო თასი, შუბი და დავით მეფის ჯადოსნური მახვილი.

წმინდა „გრაალი“ ჰიპოფიზის სიმბოლოა-ანუ ადამიანის თავის ტვინის ზედა დანამატის, რომლის მიერ გამომუშავებული ჰორმონები არის სწორედ მთავარი წარმმართველი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ-ფსიქიკური პროცესების, ხოლო სასწაულმოქმედი „შუბი“ ეპიფიზის სიმბოლოა. ეპიფიზი თავის ტვინის ზედა დანამატია, რომლის მიერ გამოყოფილი ბიოლოგიურად მაღალაქტიური ჰორმონები ადამიანის სისხლში შედის. კაცობრიობა მას „მესამე თვალის“ სახელწოდებით იცნობს, რაც ანატომიური ცდებითაც დასტურდება. რენე დეკარტის აზრით, „ეპიფიზი სულის სამყოფელია.“

პარციფალმა უვნებლად განვლო კლინგსორის ხიფათებით სავსე სასახლე, დალაშქრა „ხსნის მთა“ და იქ მდებარე ტაძარი დაიპყრო. ეზოთერული თვალსაზრისით, კლინგსორის სასახლე ცხოველური ენერგიაა, რომლითაც ადამიანი ცდუნდება. „ხსნის მთა“ ადამიანის სხეულია, ხოლო მწვერვალზე არსებული ტაძარი-თავის ტვინი. მიზანი ის არის, რომ ფიზიკური სხეული უნდა გახდეს სულის მეგობარი, დაეხმაროს ჩვენს არსებას სულიერი ხედვის გაღვიძებაში, რელიგიური ცნობიერებით დაძლიოს ცხოველური საწყისები.

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებიდან ოცი წლის შემდეგ, 1119 წელს, იქმნება ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა ორდენი.

ტამპლიერები მონაწილეობდნენ დიდგორის ომში.

ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ მეფე-ხუცეს იოანეს.

ვოლფრან ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალში“ მეფე ხუცესი იოანე არის პარციფალის ნახევარძმის ფაირეფიცის ძე. ფაირეფიცი ეტიმოლოგიურად ნიშნავს „შავ-თეთრს.“

პარციფალი წარმოადგენს დასავლური ეზოთერიზმის გზას, რომელიც ეძებს „გრაალს," ხოლო ფაირეფიცი-აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის გზას, იმდროულად, თეთრი და შავი რასების შერევას. შავ-თეთრი არის იმიტომ, რომ ქრისტიანული დასავლური სიბრძნე შერწყმულია არაბულ სიბრძნესთან. ხდება დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის სინთეზირება.

დავით აღმაშენებლის ქრისტიანული მსოფლგანცდა დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის ნაერთია, ამიტომ ძველ ისტორიულ-ჯვაროსნულ ქრონიკებში „შავ-თეთრი" ანუ მეფე-ხუცესი იოანე სიმბოლურად ნიშნავს დავით აღმაშენებელს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერებთან იყვნენ დაახლოებულნი. ტამპლიერები აღმოსავლურ ესთეტიზმს ქრისტიანულ მრწამსს უხამებდნენ. ტამპლიერთა გვიანდელი მემკვიდრეა როზენკროიცერთა ორდენი, რომელიც რელიგიათა სინთეზს ისახავდა მიზნად და ამის ემბლემაა ვარდებიანი ჯვარი. ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ვარდი-ისლამის, მაგრამ რელიგიათა ასეთი შერწყმა მიუღებელია მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის (თენგიზ ბურჭულაძე).

სულ სხვაგვარია გრიგოლ რობაქიძის მიერ მოაზრებული გრაალი რომანში „გრაალის მცველნი."

გრაალის არსი გახსნილია ლექსში, რომელსაც გრაალის მცველი ლევან ორბელი კითხულობს.

უფსკრულის პირას იდგნენ რაინდები, რომლებმაც მტრის მორჩილებას სიკვდილი არჩიეს. მათ ჰქონდათ წმინდა ნინოს ჯვარი, ვაზისგან გამოთლილი და მისი თმით შეკრული. უფსკრულში გადაშვების წინ პატარა, მტირალი გოგონა შემთხვევით შეეხო ჯვარს. გამხმარი ხე აყვავდა, ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა და სასოწარკვეთილ რაინდებს უძლეველი ძალა მიეცათ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს, წვენი თასში დააგროვეს და თასი ფარულად შეინახეს, როგორც სიწმინდე. თასის გარშემო საიდუმლო ორდენი ჩამოყალიბდა მრავალი მცველით. თასში იდო გული - საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობდნენ იდუმალ მიწას.

თასის მცველები, განსხვავებით გრაალის მცველებისაგან, იყვნენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ამ პერსონაჟთა გვარები გაშიფრა კ. სალიამ: ოდილიანი-პაოლო იაშვილი, ავალა-ტიციან ტაბიძე, მზისავარ-აპოლონ წულაძე, დათა და კოსტა-ძმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძეები, ჰიდდირ-მამედ ბეგ აბაშიძე, საღარა-მფრინავი საღარაძე, მარჯანი-კოტე მარჯანიშვილი, უშანგ-უშანგი ჩხეიძე, ხორავ-აკაკი ხორავა, ვასსა-აკაკი ვასაძე, ვანო-იაკობ ნიკოლაძე, ს.ო.-სერგო ორჯონიკიძე, შავდია-ლავრენტი ბერია, ლეგა-ლევან ღოღობერიძე.

კ. სალიას არ მიუთითებია, ვინ იგულისხმებიან ლევან ორბელის და თავად გიორგის სახეში, მაგრამ ლევან ორბელის პროტოტიპი თვით გრიგოლ რობაქიძე უნდა იყოს!

ასევე დაუდგენელია რუსი ჩეკისტის ველსკის ადრესატი.

თასის მტრები არიან ს. ო. შავდია და რუსი ჩეკისტი ველსკი.

ბუნებრივია, გრიგოლ რობაქიძემ თასის მცველებად მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები, რწმენით, სულიერებით გამორჩეული ადამიანები რომ შეარჩია.

თასის განადგურება ერის სულის ჩაკვლის ტოლფასია და ამიტომ დაეძებს მას ჩეკისტი ველსკი, რადგან ამით ხალხის დაბეჩავება სურს. ამას ის

კაცობრიობისთვის თავისუფლების მოტანის სურვილით ამართლებს და ამტკიცებს, რომ ღმერთის რწმენა იგივე მონობაა და ადამიანი უნდა განთავისუფლდეს მისგან.

რომანში იდუმალი კავშირი იკვეთება ორ მოვლენას შორის. ველსკის ნაამბობის მიხედვით, ნაპოლეონის ჯარებმა იტალიაში ილაშქრეს, გენუა დაიკავეს და სან ლორენცის ტაძარში საფირონის შვიდკუთხიანი თასი იპოვეს,რომელიც, თქმულების თანახმად, ჩამოტანილი იყო ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიიდან და წმინდა გრაალად ითვლებოდა. მორწმუნეები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ ტაძარში მის სანახავად. ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა მისი ღირებულების დასადგენად.

იმავე დროს, ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის მთასთან დაბანაკდა ჯარი. იქ იდგა ცისე-დარბაზი, რომელიც, თქმულების მიხედვით, ლოენგრინსა და გრაალის სხვა რაინდებს უკავშირდებოდა. ფრანგებმა დაანგრიეს მონასტერი და მოციქულ ლუკას მიერ ხისგან გამოჭრილი ხატიც იავარქმნეს. ამ დროს პარიზში გაიბზარა სან ლორენცის ტაძრიდან ჩამოტანილი თასი.

ველსკის ნაამბობიდან ის აზრი იკვეთება, რომ სიწმინდეთა ხელყოფა სიმამაცეს ამტკიცებს და, ვინც უშიშარია, უბრალო მოკვდავზე, ათეისტზე მეტია.

რომანში აღწერილია 1924 წლის აჯანყება, რომელიც დამარცხდა.

ველსკის ამ დამარცხებაზე მეტად გრაალის განადგურება აინტერესებს, რადგან რწმენის, სულის გადარჩენა ერის გადარჩენის ტოლფასია.

ველსკი, ქართველი და რუსი ჩეკისტები ვერ მოახერხებენ გრაალის ხელში ჩაგდებას. ლევან ორბელი და მისი ამხანაგები გადაარჩენენ გრაალს.

გრიგოლ რობაქიძის რომანის „ალეგორიულ შინაარსს“ ასე შიფრავს აკაკი ბაქრაძე: „ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს... მწერლობის ამოცანა კი ის არის, დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში.

„ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან, ერთი მხრივ, არის ბრძოლა გრაალის დაცვისთვის და, მეორე მხრივ, ბრძოლა გრაალის დანგრევისთვის.“(აკაკი ბაქრაძე, „ბრძოლა გრაალისთვის“) (აკაკი ბაქრაძე, ბრძოლა გრაალისთვის, თხზ. ტ. III, თბ. 2004, გვ. 308-333).

აშკარაა გრაალის კავშირი ქართულ სინამდვილესთან.

როცა გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები არსებობს წმინდა ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელსა და სხვებში. ასევე, წმინდა ნინოში გადმოსულია ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. „სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აგებული, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული.“ (აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1969, გვ. 63).

გრაალის მომდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, ტერმინიც კაბადოკიურია: „გრაალი მიმდინარეობს ძველპროვანსული და, ალბათ, ძირითადად, კაბადოკიური ტერმინიდან „გრაცალ“. კაბადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობისა... გრაალის მისია ეს არის

სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი."

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული „მადლთა ბარძიმი" იგივე გრაალის თასია. ქართულ ფოლკლორში წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოღებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული... ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. „ვეფხისტყაოსანიც" გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან" (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990, გვ. 38).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

„სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს ქართველებთან ერთად შესაძლოა ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს" (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991, გვ. 51).

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში „პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე," ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13ს) თავის პოემას „ახალი ტიტურელი" უწოდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოთერული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღმართულ გრაალის კოშკს თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის იდენტურობის შესახებ.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში" - ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში...

გალაკტიონ ტაბიძე იყო სულიწმინდის მადლით ცხებული პოეტი და ბუნებრივია გრაალისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პოეტი მოწმე გახდა ღირებულებათა გადაფასების, სულის გაუდაბურების, ტირანიის, ანტიქრისტეთა ლეგიონების თარეშის. ქართველი კაცი გაუუცხოვდა უფალს, უდანაშაულოთა სისხლით და ცხედრებით აივსო ქუჩები, რეპრესირებულ იქნენ ერის საუკეთესო წარმომადგენლები. გაუგონარი უსამართლობით გულმოკლული პოეტი მამაღმერთს - „თიბათვის მზეს" ევედრებოდა ძე ღმერთის მოვლინებას, რათა გადარჩენილიყო სიყვარული.

თიბათვის მზესთან მუხლმოყრილი, გრაალის ორეულად ქცეული, ანუ სულიწმინდის მადლით ცხებული პოეტი ლოცულობს მხურვალედ, რათა გადარჩეს მისი სიყვარული: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები."

გულწრფელი სტრიქონები ლექსისა ფსალმუნის ავტორის ღაღადისს ეხმაურება თითქოს: „ღმერთო, შემინახე თვალისჩინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ დამიფარე ბოროტთაგან, რომელნი თავს მესხმიან, მტრებისგან, გარს რომ მერტყმიან სულის ამოსახდელად" (ფსალმუნი,17,8,9)

მამაღმერთის მეოხებით სწადია გალაკტიონს უბედურების ჟამს მამისმიერი სულის-სულიწმინდის მოვლინება უმანკოთა მშვენიერი სულის შესანარჩუნებლად: „ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენმიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი." ლექსის „თიბათვის მზე" მამაღმერთია, მისმიერი სული-ქრისტე.

მამაღმერთის სიმბოლოდ მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს „თიბათვის მზე".

ლექსში „მზეო თიბათვისა" ნახსენებია ქრისტიანული სამების სამივე წევრი: ღმერთი (თიბათვის მზე), სულიწმინდა (სული მოუვლინე ისევ შენმიერი) და ძე ანუ ქრისტე („ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები").

სტრიქონი - „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები" ასე უნდა წავიკითხოთ: ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს სისხლით სავსე თასს ვგავარო" (აკაკი ბაქრაძე, „რას ნიშნავს თიბათვის მზე?" ტ. III, თბ. 2004, გვ. 300-301)

„თიბათვის მზესთან" დაკავშირებით კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს მეცნიერი: „პოეტი ღმერთს... სულიწმინდის მოვლინებას ევედრება („სული მოუვლინე ისევ შენმიერი"), სულიწმინდის მოფენის დღე კი 14 ივნისია (ძველი სტილით 1 ივნისი). ივნისი ხომ ქართულად თიბათვეა!" (იქვე, გვ. 302).

აშკარაა, მამაღმერთის წინაშე „ლოცვად მუხლმოყრილი" პოეტი გრაალს ედრება, ანუ თავის სულში სულიწმინდის დავანებას გვამცნობს.

მხოლოდ ციური სულით არის შესაძლებელი მშვენიერების გადარჩენა, ამაღლება, თავისუფლების მიღწევა: „უფალი სულია, ხოლო სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება."(პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ) (9,7).

უკეთურობის, გაუტანლობის პერიოდში შემთხვევითი როდია სულის ნატვრა, რადგან „სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება" (პავლე მოციქული გალატელთა მიმართ, 6,22,23).

ლექსის ფინალში კონკრეტდება შინაარსი ეპოქისა, რომელიც გამოირჩა სისხლით, ცხედრებით, ქარტეხილებით და ბუნებრივია პოეტის სურვილი,

ბოროტებამოძალებულ დროში გადარჩეს სასურველის ნათელი სული: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გეევედრები!“ (გალაკტიონი, რჩეული, 1977, გვ. 161).

ასე დაუპირისპირდა გალაკტიონის თანამედროვეობაში ერთმანეთს გრაალი, დიდი სიყვარული, უმანკო სული და ხანი უნდობარი, სისხლი, ცხედრები, მძაფრი ქარი.

არასწორი იქნებოდა იმ ლექსის დაკავშირება უცხოურ ტრადიციებთან. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, იგი მიძღვნილია ოლია ოკუჯავასადმი, შიშია მეგობრის მომავალზე, ვედრებაა სიყვარულის გამარჯვებაზე. ამიტომაცაა ასე გულწრფელი და სულისშემძვრელი მუსიკად ქცეული ტკივილები სულისა.

გალაკტიონის დროს ბევრჯერ იზეიმა ბოროტებამ, ძალმომრეობამ. ღმერთის საბოლოო სიკვდილისა და ცრუ ბელადების გაღმერთების იდეაც ამ ეპოქის გამონაგონი იყო. უჭირდა სიკეთეს, სიმართლეს, დრაკონის ნაშიერები ცდილობდნენ რელიგიური მრწამსის, გრაალის იდეალის ჩაკვლას. იტანჯებოდა პოეტების მეფე, იმსხვრეოდა გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო, უგულებელყოფილი იყო ციური ოცნება, კაცთა გაუგონარი მკრეხელობით „კვდებოდა“ ვარდები და ქარვათა მორევში სამუდამოდ ეშვებოდა ფარდა. ანგელოსის პერგამენტზე ეწერა უმძიმესი განაჩენი: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე, თვალებით მიწას დაჰყურებდა. მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე, ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა! ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე! გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.“

ფითრდებოდა თვით ღვთისმშობელი, რომლის სიმბოლოა „ღრუბელი ფერადი“(ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, გვ. 124). ციური ოცნების უხეში დაგმობით შეძრწუნებული იყო ძე ღმერთი – „ალვა თანადი“ (ალვა ძე ღმერთის სიმბოლოა) (იქვე, გვ. 122).

უიმედობა, ტკივილები და სამუდამო დამშვიდობება იყო ყოველივეს ფინალი: „ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები, საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

გალაკტიონი მზად იყო, სისხლით ეწერა, ყოფიერების შხამიანი თასი დაეცალა, სიკეთისათვის სიცოცხლე გაეღო ქრისტესავით და გრაალის ბარძიმი გაევსო საკუთარი სისხლით, რაც მისი უკვდავების საწინდარი გახდა.

უდავოა, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედების ცენტრალური თემა იყო რწმენა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის, უმაღლესი რელიგიური ფასეულობების განუხრელი მსახურება. სამწუხაროდ, დაკარგულია მისი ოთხი კრებულის ხელნაწერები, რელიგიური პოემები. ძნელია მტკიცება, ჰქონდა თუ არა საკუთრივ გრაალზე ტერენტი გრანელს რამე დაწერილი, მაგრამ მისმა თანამედროვეობამ იგი მაინც გრაალის ორდენის ერთგულ რაინდად წარმოიდგინა.

პოეტის მეგობარი კონსტანტინე გაჩეჩილაძე (კონნე სპერელი) ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმს – გრანელი – გრაალს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ეს კეთილხმოვანი სიტყვა მიღებულია გრაალისგან: გრაალი – გრაალელი – გრანელი... (მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები, კონნე სპერელი(კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ. თბ. 2003, გვ. 12-13).

ათეისტურ მეოცე საუკუნეში სხვებსაც ენატრებოდათ გრაალი, მაგრამ ამ იდეალის გაუჩინარება ფაქტი იყო, რაც სევდით მსჭვალავდა მის მაძიებელს.

ზვიად გამსახურდიას თეორიულ ნააზრევზე, გრაალთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი. მან პოეტურ ასპექტშიც გამოავლინა ამ სახის წყურვილი და დააფიქსირა სავალალო სურათი: ქიმგაბზარული გრაალის კოშკი, სიბრძნე – ათენა შავი ყორნით და დემონების გაბატონება: „ვით შეღამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს, ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული. გრაალის კოშკი შორით მოჩანს ქიმ-გაბზარული, პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რებულს „შავი ყორანი აზის თავზე“ და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილწი არული“ (მიძღვნა. სონეტი) (მთვარის ნიშნობა, თბ. 1989, გვ. 5).

პოეტს ეზმანება გველეშაპების და ცისიერთა ბრძოლა, ესმის კენტავრების აურზაური, ახსენდება მონსალვატი, რომელიც ცისებრ სალუქი სულის უნაზეს ფოლიანტებს ააშრიალებს და მონსალვატზე დავანებული საგანძურის ნატვრას წარმოშობს: „გველეშაპები იწვოდნენ ცაზე... ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა... და შემოგესმა კენტავრების აურზაური. მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული დაინთქა ლექსი და ამ ნალექსში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები“. ლექსი ეძღვნება კონსტანტინე ჭიჭინაძეს და ამჯერად იგია გრაალის რაინდი, მონსალვატის საუნჯის მაძიებელი („კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი“) (იქვე, გვ. 36).

მონსალვატი არის „მთა ხანისა“, მწვერვალი, რომელიც მდებარეობს შორეულ ნაპირზე, ...მიუწვდომელ მხარეში, შუაგულ ზღვაში, რომლის უკან მზე ამოდის... ეს არის უკვდავების მიწა, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ“. (რენე გენინი, მთა და გამოქვაბული, „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 27 დეკემბერი, გვ. 2).

სხვაგან ზ. გამსახურდია ღმერთს მიმართავს: „მეუფევ, შენი ბარძიმია სამყარო“, მაგრამ აქაც სევდაა, რადგან „გუმბათგადახდილი გაირღვა ტაძარი, ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა“ („კოსმიური წირვა“) (იქვე, გვ. 116).

მერაბ კოსტავასადმი მიმართულ სტრიქონებში ივერიის ცაზე ღმერთის, ბარძიმის გაბრწყინების სურვილია: „დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა...“ (იქვე, გვ. 75).

მერაბ კოსტავას პოეზიაში გამორჩეული ადგილი ეთმობა გრაალის თემას.

ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება, ნაწარმოების ადრესატი წარმოიდგინება პარსიფალის ნახევარძმად, ტაძრელად, გრაალის მცველად: „...ხარ მწირი თამარ დედოფალისა საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი, თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული“ (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 9).

ცნობილია, რომ 1118 წელს, იერუსალიმში შეიქმნა ტამპლიერთა სამხედრო-სასულიერო ძმობა, რომელიც თავის თავს „მეტაძრეთა“ ორდენს უწოდებდა, რადგან მათი თავშეყრის შენობა აგებულ იქნა უშუალოდ იმ ადგილის მახლობლად,სადაც ლეგენდარული სოლომონ ბრძენის ტაძარი იყო აღმართული (შ. ბადრიძე, „საქართველო და ჯვაროსნები“)

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში ეკიდა სურათი, რომლის კომპოზიცია ტამპლიერთა ცხოვრების ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს (იქვე).

მეტაძრე ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენლებმა ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე.

1314 წლის 18 მარტს საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზისა და მისი დამჯერე პაპის – კლიმენტი V შეთანხმებით, ინკვიზიციური პროცესი აღიძრა და სიკვდილით დასაჯეს კოცონზე მეტაძრე-ტამპლიერთა ორდენის უკანასკნელი მაგისტრი იაკობ მოლე, რითაც ფაქტიურად დაასრულა ორდენმა თავისი არსებობა.

„დიდგორში" მერაბ კოსტავა ეხება დავით აღმაშენებლის სასწაულებრივ გამარჯვებას, მეფის სახელთან ბარძიმის დაკავშირებას, რადგან დავითი გრაალის მცველად მიიჩნეოდა: „აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა, აღსავლის კარიდან აღსტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ – ბარძიმი. (იქვე, გვ. 10).

ლექსში „გალაკტიონი" მერაბ კოსტავა პოეტების მეფის წუხილის უმთავრეს მიზეზად სამართლიანად მიიჩნევს გრაალის, მონსალვატის მიუწვდომლობა-გაუჩინარებას: „...ყველა დროების პირველ პალადინს, რამეთუ გფერფლავს, ვითარცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეუღწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის"...

„გრაალის" მიმდევარს მოეთხოვება უმაღლესი კეთილშობილებისა და სიწმინდის პრინციპების დაცვა, ნათელი გონება და სუფთა გული; გახდეს ჭეშმარიტების დამცველი, კადნიერი მსახურება შეცვალოს თავმდაბლობით, უშიშრად შეავიწროვოს სიყალბის სული და აღადგინოს თავის თავში სიტყვა (ლოგოსი). მხოლოდ იშვიათ რჩეულთ ეძლევათ ღირსყოფა გრაალის საიდუმლოებისა. გრაალი თვით უხმობს მათ. ეშენბახის მიხედვით, ფრაგეტანი გრაალის სახელს კითხულობდა ცის გუმბათზე (თენგიზ ბურჭულაძე, დავით აღმაშენებელი და გრაალის რაინდები, „რიწა", 1982, გვ. 231).

„გრაალის რაინდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც შეიცნო პირველცოდვის სიმძიმე და რომელიც მოკრძალებით მიმართავდა „სრულ სამ – მზეს", რათა „სულის მხედველობით" ეხილა უფლის ნათელი და ამ „ნათელის" განმტკიცებისათვის თვით ეტვირთა ჯვარი" (იქვე 232).

პოეტი წარსული დიდებით ინუგეშებს თავს, რადგან საქართველოც იყო ერთ დროს „ისტორიის უმძლავრესი კოლოსი" დავით მეფის დიდების დროს, როცა გელათს ამშვენებდა გრაალი: „საქართველოსაც ხომ ერგო რიგი, ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს, საოცრებათა გრაალი იგი, წმინდა გელათში იყო სულ ბოლოს. ჩვენი კაცობის დამამშვენებელს, ვინც იყო ჩვენი დიდების ჭერი, ხელთ ეპყრა დავით აღმაშენებელს, მეფე-მღვდელმთავარს ქართველი ერის" (18, 11).

მერაბ კოსტავა თავის უდიდეს სატკივარს, ეჭვებს უზიარებს პოეტების მეფეს, რადგან ათეიზმის ზეობის ჟამს დადუმებულია წმინდათა სავანე, ბურუსშია მომავალი: „მოვდივარ შენთან, როგორც მავანი, მარქვი, მგოსანო, რატომ მდუმარებს ღირსთა მამათა წმინდა სავანე? ნუთუ დაგვეხშო აღსავლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა? რამეთუ ვუწყით, მეტყველი არი, ერთობ მჭევრია საგანთა ენა. რადგან უწყიან იქაც, მიწაზეც, ვისთვისაც ჯერ არს, ყველამ იციან, ბარძიმი იქ არს, იმასთან ცაზე, გალილეია ვინც აირჩია" (21,4-7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ზაქარაია

გია კვაშილავა - მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი

„ძალიან ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა
და ძალისხმევას, რამდენადაც ვიცი, თქვენ დისკოს ერთადერთი
მკვლევარი ხართ, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ
გამოკვლევაში ჩართო მითოლოგიის პერსონაჟები“
დიტერ რუმფელი

გერმანელი მკვლევარი, ლონდონი

ფესტოსის დისკო

A - მხარე

B - მხარე

ფესტოსის დისკოს შესახებ მოკლე ცნობები

1908 წლის 3 ივლისს საბრძნეთის კუნძულ კრეტაზე, საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში, მინოსის სასახლის ნანგრევებში, გათხრებისას იტალიელმა არქეოლოგმა, დოქტორმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა წარწერებიანი დისკი, რომლის დიამეტრი 16 სმ-ია, ხოლო წონა 380 გრ. მის ორივე მხარეზე სპირალურად დაბეჭდილია 63 სიტყვა-კომპოზიტი. „ფესტოსის დისკო“-მ სახელწოდება მიიღო იმ ქალაქის სახელის მიხედვით, სადაც იგი იქნა აღმოჩენილი.

მცირე ცნობები იმ ეპოქის შესახებ, როდესაც ქართველურმა ტომებმა შექმნეს „ფ. დ.“-ს სილაბურ-ლოგოგრაფული დამწერლობა.

„ფესტოსის დისკოს“ შექმნის სავარაუდო ეპოქა ისტორიასა და არქეოლოგიაში მოღვაწე მეცნიერებმა მიახლოებით დაათარიღეს და იგი მიაკუთვნეს ძვ.წ. 1850-1600 წ.წ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს ის პერიოდია, როცა ხმელთაშუა ზღვის აუზის გარშემო დიდ სივრცეზე ცხოვრობდა ავტოქთონური მოსახლეობა, კერძოდ, ქართველური ტომები, პელაზგები და ეტრუსკები, მაშინ მათი ცივილიზაცია ტროელებთან, კოლხებთან ერთად აღმავლობას განიცდიდა. ამ ეპოქაში, ჯერ კიდევ არ ჩანს პელაზგების კულტურის დაღმავლობის პერიოდი. „სწორედ ქართველურმა ტომებმა შექმნეს უძველესი ცივილიზაცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მიკენზე და ძველ საბერძნეთზე" (ზ. გამსახურდია „წერილები, ესეები" თბ. 1991 წ)

პელაზგების ეს უბრწყინვალესი ეპოქა ჩვენგან 4 ათასი წლითაა დაშორებული, მაგრამ საუბედუროდ, იგი დიდხანს არ გაგრძელებულა, იწყება ინდოევროპელ, კერძოდ ბერძენ ტომთა ურიცხვი და უწყვეტი შემოსევები ათეული წლების განმავლობაში, რასაც პელაზგებისა და ტროელების ცივილურმა სამყარომ, მიუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა, ვერ გაუძლო და დაეცა. მოხდა კულტურის დეკადანსი და ჩვენი წინაპრების დიდი უმრავლესობის დეპორტაცია.

აქვე მინდა მოვიყვანო ამონარიდები აკაკი გასვიანის სტატიიდან „სიმართლე - ჭეშმარიტი ისტორიის საფუძველი", რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალ „ცოტნეიდელის" მე-2 ტომში. ეს და მრავალი სხვა წყაროები წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს, თუ რა როლი ეკუთვნის ქართველურ ტომებს საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე, ცივილური სამყაროს შესაქმნელად, მაშინ როცა სხვა ტომები საკვების მოპოვებისათვის ათასობით და ასიათასობით იხოცებოდნენ.

ბატონი ა. გასვიანი სვამს კითხვას – ვისი ცივილიზაციაა უწინარესი? და პასუხობს: „იმათი, რომლებმაც შექმნეს კაცობრიობის წინარე კულტურა. . „ და იგი შექმნეს ქართველურმა, შონურ-მარგალ-იბერიულმა ტომებმა".

„რჩეულ ისტორიკოსთა გამოკვლევების მიხედვით, უძველეს დროში შუა იტალია დასახლებული იყო პელაზგებით (ტირენებით) და იბერო-გალური წარმოშობის აბორიგენებით, რომლებიც ეწეოდნენ მიწათმოქმედებას"(ო. იგერი, გერმანია).

„ძველად დასავლურ ევროპაში..., დაახლოებით რეინიდან დასავლეთით და ალპებიდან სამხრეთით ისევე, როგორც ჩრდილო აღმოსავლეთ ევროპაში, წინა აზიასა და კავკასიაში, ბინადრობდა არაინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა. ხმელთაშუა ზღვის უძველესი მოსახლეობა კავკასიის ჩათვლით, ლაპარაკობდა ერთ ენაზე, ანუ ურთიერთშორის ახლო მონათესავე ენებზე"(ე. გრიგორიევი, ბულგარეთი).

„პელაზგები – მატერიკული საბერძნეთის უძველესი ტომები არიან... ღმერთების კულტი საბერძნეთში პელაზგებიდან მოდის. დიოსქურების, ჰერას, ვესტას, თემიდას, ქარიტებისა და ნერეიდას ღმერთების სხვა კულტები პელაზგებმა შემოიღეს საბერძნეთში"(ჰეროდოტე, უძველესი ისტორიის მამა, ბერძენი).

„...მით უფრო არ დაუწყია ცივილიზაცია საბერძნეთს, მას ამ დარგში მეტი აქვს მიღებული, ვიდრე გაღებული. საბერძნეთი ბედნიერი მემკვიდრე იყო"(ნ. შიერა, აშშ).

„პელაზგები – იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი ბერძნული დამწერლობა ძველმა ელინებმა პელაზგებისაგან მიიღეს. აქვე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკიურ ალფავიტს ასევე პელაზგურს უწოდებდნენ" (ა. ნაგოვიცინი, რუსეთი).

„პელაზგებს თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდათ დაპყრობილი"(პლუტარქე).

„ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შენარჩუნებულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ზოგიერთი ადგილებისა და მდინარეების სახელები"(ე. დემოლინსი, საფრანგეთი).

„სამხრეთ ევროპის – პირენეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქთონური მოსახლეობა იყო იბერიული"(ვ. ჰუმბოლტი, გერმანია).



„პელაზგები ითვლებიან უძველეს ხალხად, ყველა ტომის მამამთავრად, რომლებიც ურყევად და განსაკუთრებულად დგანან“ (სტრაბონი).

„იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში“ (ა. მორტონი, ინგლისი).

აქვე მინდა აღვნიშნო ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ შოტლანდიის მაღალმთიან ტერიტორიაზე თავიანთი ცივილიზაცია შექმნეს ბრიტანეთის ერთ-ერთმა უძველესმა და უძლიერესმა, სიმამაცით განთქმულმა იბერიულმა ტომებმა - პიქტებმა, რომელთაგან ბევრი დამარცხება იწვნიეს რომაელებმა. პიქტების სამეფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია VI-VIII საუკუნეებში.

„ძველი იბერები, რომელთა ჩამომავლებიც არიან ბასკები, ეკუთვნოდნენ ნეოლითურ ხმელთაშუა ზღვის მოდგმას“ (ჰ. უელსი, ინგლისი).

„პროტოქართული, ანუ იაფეტური (იაფეტი – ნოეს ძე) ფუძე ენა არის ერთიანი გლოტოგონიური ფენომენი, საერთო საფუძველი ყველა ენისა“(ნიკო მარი).

წინაბერძნული მოსახლეობის ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ სხვადასხვა დროს თავიანთი საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი გამოთქვეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: ვ. ჰუმბოლდტმა, პ. კრეჩმერმა, ან. მეივემ, ედ. შვიცერმა, ფ. შახერმეიერმა, ვლ. გეორგიევმა, ედ. ფურნიემ, რ. შმიტ-ბრანდტმა, რ. ბეეკეევსმა, ქართველმა მეცნიერებმა: ს. ყაუხჩიშვილმა, ს. ჯანაშიამ, აკ. ურუშაძემ, თ. გამყრელიძემ, რ. გორდეზიანმა, ზ. გამსახურდიამ და სხვებმა.

„კოლხური ოქროდამწერლობის“ (ბერძნულად „ხრისოგრაფია“) შესახებ ცნობები დაცულია ბერძენი ავტორების: ევჰემეროსის, ხარაქს პერგამონელის, იოანე ანტიოქელისა და თესალონიკის მთავარეპისკოპოსის, ევსტათეოსის თხზულებებში.

კოლხურ დამწერლობებზე – კირბებზე ცნობები შემოგვინახეს ძველბერძენმა ავტორებმა: კრატინემ, ლისიამ, პლატონმა, თეოპომპე ქიოსელმა, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა, პლუტარქემ და ა.შ.

„ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა მეგრულ-ჭანურის წინაპარი „ზანური“ დიალექტი..., აია ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი დასავლურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გაგრძელებაა ჩვენთვის ცნობილი მეგრული და ლაზური“ (თამაზ გამყრელიძე).

„უძველესი ქართველური ტომების ენა – წერს ანტიკური და შემდეგდროინდელი ისტორიების ღრმად მცოდნე დოქტორი გია კვაშილავა – ამჟამად ნაწილობრივ მეგრულ-ლაზურში, სვანურში და იმ ძველქართულშია შემონახული, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში მოიპოვება“.

სწორედ ამ ენებში დაცული სიტყვების ძირების საფუძველზე მოხდა „ფესტოსის დისკოს“ ტექსტების სრული გაშიფრვა – ამბობს გ. კვაშილავა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ოთხი ათასი წლის წინანდელი პირველი ბეჭდვითი სიტყვის რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის, საყოველთაოდ ცნობილი „ფესტოსის დისკოს“ აღმოჩენა კუნძულ კრეტაზე, სრულებით არ უნდა იყოს მოულოდნელი მეცნიერებისათვის, რამეთუ ასეთი დამწერლობების შესაქმნელად იმ პერიოდისათვის არსებობდა რეალური წინამძღვრები, რაც საზოგადოების განვითარების მაღალი დონით განისაზღვრებოდა.

„ფესტოსის დისკო“-ს გაცოცხლება და ამეტყველება სამ დიდ მკვლევართან ასოცირდება.

ბატონი ლუიჯი პერნიე დაიბადა 1874 წელს.

1909-1916 წ.წ. იყო სკოლის დირექტორი. დამთავრებული აქვს რომის უნივერსიტეტი. 1902 წლიდან მუშაობდა ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში ზედამხედველად, ხოლო 1916 წლიდან 1923 წლის ბოლომდე მუზეუმისა და არქეოლოგიური კვლევების ხელმძღვანელის მოადგილედ ეტრურიაში (ფლორენცია).

1916 წლიდან არჩეული იყო დოცენტად არქეოლოგიის ელინურ-რომაული ხელოვნების ისტორიის დარგში.

1920-23 წ.წ. იყო ამავე დარგის პროფესორი ფლორენციის უმაღლესი განათლების ინსტიტუტში.

1920 წლის აგვისტოდან აირჩიეს ლინჩეის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1908 წელს, გათხრებისას კრეტაში არქეოლოგიურ ქალაქ ფესტოსში აღმოაჩინა წარწერებიანი დისკი – შემდეგში „ფესტოსის დისკოს“ სახელწოდებით.

გარდაიცვალა 1973 წელს.



ბატონი ჰერბერტ ძებიში დაიბადა 1920 წელს ჩეხოსლოვაკიაში –აუსიტში, ელბაზე. მან შეისწავლა ეკონომიკა. გრაცის უნივერსიტეტში (ავსტრია) სწავლობდა ქიმიურ-საინჟინრო ზე. II მსოფლიო ომის შემდეგ ძებიშის ოჯახი ჩეხოსლოვაკიიდან ავსტრიაში გადავიდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი სწავლობდა პელაზგურ, კოლხურ ენას. შეადგინა უძველესი ენების კომპიუტერული (ps) პროგრამა, რომლის მიხედვით დაადგინა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა კოლხურია. მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს გზა შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო „ფ. დ“-ს დეშიფრირებაში და სცადა მისი ამოკითხვა. თუმცა ეს მან ვერ შეძლო. ძებიშმა შექმნა თეორია, რომ პროტო-ბერძნულ ენაში, ზოგიერთი სიტყვის ძირი წარმოშობილია კოლხურიდან.

ბატონი გია კვაშილავა დაიბადა 1972 წელს საქართველოში, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში. 1989 წელს დაამთავრა ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალიზებული სკოლა.

1995 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1998 წ. ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა მათემატიკური ფიზიკის სპეციალობით.

1990 წლიდან მუშაობს კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის „ფ. დ."-ს გაშიფრვაზე, რომელიც 2001 წ. დაასრულა.

არჩეულია „ფაზისისა" და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად.

„ფესტოსის დისკოს" გაშიფრვის ერთ-ერთი გზა საქართველოში მოდის.

ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან თითქმის 100-მა წელმა განვლო (1908), მაგრამ მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანაში, ვერც ერთმა ცნობილმა მეცნიერმა, ვერც მოქმედი და ვერც არქაული ენების გამოყენებით, მისი ამოკითხვა ვერ შეძლო.

ბევრი ჭკვიანი და დაკვირვებული მეცნიერი ადრევე გაერკვა საქმის ვითარებაში, რომ საუკუნის განმავლობაში წარმოებული უშედეგო კვლევის მიზეზი იყო მათ მოღვაწეობაში გამოყენებული მანამდე აღიარებული მეთოდები და ენები, რომლითაც ისინი წარმატებებს აღწევდნენ სხვა დამწერლობების წაკითხვისას.

„ფესტოსის დისკოს" თანამედროვეთა შორის პირველი მკვლევარი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა „ფ. დ." დეშიფრირების მეთოდებისა და ენების შეცვლა კვლევის გაგრძელებისას, იყო ავსტრიელი ინჟინერ-ქიმიკოსი ჰერბერტ ძებიში (სხვათა შორის იგი ვარაუდობდა თავისი გვარის ლაზურ წარმოშობას და როცა საქართველოში ჩამოვიდა, კიდევ უფრო დარწმუნდა, როცა მას მოახსენეს, რომ მისი გვარის იდენტური აქაც არსებობდა – ძებისაშვილები)

რომ არა ჰერბერტ ძებიში და მისი თავგანწირული მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო „ფ. დ."-ს გასაშიფრავად, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ისტორიული, თამამად ვიტყოდი, ზოგადსაკაცობრიო დოკუმენტი სამუდამოდ დარჩებოდა ენიგმატად, ანუ ამოუცნობად. მარტივად რომ ვთქვათ, ძებიშმა წრე შეკრა ლუიჯი პერნიეს მიერ აღმოჩენილ „ფ. დ."-სა და მის ერთ-ერთ გამშიფრავს - გია კვაშილავას შორის. ამ სამიდან ერთის არყოფნის შემთხვევაში „ფ. დ." –ს არსებობა და მისი გაშიფრვა ალბათ, არ მოხდებოდა.

ჰერბერტ ძებიშმა „ფესტოსის დისკო" საქართველოში „ჩამოიტანა"

„ფ. დ."-ს საქართველოში მოხვედრა ძებიშის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა. სანამ ეს თავგანწირული მკვლევარი მას საქართველოში ჩამოიტანდა, მან უდიდესი მუშაობა გასწია მის გასაშიფრავად.

გაშიფრვის დაგვიანებას, ყველაზე მტკივნეულად ძებიში განიცდიდა. მან შექმნა კომპიუტერული პროგრამა (PC), რომელშიც ცდიდა ყველა იმ ენების მარცვლებს, რომლითაც მკვლევარები ცდილობდნენ მის ამოკითხვას. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთმა მარცვალმა „მადა" ვერ გაუხსნა კომპიუტერს, მაგრამ როცა მან ქართული მარცვლები მიაწოდა, დადებითი პასუხი მიიღო. ამის შემდეგ შეძლებისდაგვარად სწავლობს პროტოქართველურ ენებს და გამოაქვეყნა კიდეც წიგნები „იბერიული – ღმერთების ენა", „პელაზგური-იბერიული ენა" და სხვა, სადაც იგი აყალიბებს მტკიცე აზრს – წინაბერძნული მოსახლეობის ენა „პელაზგურ-ქართველურ ენათა დედაა", აქედან ასკვნიდა, რომ „ფესტოსის დისკოს" წარწერის ენა „პროტოქართველურ-კოლხურია".

ამ გამოკვლევის დროს იგი იმდენად ღრმად ჩაწვდა საქმის ვითარებას, რომ მან შექმნა თეორია, სადაც ძველ ენებს - ეტრუსკულსა და პელაზგურს ფესვები ქონდა ძველ კოლხურში. მისი თეორიის მიხედვით „ტროას ომის" ყველა გმირს საუბარი შეეძლო ერთმანეთთან, ხოლო ტროას დაცემის შემდეგ კოლხური ენაზე ცნობები აღარ ჩანს.

ამ და მსგავს მოსაზრებებზე დაყრდნობით ჰერბერტ ძებიში მოხსენებებით გამოვიდა 1988 წლის ბუდაპეშტის EIRENE-ს XVIII საერთაშორისო კონგრესზე, 1991 წელს კრეტოლოგთა (კრეტა-საბერძნეთი), ხოლო იმავე წელს მიკენოლოგთა კონგრესზე (რომი-იტალია).

ჰ. ძებიში 1990 წელს საქართველოში ჩამოდის მის ვაჟიშვილთან - ჰერმანთან ერთად, ეს მისი დიდი ოცნება გახლდათ. მან „ფესტოსის დისკოსთან" დაკავშირებით მოხსენება წაიკითხა ვანის მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

ჰ. ძებიშის საქართველოში ჩამოსვლისას 1990 წელს, მომავალი გენიოსი „ფ. დ."-ს გამშიფრავი გია კვაშილავა მხოლოდ 16 წლის ჭაბუკი გახლდათ. ჰერბერტ ძებიშს კიდევ 10-12 წელი რომ ეცხოვრა (იგი 1993 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა 73 წლის ასაკში) და მოსწრებოდა გია კვაშილავას ბრწყინვალე შედეგებს, რასაც იგი დაბეჯითებით წინასწარმეტყველებდა, ის უბედნიერესი კაცი იქნებოდა.

პირველად 1989 წლის 13 დეკემბერს, გაზეთ „სახალხო განათლების" ფურცლებზე დაიბეჭდა ისტორიკოსის, ნინო კილურაძის სტატია „ფ. დ"-ს შესახებ და იქვე იყო მოთავსებული დისკოს ერთი მხარე(A). სწორედ იმ დღესვე, როცა 16 წლის გ. კვაშილავამ წაიკითხა ეს სტატია თქვა – მე მას გავშიფრავო და სწორედ იმ დღიდან დაიწყო მისი მიზანმიმართული გამოკვლევები „ფესტოსის დისკოს", ამ დიდი პრობლემური საკითხის გადასაწყვეტად, რომელზედაც უშედეგოდ 70-80 წლის განმავლობაში იღვწოდნენ დარგის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები.

რა თქმა უნდა, ადვილი მისახვედრია ამ ნიჭიერ, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილკაცს, ჯერ კიდევ პოტენციურ მკვლევარს, გია კვაშილავას თუ რა კოლოსალური შრომა დასჭირდებოდა იმ აუცილებლად საჭირო, უსათუოდ დეფიციტური ლიტერატურული წყაროების მოსაძიებლად და დასამუშავებლად, რის გარეშე ალბათ მეცნიერული მოღვაწეობის წარმართვა წარმოუდგენელიც იყო.

მისი დაუცხრომელი მოღვაწეობის საწყის ეტაპებზე, ჩემის აზრით, მან სავსებით სწორად, გარკვეული პრიორიტეტი მიაკუთვნა იმ ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებსა და დასკვნებს, რომლებიც ძალიან ხშირად ურთიერთგამომრიცხავ არგუმენტებსაც შეიცავდა. ახალგაზრდა მკვლევარს არც ერთი დიდი მეცნიერული ნაშრომი „ფ. დ."-ს შესახებ ბრმად არ გადმოუტანია, არამედ მრავალი ფაქტის და მოსაზრებათა შეპირაპირების შემდეგ ერთადერთ სწორ დასკვნას აყალიბებდა, რასაც ის ნაბიჯ-ნაბიჯ სანუკვარ ფინიშამდე მიჰყავდა.

ამის საილუსტრაციოდ, მე აქ მინდა მოვიყვანო მრავლიდან ერთი პუნქტი, ამონარიდი ოფიციალური დასკვნიდან, რომელიც გასცა 2007 წლის 17 მაისს გ. კვაშილავას მოხსენების შემდეგ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, დიდმა და სასიქადულო მეცნიერმა, ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა: „1. ბატონმა გია კვაშილავამ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაო „ფესტოსის დისკოს" დეშიფრირების ისტორიის, პრობლემების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მიმართულებით". . . დასკვნაში მოცემულ შეფასებას კომენტარი არ სჭირდება.

საბედნიეროდ, თბილისში გია კვაშილავას მიერ საჯარო თუ დახურულ კარს მიღმა ჩატარებულ მოხსენება–ლექციების უმრავლესობას დავსწრებივარ (გამოქვეყნებული მაქვს 8 სტატია), სადაც საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე ესწრებოდა რომელმაც მაღალი შეფასება მისცა „ფესტოს დისკოს" დეშიფრირების შედეგებს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მისი ყოველი მოხსენება, მუდამ დიდი ხელოვნებით, მაღალი კვალიფიკაციითა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით მიმდინარეობდა (ზოგჯერ 5 საათის განმავლობაშიც კი).

განსაკუთრებით ზეამაღლებული იყო მისი მოხსენება ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა „ფესტოსის დისკოს" აღმოჩენიდან 100 წლისთავს.

კონფერენციაზე „ფ. დ."-ს სრულყოფილი გაშიფრვის შესახებ გია კვაშილავას ასეთი კლასიკური სტილის მოხსენება, ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილს უფრო ჰგავდა. მის დამაჯერებელ, ლოგიკური არგუმენტების ქურაში გამოდნობილ და გამოძერწილ დასკვნებს უბატონოდ პასუხი ვერავინ გასცა. ეს იყო არა მარტო ქართველი მეცნიერის დიდი გამარჯვება, არამედ ჩვენი საამაყო წინაპრების, პროტოქართველური ტომების ცივილიზაციის გაბრწყინების გვირგვინი, რაზედაც უამრავი წყარო მოიპოვება.

კონფერენციაზე მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა მიერ გამოთქმული შეფასებები, გია კვაშილავას მოხსენების გარშემო ლონდონში ასეთია; ჩამოვთვლი რამდენიმეს:

„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! თქვენი მოხსენება გამორჩევით საინტერესო ჩანს, ვფიქრობ, მას დიდი კამათი მოჰყვება. (საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის ორგანიზატორი დოქტ. აიზენბერგი).

„დოქტორი მერონი და მე მივესალმებით თქვენს მიერ ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მსვლელობაში შეტანილ წვლილს" (დოქტორი პიტერ კლეიტონი, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი 2008 წ. 26 აგვისტო).

„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! დარწმუნებული ვარ, თქვენი კვლევა და აღმოჩენები დიამეტრალურად შეცვლის აქამდე დამკვიდრებულ ბევრ ძველ შეხედულებას" (დოქტორი იოხენ ციგენფუსი, ავსტრია, ვენა 2008 წ. 14 ოქტომბერი).

„ფესტოსის დისკოს" კოლხური ოქროდამწერლობა

დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინანდელ, მსოფლიოში პირველ ბეჭდვით რელიგიურ-ლიტერატურულ დოკუმენტზე, საყოველთაოდ ცნობილ „ფესტოსის დისკოზე" კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრული საგალობლის ბწკარების თარგმანი თანამედროვე ქართულით:

A – მხარე

აია-ჭაბუკნო, განმწმედელ(ნ)ო, დაფარული ტაძრი(ს) /ლაბირინთი(ს?.
აია-ჭაბუკნო, სადარ(ნ)ო,
განმწმედელ(ნ)ო, დედის კარი(ს),
დაფარე(თ) თაღი გაღვთიურებულ(ნ)0!
ქვეყნის სიმაღლისა(ნ)ო /სოცოცხლის ძალ(ნ)ო/,
წინმავალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო /მფარავ(ნ)ო მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო/,
ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო/ შემწე(ნ)ო/,
ჰქმენ(თ) დაფარული ტაძარი /ლაბირინთი/.
ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო /შემწე(ნ)ო/,
მარადმავალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო /მფარავ(ნ)ო მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო/
გარდაჰქმენი(თ) აიას სოცოცხლე ყველანაირად.
შუაღამის თვარ(ით) განათებულ(ნ)ო,
დედის ქვეყანა მუდამ დაფარე(თ)ო,
დაასხ(ნ)ით ხელ(ნ)ი, ბრუნვა-ფარვა სხივოსანი მფარავ(ნ)ო,. . .
ოჯახის ფუძ(ის), ჯიშის სვლა-ბრუნვ(ის) განმწმედელ(ნ)ო

B – მხარე

ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო,
მოდგმის ნენანავ,
ააყვავე ხუთი შტო მშვენი,
ჯიშის სიწმიდით, ახლით ნირშემოსილი.
ერთო ძლიერო შტოვ,
ოჯახის წმიდავ, ძლიერო,
თავურო ხუთი შტო(ისა),
მფარველსხივოსანი ნანაღმერთი /დედაღმერთო/,
წინამძღოლო,
ხანგრძლივ ჰყავ დედის ტაძარი /სპილენძისა/.
მაყვავებელო თარხონო,
ნათელო ჰეფესტოო /ოსტატღვთაებაო/,
მდნობელო, წინამძღოლო, განმწმედელსხივოსანო,
დაფარე(თ) მისი მოგიზგიზე სასახლე, -
ჩვენო მჭედელო, ახლითმოსილო მთვარისნაირო.

დასასრული

ჩვენი ღრმა რწმენით, ზემოაღნიშნული ტექსტი მკითხველისათვის გასაგებია, იგი წარმოადგენს საგალობელს - „ნენანას“, რომელიც კორიბანტებმა მიუძღვნეს „აია - ნეშკარის“ მფარველ, პელაზგურ - კოლხური ნაყოფიერების დედას - ღვთაება ნენანას - რეა კიბელეს.

სიახლენი ეროვნულ მწერლობასა და ქართველოლოგიაში

სიახლენი, რომელთა შესახებაც მინდა მოგითხროთ, დაკავშირებულია გიზო ჭელიძის სახელთან. გიზო ჭელიძე ერთ–ერთი იმ შემოქმედთაგანია, რომელმაც აღადგინა და განავრცო ქართული პროზის შთამბეჭდავი ჟანრი ნამცვრევი, მანვე შემოიღო და დაამკვიდრა იუმორისტული მცირე მოთხრობა – ყბისაქცევი. ქართველ მკვლევართაგან გიზო ჭელიძეა პირველთაგანი, რომელმაც გაბედულად წამოაყენა მოსაზრება ქართული მხატვრული სიტყვიერების, კერძოდ ქართული ლექსის, პრეისტორიულ ხანაში ჩასახვის შესახებ. მან 2000 წელს ამ საკითხზე დასტამბა პატარა წიგნი სათაურით „ქართული ლექსი 4000 წლის გადაღმიდან" და იქვე გაარჩია ორი პოეტურ-მუსიკალური ძეგლიც.

ამას წინათ, გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა გ.ჭელიძის შემოქმედებითი საღამო. სიტყვები წარმოთქვეს და გიზო ჭელიძის ლექსებს,მოთხრობას,რომანს,დრამას,პუბლიცისტიკას და მეცნიერულ მემკვიდრეობას შეფასება მისცეს ცობილმა ადამიანებმა: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, სახალხო არტისტმა ზურაბ ქაფიანიძებ, ქართული ჟურნალისტური კვლევის მესაძირკვლემ, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ, გამოჩენილმა პოეტმა ვაჟა ეგრისელმა, ცნობილმა მწერალმა და საბავშვო პოეზიის ოსტატმა ტარიელ ხავთასმა და სხვებმა. გ.ჭელიძის რომანზე „ჯიმაჩაფილი" საგანგებოდ ისაუბრა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა გივი ბოჯგუამ. არც ერთს, თითქმის არაფერი დასცდენიათ იმ სიახლეებზე, რაზეც ქართულ პერიოდიკაში დიდი ხანია იბეჭდება ნამცვრევები. ამის თაობაზე გამოქვეყნებული აქვს მცირე ნაშრომიც, სადაც მიანიშნებს რომ ნამცვრევი დიალექტურ ლექსიკონებში გაგებულია, როგორც რთველის შემდეგ ზვარში დარჩენილი, მოსავლის (ყურძნის) ნარჩენები ეგრეთწოდებული „ნამცვრიელა", იმაზეც მიუთითებენ, რომ ზოგჯერ ნამცვრევი დიდი მოვლენის, კერძოდ, დიდი ამბის, მცირე მონაკვეთს წარმოადგენსო. ცნობილი ლექსიკოგრაფი ნიკო ჩუბინაშვილი ნამცვრევს „მცირე ღირსახსოვარ მოთხრობას" უწოდებს, დაახლოებით ასე ფიქრობს საბა ორბელიანიც. გ.ჭელიძე გამოკვეთავს თავის შეხედულებას, რომ ნამცვრევი არის ლიტერატურული ნოველის შესატყვისი ქართული ცნება (ნოველა ხომ იტალიურიდან მოდის). ხაზს უსვამს ნამცვრევის დოკუმენტარობას, რაც გ.ჭელიძის დაკვირვებით, ვლინდება სამოქმედო ადგილას, ამბის, პერსონაჟების რეალურობაში. გ.ჭელიძე ლაპარაკობს იმ გარემოებაზე, რომ ნამცვრევი ისტამბებოდა მე–19 საუკუნის პერიოდიკაში, ილიას „ივერიაშიც" კი. გ.ჭელიძემ აღადგინა ეს ჟანრი. დღემდე ქართულ პერიოდიკაში, უპირატესად მკითხველი მის იმ ნამცვრევებს ეცნობა, რომლებიც ასახავენ ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, გოგლას, ე. თაყაიშვილის, ერქომაშვილების დიდი მოდგმის, იოსებ სტალინის და სხვათა ცხოვრების „ღირსსახსოვარ მომენტებს". ზემოთ ნახსენებ მცირე ნაშრომში გ. ჭელიძე ასახავს ნამცვრევის, როგორც

„დოკუმენტური ნოველის“ ნიშანდობლიობებს, როგორიცაა: ასასახავი ამბის ბელეტრისტული შინაარსი, ამაღლებულ–ამაღელვებელი თავისთავადობა, ფრაზეოლოგიური სისხარტე, მოზომილობა, სინატიფე.

აი, გ. ჭელიძის ერთ–ერთი ნამცვრევი:

. . .ექვთიმე თაყაიშვილი მოგზაურობს თურქეთის საქართველოში, მეგზურობას უწევს იქაური ქართველი მაჰმადიანი, რომელიც ერთ დღეს სადილად მიიწვევს მას. სუფრას აწყობს მასპინძელი მამაკაცი. სამზარეულოდან ექვთიმეს შემოესმის მასპინძლისა და მოხუცი დედის დიალოგი. ქალი მიმართავს შვილს:

– ნენა, ჯუჯუა, სტუმართან სირცხვილი არ მაჭამო!

ექვთიმეს გულზე მოხვდება გურული გამონათქვამი და სთხოვს მასპინძელს გააცნოს დედა.

ოთახში შემოდის ას წელს გადაცილებული წარმოსადეგი ქალბატონი. ექვთიმე წამოიმართება და სასიყვარულო სიტყვებით მიესალმება ქალბატონს.

– ქართველი ხარ, ნენა? – თვალები გაუბრწყინდება მასპინძლის დედას.

– დიახ!

– მეც ქართველი ვარ, შვილო, ლეხოურიდან.

– ლეხოურიდან? – აღტაცებას ვერ მალავს მშობლიური სოფლის სახელის გაგონებაზე ექვთიმე.

– ხო, ლეხოურიდან! თაყაიშვილების ყმაზე – შერმადინ ლომჯარიაზე ვიყავი დანიშნული. ქორწინების წინა საღამოს მომიტაცეს თათრებმა სტამბულის ბაზარზე გასაყიდად.

– ღმერთო–ჩემო!

– ამ ახალგაზრდის ბაბუამ რძლად დამიტოვა სახლში. გავაჩინე შვილები, ა, ვემსახურები აქაურ ქართველებს.

გაოგნებული ექვთიმე დაწვრილებით გამოკითხავს თანასოფლელ ქალს ყველაფერს. შეჰპირდება, რომ მოკითხვას გადასცემს მის ყოფილ საქმროს შერმადინ ლომჯარიას, რომელიც 130 წელს მიღწეული, დღესაც ცხოვრობს ლეხაურის ერთ–ერთ უბანში – ჭანიეთში.

– ცოცხალია! – აღმოხდება ტყვე ქალბატონს და ჩაიკეცება.

აი, ამბავი, მიმზიდველი შინაარსით, რომელიც ნამცვერვად აქცია გიზო ჭელიძემ.

ასევე გულისშემძრავია გ. ჭელიძის მეორე ნამცვრევი – „როგორ შეხვდა 40 წლის შვილი 18 წლის მამას“. ანზორ ერქომაიშვილი მუსიკალური ჩანაწერების გაშიფვრისას გადააწყდება ადრე ავარიაში დაღუპული მამის – დავით ერქომაიშვილის – ოყვანას. ანზორი ტექნიკური ოსტატობით გადააბამს ერთმანეთს დიდი პაპის, გიგოს, პაპის, არტემის ხმებს, მამის, დავით ერქომაიშვილის გამყივანს, თავის ბანს და ერთად აამღერებს ერქომაიშვილების ოთხ თაობას.

დიდებული ნამცვრევია.

რა შეიძლება ვთქვათ გ. ჭელიძის ყბისაქცევებზე?

ხელთ გვიჭირავს მომცრო წიგნი „მასპინძელსა მხიარულსა“, რომლის წინათქმაში ვკითხულობთ, რომ ყბისაქცევი მომდინარეობს გურული დიალექტიდან – „ყბის მოქცევა“ – დაცინ–გაკილვა, გამოჯავრება, მოსწრებულ სიტყვაზე წამოგება. ყბისაქცევი მსმენელში (მკითხველში) იწვევს თანაგრძნობის გამომხატველ ღიმილს

(სიცილს) და არა დაუნდობელ დაცინვას – სატირას. ეს არის ყბისაქცევის მთავარი სპეციფიკა.

აი, ერთ–ერთი ყბისაქცევი

. . .ბენია ჭელიძემ მეზობელ შალვა სალუქვაძეს ასესხა ფული. შალვამ დაუგვიანა ვალის გადახდა. ადგა ბენია და ეწვია მეზობელს ოჯახში, შალვამ სუფრა გაუშალა სტუმარს. ბენიამ ასწია ჭიქა

– ასი წელიწადი გეცოცხლოს შალვა!

– არ გამოვა!

– მაშინ – ოთხმოცი!

– მაგიც ბევრია!

– ორმოცდაათ წელიწადს მაინც ხეხე ეს ცხოვრება!

– ორმოცდაათის ვარ უკვე, გამიჭირდება კიდევ ამდენ ხანს ყოფნა ამ ქვეყანაზე.

– იცი, რა ჰქენი? ჩემი ვალი მომეცი და, თუ გინდა ამ საღამოს გაგვარდნია სული!

მსგავსი ამბების მოთხრობა ბევრის შეიძლება გ. ჭელიძის შემოქმედებიდან. გიზო ჭელიძის კალამს ეკუთვნის 2000 წელს გამოცემული ბროშურა „ქართული ლექსის საძირეები 4000 წლის წინ“. თითქმის იმავე შინაარსის სათაური აქვს ახლახან (2009 წ.) დასტამბულ 40 გვერდიან წიგნს „ქართული ლექს–საგალობელი 4000 წლის გადაღმიდან“. წიგნში ლაპარაკია მკვლევარ გია კვაშილავას აღმოჩენაზე და გაშიფრულ „ფესტოსის დისკოზე“. 1908 წელს კუნძულ კრეტაზე (საბერძნეთი) მიგნებულ იქნა პიქტოგრაფიული (ნახატნიშნებიანი) დამწერლობის ფირფიტა, რომელიც მთელი ასი წლის მანძილზე ვერ გაშიფრეს მსოფლიო მეცნიერ–სპეციალისტებმა – თუ რა ენაზე იყო შედგენილი. გ. კვაშილავას 17 წლიანი დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ფირფიტაზე შესრულებული ანბანობამდელი ტექსტი, წინარე ქართული – პროტოკოლხური ძეგლია, – ღვთიური „ნენანას“ საგალობელი. გ. ჭელიძის თქმით, უძველესი ქართული ლექსის არქეტიპი მოცემულია თარიღით – მეთვრამეტე – მეთექვსმეტე საუკუნეების მიჯნა – ანუ, 4000 წლის წინანდელი ხანა.

გია კვაშილავას გაშიფრვამ დოკუმენტურად დაადასტურა გიზო ჭელიძის მიერ 2000 წელს წამოყენებული მოსაზრება, რომ ქართული ლექს–საგალობელით უნდა დავიწყოთ ქართული მხატვრული სიტყვის ისტორია. გ. კვაშილავას „ფესტოსის დისკო“, გ. ჭელიძის მტკიცე ვარაუდით, „ქართულ ისტორიოგრაფიაში ნათელს ჰფენს პრობლემებს“, საიდან დავიწყოთ ქართული ენის რეალური ისტორია, ქართული ანბანობამდელი (პიქტოგრაფიული) დამწერლობის ისტორია, ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ქართული წერილობითი სიტყვიერების დოკუმენტური ისტორია.

ძეგლი საშუალებას იძლევა პოეტურ სახომებზე დაკვირვებისთვისაც.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიზო ჭელიძის მხატვრული და მეცნიერული მემკვიდრეობა ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს, როგორც სიახლე ეროვნულ ლიტერატურისმცოდნეობასა და ქართველოლოგიურ მეცნიერებაში.

მამყლიშვილთა ოჯახის თავკაცი

რადიოს, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ყველა აფხაზეთელი და სრულიად საქართველოს მრავალი მოქალაქე იცნობს გენერალ–მაიორის მუნდირით მოარულ, ორდენ–მედლებით მკერდდამშვენებულ კოლორიტულ პიროვნებას – ბატონ სერგო წურწუმიას. ის თავის ორ ვაუკაცთან - ჯემალთან და ჯამბულთან ერთად რუსეთის მიერ ინსპირირებულ ქართველ–აფხაზთა დაპირისპირებისას ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებოდა. სერგო და ჯამბულ წურწუმიები ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალრები არიან.

სამწუხაროდ, პოეტი და ჯარისკაცი ჯამბული გმირულად დაიღუპა.

ბატონმა სერგომ ორი უდიდესი ტრაგედია – საფიცარი აფხაზეთისა და უსაყვარლესი შვილის დაკარგვა რაინდულად გადაიტანა. უბედურებამ ვერ გატეხა ის სულიერად, რადგან ისევ დიდი მისია აკისრია – აღზარდოს ობოლი შვილიშვილები, მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის დაბრუნებაში.

სერგო წურწუმია აქტიური საზოგადო მოღვაწეა. არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას" ვიცე–პრეზიდენტი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მნიშვნელობის მრავალპროფილიანი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული დახმარების კავშირის „დისკუსია 2005"ის თავმჯდომარე.

ეს უმტკიცესი ნებისყოფის მამულიშვილი ყოველთვის იქ არის, სადაც საჭიროება მოითხოვს,მუდამ პრინციპული,ქედუხრელი,პირდაპირი და სიმართლისთვის მებრძოლია. ერთი შეხედვით, მკაცრი, გულჩათხრობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს,სინამდვილეში კი ძალზე გულჩვილი, ლმობიერი და კეთილია.

გენეტიკური კოდებიდან მოსდევს უშიშარი სული. მამამისი ილო წურწუმია იმ ქართველთა წარმომადგენელი იყო, გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკში ფაშისტებს რომ აუჯანყდნენ 1944 წელს და ტყვეობას სიკვდილი ამჯობინეს. ბ–ნი სერგოს მამა ჰოლანდიაში, ტექსელის კუნძულზე, ქართველ ტყვეთა სასაფლაოზე განისვენებს.

მდიდარი ბიოგრაფია აქვს ბატონ სერგოს. მსახურობდა საბჭოთა არმიაში, მუშაობდა გულრიფშის რაიაღმასკომში, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, იყო პოლიციის უფროსი.

1992 წლის სამამულო ომის დროს დაინიშნა სამთავრობო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის სპეცგანყოფილების უფროსად და სამთავრობო აგარაკის კომენდანტად, მინიჭებული ჰქონდა პოლიციის პოლკოვნიკის წოდება.

მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, ევროპის უშიშროების თანამშრომლების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი რანგის წარმომადგენელთა თათბირების (ვ. კოზირევი, მ. პასტუხოვი, ს. შოიგო, ე. ბრუნერი, ე. ვიდეგარი) და საქართველოს მთავრობის უსაფრთხოების დაცვაში.

1995 წელს აირჩიეს საერთაშორისო ინფორმატიკის აკადემიის ნამდვილ წევრად. 1997 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით რუსეთის ფედერაციაში იმყოფებოდა დიპლომატიურ სამსახურში.

სერგო წურწუმიას საღი აზროვნება მწერლობაშიც გამოვლინდა. ცნობილია მისი წიგნი პროფ. თემურ მიბჩუანთან ერთად გამოცემული: „კაზაკები და საქართველო", რომელმაც ყურადღება მიიქცია მოსკოვში, კიევში. ასევე 2010 წელს გამოიცა მისი ერუდიციით გამორჩეული, „XXI საუკუნე – თბილისის 57–ე მერი ყველა ოჯახს." წიგნი ყურადღებას იქცევს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ისტორიის, კულტურის ასპექტებით, მომავლის პრობლემებით და გვაჯერებს მისი ავტორის კომპეტენტურობაში.

სერგო წურწუმიას გაუნელებელი ტკივილია დაკარგული აფხაზეთი და ომში გმირულად დაღუპული ჭაბუკი ჯამბულ წურწუმია.

ჯამბულის რაზმი შეუპოვრად იცავდა კოდორის ხიდს და აეროპორტის ტერიტორიას. მათ მედგარი წინააღმდეგობით მოახერხეს გზა ჩაეკეტათ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის ხეობიდან შემოსული მტრისთვის, რამაც სოხუმში და გულრიფშში ალყაშემორტყმულ მოსახლეობას საშუალება მისცა სვანეთის გზით გამოედწია სამშვიდობოს.

ჯამბულ წურწუმიას ახასიათებენ, როგორც სიკეთის ეტალონს, სხვისი ჭირის გამზიარებელს, გაჭირვებაში ჩავარდნილის შემწეს, ოჯახის მოყვარულს და სამშობლოს ერთგულს, უშიშარს, სულიერად და ფიზიკურად ძლიერს (მწერალი და ჟურნალისტი სიმონ ზაქარაია).

ჯამბული პოეტური სულის ადამიანი იყო, მუზებთან წილნაყარი. ომამდე დაწერილ ერთ ლექსში ჭაბუკმა ქართული რაინდული სული გვაჩვენა, თავისი ტრაგიკული აღსასრული და მარადიულობა იწინასწარმეტყველა : „ვინ დააჩოქებს კოდორის ბოკვრებს, მამა–პაპათგან ბრძოლებში ნაჩვევთ? საქართველოსთვის იქნება მოკვდეთ და მაინც მარად ცოცხლებად დავრჩეთ! „

დღეს ჯამბულ წურწუმიას პოეზია და პროზა გამოცემულია. მასზე წიგნები და წერილებია დაწერილი.

უკვდავი რაინდის სახელობის ქუჩაც არსებობს, ისან–სამგორის რაიონში ჯამბულ წურწუმიას ძეგლიც დგას (ავტორია გულრიფშელი ოთარ ღურწკაია).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სერგო წურწუმიას სიკეთე, მამულიშვილობა და კაცური კაცობა შვილის ძეგლთან დაკავშირებითაც გამჟღავნდა. გულდამწვარმა მამამ ისურვა, რომ თავის ვაჟკაცთან ერთად უკვდავეყო მისი 23 – ე ბრიგადის მე–5 ბატალიონის 105 ჯარისკაციც. ამ მიზნით სპეციალურად რკინა-ბეტონის კედელზე ჩაამონტაჟებინა მემორიალური დაფა, რომელზეც ამოტვიფრულია ჯამბულთან ერთად მებრძოლი და ბედის უკუღმართობით დაღუპული შვილის ხვედრის გამზიარებელი ახალგაზრდების სახელები.

სერგო წურწუმიას სასიქადულო ოჯახზე უსასრულოდ შეიძლება ფიქრი და წერა, ამჯერად კი ერთი საოცარი, მრავლისმეტყველი ფაქტი გვინდა გავიხსენოთ.

ბატონ სერგოს მეუღლეს, ქალბატონ ციალას ძილს უფრთხობდა აფხაზეთში, სოფელ ვარჩეში უპატრონოდ დარჩენილი შვილის საფლავის მდგომარეობა. დედამ სიზმარში იხილა ჯამბულის აოხრებული სავანე, რამაც გადააწყვეტინა, რისკის ფასად ჩასულიყო მშობლიურ სოფელში და თავად გაერკვია სიმართლე. ქალბატონი ციალა გაიპარა ვარჩეში, შეხვდა მასავით შვილმკვდარ აფხაზ დედას და გაანდო თავისი დარდი. მათ ერთად მოთხარეს ჯამბულის საფლავი და დარწმუნდნენ, რომ ხელუხლებელი იყო ეს წმინდა ადგილი. შავებიანი დედები ცრემლებით რწყავდნენ, ხელებით ეფერებოდნენ საფლავის მიწას, თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს და გაუნელებელი ცეცხლით იწვოდნენ, რადგან არაფრით შეეძლოთ არსებული ვითარების შეცვლა.

განა ეს ფაქტი ვეფხვისა და მოყმის ბალადას, მასში გაცხადებულ სულს არ გვაგონებს? განა ეს შეხვედრა არ გვაჯერებს, რომ აფხაზთა და ქართველთა შორის სამუდამოდ არ არის ხიდი ჩატეხილი, რომ ორი ერის წარმომადგენელთა გულები ინსტინქტით, სისხლით, სულით ყოველთვის მოძებნიან საერთოს და რომ მესამე ძალა, „გაიძვერა მოყვარეა" ყველაფრის რეჟისორი? ურთიერთგაგების, შერიგების, მომავლის იმედს გვიტოვებს საღად მოაზროვნეთა, მაღალმორალურ ადამიანთა არსებობა ორივე მხარეს.

იმედი კიდევ ის არის, რომ კაცური კაცი სერგო წურწუმია არ დაეცა სულით და ხორცით, ის და ჯემალი სამშობლოს უზრდიან ახალ თაობას, ჯამბულის ობოლ შვილებს, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ მამის საგმირო საქმეებით იამაყონ.

ისევ გენიალური ხალხური სიტყვები ამოტივტივდა გონებაში : „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი,ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ ჭამონ მტრისანი".

ქართველი ლომების – ჯემალისა და ჯამბულის მამას,მათი მოზარდი თაობის წინამძღოლს – ბატონ სერგო წურწუმიას ვულოცავთ დაბადების 70 წელს, სახელოვნად გავლილ მის გზას ქედს ვუხრით და დღეგრძელობას, ბერი მინდიას სიმხნეს ვუსურვებთ ნამდვილ მამულიშვილს.

პარტიულობის ლენინური პრინციპი და ტროცკის ესთეტიკა

1905 წლის 13 ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ვ. ი. ულიანოვის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. სწორედ *პარტიულობის ლენინურ კატეგორიაში* ჰპოვა განვითარება მარქსისტულმა იდეებმა ხელოვნების კლასობრივი და ტენდენციური ხასიათის შესახებ. საინტერესოა ამ პრინციპის შედარება XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა ესთეტიკური და მხატვრული სკოლებისა და მიმდინარეობის თეორიულ ძიებებთან.

არ არის შემთხვევითი, რომ აღნიშნული კატეგორია სწორედ XX საუკუნის ესთეტიკაში ჩამოყალიბდა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ძალზე ფართო გავლენა მოიპოვა *ტენდენციურობის იდეამ.* იგი გაგებულ იქნა, როგორც:

- განსაზღვრული იდეის თანამიმდევრული გატარება;
- კერძო თუ ჯგუფური ინტერესებიდან გამომდინარე არაობიექტურობა ან მიკერძოება; ნაწარმოების თემის წინასწარგანსაზღვრული, ცალმხრივი ახსნა;
- მხატვრულ ნაწარმოებში გარკვეული ამოცანის ღიად დასახვა.

ფაქტიურად, პარტიულობა წარმოადგენს ტენდენციურობის ნარცისიზმს, მის უკიდურეს გამოვლენას, ფორას.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისადმი უტილიტარული დამოკიდებულების იდეა ჯერ კიდევ ხალხოსნებმა ჩამოაყალიბეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მათვე წამოიწყეს მსჯელობა ხელოვნების ხალხურობის შესახებ. ლიტერატურაში ხალხურობის იდეების დამკვიდრება უკავშირდება „რაზნოჩინელების“ იდეურ-ესთეტიკურ ნააზრევს (ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი), რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ. „რაზნოჩინელების“ ღრმა რწმენით, ლიტერატურაც და მეცნიერებაც ხალხის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო მისი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. აქვე შევნიშნავთ, რომ „რაზნოჩინელების“ შეხედულებათა ძირითადი ასპექტები – სინამდვილის მართლად წარმოსახვა, ხალხისთვის საინტერესო საკითხების დასმა და გაშუქება, პრობლემის ახსნა და გადმოცემა ხალხისთვის მისაწვდომ, გასაგებ ენაზე – ქართველმა „სამოციანელებმა“ *შემოქმედებითად* აითვისეს. ილიამ, აკაკიმ და მათმა თანამზრახველებმა საზოგადოებრივ ფუნქციასთან ერთად, ლიტერატურას ერის (ხალხის) სამსახურის იდეაც დაუმატეს. ზემოაღნიშნულმა საკითხებმა სიღრმისეული ასახვა ჰპოვა ილიას პუბლიცისტიკაში.

ამგვარად, პარტიულობის ლენინური პრინციპისკენ ორ ტრადიციას მივყავართ: ერთის მხრივ, ტენდენციურობისა და იდეურობის მარქსისტულ ტრადიციას და, მეორე მხრივ, „სოციალური უტილიტარიზმისა“ და „მოქალაქეობის“ ტრადიციას, რომელიც XIX საუკუნის რუსულ კულტურაში იშვა. თავად ტერმინი – „პარტიულობა“ – სულაც არ იყო ლენინის მიერ შემოტანილი და დამკვიდრებული. აქვე შევნიშნავთ, რომ ფილოსოფიისა და ისტორიის ისეთი კატეგორიებიც,

როგორებიცაა „კლასები“ და „კლასობრივი ბრძოლა“ სამეცნიერო მიმოქცევაში დაამკვიდრეს ფრანგმა ისტორიკოსებმა: ო. ტიერმა, ო. მინიემ და ფ. გიზომ. ასევე შეეხება კარლ მარქსს, რომელსაც ხშირად მიაწერენ ზემოაღნიშნულ ტერმინებს, მან განავითარა კლასობრივი ბრძოლის თეორია და მივიდა პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრების იდეამდე, ხოლო ძალადობა გამოაცხადა „ისტორიის ძიძად“ და „მის ერთადერთ მოქმედ ინსტრუმენტად“.

პარტიულობის ცნება ლიტერატურულ შემოქმედებასთან მიმართებით ლენინამდეც გვხვდება. იგი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა რუსულ ჟურნალისტიკასა და კრიტიკაში. მაგ.,1902 წელს, ლენინის ზემოთხსენებული წერილის გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე, გამოიცა ცნობილი ლიტერატურული ალმანახის, „ჩრდილოეთის ყვავილების“ პირველი ნომერი.

ხელოვნებათა „ხალხის სამსახურში“ ყოფნის იდეის თვალსაზრისით, საინტერესოდ გვეჩვენება რუსეთის პოეზიის აღიარებული მეტრის, ალექსანდრე ბლოკის–მსჯელობა სტატიაში „სამი კითხვა“. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მწერლობისთვის საჯილდაო ქვად ქცეულა „მშვენიერისა“ და „ხალხისთვის საჭიროს, სასარგებლოს“ ურთიერთშეთავსება.

ხელოვნების სოციოლოგიის ახალი კატეგორია ლენინმა ჟურნალისტიკასთან მიმართებით შეიმუშავა წერილში „პარტიული ბეჭდვითი ორგანოების მიმართ“.

XX საუკუნის ესთეტიკაში ტენდენციურობის იდეაზე საუბრისას აღსანიშნავია ჟან პოლ სარტრის მიერ შემოტანილი და დამკვიდრებული ***ხელოვანის „ანგაჟირებისა“ და „გადაბირების“*** კატეგორიები, რომლებიც ახლოს დგანან ***სოციალური დაკვეთის*** იდეასთან. საინტერესოა, ესპანურ ენაზე ფრანგულ სიტყვას „ლ'ენგაგემენტ“ შეესატყვისება „კომპრომისი“; ამდენად, გამოთქმა „ანგაჟირებული ხელოვნება“ ესპანურად ჟღერს, როგორც **„არტე კომპრომეტიდო“**, ანუ ხელოვნება, რომელმაც თავის თავზე ვალდებულებები აიღო. ეგზისტენციალური ესთეტიკის ზემოაღნიშნული დებულებები, გარკვეულწილად, ეხმაურებიან წარსულის სოციალური განვითარებისთვის ისეთ მნიშვნელოვან და ტრადიციულ ცნებებს, როგორებიცაა მეცენატობა და პატრონატი.

ედმუნდ ჰუსერლიმ და მისმა ფენომენოლოგიურმა სკოლამ წინა პლანზე წამოსწიეს ***ინტენციონალურობის*** გნოსეოლოგიური კატეგორია, რომელიც გულისხმობდა ***შემეცნების წარმართვას*** სასურველი მიმართულებით. ლენინური ესთეტიკისგან განსხვავებით, ფენომენოლოგიას მხედველობაში აქვს შემეცნების წარმართვა არა სოციალურ, არამედ სუბიექტურ-პირადულ ასპექტში. ანალოგიურად, სუბიექტურ-პირადულ შინაარსს გულისხმობს ***„გააზრებული“*** ფაქტის ფენომენოლოგიური იდეა. ამ შემთხვევაშიც შემეცნების აქტივობა რეალობასთან მიმართებით არის აღიარებული, მაგრამ მარქსიზმის პოსტულატებისგან განსხვავებით, ეს აქტივობა არ არის ნაკარნახევი პარტიული ინტერესებისათვის მსახურების ამოცანით.

ხელოვნების „ხელმძღვანელობისა“ და შემოქმედი ადამიანების ***„მფარველობის“*** (მეცენატობის) იდეა არც თანამედროვე კულტურისთვის არის უცხო. ამას მოწმობს, თუნდაც, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ***ჯონ ჰოლოუეის*** სამეცნიერო ნაშრომი „ხელოვნების ონტოლოგია და სოციალური ინჟინერია“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „თანამედროვეობის ისეთი

სოციალური ფენომენი, როგორიც არის ხელოვნების პატრონატი ადგილობრივი ადმინისტრაციის ან ხელისუფლების მხრიდან, ბადებს უამრავ არტისტულ ინდივიდუალობას". ავტორი სამართლიანად შენიშნავს, მეცენატობა ვრცელდება არა ყველაზე და არა ყველანაირ ხელოვნებაზე, არამედ მხოლოდ იმაზე, რაც პატრონს მოსწონს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პროპაგანდისა და აღმზრდელობითი მუშაობის ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ შემოქმედებით ინტელიგენციაში პარტიულობის პრინციპი რაღაც მორალური პოსტულატის მსგავს შინაგან იმპულსად გადაექციათ, რომელიც სინდისისა და მოვალეობის გრძნობების მსგავსად, „შიგნიდან" წარმართავდა ხელოვანის შემოქმედებით მუშაობას. არსებითად, ეს უნდა ყოფილიყო „შინაგანი ცენზორი", პიროვნებაში ჩანერგილი „შინაგანი რედაქტორი". ტოტალიტარიზმის წლებში სახელმწიფო შემოქმედის შეგნებაში „შინაგანი რედაქტორის" ჩანერგვას ცდილობდა პროპაგანდის, ტაბუირებული ნაწარმოების აკრძალვის, დაპატიმრებისა და გადასახლების საშუალებით.

საინტერესოა, რომ საკმაოდ ხშირად სწორედ ტროცკისგან მომდინარეობდა სერიოზული ინიციატივა, რომელიც შემდგომში განსაზღვრავდა ხოლმე მწერლებსა და სხვა ხელოვნებაზე ხელისუფლების ორგანოების ზემოქმედების კონკრეტულ ფორმებს. მაგალითად, 1922 წლის 30 ივნისს ტროცკიმ პოლიტბიუროში გაგზავნა წერილი - „ახალგაზრდა მწერლების, მხატვრებისა და სხვათა შესახებ". დოკუმენტში ეწერა, რომ ბოლშევიკები თავიანთი არათანმიმდევრული, არასწორი პოლიტიკის გამო კარგავდნენ იმ ახალგაზრდა მწერლებს და მხატვრებს, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიმპათიებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ; „არავითარი, ან თითქმის არავითარი ყურადღება მათ არ ეთმობათ, თუ არ ჩავთვლით ცალკეული საბჭოთა მუშაკების მხრიდან მათდამი შემთხვევით, წმინდა კუსტარული გზით გამოვლენილ ყურადღებას. მატერიალური თვალსაზრისითაც, ჩვენ ვუბიძგეთ ბურჟუაზიული, ჩვენდამი მტრულად განწყობილი გამომცემლობებისაკენ, სადაც ახალგაზრდა პოეტები იძულებულნი ხდებიან, დამალონ ჩვენდამი სიმპათიები. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლებთან ყურადღებიანი, ინდივიდუალიზებული დამოკიდებულების დამყარება".

ტროცკის ძირითადი ნაშრომი ესთეტიკისა და კრიტიკის შესახებ – „ლიტერატურა და რევოლუცია" – გამოქვეყნდა 1923 წელს. იგი მოიცავს 1907-1923 წლების შრომებს. მართალია, აღნიშნული წიგნი არ წარმოადგენს ერთიან მონოგრაფიას, მაგრამ მისი სტრუქტურა ავტორის მიერ არის განსაზღვრული. ცხადია, აღნიშნულ წიგნში (რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „აკრძალული ლიტერატურის" კატეგორიაში შედიოდა), ტროცკი არ გვევლინება აკადემიურ მკვლევრად. წიგნში არ არის წარმოდგენილი ავტორის ესთეტიკური სისტემა, აშკარად იგრძნობა ესთეტიკური პროფესიონალიზმის ნაკლებობა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ ტროცკის არა აქვს ლიტერატურული პროცესის დაყოფის ერთიანი პრინციპი; მისთვის ხან პოლიტიკური კრიტერიუმებია ამოსავალი („თანამგზავრები", „გლეხუჭები"), ხანაც წმინდა მხატვრული (რეალისტები, სიმბოლისტები, ფუტურისტები). ტროცკის

წერილებში გვხვდება არაერთი შაბლონი, რომელიც ნაკარნახევია კლასობრივი ფანატიზმითა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და კულტურის მიმართ აგდებული დამოკიდებულებით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ზოგიერთი პარტიული თეორეტიკოსისგან განსხვავებით, ტროცკიმ მოგვიანებით აღიარა თავისი შეცდომები.

იმდენად თვალში საცემია სტალინისა და ტროცკის პოსტულატების მსგავსება, რომ ზოგჯერ რთულია პირველწყაროს დადგენა. მაგ.; გამონათქვამები „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია"; „ხელოვნებაში მთავარია მისი შინაარსი და პოლიტიკური ორიენტაცია"; „მწერლები ფასდებიან მხოლოდ ერთი კრიტერიუმით – რევოლუციის „მომხრე" თუ „მოწინააღმდეგე" და სხვა. ასევე, „სტალინურად" ჟღერს ტროცკის გამონათქვამი „ადამიანის გადადნობასთან" დაკავშირებით.

ტროცკი, პრინციპში, იზიარებს ლენინის შეხედულებას ყოველ ეროვნულ მემკვიდრეობაში ორი კულტურის არსებობის შესახებ. თავის მხრივ, ერთი ხალხის შემადგენლობაში ორი ერის გამოყოფის თეორია რომაული სამართლიდან მომდინარეობს. აღნიშნული თეორიის ვულგარულ-სოციოლოგიური გზით განვითარებას მივყავართ იქამდე, რომ თავადაზნაურული კულტურა (რუსულ სინამდვილეში – პუშკინი, ტოლსტოი, ტურგენევი და სხვა, ქართულ სინამდვილეში – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ., არ მოიაზრება ეროვნული კულტურის ნაწილად.

ხელოვნებისადმი პარტიის დამოკიდებულების პრინციპების ჩამოყალიბებისას ტროცკი, გარკვეულწილად, სიფრთხილეს იჩენს. მისი პოზიცია გაცხადდა რკპ(ბ)-ის ცკ-ს ცნობილ დადგენილებაში ლიტერატურის სფეროში პარტიის პოლიტიკის შესახებ (1925). მოგვიანებით სტალინი და ჟდანოვი ტროცკის პრინციპებს უარყოფენ და კულტურის პოლიტიკას გაამკაცრებენ.

ლიბერალურ შეხედულებასთან ერთად, ტროცკი გამოთქვამს ლენინური თეზის მხარდამჭერ თვალსაზრისს, რომელიც ლიტერატურული პროცესების „თვითდინებაზე" მიშვებას კრძალავს. ტროცკი ამკაცრებს ლენინისა შეხედულებას და მიიჩნევს, რომ მმართველმა პარტიამ **პერმანენტულად** უნდა აკონტროლოს ლიტერატურული პროცესები: „სრულიად ნათელია, რომ ხელოვნების სფეროში პარტია ვერც ერთი დღით ვერ დაუშვებს ლიბერალურ პრინციპს: „ლაისსერ ფაირე, ლაისსერ პასსერ" (დართეთ ნება მოვლენებს, თავიანთი გზით იარონ).

ტროცკი ყურადღებით გაეცნო ფორმალისტური სკოლის წარმომადგენელთა ნააზრევს. ამას ადასტურებს მის მიერ წიგნში ციტირებული ფრაზები: „ ხელოვნება ყოველთვის თავისუფალი იყო ყოფისგან და მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქალაქის ციხე - სიმაგრის თავზე მოფრიალე ალმის ფერს", „პოეზია წარმოადგენს ფასეული სიტყვების გაფორმებას", „თუკი არსებობს ახალი ფორმა, შესაბამისად, არსებობს ახალი შინაარსიც. აქედან გამომდინარე, ფორმა განაპირობებს შინაარსს". ეს ფრაზები აღებულია ვ. შკლოვსკის, რ. იაკობსონის, ა. კრუჩონიხის თხზულებებიდან.

პირველი პროლეტარული კულტურულ–საგანმანათლებლო ორგანიზაციები როგორც ცნობილია, რუსეთში 1917 წელს გაჩნდა. მოგვიანებით, განათლების სახკომის, ა. ლუნაჩარსკის ინიციატივით, ისინი გაერთიანდნენ სრულიად რუსეთის პროლეტკულტად.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოშიც კომუნისტური პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის დასაყრდენ, საიმედო ორგანიზაციას წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. გამოდიოდა ლიტერატურულ–მხატვრული ჟურნალი „ქურა“, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ პროლეტარული პოეტები: ს. ეული,ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი და სხვები. მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები საკმაოდ მოკრძალებული იყო და ხასიათდებოდა წერის მკვეთრად გამოხატული პლაკატური მანერით. მოგვიანებით მათ რიგებს შეუერთდნენ ახალი თაობის პროლეტარული მწერლები: ა. მირცხულავა, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე და სხვები. ისინი ასპარეზზე გამოვიდნენ თავიანთი ბეჭდვითი გამოცემით „პროლემაფი“ (პროლეტარული ლიტერატურის ახალი ფრონტი), „დარიალი“ და სხვ., შემდეგ კი თანამშრომლობა დაიწყეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანოში „პროლეტარული მწერლობა“.

ტროცკი არარევოლუციურ ლიტერატურაში მთავარ კონფლიქტად რევოლუციასა და ინტელიგენციას შორის არსებულ დაპირისპირებას მოიაზრებდა და თვლიდა, რომ „დიადმა ოქტომბერმა“ საბოლოოდ დაასამარა ეს უკანასკნელი. აღნიშნულმა თვალსაზრისმა მყარად მოიკიდა ფეხი პარტიულ წრეებში და, გარკვეულწილად, განსაზღვრა ყველა ის უბედურება, რომელიც შემდგომში თავს დაატყდა ინტელიგენციას, ზოგადად, კულტურასა და, საბოლოო ჯამში, პარტიასაც.

ლიტერატურაზე მსჯელობისას ტროცკი აზროვნებს არა ესთეტიკური, არამედ პოლიტიკური კატეგორიით. სწორედ მან შემოიტანა არაესთეტიკური ტერმინები (მაგ., „კადეტები“, „მიტმასნილები“, „თანამგზავრები“, და სხვ.), რომლებიც ათწლეულის განმავლობაში დამკვიდრდა საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკაში. კერძოდ, მისი თანამედროვე სალიტერატურო პროცესის დახასიათებისას ტროცკი „თანამგზავრებს“ უწოდებს იმ ლიტერატორებს, რომლებმაც ვერ შეძლეს კომუნისტური იდეალების ბოლომდე გათავისება. „თანამგზავრებთან“ დაკავშირებით ყოველთვის მებადება კითხვა: რომელ სადგურამდე?” – წერდა ტროცკი. ამ კითხვაზე ცხოვრებამ ტრაგიკული მოვლენებით უპასუხა, რადგან ის მწერლები, რომლებიც ინდივიდუალობას ინარჩუნებდნენ და მმართველი პარტიის მორიგ სისულელეს ხოტბას არ ასხამდნენ, „1973 წლის“ სადგურს ვერ გასცდნენ (რუსეთში ნ. გუმილიოვი, ო. მანდელშტამი, ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი და სხვ., საქართველოში მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტროცკის არ შეუქმნია ერთიანი სამეცნიერო ესთეტიკური სისტემა, რომელიც ემსახურებოდა ხელოვნებაზე პარტიის ზემოქმედების მიზნებს. ტროცკის იდეები ეხმაურება ლენინის სწავლებას ხელოვნებასა და ლიტერატურაში პარტიულობის შესახებ. სწორედ ლენინისა და ტროცკის შემოთავაზებულმა პრინციპებმა პოვა შემდგომი განვითარება სტალინის კულტურის პოლიტიკაში.

ტაძრისკენ მიმავალი გზა

(ოთარ ჩხეიძის „მორჩილის“ მიხედვით)

გრიგოლ ხანძთელსა და საბა იშხნელს „ეცნობა გზაიცა მისავლად“ იშხანში, ძველი და დიდებული ტაძრის აღსადგენად საბა გამოარჩია უფალმა და მიიყვანა იმ ადგილას, სადაც იყო „ნუგეშინის საცემელი სულიერი და ხორციელი.“ ციტატა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ეპიგრაფად წაუმძღვარებია ოთარ ჩხეიძეს რომანისთვის „მორჩილი“. ნაწარმოების დასაწყისში მკითხველს სულიერი განწმენდისკენ, ამაღლებისკენ მოუწოდებს მწერალი, რომელსაც შიშველი დიდაქტიკა არ სჩვევია.

აგიოგრაფი ავტორი თავისი რომანის დასაწყისშივე გვახსენებს სიტყვის დუმილის ღვთაებრიობას. რჩეულთა ურთიერთობა ღმერთთან სიტყვით ხორციელდება „და იყო სიტყვა უფლისა, ჩემდამი მეტყველ“ (იერემია 1,5). „სანამ სიტყვა იყო ღმრთისა, არა უჭირდა ქვეყანასო“, - ბრძანებს „მორჩილის“ ავტორი. როცა სიტყვა იქცა საქვეყნოდ, ღმერთსაც გაუჭირდაო. „ველარც ქვეყანა შეელია ღვთით კურთხეულ სიტყვასა და აღარც ღმერთი ინებებს დაიბრუნოს სიტყვაი იგი გალიზღებული, გაქვეყნიურებული, გამოვლებული დორბლიან ყბებში, დაცურებული ენაზედა“...

მწერალი სიტყვის შემნახველი, ღმერთთან უსიტყვოდ მოსაუბრეა. ის სიტყვებით გვაუწყებს ღვთის საიდუმლოს. ღმერთს ესავს თვითონაც ძველი მთხრობელებივით, მას სთხოვს შეწევნას და მართლაც, „სადაც ღვთიური ძალა დაადგრის,“ იქ ყველაფერი, ადამიანურ ძალებზე აღმატებულიც კი, ადვილდება (გიორგი მერჩულე).

„სიტყვა ჩვენთან არს. სიტყვით შეგვეწიე, სიტყვაო წმინდაო, უგვანთაგან მიუკარებო, სიტყვაო ემბაზისა, სიტყვაო ღმრთისა!..“

ოთარ ჩხეიძისთვის უფალი და სამშობლო განუყოფელი ცნებებია. ავტორი სამშობლოს აღიქვამს, როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებას, ერი მისთვის ყველაფერია. მონასტრისკენ, ღვთისკენ, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზა კი ქვეყნის ბედისწერაა.

ძველებურ ქართულ რიკულებიან აივანზე ბოლთისმცემელი კაცი ჯამბაკურ ბარათაშვილია. ეს პერსონაჟი რომანში გამოჩენისთანავე ასოცირდება მამულის, ქვეყნის სახესთან. ხეიბარი, მაგრამ ძლიერი, ღონიერი და უდრეკელი ჯამბაკური, ვაჟა-ფშაველას დაჭრილ არწივს მოგვაგონებს. შემთხვევითი არ არის, რომ მხარი კოდორზე მოსტეხეს, თუმცა მარტო ეს ტკივილი ვინ აკმარა, ასე უნუგეშოდ იხატება თანამედროვე საქართველოს ყოფა. ჯამბაკურს მოსდომებია საბარათიანოში ძველი მამულის აღდგენა. ეს, რა თქმა უნდა, მარტო „ბარათაანთ“ კი არა, ზოგადად, ყველა ქართველის ქვეყანაა. ასე რომ, ქართველის მოყვარული და მძლე პატრონის ხელი. სახლი სერზე. ზევით, ცასთან ახლოს ყოფნა ღვთის სიახლოვეს, სიწმინდეს ნიშნავს. რელიგიურად მთა ღვთის სავანედ მოიაზრება, იგი ცისა და მიწის მაკავშირებელია: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინა დაემკვიდროს მთასა წმინდასა შენსა“ (ფს. 14,1). მამულის პატრონად და ჭირისუფლად, ამ შემაღლებულ ადგილას მდგარი სახლის პატრონია მოაზრებული.

პატრონს ისეთი ზღუდე შემოუვლია ეზოსთვის, ჩიტმა რომ ვერ გადაუფრინოს, ძირს ჭიანჭველა ვერსაით შემოძვრეს. ამ სიტყვებში გაცხადებულია მწერლის ოცნება. ლუარსაბის მამულივით, ჭიშკარჩამოვარდნილი, ღობეჩამტვრეული, მოღიავებული და დაუცველი გვაქვს საზღვრები, ცამცუმის კოშკივით აუღებელი, გამაგრებული ქვეყნის მოდელს ავტორი ქმნის. მერე კი გვიჩვენებს, რა საფრთხე ჩასაფრებია დამოუკიდებლად არსებობას. ალგეთის, ქციის და მაშავერას ხეობაში, ბარათაშვილთა უძველეს სამკვიდროში, სადაც ვახუშტის აღწერით, ხარობს ყველაფერი ბრინჯისა და ბამბის გარდა, ქართული ენა მივიწყებულია. გულდაწყვეტით ითვლის მწერალი, რამდენ ენაზე მეტყველებენ ტაფობის მკვიდრნი: ჯამბაკურს შეუტიეს რუსულად, სომხურად, თათრულად, ბერძნულადაც. ქართულად არა. არც რო არავინ არ იცოდა ამდენი ქართული“(გვ. 17).

„ერის დიდება, მის ისტორია, დაცულ არს ენით“ (გრ. ორბელიანი). ქართული ენის უზენაეს და საიდუმლო მისიას იოანე ზოსიმე გაამჟღავნებს. ქებითა და დიდებით არავის გაუხდია სადაო, რომ ენის დაკარგვა ქვეყნის დაკარგვასაც მოასწავებს. სამშობლოს აღსადგენად, გასაძლიერებლად მარტო მეურნეობის აღდგენა არ კმარა. ენა აღსადგენია, ენამ უნდა შეკრას და გააერთიანოს მოსახლეობა.

ამ მხარეში ქართული სკოლის გახსნისათვის ზრუნავს ჯამბაკურის ასული მაიკო. ეს პერსონაჟი, ერთი მხრივ, აგრძელებს ქართულ ტრადიციებს – სამშობლოს, მამის, ოჯახის სიყვარულისას. სულიერადაც და ფიზიკურადაც ლამაზი, ჭკვიანი, მტკიცე ხასიათის ახალგაზრდა ქალია. მეორე მხრივ, მისი დახატვით ოთარ ჩხეიძემ ერთგვარი სიახლე შემოგვთავაზა – მაიკო მოტოციკლით მქროლავი, დამოუკიდებელი, პოლიტიკაში ჩართული, მტერ-მოყვრისათვის პასუხის გამცემი, მხოლოდ თავის ნებაზე დამოკიდებული, ტრადიციულად მამაკაცის ფუნქციების შემსრულებელი ქალია. აქვე უნდა ვახსენოთ ჯამბაბაკურის ვაჟი, მაიკოს ძმაც, რომელსაც დიდი წინაპრის მშვენიერი სახელი, - ნიკოლოზი ჰქვია, მაგრამ მხოლოდ კნინობით-ალერსობით - ტატოს, ტატულის ეძახიან. სახელის ეს დაკნინება მიანიშნებს, როგორ შეცვლილა შთამომავალი, დამცირებულა, დამდაბლებულა. ტატული თუმცა ნაკითხი და განათლებულია, მაგრამ – შემცდარი, გზაარეული. იგი ზოგადი სახეა იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც სამშობლოზე მაღლა პარტია დაუყენებიათ. გვიან, მაგრამ მაინც გამოერკვევა ტატული რევოლუციური ორომტრიალიდან. გამოეყოფა, გაუნაპირდება პარტიას. სხვათაშორის, ასეთ საქციელს მკითხველი ელის კიდეც იმიტომ, რომ ტატული ბარათაშვილია, ჯამბაკურის ვაჟი. მას გვარი და ოჯახი ავალდებულებს. ოთარ ჩხეიძისთვის ოჯახი წმიდათაწმიდაა, ხელშეუხებელი. ოჯახმა უნდა შეინახოს და გადაარჩინოს გვარი, მომავალი, სახელმწიფო.

ნაცრისფერი სახურავებით გადახურული სახლები ნაცრისფერი, ულიმღამო ცხოვრების სიმბოლოდ აღიქმება. მწერალი ჭუჭყიანი ზეწარით ადამიანებს ერთფეროვან გარემოს და მათ გაჭუჭყიანებულ, გაუხეშებულ ყოფას აღნიშნავს, ამ ვითარებაში მკვეთრად გამოირჩევა მაღლობზე მდგარი სახლის მოწითალო კრამიტი, რომელიც ღვივის, ბრიალებს, თითქოს შემოდგომაზე დამწიფებული ხილია, ან ყურძენი, რომელშიც თვალი ჩამოსულა. მზესავით ანათებს, ღვთიურია. იმიტომ, რომ პატრონი მისი დაპირისპირებია ყველას, ვინც სხვისი ურდოს სამსახურში ჩამდგარა.

ჯამბაკურის საქმეც ემსახურება საღვთოებას, მისი სახლი ეკლესიაა. მწერლის მართალი თვალი ხედავს და ერთმანეთისგან გამოარჩევს მოჩვენებით ღვთისმოსაობასა და ღვთის ჭეშმარიტი სიყვარულს. ახალაშენებული ეკლესიის გადასახურად, ჭამბაკურის სახლის კრამიტს მოინდომებენ. სხვისი წართმეული ქონებით აშენებული ეკლესია ეშმაკისაა. ქრისტიანობის მცველი და ბურჯი მხოლოდ წმინდა ზნეობა შეიძლება იყოს. ღვთიური ადამიანები მამულის მფლობელები იყვნენ, ვინც მამულს იცავდა, მამულს აცოცხლებდა, მასზე ლოცულობდა: „დაჰკარგეს მამული და გაჰქრნენ კაცნიცა“ (გვ.34)

„მიწა არს ღმერთი“, – ოთარ ჩხეიძის ეს ფორმულა გამოძახილი და გაგრძელებაა ილია ჭავჭავაძის დებულებისა, რომ „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული.“

ტატულის არც ღვთის სჯეროდა და არც საბარათიანოს აღდგენის. „თუ არ სჯეროდა ღმერთისაი, ვერ დაუჯერებდა ვერც ჯამბაკურსა – მამასა თუნდაც“ (გვ. 97). მამა ლიტერატურაში ღვთის პარადიგმაა. მამის საქმიანობის რწმენა შვილისთვის ღვთის რწმენა იქნებოდა, საბარათიანოს აღდგენის რწმენა, ლაზარეს აღდგინების რწმენის დაბადებას უდრიდა.

ჯამბაკურს სჯეროდა. „პატიოსნება სწამდა... სირცხვილიცა. თავმოყვარეობაცა. კიდევ რა ითქვას?.. წესიერებას მეტი რა უნდოდა?!“(გვ. 104). ჯამბაკური დარწმუნებული იყო, რომ ციხეებიდან გამოშვებულებს თუ დაასახლებდა, მათაც უშველიდა და თავის მეურნეობასაც. საცხოვრებელს აღადგენდა, კერას დაახვედრებდა. იმედს აღუდგენდა მათ. რა ვუყოთ, რომ გაუმტყუნდა იმედები. „სიკო-საკოებმა“ გადაუწვეს ოდები, ჯამბაკურს ღვთის რწმენა არ შერყევია. შეცდომების გამოსწორებით კვლავ იმავე მიზნისკენ განაგრძო სვლა.

„სიკო-საკოები“ კი ყოველ დროს, ყველა საზოგადოებაში არსებობენ. განა იესოს აკლდა უმეცარნი?! „სიკო-საკოებს“ ახლდა ის მყრალი სუნი, ჯამბაკურს რომ ახორბობდა. კირილეს ჩვენებაში (აკაკის „ბაში-აჩუკიდან“) დამარცხებულ გველეშაპს ასდის მყრალი სუნი, სულის შემხუთველი, სიცოცხლის გამანადგურებელი. „მორჩილში“ ამ ყოვლისმომცველ, დამთრგუნველ, უცხო, საძაგელ სუნს უპირისპირდება საბარათიანოს მშობლიური სუნი და მასში განფენილი გრძნობა მამულის ტრფიალებისა. „ამოჰყვებოდა ჯერ ენძელებსა. ნიადაგი რომ შეჭრელდებოდა. დაიჩითებოდა რო ფერდობები თოვლიანები. გადმოსხდებოდნენ ენძელები მოციგლიგენი. ფერდობებსაც რო შეაყირმიზებდნენ, ამოიტანდნენ სუნთქვასაც, აქა-აქ სისხლდაღვრილთა“. ამ პოეტური სტრიქონებიდან, საკმევლის სურნელება იფრქვევა, ანგელოზთა გალობა ისმის. ჯამბაკურის ყველა ქმედებას ქრისტიანული მრწამსი, მორალი განსაზღვრავს. ზარალის ანაზღაურებას ვერავის აიძულებს, რადგან ძალადობა სრულიად მიუღებელია ქრისტეს მოძღვრების აღმსარებლისთვის. სამაგიეროდ, უძველეს ქართულ ტრადიციას, ასევე ძველი და მივიწყებული სიტყვით – „ორმხარით“ გაცოცხლებულს, ენდობა, ეყრდნობა და დაბრკოლებების მიუხედავად, წელშიც იმართება. მამულის აღმდგენ–ამაღორძინებელი, ბიზნესში ჩართული ჯამბაკური. ადამიანს ენდობა. უღმერთო ეპოქაში ნდობა დამღუპველად ქცეულა, მაგრამ „ვერ იქნა და ჭკუა ვერ ისწავლა ჯამბაკურმა. რო ენდობოდა ადამიანსა. მაინც ენდობოდა.“ ბიზნესისთვის, მოგებისთვის, ამაღლებულისგან, საიდუმლოსგან განძარცვული ურთიერთობებისთვის სრულიად შეუფერებელი და გაუგებარია ერთგულება, სიყვარული, მადლიერება. ამ ცნებათა სიმბოლურ განსახიერებად დიმიტრი მოჩანს რომანში, რომელსაც კომპანიონის მტკიცე მოთხოვნის მიუხედავად, ჯამბაკური არ გააგდებს, ვერ შეელევა. მამული, ისევე როგორც ეკლესია, სუფთა გულით და სუფთა ხელებით უნდა აშენდეს. სიმრუდე მას არ უნდა გაეკაროს. ამიტომ გალავნისა და კოშკების მშენებლობას დიმიტრი უნდა ხელმძღვანელობდეს და არა სიკო-საკოები. „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი,“ – ვაი რომ ამ ბიბლიური შეგონების შეხსენება ხშირად სჭირდებათ ადამიანებს. ხოლო, იმ ეპოქაში როცა „მგელი მგელისთვის ადამიანია“, შეხსენებაც არ ჭრის. ადამიანი თავისი სულიერი მისწრაფებებით განსხვავდება მხეცისგან და თუ ბედნიერებად მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა დაუსახავს, ნებისმიერი საშუალებით მიღწეული, მხეცისგან არაფრით არ განსხვავდება. ამ აზრს ამოიკითხავს მკითხველი რომანში გადმოცემულ ამბავში, სადაც ადამიანებსაც შეხვდება და მხეცებსაც.

„მიწიერებისათვის აღარა, ციერებისათვის მინდა ვიცხოვრო. სულიერებისათვის უნდა ვიცხოვრო... და ვილოცო... მამულისათვის, მამული მიწაა. მამული მიწის დაუფლება გახლავს“ (გვ.240), ამას როდამი ამბობს და კიდეც დაადგება ტაძრის გზას.

შეურაცხყოფილი, გაქელილი, გათელილი როდამი დაქცეულ მამულს, წართმეულ საკუთრებას, შელახულ თავმოყვარეობას განასახიერებს. მხოლოდ უფლის იმედით, ღვთის სასოებით, წყაროებრ დაუწყვედელი ლოცვითა და ცრემლთა ნაკადულით შესძლებს ადამიანი უფალთან დარღვეული კავშირის აღდგენას, მხოლოდ მონანიებით შეძლებს ციური წყალობის მოპოვებას. ეს არ არის მარტო როდამის ფიქრები და განწყობა. საერთოდ, ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთ სწორ გზად არის დასახული მწერლის მიერ.

საყურადღებოა, რომ მონასტერში როდამთან ერთად წასული ახალგაზრდა ქალები – მორჩილები - მაიკო და ნაზიკო ვერ გაუძლებენ სირთულეებს. ჯერ არ არიან მზად სამონასტო ცხოვრებისთვის და მალევე უკან, საერო ცხოვრებაში დაბრუნდებიან. „წუთისოფელი ორივესია: ფაციფუცისაცა. ფიქრისაცა“ (გვ. 249). ფარავნის ტბაზე ლურჯად ჩამომდგარი ზეცის სვეტი ორსავ სამყოფელს ერთმანეთთან აკავშირებს. ამ სიმშვიდეში ყველას აქვს დრო და მოვალეობა, დაფიქრდეს, „ვინთუ რაისთვის მოხვედრილა წუთისოფელში. იქ, სადაც იყო, რა მოარბენინებდა იქიდანა. იქ, საით მიდის, თუ რატომ მიდის“ (გვ.148). აქ, ფარავნის პირას, სავსებით ბუნებრივია კაბადოკიელი ქალწულის, ქართველთა განმანათლებლის მოლანდება, ოღონდ თვალი უნდა ჰქონდეს ხედვად, ანუ სულიერად იყოს ამისთვის მზად, რასაც პასუხს ვერასოდეს გასცემ: „საიდან მოვიდნენ?.. საით მიდიან?.. საწყისი სად არის?.. ან დასასრული?.. რა არის შორი?.. ახლოს რა

არის?.. ის თვითონ სად არის, თავისკენ რო გვეწევა?.. გვეწევა და გვეწევა. ვერ მისწვდენია აქამდის ვერავინა, ვერც ამიერით ვერავინ მისწვდება“ (გვ. 253). გაწმენდა, მიტევება, შერიგება, ამაღლება, მოთმინება... მოაპოვებინებს ადამიანს სულს, — ფიქრობს გიორგი მერჩულეს სულიერად, თანაზიარი მწერალი. წამხდარი ზნეობის პირობებში ტალახად და წუმპედ მოჩანს დედამიწა. „ყველა ზედ შედგება... ყველა ლაფს ასხამს“... (გვ. 306). აპოკალიფსური სურათია დახატული ჩვენი ყოფისა.

და ამ სიბნელეში, უიმედობა და უსასოებაში ადამიანს ევლინება სინათლე — ღვთისმშობელი, რომელსაც ხელზე უზის ღვთის ძე და „ადის და ადის... ავა მთებზედაცა, მწვერვალებზედაცა. ან, თუ, რად უნდა კიბეებიაო თუ საფეხურებიო — ავა პირდაპირა. ხელებს დაიქნევს მხოლოდ ოდნავა. ვერც რო შეამჩნევ ისე ფრთხილადა. და ავა უეცრადა. წამზე წამისადა. უხმაუროდა საბრძანებელში. მამის გვერითა“ (გვ. 313).

განუმეორებელი სისრულით აქვს აღწერილი ავტორს ის სილაღე, ის ხალისი, უშუალობა, სილამაზე, რაც ღვთის მარადიულ მყოფობას მოაქვს დედამიწაზე. „მთვარე რო უფრო ფართოდ გაშლილა. ავსებულა ცაი ვარსკვლავებითა. ბევრი იისფერადაც რო მოციმციმებს. ცეკვავს. ციგლიგებს. მეჯლისია თითქოს ბედნიერთა“ (გვ.314). მწერალმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ეშმაკიც ისეთივე მარადიულია, როგორც ღმერთი, სიკეთე და ბოროტება მუდმივ ბრძოლაშია ერთმანეთთან და ფუჭია იმედი იმისა, რომ ცივილიზაცია და პროგრესი მოსპობს და გააქრობს ეშმაკს. „უთუოდ კაცის სახით მიუძღვისო. ველარავის ველარ შეაცდენ ახლა გველის სახითა“ (გვ. 351). კაცის სახით მოვლენილ ეშმაკს ერთი წუთითაც არ შეუძლია მონასტრის მყუდროების გაძლება. დააბრჩობს ის წუთიც.

არ არის შემთხვევითი, რომ ნაზიმ ინანა მონასტრიდან წამოსვლა. მართალია, პირადმა უბედობამ შეაბსენა ეკლესიის სიბრძნე და იმანვე უბიძგა დაბრუნებისკენ, მაგრამ, მიზეზის მიუხედავად, სულიერი განკურნების გზად, შვების, სიმშვიდის მომტანად მხოლოდ ღმერთთან განმარტოება უწამებია. ყველაფერი ამქვეყნიური ამაოა და ადამიანის უმთავრესი საზრუნავი საკუთარი სულის გადარჩენა უნდა იყოს, — ასეთია ამ პერსონაჟის შეხედულება.

როგორც მოსალოდნელი იყო, იმძლავრა დროებით ეშმაკმა. ჯამბაკურის ვაჟი, ტატული, გამოერკვა ორმოტრიალიდან, არ ისმინა ეშმაკის, ჩამოეხსნა რევოლუციას და ოჯახი შექმნა. „ოჯახი ღვთაებრივი მოვლენაა... ადამიანი იმად შექმნილია — აშენოს ოჯახი.“

ოჯახმა, გვარმა უნდა გადაარჩინოს წარსული, ფესვი, იდუმალი, ღრმა, მიუწვდომელი, ენა, მამული, სარწმუნოება.

ქართული სკოლის გახსნა ჩაუფიქრებია მაიკოს იმ მხარეში, სადაც ყველაფერი ხარობს „თვინიერ ბრინჯისა და ბამბისა“ და კიდევ ქართული ენისა. ვინ უნდა უპატრონოს ენას, ვინ უნდა იდგეს ქვეყნის სადარაჯოზე, თუ არა მოწინავე სადროშოს მკვიდრნი, რომ პატარა ნინო ქალაქში წასვლაზე უარს ამბობს. „მე აქ უნდა ავაღორძინო სკოლაი ქართული,“ (გვ.426) თავისი მისიის გაცნობიერებით ეს პერსონაჟი ხიდს სდებს თავის თანამოსახელე ქალწულთან, ქართველთა განმანათლებელთან. მამული და სარწმუნოება ხომ განუყოფელია, ხოლო ენა მცველია ორთავესი.

დავარის დატირების სცენა სანათას მოთქმას მოგვაგონებს ვაჟას „ბახტრიონიდან“. „სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში, კვნესა რად ისმის ჩევნითა“ (ვაჟა-ფშაველა). „მორჩილში“ კი როდამი მოსთქვამდა: „რატომ ჩვენ, ღმერთო, ხალხი როგორც კი გადაირევა, უთუოდ ჩვენ რატომ ვიჭყლიტებითო.“ მონასტრიდან ერთხელ უკვე გამოქცეული მაიკო კვლავ მონასტერს უბრუნდება, ოღონდ ეს არაა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელის აღება. რჩება სოფელში მისი ბავშვი —ნინო—მომავალი. რჩება ქართული ენის გადასარჩენად. „ბოლო აკორდი, მწერლისეული, მძლავრი, ბავშვის, მაიკოს ბავშვის, ანუ მომავლის პირისპირ და გულისთვის აჟღერებული, იმედი თვითონ უნდა იგულისხმო!“ (ინგა მილორავა, გვ. 517).

და კიდევ გადარჩენილი ყანწი აღძრავს იმედს, გაძარცული, შეურაცხყოფილი ყანწი — როგორც ქართული სუფრის, ქართული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, წმინდა და ზნეობრივი ცხოვრების სიმბოლო.

მონატრებული ჰარმონია

(ოლესია თავაძის „სევდიანი ჩანაწერები“)

„ნუ დაღონდები, რომ ბგერა გაქრა, რომ ჩაქრა შუქი ნათლის,
ისინი დარჩნენ და, გაქრა აქ რაც, ანარეკლია მათი.“
ჯალალ-ედ-დინ რუმი

ჯერ გარეყდაა, პაწია წიგნის საავიზიტო ბარათი – გრიგოლ რობაქიძის უსაყვარლესი, უნაზესი ფერებით – სილისფრითა და ხავსისფრით დაყურსული.

ყდა-ტილოს სიღრმეში – ხის უძველესი, ორსართულიანი სახლი, ფართო, ქართული აივნებით, სულგახსნილი, მხმობი, სიმყუდროვისა და სიმშვიდის აღმთქმელი. წინა პლანზე – ლელი,თუ ხეების ლბილი აჟური,მიღმა,სიღრმეში – მაღალი,უძირო,სოსანისფერი ცა...

და, რაკი, ილიას ქრესტომათიული სიტყვისამებრ, „ცარიელია ეს მშვენიერი ქვეყანა უადამიანოდ!“ – ტილოზე – ქალის ნაზი, სიფრიფანა სილუეტიც, ცასავით სოსანისფერი კაბით, კეფაზე დუნედ, ძალდაუტანებლად შეკრული თაფლისფერი თმით. იქვე, მშვიდი და ბედნიერი პატარა ძაღლებიც – პატრონთან ყოფნით ბედნიერი ორი ცუგრია – ჭრელი და შავი.

სილისფერსა და ხავსისფერს თითქოს ნისლის ბლონდებიც შეჰღვრია, აკვარელის ცრემლოვანი ლიცლიცი უნებლიედ გაფიქრებინებს ამ მონატრებულ,სამოთხისეულ პეიზაჟზე, „მქონდა იგი თუ მომაგონდაო.“

მშვენიერი და იშვიათია იდუმალი განცდა (თუ განცდა იდუმალის), ყდიდანვე რომ გეღვრება და გიხმობს წიგნის სიღრმისკენ, ხსოვნის წყლების მუქ მდვიმეებში, თქმულისა და ართქმულის მიღმა.

იქ, სიღრმეში, უკვე გრაფიკაა – იმავე ნაღვლიანთვალებიანი ძაღლებით, შებინდების ბლონდებში ჩაყუჟული სახლით, ბინდშივე მოლივლივე ჩიტებით, მომაკვდავი მერცხლით, ბალახებში გატვრენილი ჭრელი ბაყაყით, წელში მედიდურად გაზნექილი ფისუნიათი, დაბღვერილი, გაფხორილი, ბურბუსალა ბუთი, დამფრთხალი შვლით, წითელბაფთიანი ბეკეკათი, ფუმფულა ციყვით, წერწეტა წეროებით, პაწია ბუდეში ჩამყუდროებული შაშვით, პაწაწა თაგუნიათი, არაჟანს რომ სათითურით, რძეს – სამარილეთი სთავაზობენ, მაძღარი, დაგრაგნილი პითონით, უმზეობისაგან გამჭვირვალე მორიელებით, მიტოვებული მწევრებით, ფუმფულა ბაჭიებით და,სულ ბოლო გვერდზე – ლერწმოვანში აურიამულებული დიდი ჩიტებით, განცვიფრებით რომ შესცქერის ორი ფინია...

ბოლო გვერდზე რომ კონსტატირებული არ იყოს, გუმანით მაინც მიხვდები, რომ წიგნის ავტორი ქალია, თან მშვენიერი – „სისხლჭარბი ვიტალურობისაგან“ ბედნიერად დაზღვეული, მკრთალი, ნატიფი, დახვეწილი სახით, ფიქრიანი, ნაღვლიანი მზერით; „ბეჭდების თვლებს ქარში რომ კარგავს“, ისეთი ქალი, თან მხატვარი – აბა, სილისფერს, ხავსისფერსა და ნისლისფერს ვინ შეაზავებდა ასეთი ნაღვლიანი ოსტატობით ნეონის მჭახე საუკუნეში?!

ისეთი ქალი, ხავერდსა და მაქმანსაც რომ მოიმყუდროვებს, მოიხდენს, და რეზინის უსახურ ჩექმასა და ბრეზენტის საწვიმარსაც, ნაწვიმარზე რომ ნისლების სანახავად გაისეირნოს (სწორედ რომ გაისეირნოს – ნება-ნება, მშვიდად, „ბედნიერი მფლობელის“ (რეზო ინანიშვილის სიტყვათშეთანხმებაა) ბედნიერივე გარინდებით.

ქალი, რომლის მზერასაც ათბობს განგის ნაპირზე ნაყიდი მძივის საიდუმლოც – „ზოგ ქვას შუქი გაუდიოდა“ *[224]* – რობაქიძის უკვდავი მეტაფორისა არ იყოს, „თვალი ჩასულა მტევანშიო“, სულს კი – ფრომისეული, თუ ვაჟასეული, თუ ჩოხელისეული, თუ ყოველი საღმრთოდ მოაზროვნის, ბრძენი გულის ტანჯული მფლობელის მრწამსი – ***„ეთიკა სიცოცხლის წინაშე კრძალვის“ [4].***

„ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია, ყველას ენა აქვს, თვითეული მახლობელიაო“, ვაჟას აზრს დაიმოწმებს *მიხეილ კვესელავა „პოეტურ ინტეგრალებში“ [თბ., 1977, 136].*

ოლესია თავაძის მრწამსიც იგივეა, იმავე მაღალი დარდითაა ნაქსოვი მისი ნატიფი სული.

სხვანაირი, „სულის ქალია“, და არა – „ზორბა, სქელქუსლა, ფრჩხილებმაგარი“ [45] ედეკაცი. ვერასოდეს დაასრესს მიწას სოფლის სახლში შემოსრიალებულ, გზააბნეულ, დამფრთხალ ხვლიკს, ვერც „ეშხიანი გამეტებით“ დაჭკრავს დანის მძიმე ტარს ერთადერთ ცოცხალ თევზს, ჩქარ-ჩქარა რომ აფჩენს პირს, მომაკვდავი, გამოფატვრისას, ვერასოდეს, რადგან ისეთი ყოფითი საქმიანობისასაც კი, როგორიც სადილის მომზადებაა, ახსოვს *საიდუმლო*, მხოლოდ „მცირედ რჩეულთათვის“ განდობილი – რომ „ყოველთვის მოინახება ერთი უფრო არათევზი, უფრო ცოცხალი“ *[13]*.

„ჩვენი მწერლობის“„ქართული მწერლობის“„ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურული დამატების პუბლიკაციებიდან უკვე მიყვარდა ოლესია თავაძე, იდუმალი ნაღველით გალიცლიცებული, დიდი ტკივილით დაყურსული მისი პაწია ტექსტები, რომელთა ჟანრი, ერთდროულად, კლასიკურ მინიატურასაც მოგვაგონებს, ბოდლერისეულ „ლექსებსაც პროზად“, ეტიუდებსაც, ციდა ნოველებსაც.

ჟანრი მაინც ლიტერატურული პირობითობაა (სათქმელი მუდამ თავად ამოიყოლებს ფორმას).

თუ ჟურნალებიდან გადმოღვრილი შთაბეჭდილებები ულამაზეს, მაინც ცალკეულ ანამცვრევებად დააჩნდა სულს, „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ ძალისხმევით უკვე წიგნი გვეწყალობა, „სასასთუმლე“, ხშირად ჩასამყუდროებელი, სულისმოსათქმელი, ნაღვლიანი და შუქიანი – ერთდროულად.

სევდიანი და დიდებულია რედაქტორის – როსტომ ჩხეიძის წინათქმაც, უფრო – ნოველა, თუ მინიატურა, სადა და დაწურული, არსის დამაუნჯებელი: *„ამ წიგნში, ერთი შეხედვით, ყველაფერი უბრალო და გასაგებია. უშუალოდ და ხატოვნად არის გადმოცემული დაკვირვებანი ბუნებასა და ადამიანებზე, მაგრამ არის ამ უბრალოებაში რაღაც ისეთი, რასაც ჩვეულებრიობის მიღმა მივყავართ და არაჩვეულებრივს, გამოუთქმელს გვაზიარებს. ავტორი თითქოს სინამდვილის ნამსხვრევებს აგროვებს და ცდილობს, შეაკოწიწოს, აღადგინოს სამყაროს დარღვეული ჰარმონია.*

ჩვენს წინაშეა ორიგინალური თხრობა, რომლის მსგავსი, შესაძლოა, არცთუ ხშირი იყოს ქართულ ლიტერატურაში. პროფესიონალი მხატვარი გვესაუბრება პროზის პალიტრით და ეს არის მშვენიერი ბელეტრისტული ნარატივი,რომელშიც მხატვრობა და ლიტერატურა შერწყმულია იმ მთლიანობად, რასაც, საზოგადოდ, „ცხოვრებას“ ეუწოდებთ.

ეს არის ჩვენი ცხოვრების გულისგულიდან ოსტატურად ამოღებული სურათხატები, რომლებიც აღარ განმეორდება, მაგრამ ყოველთვის იქნება, ყოველთვის იარსებებს ამ სევდისა და იმედის წიგნში.“

პაწია ტექსტებში დაუნჯებული სადარდელი რომანსაც გასწვდება,
რუსთველისეული ციტატისა არ იყოს, „[გეყოფა] სატირლად და
სატკივარად.“

ეს ის დიდი, მაღალი სადარდელია, მხოლოდ გულის თვალით მზირალთ რომ ეწყალობება – თანალმობის, თანაგრძნობის, სხვისი ტკივილის გაზიარების მაღალი, მტანჯველი ნიჭი.

„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა.
ნუ დამასვენებ ნუროდეს, მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“ –

ვაჟასეულ ლექსს შემთხვევით როდი ესათაურა „ჩემი ვედრება“ – თანალმობის ნიჭი მადლია, საღმრთოა და, როგორც ყველაფერი საღმრთო – ჯვარივით მძიმე და ჯვარივით მსუბუქი – ერთდროულად.

ოლესია თავაძის მინიატურების (თუ ნოველების, თუ ეტიუდების) კითხვისას არ გტოვებს დამთრგუნველი სიმძიმისა და მჭვირვალე სიმსუბუქის ოქსიმორონული განცდა – სიმძიმისა იმიტომ, რომ უფლისგან სახლად ნაწყალობევი სამოთხე გავიუცხოვეთ, წუთისოფელი გავიჯოჯოხეთეთ, სიმსუბუქისა კი იმიტომ, რომ არსებობს სხვა „სამართალი მართალი“, სხვა სამკვიდრო, სადაც სულ სხვა სასწორზე აიწონება აქაური სულთქმაც და ცრემლიც („სევდიანი ჩანაწერების“ მეორე ნაწილს ავტორი ვენედიქტ ეროფეევის დიდებულ სტრიქონს წარუმძღვარებს: «На *mex* весах вздох и слеза перевесят расчет и умысел» *(148))*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, რა სწორად, რა ნათლად განისაზღვრა საუფლო სამართლით ყოფიერების საღვთო მოდელი: *„და შექმნა ღმერთმან კაცი. ხატებად ღმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძნდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა, ეუფლენით მას და ჰმსთავრობდით თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალთა ქუეყანასა ზედა... (შესაქმისაი I, 27-28) და მოიყვანა იგინი ადამისა ხილვად, რაი უწოდოს მათ და ყოველი, რომელი უწოდა მათ ადამ, ესე არს სახელები მათი“ (შესაქმისაი I, 19).*

სახელდების დიდებული, გულისმომწყვლელი უამი მისტერიულია, რადგან უფალმა თანაშემოქმედად იქცია ქმნილება, ენდო და მიანდო „ყოველი სული ცხოველი“ – სახელრქმევა აკი იმთავითვე გულისსმობს მირქმას, გულში ჩაკვრას, უნაპირო და უსაზმნო სიყვარულს.

სახელრქმეული გულზე მირქმულია.

ოლესია თავაძე, თითქოს, დღესაც სამოთხისეულ სიმყუდროვეში მკვიდრობს, ბეთანიაში („წამყე ბეთანიისაკენო“, გალაკტიონისეულიც მოგაგონდება).

გულზე მიმრქმელს, სახელმრქმეველს ამადაც აკითხავენ უგულო თუ დაბნეული მონადირეებისაგან მიტოვებული მწევრები, სურიკატებივით ამართულები სევდიანად ელოდებიან ლუკმას და სითბოს,კიდევ – ჩიტები – სარკმლის რაფაზე პურის ნამცეცებს, მტრედები, წერილები რომ მიმოაქვთ წყნეთსა და თბილისს შორის ინტერნეტის ფორიაქა საუკუნეში, ნაცრისფერი, გაბურძგნული ჩოჩორი, ჩამონაყარ ვაშლსა და მირთმეულ პურს რომ ახრამუნებდა, ეული შველი, აჩრდილივით ჩუმი, მფრთხალად გარინდული, „ყოველი სული ცხოველი“ – დიდ სინათლეს რომ მოიყოლებდნენ და მერე, გაქრობისას, უსაზმნო ტკივილს ტოვებდნენ გულში... ვიღაც ეტყოდა, სასხვათაშორისოდ თითქოს, მოუკლავთო...

„ნეტავი, არ იყოს მართალიო“ – ისეთი გასაგები ნატვრაა, ისეთი გულისმომწყვლელი!

და მაინც, დიდი, უსაზმნო ტკივილის მიუხედავად, დავიწყებული, სამოთხისეული იდილია სწყალობებია ოლესია თავაძეს, უკეთ, თავად აურჩევია ყოფიერების მარადიული, მადლიანი, ერთადერთი სწორი და გამართლებული ნირი – „ხმაურსა და მძვინვარებას“ განრიდებული, ემეზობლება ციყვებს და კრაზანებს, ციცინათელებსა და ვარსკვლავებს, „თანამდევებად“ ნათლავს მათ და „სევდიანი ჩანაწერების“ პირველ წიგნსაც ასე დაარქმევს.

რენე გენონის სიტყვები, წიგნისთვის რომ წარუმძღვარებია ავტორს, უზუსტესად ირეკლავს მის მრწამსსაც: *„უნივერსალურ წესრიგში ადამიანს, ინდივიდს არავითარი უპირატესობა არ გააჩნია არანაირი გაგებით. ადამიანი არც მეტია და არც ნაკლები სულქმნილთა შორის. იგი ერთ-ერთია უთვალავ არსებათა უსასრულო მწკრივში, რომელთაგან ბევრნი მასზე მაღლა დგანან და ბევრნი – მასზე დაბლა“ [5].*

ციტატა ჰაგიოგრაფიიდან: „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მიხედვით, ღმერთმა *„ერცელი ესე სოფელი დაბადა და სულითა გონიერითა და მეტყველითა ადიდა იგი, რამეთუ მისცა მას აღსრულებაი დასაბამიერი და დაუსრულებელი სული იგი უკუდავი და ამით ჯერითა მოგვეახლნა ჩუენ, ანგელოზთა მას ბუნებასა, და ერთ კერძო იგი ჩვენი მსგავსი ცხოველთა მათ განქარვებადთაი. და არა არს კაცი იგი არცა ანგელოზ, არცა პირუტყვ, არამედ შორის მათსა“ [რევაზ სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, 55].* (რევაზ სირაძე ზემოთქმულში ბასილი დიდის მრწამსის ანარეკლს ხედავს).

„უთვალავი არსების უსასრულო მწკრივში“ თავის ალაგს იპოვის ოლესია თავაძე, თანალმობით და ზრუნვით გაისხივოსნებს „იწრო“ გზასავალს სასუფევლისკენ, მადალთა თავმდაბლობითა და სინანულით იტყვის, რომ „ძიების არაერთი შეცდომა ამძიმებს მის მეხსიერებას და ეგების „სიტყვა ნათქვამი“ ჩაეთვალოს მონანიებად არგაწვდილი ხელის, არგაღებული ხარჯის. სიკეთეც ხომ (ნაბოძები თუ არ არის) არჩევანის, ფიქრისა და ტკივილის ფასად მოიპოვება მწიფობის გრძელ გზაზე“ *[5].*

„მწიფობის გრძელი გზისაა“ მოგონებები, ნოველების ფრაგმენტებად რომ ჩამოიწურება და მწერლის განცდილი შენი განცდილიც ხდება. სრულად უნდა გადმოიწერო „სევდიანი ჩანაწერები“, მათი ნაღვლიანი ხიბლით შეძრულმა, გადაიკითხო, რომ ყოფიერების ორომტრიალში ხშირად გაგახსენდეს, როგორ უმზირო გულით სამზერს, როგორ გეტკინოს ტკივილი აბლაბუდაში გაბმული ჩერჩეტი კალიასი, „წახნაგოვანი მუტრუკის“ მიერ ჩაწიხლული ნაგაზისა, ვიღაც უგულოსაგან გულაღმა ამობრუნებული ექვსი კუსი, კეთილ

მოხუც ქალბატონთან გამოსათხოვრად მოფრენილი მგალობელი ჩიტებისა *[გოლზუორთის სევდიანი ნოველა „ლტიმა თჰულე“-ც მოგვაგონდება უნებლიეთ]*, უკიდეგანო ტყეში (სადაც მოსახლის ჭაჭანებაც არაა და მხოლოდ მეცხვარეს თუ გადაეყრები) აყვავებულ ცაცხვის ხეზე ჩამომხრჩვალი კატისა...

ეს „თანამდევთა“ სევდაა, (ასე ჰქვია, გავიმეორებთ ზემოთქმულს „სევდიანი ჩანაწერების“ პირველ წიგნს), მერე – მეორე წიგნში – სევდაა „გადამცდართა.“

იგივე სევდაა, ერთი, ერთადერთი – ყოვლისმომცველი, ყოვლისგამმსჭვალავი: „თითქოს ადვილზე ადვილია, დახურო სათვალის ბუდე, არ უყურო ხოჭოს, ზღარბს, მათხოვარს, აარიდო თვალი ინდოელ თუ ჩვენს გაჭირვებულს, არ გააკარო გულს სხვისი სიბრმავე თუ ტკივილი, გახისტდე, გაჯანმრთელდე, მაგრამ არ გინდა, უმძაფრესი მოიკლო – სიბრალული. სიბრალული და სიყვარული ხომ ერთია!“ *[149]*.

ამერიკის ერთი უდიდესი პოეტივით, რობერტ ფროსტივით, არც ოლესია თავაზიემ იცის ზუსტად, „რა არის პროგრესი, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გაგვიადვილებს უმთავრესს – ამქვეყნად ჩვენი სულის გადარჩენას.“

სულის გადასარჩენად განაპირდება, სულის ნაპირს მოიძიებს – ქალაქს განაპირებულ ხის სახლში, „სოფლად, სადაც ჯერ ხასიათებია, სამსახური – ქალაქისაა“ *[150]*.

თავად მოჰყვება უკეთ, მკითხველს ენდობა და გაენდობა: „ჩემს ერთ ბეწო სახლში რომ შემოიხედოთ, გეგონებათ, მარტო ვცხოვრობთ – ჩემი ორი ძაღლი და მე, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რა მარტო ცხოვრებაა, თუ ღამე სხვენზე თაგვების ხრაგუნი არ გაძინებს, დილით – კოდალას კაკუნი, დღისით ჩექმაში ხვლიკი გიძვრება, ეზოში ბაყაყები ყიყინებენ, გომბეშოები ბანს აძლევენ, ზღარბები დაბუჯურობენ (მშვენიერი იმერიზმი!), თავზე სინდიოფალების ოჯახი „გადაგიფრენს“, თივის ზვინში ანკარა მიჩუმებულა, მიწაში თხუნელაა და მახრა, ჭის კედლებსა და ბალახში ლოკოკინები და მუხლუხოები დადოდავენ,აივნის ჭერზე ბზიკების სკაა, სახურავქვეშ – მერცხლის ბუდე. ხის ბოძებში ჭიები დაღრიჭინებენ, სახლში ჭრიჭინა დაჭრიჭინებს, მაგიდაზე ჭიანჭველები დაცოცავენ, ობობას ქსელში ქინქლები თრთიან, ჭიამაიები და პეპლები დაფარფატებენ... ახლა სტუმარი! ციყვი და შაშვები, ღამღამობით – ბუ... ჩაიზე ფუტკარი დაგეწვევა, კალიები გახტებიან, ნემსიყლაპიები დაგტრიალებენ, ციცინათელები შემოგანათებენ, ქორი გადაგიფრენს, ბეღურა ხეხილს დაგიკენკავს. ის კი არა, „კუმ ფეხი გამოყო“ და ერთხელ ისიც მესტუმრა.

ეს ყველაფერი – ეზოდან გაუსვლელად და, ეზოდან თუ გახვედი, ხომ მთელი ქვეყანა შენია! ახლაც იტყვით, რომ ჩემს სახლში მარტო ვცხოვრობ?!“ *[6]*.

მინიატურაში იგივე შუქია, რაც – რუსთველის მზიურ სიტყვებში: „გვაქვს უთვალავი ფერითა.“

უთვალავფერიანია ოლესია თავაძის პალიტრაც. აქ, სოფლის მყუდრო სახლში, საკრალურ იდილიაში, იოლია დაიჯერო, რომ ვარსკვლავები და ციცინათელები სწორედ შენ გინათებენ, შენ გიკაკუნებენ სარკმლის რაფაზე დაღალული ბეღურები, შენთვის წკრიალებენ შებინდებისას შინ მიმავალი ძროხების სიფრიფანა ზანზალაკები, შენ გელოდება და ნდობით შენკენ მოიგრაგნება ანკარა სოფლის განაპირას. შენი კომშის ხეზე იბუდებს დედა ჩიტი, „თავზე ფოთოლგადაფარებული – ალბათ, მამალმა გადააფარა, დამალა“ *[141]*.

მაგრამ დარდსა და ტკივილს ვერსად განერიდები, ვერ გაუნაპირდები, ვერც განაპირებულ სოფლის სახლში, იდილიასა და პასტორალში.

შეგეკუმშება გული სურათით, აკვარელის მრუმე მონასმით, რომ, ერთხელაც, ანკარას თავგაჭეჭყილს იპოვი მინდვრის ბოლოში. „მომლოდინე, ასე უიღბლოდ, ნეტა, ვის გადაეყარა?!“ *[81]*.

შეწუხდები სხვა სურათითაც, კვლავ – მრუმე მონასმით: „შემოდგომის გარინდულ დილას, ოდის ძირში მდგარ ვარცლში, სახურავიდან ჩამონაჟურ წვიმის წყალში პირქვე თაგვი ეგდო. გვერდზე თხილის კაკალი ტივტივებდა. რა ცოტა უნდოდა პატარას...“ *[69]*.

ისიც დარდისაა, რომ „სოფლის სახლი იჭმევა – ხისაა და ჭია ჭამს. ღრიჭინ-ღრიჭინი გაუდის, თუ მადაზეა. სიცხეში სახლი ტკაცუნობს, შრება, იკლებს და ღრიჭოები უჩნდება. ზამთარში ნესტისაგან ჟიჟინდება და კარს ვერ გააღებ. მოკლედ, ცოცხალია...

ექიმია კოდალა ჩემი სახლის, მკურნალობს, რომ ბოლომდე არ შეიჭამოს, ნახერხად არ იქცეს ჩვენში ოდა-სახლები“ *[86]*.

სახლის ჭრიჭინა – დიკენსის „საშობაო მოთხრობების“ მკვიდრი აქ, ქართული სოფლის სახლშიც მკვიდრობს: „თუ სახლში ჭრიჭინა არა გყოლია, სახლი რაა (გალაკტიონის „რაა მამულის“ ანალოგიით). სანამ შენი სახლი არ მობეზრდება, მისი სოლო კონცერტი უნდა ისმინო. რომ ჩუმდება, როგორი მყუდრო ხდება სახლი, როგორი უძირო სიჩუმე ისადგურებს, როგორი არამქვეყნიური“ *[93]*.

ეს ციდა ნოველები თუ მინიატურები სკოლაში რომ ისწავლებოდეს, იქნებ, აღარ უამბონ პატარა ბიჭებმა ერთურთს ტრაბახით, როგორ ხოცავენ ძაღლებს და კატებს, როგორ თამაშობენ ტკივილისაგან მოკრუსუნე ცოცხალი ზაზუნათი ბადმინტონს, და, როცა კრუსუნი შეწყდება, კუდზე ცეცხლს უკიდებენ და ცოცხალმკვდარს წვავენ. იქნებ, აღარ ინადირონ გეკოს თოფით ბაყაყებზე. იქნებ, აღარ გაიზარდონ მათგან „ახვრები“ (მწერლისეული დეფინიციაა), „ლიმონკებს“ რომ ხეებს ძირში უგდებენ და ფესვებიანად აყირავებენ, გეგონება, ვაჟა-ფშაველა ჩვენკენ არც გაჭაჭანებულა!“ [175]

იქნებ, აღარ მოხდეს ეს იმ ქვეყანაში, სადაც ირმები ეწველინებოდნენ ასურელ მამებს, ქურციკნი ეკედლებოდნენ გრიგოლ ხანძთელს, სადაც ავთანდილის კოსმიური ქორალის „სმენად მხეცნი მოვიდიან“, სადაც „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და „ხმელი წიფელი“ დაიწერა...

სამყაროს კოსმიურ ქორალს მიაყურადებს ოლესია თავაძე.

ტკივილით ჯერდება ქორალი – „სოფელს ღვევი ერქვა და ჯერაც ჰქვია. ვერეს ხეობაში, მზის გულზე კარგად ჩანს. პატარაა. რასაც ხედავ, იმის ნახევარიც არაა, ცოტა დარჩა. ერთი-ორი სახლი თუ შერჩება დროს, შიფერიანი, ბლოკით ნაშენები. დანარჩენს, ქართულს, ძველს – კრამიტის სახურავები ჩაქცეული აქვს, საბჯენები – ლავიწივით ამოჩრილი, ხის აივნები – გადაქანებული, რიკულები – დამტვრეული, ჩუქურთმები – ჩამოცვენილი.

წინათ მობიბინე პურის ყანები სარეველამ დაფარა, ბაღები – ჯაგნარმა. სოფელს შებერებული, კავიანი დედაბრებიღა ინახავენ მთვლემარე სოფლის მილეულ სუნთქვას“ *[144]*.

სხვა ნოველაში კონსტატირდება, „ჩემს მეგობარს ცისფერ თვალებზე ცრემლის მოძალებამდე უყვარს გოდერძი ჩოხელიო“ *[70]*.

თავისას ჰყვებოდეს თითქოს მწერალი, სოფელ ღვევის ოლესია თავაძისეული რეკვიემი იმავ დარდს დაიმარხავს, რასაც ჩოხელისეული სტრიქონი: „უდაბურებას ჭინჭრის სახე აქვს“...

მოხუცი ანიკოების იმედად რჩება ქართული სოფელი, კაფანდარა, თხელი, უდრეკი, თრიალეთის მთებზე ნიავივით მოსიარულე, თავისი საქონლის მწყემსავი, თავისი პურის მცხობელი ანიკოების, გოგლას დეიდა მაიკოსავით რომ ელაციცება ყოველ სულიერს...

ირღვევა ქართული სოფლები და მიჰყვება დროის ჩაშლილ თვალს „კაკლის ჩიტი“ (ასე ერქვა მოხუცს, კაკლის ბერტყვაში რომ ბადალი არ ჰყავდა, ერთხელ, ღრმადმოხუცს კი ტოტმა უმტყუნა);

ხუნდება დაფნა, ჭრელ, მსუყე ბაზარზე გამოფენილი, სოფლის სურნელმოყოლილი;

ცაში ჩაკარგულ ალაზნის ველს, პიკასოს კუბიზმზე მეტად, ნისლი უხდება [სხვა ქართველი პოეტი ქალისა არ იყოს, „პიკასოს ათას ჟაკლინს ფიროსმანის ერთი მარგარიტა ურჩევნია“ ოლესია თავაძესაც].

სულს აჩნდება უცხო შთაბეჭდილებებიც („სევდიანი ჩანაწერების“ II წიგნიდან – „გადამცდარნი“) – პარიზის კრიალა ავტობუსიდან სხვა მგზავრთა უტყვი თანხმობით ჩაგდებული უბილეთო მგზავრი, „პასტორალურ წესრიგს“ (რა ცინიზმია!) რომ არღვევს და ერთადერთი, გამართლებული, მოკვეთილი დასკვნა: „თბილისი მომენატრა!“ (ცვეტაევასეულიც მოგაგონდება: «В большом и радостном Париже вся та же тайная тоска»).

სხვა ვიზიონიც, ისიც უცხო: მოსკოვის ორმოცგრადუსიან ყინვაში ორი გულისმომწყვლელი მოხუცი, „შავ ხავერდში თეთრი ჟაბოებით, კაცი – თვალში მონოკლით, ქალი – ბოლეროში, ვუალიანი შლაპით და მათთან ერთად მოსეირნე, ვერტიკალურად კუდაპრეხილი კატა“ – მეხსიერებაში წარუშლელები;

რუსეთის მიტოვებულ სოფელში ადამიანს დანატრული, გაწამებული უპატრონო ძაღლი;

ჯოტოს ფრესკასთან გარინდული იტალიელი ბრმა, ღვთაებრივ ტილოს რომ „უყვებოდა“ თანმხლები ქალი;

ინდოელი მათხოვარი, გამოზოგილი ტურისტული ფულით რომ ვერ გაიკითხა მწერალმა, გასაკითხმა კი ვერგამკითხველს ტკბილი ბუტბუტით მიუალერსა, „კრიშნას მიენდგ, ძენც გადმოგხედავს ზენაარი და შენს ბოდიალსაც ბოლო მოეღებაო“ (აქ ღიმილში ცრემლიც გაიკიაფებს, დიდოსტატური მონასმია!).

იგივე განცდა, იგივე სინანული, ოღონდ აქ, უკვე საქართველოში – „ერთ ბეწო, დაუჯერებლად პატარა მოხუც ქალს სახეში ჩასახედად უნდა ჩასჯდომოდი. თუ ჩაუჯდებოდი და სახეს ქვემოდან ახედავდი, არასოდეს დაგავიწყდებოდა. გავუჩერდი, დავიხარე, ავხედე. ხურდა არ მქონდა,ოცი ლარი მებევრა.“

და აქაც – დასკვნა, მოკვეთილი, თვითგვემისა და მზისფერი სინანულის ტკივილით მოელვარე: „ალბათ, მე უფრო მიჭირდა“ (კვლავ ცვეტაევასეული მომაგონდება: «Давать надо на коленях, как нищие просят»).

სხვა ინდოელიც – „ლაჰორის ჯუმა მეჩეთის ხიზანი, ხუთმილიონიანი ქალაქის უბინაო ბინადარი, დაპურებული მშიერი, გულმსმენი, ბედნიერი ნეტარი.“

მომთაბარე მუსლიმთა კარავში „უსიტყვოდ ნაჩუქარი უნატიფესი ფოჩებიანი ნოხი და ბარაბაროსულად მომაჯადოებელი მძივი – და ეს ყველაფერი – სრულ, ურღვევ სიჩუმეში, მისნური წვდომით სტუმრის სურვილისა და არჩევანის“ *[246]*.

და იქვე – „მუსლიმური კარვის ბიბლიურ (!) სივრცეში, ერთდროულად შეუცნობსა და მშობლიურში“ ელვასავით გაბრკიალებული დასკვნა, უფრო – მთავარი ცოდნა: „სიტყვა განსაცდელად გვაქვს ნაბოძები.“

დახვეწილი ქალბატონი ბოლომდის სწვდება ქართული საგალობლის, ესენინის სტრიქონის, თუ ჯალალ-ედ-დინ რუმის დივანის ციტატის ღვთაებრივ მელოდიას – მაღალ და ნათელ, მოელვარე ტკივილს.

ყველგან შინაა, „ზღვის ინტერნაციონალურ სივრცეშიც“ და თრიალეთის დათოვლილ ველებზეც, სადაც „მზის სხივებზე გამჭვირვალე სიზურმუხტეა, სიჩუმე და ნეტარება“, კიდევ – ფუმფულა მელიები *[230]*– აშკარად მხატვრის მონასმებია, უმდიდრესი პალიტრა და მთრთოლარე ხაზი (იგივე ლანდშაფტი სხვა მინიატურაში: „ფარავანი დიდია, მშვიდი, ყველას განბანს, მონათლავს – ქართველს, სომეხს, დუხობორს – ცივია და განურჩეველი“ *[156]*.

ბანალური „მგზავრობაც“ წუთისოფლის უნაპირო სივრცეში „მოგზაურობად“ ექცევა უნატიფეს ქალბატონს,თანაუგრძნობს ჯიპით მოსრიალეებს – მწირი შთაბეჭდილებების გამო.

შთაბეჭდილება ბევრი აქვს გულით მზირალს.

რეკვიემივით გაიჟღერებს უფსკრულში ჩაქცეული, „უკვე გამხმარი, ტოტებდალეწილი, შეშადქცეული“ ნატვრის ხის საგალობელი;

კიდევ – ნაკრელი სვანის მწუხარე ვიზიონი (სევდიანი ციტატა): „სხვა ზვინები, სხვა სათიბი, სხვა მთაგორები და... გადაუხვეტავი თოვლისგან სახურავჩაქცეული სახლის ზალაში, ჩალეწილი ფანჯრიდან გადაზრდილი ვაშლის ტოტი, შუა ოთახში მწიფე კიტრა ვაშლებით მსხმოიარე“ *[241]*.

რეკვიემით ვერ დაასრულებდა ქართული სოფლის, ქართული წუთისოფლის გრძელსა და ნაღვლიან ამბავს ოლესია თავაძე.

მხატვრის უზადო მონასმია ტილოზე მილეულ სოფელ ღვევში მოხტუნავე კვიცი, სიცოცხლის სიხარულს რომ ვერ იტევს, ჭიხვინებს შემტევად.

„ბედის სამზღვარი“ ისე ახლოა...

სხვა (მსგავსი) კადრითა და სხვა (მსგავსი) ნატვრით გათბება სული:

„ღმერთო, ნუ მომიშლი ცხენით მომსვლელ თავჩაღუნულ ბიჭს, ბაბუამისის ნაამაგარ რძეს და ხაჭოს. სუპერმარკეტებისა და მერსედესების დროს რა მყიფეა, რა მსხვრევადი, რა ძნელი შესანახი თავჩაღუნული ბიჭი და ჩალისფერი ცხენი – ზედ გადაკიდებული ხურჯინით“ *[146]*.

გაახსენდება, გაათბობს მთავარი ხილვა (კვლავ სიტყვით ხატავს მწერალი-მხატვარი): მესხეთის მიგდებულ სოფელში, ძველთუძველეს ქართულ მიწურში „სამი მაკე ძროხა, ჩაგრაგნილრქებიანი, ისევე აუღელვებლად ცოხნიდა, როგორც ორი ათასწლეულის წინათ, ისეთივე სიმშვიდე სუფევდა და მოლოდინი ახალშობილისა, თავმოდრეკილ მოგვთა ძღვენისა...

არსად ისე არ მიგრძვნია, არცერთ სამაგისო სივრცეში, დროის უწყვეტობა და სულდგმულთა სამკვდრო-სასიცოცხლო ერთიანობა, როგორც აქ, ამ დიდებულ ქართულ მიწურში“ *[8]*.

ამ ბაგიდან ისე ახლოა სამოთხემდე... უკეთ – აქაა სამოთხე...

ოლესია თავაძემ იცის სასუფევლის გეზი, ყუჩი გზაწვრილი...

იდილიური, მშვენიერი ყოფა ვაუას, ტოლსტოის, სელინჯერის მაღალ განმარტოებასაც მომაგონებს.

პაველ ფლორენსკის მიუწერია ქალიშვილ ოლგასათვის, ესტრადაზე დამკვიდრებას რომ ეშურებოდა: «Мучительное дело, мало дающее внутреннему человеку, разлучающее с самой музыкой и переносящее интерес из музыки в самолюбие и угодничество публике» *(205)*.

ოლესია თავაძე პუბლიკისთვის არა, სულისთვის ცხოვრობს, ანუ – საუფლოდ...

ამადაც სტუმრობენ (ჰაგიოგრაფიის წმინდანებივით!) ბეღურები და შვლები...

იცის საიდუმლო სიცოცხლის: „თუ შესწრებიხარ, ნისკარტით როგორ ძვრება ჭრელი კვერცხიდან ბარტყი, თუ შეგიმჩნევია ცოცხალმშობი თევზის ელვისებური გაჩენა, თუ გინახავს, ფარაში მიმავალ ცხვარს როგორ უვარდება ბატკანი, თუ გინახავს კვიცის, ჩოჩრის, ბოჩოლას, კატის ან ძაღლის გაჩენა, თუ ბავშვის მოვლინებას დასწრებიხარ, სასწაულის მომსწრე ყოფილხარ“ *[26]*.

იცის, რომ „სოფელში სასწაული ყოველ ნაბიჯზეა“, მაგრამ „მიწა [წუთისოფელი] თავისას მოითხოვს“ და ჟამითჟამ თბილისს უბრუნდება – „შეტორტმანებულს, დაბნეულს, მტკივანად ამაყს, ეჭვიანად მედიდურს, ერბოიანი ქილით ეზოს გადაჰკვეთს, მოლაზღანდარე, საკუთარი დედების მაგინებელ, უსადავო, უმწყემსო ვაუებს შეხედავს, სკამის ზურგზე გამომწვევად შემომჯდარ ნაზ არსებებს თვალს აარიდებს, ბინის კარს მიებჯინება, შევა და მიეუჩდება“...

ბინის მღვიმესა თუ ბაგაში,ალბათ,ჩუმად დასცდება ლოცვა ყოველთა სულიერთათვის...

უცნაური იტალიელის „ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი“ ნაფიქრალიც მოაგონდება, ალბათ (თვითონაც ხომ ზუსტად ასე მოიქცეოდა): „ალმოდებული სახლიდან, არჩევანი რომ მქონდეს,კატა გადავარჩინო თუ ლეონარდოს ტილო,კატას გადავარჩენდი“ *(ალბერტო ჯაკომეტი (205))*.

და უკანასკნელ, დიდებულ ფერებს დაიტანს მშვენიერი წიგნის ბოლო ფურცელზე – ეტიუდს ქართულ წისქვილზე:

„რამხელა ყვირილას რამხელა ძალა სჭირდება, რამხელა დოლაბები, რამხელა აგრეგატი – ერთი ბეწო ბეღურას ნისკარტის სამყოფ ერთი ბეწო პურის მარცვალს...

ჩვენც ასე, ხელისგულზე გვიდევს მარცვალი – ფრთოსანთათვის ასე იოლად გასაკენკი, ჩვენთვის – ასე ძნელად გასაკვნეტი, ასე ძნელად გასაფრთოსნებელი“ *[266]*.

სულის პურის მარცვლებს ჰგავს დიდებული ქალბატონის – ოლესია თავაძის მინიატურები (თუ – სიტყვითნახატები, აკვარელივით მჭვირვალე და ცრემლოვანი)... პურის, რომლის მხმეველსაც არასოდეს მოშივდება.

Თ. 2010 წლის 30 ნოემბრის „სამშაბათობა“ ზაზა ბიბილაშვილის „ჩემი მდოგვის მარცვალს“ მიეძღვნა, 14 დეკემბრისა – ოლესია თავაძის „სევდიან ჩანაწერებს“, რომლის ბოლო მარცვალიც „მარცვალზეა“...

იმარცვლება წუთისოფლის ქარვისფერი კრიალოსანიც.

მზეა ჩაღვრილი ქარვის მარცვლებში, პურის მარცვლებში. „თვალი ჩასულა ქარვისფერ მტევანშიც“...

„ნეტა ქვეყანას, სადაც ქარი აბრუნებს წისქვილს,
სადაც წისქვილი მშვიდად ფქვავს ხორბალს“ *(მარიამ წიკლაური)*...

ქალდეადან საქართველომდე. ფესვებიდან – მზემდე.

ზვიად გამსახურდიას იგავები

„და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ /იოანე,თ.1,5/

ზვიად გამსახურდიას ცხოვრებამ, შემოქმედებამ და მეცნიერულმა აზროვნებამ უახლეს ისტორიაში განსაზღვრა ქართველთა ეროვნული იდენტობა და ფრთები შეასხა დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებას. მთელი მისი შემოქმედება განგაშის ზარების კიდევ ერთხელ დარისხებაა, რომლის მიღმაც ქართული გენის სრულყოფილი გამოვლინება ილანდება – ზნეობის, მორალის, მართლმადიდებლობისა და მამულიშვილობის მისაბაძი მაგალითი. მისმა არსებობამ ლეგენდას გატოლებულ გმირობას შეასწრო XX საუკუნის დაცემული ზნეობის ქართველობა.

ჩამომდგარი კვამლისა და ბურუსის გასაფანტად „მძაფრი ქარტეხილების ეპოქაში“ საჭირო იყო ხმის ამაღლება, თუმცა „ხორციელი სმენის“ იმედად დარჩენილ, მიმოფანტულ ერს, რომელსაც მიუნავლდა საზოგადოებრივი ცნობიერება, ძნელია დაანახვო საუფლო ნათელი, რამეთუ სულიერი თვალის სინათლე დაშრეტილი აქვს.

ზვიად გამსახურდიას ღვაწლი მის მხატვრულ შემოქმედებაშიც განსხეულდა, მასში აღიბეჭდა მამულისა და სარწმუნოების დევნით გამოწვეული ტკივილები. მისი ლექსები, იგავები, ზღაპრები თუ თარგმანები ცხადად წარმოაჩენენ ავტორის მრწამსსა და იდეალებს.

კონსტანტინე გამსახურდიას რწმენით, – „მხოლოდ ისინი დარჩენილან როგორც კაცობრიულ ვნებათა დიდი მესიტყვენი, ვისაც დიადი იდეებისათვის შემოსცვეთიათ აბჯარი, უბრძოლიათ და უღვაწიათ, - მერე კი, დამსხდარან წერად როგორც ომგადახდილი მებრძოლნი და გულიდან ჟანგის გადასაცდელელად დაუწერიათ თავიანთი სათქმელი და საუწყებელი.... არასოდეს გამხდარა იგი დიდი მწერალი, ვისაც დიდი ბიოგრაფიის ჩრდილი არ დასდგომია თავზე...“ /8.გვ,7-8/.

ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო იარაღი XX საუკუნეშიც მხატვრული ხელოვნება, ხელოვნებისა – მხილება იყო. მხილება სიტყვით, თუნდაც იგავებით ოსტატურად გამოუყენებია ზვიად გამსახურდიას და გამრუდებულ ზნეობრივ გზაზე შემდგარი ქართველობის მოსაქცევად განგაშის ზარები დაურისხებია. მას ბრძოლა არასოდეს უწარმოებია ერთ ასპარეზზე, რადგან ასეთ ფუფუნებას მწარე სინამდვილის გამოისობით იმთავითვე მოკლებულია მცირერიცხოვანი ერის შვილი. ალბათ, ეს გახდა მიზეზი მისი დიდი წინაპრების – ილიას, აკაკის, ვაჟას მსგავსად, ზვიად გამსახურდიამ ხელოვნების საზღვრები პოლიტიკურ ცხოვრებას რომ დაუკავშირა.

1987 წელს გამოცემული „იგავები და ზღაპრები“ ავტორის სიტყვიერი ბრძოლაა, ბრძოლა მხილების გზით. ზ. გამსახურდია იგავების საშუალებით კიდევ ერთხელ ამხელს გამრუდებული, უღვთო გზით მავალი ქართველობის უზნეობას. იგავებში ხაზგასმულია, რომ სულიერი იდეალებისაგან დაცლილი ერი აპათიასა და დეგრადაციას, სულიერ სიბრმავეს მოუცავს. ხსნა კი სინანულსა და სულის თვალის ახელაშია.

„იგავი“, როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ისე ალეგორიული შინაარსით არცთუ იშვიათად დასტურდება ბიბლიაში: „მერმე შესძინა იობ იგავით და თქუა“ (იობი 27,1); „ვყავ სამოსლად ჩემდა ძაძა და ვექმენ მე მათ იგავ“ (ფს. 68,12). „იგავი“ ბიბლიაში უნდა ნიშნავდეს დაფარულს, გამოუცნობელს: „ცნას იგავი და დაფარული სიტყუაი, თქმული ბრძენთაი“ (იგ. 1,6). აქ „იგავი“ დაფარული სიტყვის სინონიმად გვესახება /4. გვ. 9/.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ჩართულია იგავები. ამ მხრივ საინტერესოა მათეს სახარება. ავტორი ჯერ იგავს გადმოსცემს, შემდეგ კი გვაძლევს მისი ალეგორიული შინაარსის ახსნას /4. გვ. 10/.

იოანე დამასკელის, ანდრია კრეტელის მიხედვით, იგავთა მეშვეობით შეიძლება ჭეშმარიტების წვდომა: „იგავთა მიერ ვპოვეთ ჭეშმარიტება, იყო სადმე სახუმელი ნეტარებისა ღირსთა ჭაბუკთა“. იგავი სახეა, მაგრამ იგი არის პირველსახე, სიმბოლო, მოდელი უმდაბლეს

რეალობათა უმაღლესში (მ. რაფავა, იგავის, ხატისა და კერპის ცნებისათვის პეტრიწის „განმარტებებში“, „მაცნე“, №1, 1971, გვ. 73).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ბარათაშვილის შეგონებით – „ლექსი ტკბილი იგავიანი (ე. ი. ალეგორიული) უნდა იყოს“ (მ. ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, რედაქცია და გამოკვლევა ა. ხინთიბიძისა, თბ, 1981, გვ. 9).

ზ. გამსახურდიას აზრით,ალეგორიას მოკლებული ლიტერატურა შიშველი ფაქტოლოგიაა, რომელსაც განზოგადების უნარი არ გააჩნია და ამის გამო ვერ სცილდება ემპირიულ სინამდვილეს /14. გვ. 32/.

იგავ-არაკი,როგორც ლიტერატურული ჟანრი, ძველ საბერძნეთში გაჩნდა და ცოტა მოგვიანებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ეზოპე იყო პირველი, ვინაც იგავის ჟანრი გააბატონა და ხელოვნების დარგად აქცია. ეზოპემ აღმოაჩინა ჭეშმარიტი სიცილის საიდუმლოება. ამ სიცილით იმსხვრეოდა და იმსხვრევა ათასი სიმახინჯე და სიმდაბლე /9. გვ. 8/.

ზვიად გამსახურდია როდი ცდილობს კაცობრიობის ისტორიაში არსებული იგავ-არაკთა სტერეოტიპული ფორმები შეცვალოს. არც სახეებსა და ფორმებში შეაქვს რაიმე ცვლილება. თუმცა მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ავტორი ჩინებულად ფლობს სიტყვიერი მხატვრობის ხერხებს, ეძიებს და ჰპოვებს ორიგინალურ სახეებს. ზოგჯერ სრულიად უბრალო და ბანალური სიუჟეტიდან ახერხებს მაღალი ესთეტიკური დონის ნაწარმოების გამოძერწვას.

იგავი „თევზები და გველთევზა“ ერთგვარი მხატვრული გამოხატვაა ავტორის მიერ გაცილებით ადრე, 1977 წელს „დილემაში“ არჩეული გზისა. ეს გზა შეუპოვარი და თავდაუზოგავი ბრძოლაა თვისტომისა და სამართლიანობის გადასარჩენად. „კრიზისს დღევანდელი ყოფისას ბევრი ამჩნევს, მაგრამ მცირე ნაწილი ირჩევს გზას მარტვლობისა, თვითდათმობისა, უთანასწორო ბრძოლისა ციხეებითა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულთან“ /5. გვ. 65/. თუ „დილემაში“ ერთგვარ ამოტირებად გაისმის ეს სიტყვები, იგავში გაცილებით მხნეა გველთევზას გადაწყვეტილება, რომელიც შემოქმედისგან წილად რგებულ გაორებულ ყოფას მორჩილებით და უყოყმანოდ იტვირთავს: „თქვენმა და ჩემმა შემოქმედმა გველად იმადაც მაქცია, რომ თქვენ წყალში იცხოვროთ და განამრავლოთ თევზთა მოდგმა, მე კი აქედან უნდა გიყარაულოთ. საზიანოა ეს ჩემთვის, მაგრამ ჩვენი მოდგმის გადასარჩენად ასე არისო საჭირო“ /1. გვ. 25/.

ფარული, თუმცა მაინც სევდანარევი ღიმილით დაწერილ ამ სტრიქონებში აშკარად იკითხება მამულისათვის თვითშეწირვის კეთილშობილური, ამაღლებული გადაწყვეტილება, რომლითაც „ხანი უნდობარის“ მომაკვდინებელ საფრთხეს წინ აღუდგა ზვიად გამსახურდია.

„თვითმარქვია მაიმუნი“ ნაწილობრივ ენათესავება იგავ-არაკის მამის, ეზოპეს იგავს „მელა და მაიმუნი“. ორივე იგავის თემაა მეფობას შეჭიდებული მაიმუნის ხვედრი. ეზოპე აშკარად უჯანყდება საკუთარსა თუ საზოგადოებრივ სიმახინჯეს. ცნობილია, რომ ხალხი მას სიგონჯისათვის დასცინოდა, მაგრამ თავად ეზოპეს არასოდეს გაუცინია ბოროტად, არასოდეს უღალატია სიკეთისათვის. მსგავსებასთან ერთად, ამ ორ იგავს განასხვავებს პრობლემის გადაწყვეტის გზა. ზვიად გამსახურდიამ „თვითმარქვიას“ მხილება საზოგადოებას მიანდო, ეზოპემ კი – ცბიერი მელია მოავლინა გაუფრთხილებელი თვითმარქვიას გამოსააშკარავებლად. ცხადია, ზვიად გამსახურდიას სწამს საზოგადოების გონიერების და იმედი აქვს „ლომის ტყავში გახვეულ თვითმარქვია მაიმუნს“ მეფედ და მბრძანებლად რომ არ იგუებს ქართველი ერი.

ეს იგავიც ეპოქის ტკივილებით არის დაღდასმული. ბოლშევიზმი, ძალისმიერი მეთოდით ებრძოდა ყველაფერ ამაღლებულს. მისმა დამხობამ კი რეალურად ბევრი ვერაფერი შემატა ქართული ცნობიერების გამრთელებას. როგორც ეს ზვიად გამსახურდიას იგავებიდანაც ირკვევა, გადაგვარების სასტიკი მიდრეკილება პრობლემადვე რჩებოდა მეოცე საუკუნის მიწურულის სინამდვილეშიც.

„თერსიტეს გაცოცხლების“ წაკითხვისას, რომელსაც „ფანტასტიური იგავი – ქრონიკა II საუკუნიდან“ უწოდა ზ. გამსახურდიამ, საინტერესო ასოციაციები გვიჩნდება ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისასთან“. თერსიტე საოცრად ჩამოჰგავს ბოროტ რუქას.

ცნობილია, რომ თერსიტე ისტორიული პირი იყო. ძველ საბერძნეთში მცხოვრები აქილევსისა და ოდისევსის თანამოლაშქრე. იგი გამოირჩეოდა არა მარტო ფიზიკური

სიგონჯით და ღვარძლიანობით, არამედ სულიერადაც მახინჯი იყო. შურით შეპყობილი გამუდმებით ლანძღავდა გმირებს, აქილევსს, ეანტს და სხვათა, რამეთუ თავად სულით ჯაბანი იყო და არ ხელეწიფებოდა მათგვართა საქმეთა ჩადენა. სწორედ ამიტომ უთავაზა მას ოდისევსმა თავისი კვერთხი და ჩააჩუმა სამუდამოდ /1. გვ. 31/.

იგავში დროის მანქანის საშუალებით მეცნიერები წარსულიდან გამოიხმობენ ამ მახინჯ არსებას, რომელიც ჩვეული დაუნდობლობით დაიწყებს ღირსეულთა ლანძღვა-გინებას. მობეზრებული მეცნიერები ამაოდ ეცდებიან მის წარსულში დაბრუნებას. „დროის მანქანა წარსულიდან გამოხმობილ სავალალო აჩრდილთა უკან ჩადენას ვეღარ მოახერხებს". თერსიტეს თქმით, მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, რადგან როგორც ზოგადადამიანური ფენომენი, იგი წარსულის ჩარჩოებში არ იზღუდება. მისი აზრით: აწყმო და მომავალიც თერსიტესია და თავისუფლად პარპაშს განაგრძობს. ამას გარდა, თავად ცდილობს „დროის მანქანა" შექმნას, რომლითაც შეძლებს ყველა ღირსეული და პატიოსანი ადამიანის გადადენას წარსულში /1. გვ. 32/.

ზ. გამსახურდიას ამ იგავის გაცნობისას შეუძლებელია ვერაგი რუქა არ მოგვაგონდეს, „სიბრძნე სიცრუისას" ბოროტი პერსონაჟი რუქა გაიძვერა, ინტრიგანი, ვერაგი, ცბიერი და ფლიდი მოხელეა. იგი ფიზიკურადაც გონჯია, კაცობაწართმეული საჭურისი, გაქსუებული ქოსა, არც მამაკაცი, არც დედაკაცი. რუქას მახინჯ სხეულში ავი და ბოროტი სულია დამკვიდრებული. იგი ასახიერებს ბოროტ საწყისს, უკუღმართობას. რუქა ადამიანთა მოძულეა. მას არაფერი სწამს სიკეთისა და ადამიანობისა. რუქა პრინციპულად ამართლებს სიკეთის წილ ბოროტებით ზღვევას. ამ ანტისაზოგადოებრივ, ველურსა და პესიმისტურ მაგალითს სულხან-საბა უპირისპირებს სიკეთის ყოვლისშემძლეობის რწმენას. მას ღრმად სწამს ადამიანთა სიკეთის, ზნეობრივი სიფაქიზისა.

სულხან-საბა ზნეობრივი და ფიზიკური სიმახინჯის სიმბოლო რუქას მიწასთან ასწორებს, მას სწამს, რომ საზოგადოების უმრავლესობა სიკეთის საწყისს ეკუთვნის, ბოროტი საწყისის ნაშიერი რუქა კი ცალკეული ერთეულია. /3 გვ. 397/.

ზვიად გამსახურდიასთან დროის მანქანის გამოგონება და მის მიერ თერსიტეს გაცოცხლება ალეგორიულად მიგვანიშნებს ძველი ვითარების შერყევასა და მორალური საფუძვლების მოშლაზე. თუმცა, ღმერთსმოკლებული სინამდვილის ეს ტკივილი იგავებში ყველგან შეფარულია. ამის თაობაზე უფრო ვრცლად „დილემაში" საუბრობს ავტორი: „სოციალიზმის დემაგოგიამ დაბადა საოცარი თვითკმაყოფილება და რეალობის გრძნობის დაკარგვა. ადამიანმა თავისი თავი დაინახა მოჩვენებით მწვერვალზე და ამით დაკარგა აღმასვლის ყოველგვარი სურვილი და მოთხოვნილება... ღმერთკაცობის ნამდვილი გზისგან სამუდამოდ აცდენილი საზოგადოება" კი თერსიტეს გაბატონებას მოიხვეჭს და უდავოდ დასაღუპავად იქნება განწირული.

ამ მრუდე გზაზე შემდგარი საზოგადოება საბოლოოდ „განდგება ყოველგვარი სულიერი იდეალებისაგან და აპათიისა და დეგრადაციის გზას დაადგება" /5. გვ. 59/.

„სინდისის კატეგორიის ნიველირება და უარყოფა საუკეთესო საშუალებაა ადამიანის გამძლე მანქანად ქცევისა, მანქანად, რომელსაც გარედან მართავს სოციალური ნება და არა შინაგანი სულიერი თვითშეგნება" /5. გვ. 61/ - დაწერს ზ. გამსახურდია „დილემაში" და ამგვარად ჩამოხსნის საბურველს ეპოქის სისასტიკეს. ერთ დღესაც, ცალკეულ ამპარტავან ადამიანთა დაუდევრობის გამო, სამყარო საშინელი თერსიტეს საბრძანისად რომ შეიძლება გადაგვექცეს.

მომდევნო სამი იგავი: „თვალხილული და ბრმადშობილი", „ბრმების ქალაქი" და „ბრმების ქვეყანა" მათში წამოწეული სულიერი სიბრმავის პრობლემით დაუკავშირდა ერთმანეთს და ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო.

იგავში „თვალხილული და ბრმადშობილი" მოთხრობილია ბრმადშობილ ადამიანზე, ვისაც სინათლის არსებობაზეც კი არ აქვს წარმოდგენა და ღრმად სწამს: - „თვალები იმისთვის აქვს ადამიანს, რომ სიბნელე დაინახოსო" /1. გვ. 4/.

„ბრმების ქალაქში" ნაამბობია, თუ როგორ აირჩიეს ბრმებმა ცალთვალა მეფედ, თვალხილული კი უარყვეს: „ცალთვალა ცალი თვალით მაინც გვგავს ჩვენ, შენ კი ორთავ თვალით უცხო ხარო" /1. გვ. 5/.

„ბრმების ქვეყანაში“ ავტორი გვიყვება თვალხილული ექიმის შესახებ, რომელსაც სიბრმავის განკურნება შეეძლო და მიუხედავად იმისა, რომ ბრმათა ქვეყანაში ცხოვრობდა, მათთვის მკურნალობის უფლებას ხელმწიფე და მისი დიდებულები არ აძლევდნენ. ექიმი შინ გამოემწყვდიათ, ხალხი კი დაერწმუნებინათ „თავად არის ერთადერთი ბრმა ჩვენს სამეფოში და სახლშიც იმის გამო გვყავს დამწყვდეული, რომ თვალხილულები არ დაგვაბრმავოს და, გარდა ამისა, თავად არ გადაიჩეხოს სადმე და არ დაშავდესო“ /1. გვ.36/.

ამ იგავებში, ხორციელ სიბრმავესთან ერთად, სულიერი სიბრმავის ქვეტექსტი დევს. რა უნდა იყოს სიბრმავის უბედურებაზე საშინელი, როდესაც ირგვლივ მხოლოდ სიბნელის შეგრძნებაა?. . მაგრამ არსებობს სიბნელე სხვაგვარი სახისაც, გაცილებით დამღუპველი, ვიდრე პირველი – სიბრმავე სულიერი, რომელიც უფრო შემზარავი ხდება, თუკი ავადმყოფი მას ვერ აღიქვამს და ვერ შეიგრძნობს... ღვთიური ჭეშმარიტების ნათელი ყველასათვის ანათებს, მაგრამ გულბრმა ადამიანს ყველაფერი ბნელად და მიუწვდომლად მიაჩნია. ბრმადშობილის პასუხი თვალხილულისთვის გაცემული ამიტომაც ხდება სულის შემძვრელი: „ ...ერთი რომ, არავითარი „თვალხილულები“ არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ბრმები, შენც ჩემსავით ბრმა ხარ, ოღონდ თავს იტყუებ. მეორეც, არავითარი სინათლე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სიბნელე. „სინათლე“ კი, უბრალოდ, „სიბნელის“ საპირისპირო ცნებაა, რომელსაც ჭკუაზე გადამცდარი ხალხი სინამდვილედ თვლის. სიგიჟის უმაღლესი გამოხატულებაა შენს მიერ ხსენებული სიტყვა „მზე“, ვითომდაც რაღაც არარსებული სინათლის წყარო... თვალები კი იმისათვის აქვს ადამიანს, რომ სიბნელე დაინახოსო“ /1. გვ.4/. სულიერი სიბრმავე მისთვის ამავე დროს სიკვდილიცაა. ვინ იხსნის მის სიბრმავეს, თუკი თავად ამის ნება არ გააჩნია?

სულიერი სიბრმავე ყველგან, ყველა ეპოქაშია აქტუალური. სული, რომელსაც ნათელი უნდა წაერთვას, უნდა ჩაიკლას კიდევაც, ამა ქვეყნის ძლიერნი თუკი მოისურვებენ. ბრმათა ამ გალერეის შექმნით კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს საკითხის აქტუალობას მეიგავე, რომელმაც მოგვიანებით სიცოცხლე უნდა შესწიროს ბრმადშობილებში დამცრობილი სიკეთის მარცვლის გაღვივებას. ყველა მათგანი განწირულია. მეფისტოფელურმა „ხანმა უნდობარმა“ მათი სულები შეიწირა. სულის სიბრმავეს კი გარდაუვალი მსხვერპლი ახლავს.

ცხადია, იგავების ავტორი ყველაზე მეტად აფასებს და უფრთხილდება შინაგან ხედვას – უნარს უფლის ნათელის ჭვრეტისა, რომელიც ღვთის წმინდა ნების შეცნობის უნარიცაა.

პროფესორ ლუარა სორდიას თქმით, „ქრისტიანულ სამებაში ძე ღმერთი წარმოიდგინებოდა მზის სხივის, შუქის სახით. ასეთ სიმბოლოს მიმართავდა ბიბლია, სასულიერო პოეზია, დავით გურამიშვილი.

გალაკტიონისათვის იესო მზეა, „მზიანი ღამე, შორეული მზე, მზის სათავე, შუაღამის მზე“.

მის შემოქმედებაში ხშირად შეგვხვდება სიმბოლური სახეები – ახალი მზის ამოსვლა, მზის ჩაქრობა, მზის გარდაცვალება და კოსმიური სიცივის გაბატონება“ /14.გვ.129/.

სახარებაში „ნათელი ჭეშმარიტი“ – ასე ეწოდება მოციქულისგან ქრისტეს. „მე ვარ ნათელი სოფლისაი, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაი/იოანე 8,12/“ – ამბობს უფალი იოანეს სახარებაში. „ცხორებაი იყო და ცხორებაი იგი ნათელ კაცთა“ (იოანე, 1,4). თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, არა მხოლოდ მგრძნობიარე „ნათლით“ აღავსებს იგი სულებს, არამედ გონიერითაც, ამიტომაც ვიწოდებით მისგან ნათელღებულად. ამიტომ გონება, რომელიც უფალმა ჩვენ მოგვცა, რის გამოც ვიწოდებით გონიერ არსებებად, არის ნათელი, რომელიც გვკარნახობს, თუ რა უნდა გავაკეთოთ და რისი გაკეთების უფლება არ გვაქვს. „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ /იოანე. თ. 1,9/“. თუმცა, ზოგიერთმა ცუდად გამოიყენა თავისი გონიერება, მათ თვითონ დააბნელეს თავისი თავი /13. გვ. 15/

ქრისტეს ნათელის ჩვენამდე მოტანა დაისახა მიზნად ზვიად გამსახურდიამ. თუმცა წინდაწინვე იცოდა, რომ მისი თავგანწირვა მავანთა სიძულვილისა და განქიქების მიზეზად იქცეოდა. მათი სიძულვილისა, „რომელთაც ჯვარცმა უკიდიათ ოჯახში მოოქროვილი, ვითარცა კედლის სამკაული, ხოლო თავად არ სურთ ეცვან ჯვარს, ასეთ „ქრისტიანებს“ ჭეშმარიტად ათეისტები სჯობიან, რომელნიც ადამიანის ღირსებისა და უფლებებისათვის იბრძვიან უშიშრად“, – წერს ზ. გამსახურდია და სწამს, რომ, „სიმართლისათვის თავდადებამ არ შეიძლება არ მიგიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყაროამდე – ღმერთამდე“/5. გვ. 80/.

სწორედ სულიერმა სიბრმავემ აიძულა ქართველი ერი არჩევანი ეროვნულ ინტერესთა გაყიდვაზე შეეჩერებინა და მრუდე გზას შესდგომოდა... ბედის ირონიით კიდევ ერთი დიდი ქართველი და მისი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისა და სამშობლოს გადარჩენისათვის ზნედაცემული „ბრწყინვალე წოდების“ ზოგიერთი უძღები შვილის მიერ ტყვიით შეჩერდა.

„ხოლო, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შიდა არს და ბნელსა შინა ვალს. და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრმნა თვალნი მისნი“ (I იოანესი 2.11) – ახლა ამ შეგონებამ უნდა აირეკლოს მორალური და ზნეობრივი ტვირთი ქართველი ერისა. გვიან უნდა შემოიჭრას ჩაბნელებულ სულში სინათლის სხივი. წინამძღოლად წმინდა გიორგის წილ ცრუ გიორგის არჩევა სანანებელი გაუხდეს საქართველოს ძველი დიდების ისტორიულ ნაშთად ქცევაში მონაწილე ხალხს. მერეღა გაიცნობიეროს თავისი „ნამხეცარი და ნაპირუტყვალი“ ერმა. თუმცა გვიანღა იქნება ტყვიით შუბლგახვრეტილი მეიგავის მორალური სრულყოფილების აღმოჩენა.

1998 წელს ზვიად გამსახურდიაზე დაწერილ მონოგრაფიაში როსტომ ჩხეიძე დაწერს – „ძნელია, ძალიან ძნელი, მზერა გაუსწორო შენს პილატეობას, მაგრამ მონანიების გზა ეს არის, არა საზოგადოების განკითხვა, არამედ საკუთარ თავში ძებნა დანაშაულის მიზეზთა. საზოგადოებას კი ესღა დარჩენია: თავის თვითეული წევრის ბაგით აღიაროს სიმართლე და ასე შეეცადოს სულიერ განწმენდას“/7. გვ. 4/.

ესეც სიმბოლური ჟესტი, ერს რომ სინანული ეგრძნო, ქართველობა იერიქონთან განკურნებული ბრმის მაგალითს მიჰყოლოდა... ძველებურად აღარ გაგრძელებულიყო ეშმას ბოგინი ამ ქვეყანაზე. . .

„სინანულიც კაი საქმეა“ - დიდი ილიას, კიდევ ერთი, ქართველის ხელით დაბნელებული „ნათლის“ შეგონებით – „განკითხვა თავის-თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახებდა ჩვენის უბედურობისას... დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოგძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს“ /8. 340/.

ზვიად გამსახურდიას იგავებში რაღაც საოცრად საკრალური და სიმბოლური ჩაუტევია, მართლმადიდებლური რწმენით განუმსჭვალავს. იმედი, რომ განწმენდილი ერის წიაღში ხელახლა იშობა გმირი, რომლის არსებობა ისევ გამოიხსნის ქართველობას მარადიული წყვდიადისაგან. იმედი, XXI საუკუნის ქართველობის ტკივილთა დასაამებლადაც, რომ ქრისტეგაცოცხლებული სულების ძალით, ისევ თავს მოიყრის ათასგზის გაბნეული მამული – ილიას, აკაკის, ვაჟას, ზვიადის განწირულის სულისკვეთება კვლავ გააბრწყინებს განდევნილ ნათელს. და. . .

კვლავ უგალობებს უფალივით ერთადერთ მამულს თვალახელილი ქართველობა მუმლზე გამარჯვებული მუხის სადიდებელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზვიად გამსახურდია, იგავები და ზღაპრები, თბილისი 1987
2. ბიბლია, თბილისი 1989
3. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბილისი 1954
4. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბილისი 2005
5. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბილისი 1995
6. სოფიო ღლონტი, ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული მრწამსი, თბილისი 2007
7. როსტომ ჩხეიძე, თუ საწუთრომან დამამხოს, ზვიად გამსახურდიას ბედისწერა, ლომისი 1998
8. სულხან-საბა ორბელიანი, თბილისში წაკითხული საჯარო ლექციების სტენოგრამები.
9. ეზოპე, იგავ-არაკები, თბილისი 1968
10. ილია ჭავჭავაძე, ტომი II, თბილისი 1986
11. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი
12. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, იოანეს სახარების განმარტება, ნაწ. I, თბილისი 2008
13. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისი 1996
14. ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი 1991

ისტორია

გივი ტოგავა

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ისტორიიდან

აფხაზეთში XIX საუკუნის შუახანებისათვის საერო თუ სასულიერო განათლება მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო, ადრინდელი პერიოდისგან (VIII-XII ს.ს.) განსხვავებით, როდესაც აფხაზეთში ქრისტიანული კულტურა და განათლება ყვაოდა, XVIII-საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე აფხაზეთში წარმართობის აღდგენამ, ისლამის ნაწილობრივმა გავრცელებამ, დანარჩენ საქართველოსთან სოციალურ-კულტურული კავშირების შესუსტებამ, იქ ხალხის ცოდნისა და განათლების დონე კატასტროფულად დაბლა დასცა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საკუთრივ აფხაზეთში (სამურზაყანო – დღევანდელი გალის რაიონი – მაშინ აფხაზეთში არ შედიოდა) ერთი სკოლაც – კი არ არსებობდა, სადაც არამცთუ მოსახლეობის დაბალი ფენების ახალგაზრდობას, არამედ თვით თავად-აზნაურების შვილებს შესძლებოდათ წერა-კითხვის დაუფლება მაინც. ამიტომ აფხაზი ახალგაზრდობის ცალკეულ წარმომადგენლებს გარკვეული განათლების მიღება შეეძლოთ, უპირველეს ყოვლისა, მეზობელ სამეგრელოში ეკლესიებთან არსებულ სამრევლო სკოლაში (ცაიში) ან სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (მარტვილი, 1830 წლიდან). ან კიდევ ქუთაისსა და თბილისში. მაგრამ ასეთები მხოლოდ ერთეულები იყვნენ. (ძირითადად თავადაზნაურობა).

რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის შემდეგ (1810) მდგომარეობა უკეთესობისკენ უნდა შეცვლილიყო, რამდენადაც ხელისუფლების ერთ-ერთ მიზანს იქ ქრისტიანობის აღდგენა წარმოადგენდა, რათა რელიგიისა და ეკლესიის მეშვეობით აფხაზების გარუსება, რაც შეიძლება, უფრო სწრაფად მომხდარიყო. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება და განმტკიცება აფხაზ ხალხში თავის მხრივ მოითხოვდა იქ ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენასა, ახლის აგებას და მათში სამრევლო სკოლების გახსნას, რათა აფხაზი ახალგაზრდობა ქრისტეს მოძღვრებას ზიარებოდა, დაუფლებოდა.

1810 წლისათვის აფხაზეთში საკმაოდ ბევრი ეკლესია-მონასტერი არსებობდა, შუა საუკუნეებში აშენებული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ფუნქციონირებდა, ისინი გაძარცულ-გაპარტახებულ-განადგურებული იყო, ქრისტიანული კულტურის ცენტრები – მოშლილი და გაუქმებული. ერთადერთი მოქმედი ეკლესია აფხაზეთის მთავრის კარის ეკლესია იყო, მისი საზაფხულო რეზიდენცია სოფელ ლიხნში ანუ როგორც იმ დროს ეძახდნენ, სოუკ-სუ-ში[1].

რუსეთი არ ჩქარობდა აფხაზეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთს იმ დროს (1806-1812 წ.წ.) ომი ჰქონდა თურქეთთან, რომლის ხელდებულ ქვეყანას მაშინ აფხაზეთი წარმოადგენდა, ამიტომ რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რომელ მხარეს გადაიხრებოდა აფხაზეთის მთავარი და აფხაზი ხალხი. მეორე, რუსეთს, თითქოსდა, არ უნდოდა აფხაზეთის ავტონომიურობა დაერღვია; მესამე. 1825 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში იწყება დიდი ომი რუსების დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

რუსეთ-თურქეთის ომებში (1806-1812 და 1826-1828) რუსეთის გამარჯვების შედეგად მისი პოზიციები აფხაზეთში საკმაოდ განმტკიცდა, აფხაზი მთავრისა და ხალხის პოზიცია რუსეთისკენ გადაიხარა. ასეთ პირობებში რუსეთის უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცა, აშკარად დაეწყო აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენისა და განმტკიცების პოლიტიკა. ეს ხდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. თავდაპირველად (1834 წლიდან) აფხაზეთში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენა მიმდინარეობდა ე. წ. „ოსური სასულიერო კომისიის" ეგიდით, რომელმაც ამ პროცესში დასაყრდენად ქართველი სასულიერო პირები გაიხადა, როგორც აფხაზი ხალხის წეს-ჩვეულებების, მათი სარწმუნოების კარგად მცოდნენი, რომლებსაც, რუსებისაგან განსხვავებით, ადვილად შეეძლოთ მოენახათ საერთო ენა აფხაზებთან. მათ შორის, თავისი განათლებით, ავტორიტეტით, ორგანიზატორული ნიჭითა და აფხაზური ენის ცოდნით გამოირჩეოდა არქიმანდრიტი ანტონი (დადიანი). იგი მთელი 8 წლის განმავლობაში (1834-1842 წ.წ.) სათავეში ედგა აფხაზეთის გაქრისტიანების პროცესს და დიდ წარმატებებსაც მიაღწია[2].

აფხაზეთში მისიონერებად მაშინ მხოლოდ ქართველები იყვნენ, არც ერთი სასულიერო პირი მაშინ აფხაზებს არ ჰყავდათ. დღის წესრიგში დადგა ასეთი კადრების მომზადების ამოცანა. უპირველეს ყოვლისა, ამას მოითხოვდა ობიექტური ვითარება: აფხაზეთში მაშინ მოღვაწე ყველა სასულიერო პირმა როდი იცოდა აფხაზური ენა, რის გამოც აფხაზებსა და მისიონერებს შორის ურთიერთობა თარჯიმნის მეშვეობით ხორციელდებოდა, რაც, რასაკვირველია, ბევრ უხერხულობას ქმნიდა. გარდა ამისა, აფხაზ ხალხს, ისევე როგორც ყველა ქრისტიან ხალხს, საკუთარი სამღვდელოება უნდა ჰყოლოდა. იყო სხვა მიზეზიც და არანაკლებმნიშვნელოვანი: რუსეთის კლერიკალური წრეები, აფხაზეთში რუსების პოზიციების საბოლოო განმტკიცების შემდეგ, უკვე ძველებურად აღარ მალავდნენ თავიანთ ბოროტ განზრახვას – აფხაზები დაეპირისპირებინათ ქართველი ხალხისათვის, ისინი მოქმედებდნენ ცნობილი იმპერიული პრინციპით: „დაყავი და იბატონე".

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მრევლის სიმცირის საბაბით საქართველოს ეგზარხოსებმა აფხაზეთის ეპარქია არ აღადგინეს. საჭირო გახდა საქმეში იმ დროს კავკასიაში მეფისნაცვლის,ჭკვიანი და შედარებით ლიბერალი პოლიტიკოსის მ. ვორონცოვის ჩარევა, რომლის შედეგადაც 1851 წლის 30 აპრილს გაიხსნა აფხაზეთის ეპარქია[3].

ეპარქიის გახსნის შემდეგ უფრო ადვილად შეიძლებოდა სასულიერო სასწავლებლის გახსნაც აფხაზეთში. მ. ვორონცოვმა ამისათვის თავისი ექსტრაორდინალური ხარჯებიდან გამოყო ყოველწლიურად 1525 მანეთი ვერცხლის კურსით. სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1852 წლის 25 სექტემბერს სასწავლებელი გაიხსნა ლიხნში,აფხაზეთის მთავრის სასახლის გვერდით.

ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბის გამო, მისი მოწაფეები სახელმწიფო ხარჯზე უნდა ყოფილიყვნენ. სასწავლებელი ორკლასიანი იყო, მაგრამ თავდაპირველად გაიხსნა მხოლოდ პირველი კლასი. ამ სასწავლებლის ზედამხედველად (დღევანდელი ტერმინით – დირექტორად) ჯერ კიდევ 1851 წლის მაისში დაინიშნა ყაზანის სასულიერო აკადემიადამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი, ნიჭიერი პედაგოგი და მღვდელ-მონაზონი ალექსანდრე (ოქროპირიძე). მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ამ სასწავლებელს ფუნქციონირება დაეწყო ჯერ კიდევ მანამ, სანამ მისი დაფინანსება პრაქტიკულად დაიწყებოდა. ამის შესახებ მაშინდელ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ზედამხედველმა ალექსანდრემ თავისი საკუთარი თანხებით ამ სასწავლებლისათვის 35 ახალი საწოლი, 15 მაგიდა და სხვა საჭირო ნივთები შეიძინა. მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით 1 მოწაფეზე წელიწადში უნდა გახარჯულიყო 101 მან. და 80 კაპ. საქართველოს ეგზარქოსის მითითებით ასეთი ხარჯი 50 მანეთამდე შემცირდა, მაგრამ ამ განახევრებული

თანხების დროულ გადაგზავნაზე სათანადო ორგანოები ნაკლებად იზუსტებდნენ თავს. ამაზე ის გარემოებაც ცხადად მიუთითებს, რომ 1853 წლის პირველ ნახევარში ასათვისებელი თანხები ადგილზე მხოლოდ აპრილში იქნა მიღებული. ამასობაში სასწავლებლის მოწაფეები ხელმოკლე მშობლების ხარჯზე იყვნენ და ძალიან უჭირდათ მატერიალურად, განსაკუთრებით იმათ, ვინც ლიხნში შორეული სოფლებიდან იყვნენ ჩასულები. ზოგიერთ მათგანს ზედამხედველი იერომონაქი ალექსანდრე პირადად მფარველობდა, ჰყავდა თავის ბინაში, ასმევ-აჭმევდა და აცმევ-ახურავდა თავისი საკუთარი ხარჯით[4].

ზედამხედველი ასევე საკუთარი ფულით ყიდულობდა მოწაფეებისათვის წიგნებს, რვეულებს, საწერ-კალმებს და სხვა საჭირო სასწავლო ნივთებს. მოწაფეებისა და სასწავლებლისადმი ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება და დიდი ზრუნვა საქართველოს ეგზარხოსმა იმით დააფასა, რომ 1852 წლის 8 მაისს პირადი მადლობა გამოუცხადა და სამხარეულით დააჯილდოვა, ხოლო წმ. სინოდმა 1853 წლის თებერვალში ასევე სათანადო ბრძანებულებით მადლობა გამოუცხადა.

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში მოწაფეთა რაოდენობა 1852 წლის დამლევს სულ 8 იყო, ძირითადად მღვდლების შვილები. 1853 წლის პირველ სექტემბერში მათი რიცხვი 11-მდე გაიზარდა, სხვა წოდებიდან გამოსული ახალგაზრდების ხარჯზე.

ზედამხედველ ალექსანდრეს მიერ შედგენილი სასწავლო გეგმით აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნების სწავლება: საღმრთო სჯული, რუსული ენა, ქართული ენა (ხუცური და მხედრული წერა), სუფთა წერა რუსულსა და ქართულ ენებში, არითმეტიკა, რუსული და ქართული ენების გრამატიკა, საეკლესიო გალობა, გეოგრაფია, პრაქტიკული ვარჯიში აფხაზურ ენაში[5].

აფხაზეთის (ლიხნის) სასულიერო სასწავლებელი თანდათანობით ძალას იკრებდა და ორგანიზაციულად მტკიცდებოდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, 1853 წლის 4 ნოემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყო, რომელიც 1856 წლის მარტამდე გაგრძელდა. საომარი ოპერაციების ნაწილი მიმდინარეობდა აფხაზეთსა და სამეგრელოში.

ომის დაწყების შემდეგ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ფუნქციონირება საგრძნობლად შეფერხდა. 1853 წლის ნოემბრის ბოლოს საომარი საფრთხის გამო სასწავლებლის მოწაფეები თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. ამიტომ სასწავლებლისათვის ჩარიცხული თანხები მისმა ზედამხედველმა იერომონაქმა ალექსანდრემ მომავალი საჭიროებისათვის, შესანახად ამიერკავკასიის ერთ-ერთ პრიკაზში (ბანკში) შეიტანა, პროცენტების დარიცხვით[6].

1854 წლის დამლევს აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე და იერომონაქი ალექსანდრე ნებართვას ითხოვენ, რომ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი დროებით იმერეთში იქნეს გადატანილი, კერძოდ, დაბა ხონში, სადაც ალექსანდრე ამ სასწავლებელს საკუთარ სახლს უთმობდა, მაგრამ 1855 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის მთავარმა იგი თავისი მემკვიდრის აღსაზრდელად სამეგრელოს სოფელ ჭკადუაშში მიიწვია, სადაც ომის დროს საცხოვრებლად იმყოფებოდა. ზედამხედველმა თან წაიყვანა 4 აფხაზი ახალგაზრდა და სრულიად უფასოდ, თავისი ხარჯებით ზრდიდა და ასწავლიდა მათ[7].

მალე თურქები სამეგრელოშიც შეიჭრნენ და იქ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენა ვერ მოხერხდა. იგი ფაქტიურად დაიხურა.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1858 წელს, უკვე აფხაზეთის არქიმანდრიტად დანიშნულმა ალექსანდრემ საქართველოს ეგზარქოსის წინაშე კვლავ დააყენა საკითხი აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენის შესახებ. ამ დროს პრიკაზში ამ სასწავლებლის კუთვნილი 4.526 ვერცხლის მანეთი ინახებოდა. მაგრამ რუსეთის უწმ. სინოდი და საქართველოს ეგზარქოსი

მის გახსნას არ ჩქარობდნენ. თითქმის მთელი 10 წელი ცდილობდა ალექსანდრე ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. 1867 წლის იანვარსა და ივნისში სპეციალური მიმართვები გაუგზავნა საქართველოს ეგზარქოსს ევსევევს, სადაც ასაბუთებდა ამ სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას იმით, რომ მას შეეძლო სასულიერო პირები მოემზადებინა არა მარტო აფხაზეთისათვის, არამედ სვანეთის, სამურზაყანოსა და თვით ყუბანის ეკლესიებისთვისაც.

ეპისკოპოს ალექსანდრეს აზრით (ეპისკოპოსად ის დაინიშნა ჯერ კიდევ 1862 წელს), აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი უნდა აღდგენილიყო ბიჭვინთის მონასტრის ბაზაზე, სადაც გადატანილი იქნებოდა აგრეთვე სოხუმის ეპარქიული კათედრა.

1867 წელს ის აახლებს სასულიერო სასწავლებლის წესდებას და ადგენს მოწაფეთა სავარაუდო კონტიგენტს, რომელიც ისწავლიდა ამ სასწავლებელში, თუ ის ახლოხანებში გაიხსნებოდა. მომავალ მოწაფეთა სიაში იყო 27 ახალგაზრდის გვარი და სახელი. მათ შორის იყვნენ არა მარტო სასულიერო წრიდან გამოსული, არამედ სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებიც, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ სწავლას მოწყურებულ აფხაზთა რიგები თანდათანობით იზრდებოდა[8].

ეპისკოპოსი ალექსანდრე მოითხოვდა, რომ ამ სასწავლებელში შემოეღოთ აფხაზური ენის სწავლება, რაც აუცილებელი იყო იმ სასულიერო პირებისათვის, ვინც აფხაზთა შორის იმუშავებდა. სანამ ეს მოხერხდებოდა, მანამდე საჭირო იყო აფხაზეთში მისიონერებად და მღვდლებად გაეგზავნათ სემინარიადამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც შეისწავლიდნენ აფხაზურ ენას. ამაში ისინი უნდა წაეხალისებინათ ჯამაგირის მომატებით.

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში აფხაზური ენის მასწავლებლად ეპ. ალექსანდრე მოითხოვდა ლიხნელი მღვდლის ივანე გეგიას დანიშვნას, რომელმაც მშვენივრად იცოდა მშობლიური ენა და 60-იანი წლების დასაწყისში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზურ ენაზე დამწერლობის შემქმნელ კომისიაში. ეპისკოპოსი დიდად ზრუნავდა აფხაზი მოწაფეების მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის და მოითხოვდა ამ სასწავლებლის პანსიონში (ინტერნატში) 1 მოწაფეზე სახელმწიფოს გამოეყო არა 50, არამედ 70 მან. ვერცხლით, რომ მათ სწავლისათვის შესაფერისი პირობები ჰქონოდათ.

ბიჭვინთაში აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის გახსნის მცდელობა ისევ გრძელდებოდა. 1869 წელს საქართველოს ეგზარქოსი ევსევევი საქართველოს უმაღლეს სამოქალაქო ხელისუფლებას თხოვნით მიმართავდა, რომ ამ სასწავლებლისათვის, როგორც ეს წინათ ხდებოდა, ყოველწლიურად 1525 ვერცხლის მანეთი გადაერიცხათ, მაგრამ ამაზე უარი მიიღო.

მიუხედავად ამისა, სასწავლებლის გახსნა მაინც შეიძლებოდა იმ თანხებით, რომელიც ამ დროისათვის აფხაზეთის საარქიელო კათედრასა და სასულიერო სასწავლებელს „პრიკაზში" ჰქონდა და შეადგენდა 4526 მანეთს ვერცხლით. ეს თანხა სრულიად საკმარისი იყო სასწავლებლის აღდგენისათვის, მაგრამ მისი გახსნის ნებართვა არა და არ ჩანდა უწმ. სინოდისაგან.

ჩვენი აზრით, რუსეთის უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება აფხაზეთში სასულიერო სასწავლებელს იმიტომ არ ხსნიდა, რომ მათ უნდოდათ ღვთისმსახურთა აფხაზი კადრები მოემზადებინათ რუსეთში, ქართველებისაგან შორს, რუსების სრულ გარემოცვაში. ეს განზრახვა აშკარად ჩანს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ჰეიმანის იმ მიმართვიდან, რომელიც მან გაუგზავნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" საბჭოს, რომელშიაც ეკითხულობთ: „როგორი კარგიც არ უნდა იყოს თბილისის გიმნაზია და სემინარია, ჩვენ ისინი ხელს არ გვაძლევს, რამდენადაც ყოველი აფხაზი ახალგაზრდა მალე და კარგად ისწავლის ქართულს, ხოლო რუსულს – ძალიან ცუდად და გამოვა, რომ ჩვენ თანხებს ვხარჯავთ იმისათვის, რომ აფხაზს

შევასწავლოთ მისთვის სრულიად უცხო ენა და აფხაზეთის დაახლოება რუსეთთან დავტოვოთ ისეთ მდგომარეობაში, როგორიც დღესაა". ჰეიმანი მოითხოვდა აფხაზი ახალგაზრდების გაგზავნას ან ეისკის გიმნაზიაში, ან სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, ან კიდევ სამხედრო სასწავლებელში, რომ რუსების გვერდით ყოფნისას დაახლოებოდნენ და თანდათანობით შერწყმოდნენ მათ[9].

აფხაზების რუსეთში გათქვეფას და მათი, როგორც ერის გაქრობას ისახავს მიზნად რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა, რომელმაც ომით მიიტაცა აფხაზეთი და ოფიციალურად ცნო მისი, ვითომცდა, „დამოუკიდებლობა".

მიუხედავად მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართული სასულიერო პირების დიდი მცდელობისა, აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი მაინც არ იქნა აღდგენილი, რაც გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით.

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელმა მხოლოდ ორი წელიწადნახევარი იარსება, მაგრამ მაინც გარკვეული როლი შეასრულა აფხაზეთის სასულიერო კულტურის განვითარებაში – აფხაზ ახალგაზრდებს აღუძრა განათლების სურვილი და მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმართ გარკვეული ინტერესი და სიყვარული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზეთში, თბ. 2004, გვ. 37. იხ. აგრეთვე, გ. როგავა, აფხაზეთის ისტორიის საკითხები, 2009, გვ. 37.

2. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ. 2005, გვ. 393 აგრეთვე, გ. როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზეთში, თბ. 2004, გვ. 42-55. მისივე – აფხაზეთის ისტორიის საკითხები, თბ. 2009 გვ. 47-54

3. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა თბ. 2005, გვ. 413.

4. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში – სსცსა), ფონდი 488, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია, ს. 1555, ფურც. 41.

5. იქვე, ფურც. 13.

6. იქვე, ფურც. 139.

7. იქვე, ფურც. 94.

8. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 15, ს. 51, ფურც. 3. იხ. აგრეთვე – სსცსა, ფ. 488. ს. 15555, ფურც. 116.

9. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზებში, თბ. 2004, გვ. 94.

Givi Rogava

From the History of the Theological College of Abkhazia

Summary

As a result of the analysis of archival materials and relevant literature a conclusion is drawn in the paper that the Theological College of Abkhazia (Likhni) was established in May 1852, when Hieromonk Aleksandre Okropiridze, a graduate of the Kazan Theological Academy,candidate of theology and a talented teacher,was appointed its supervisor. It was opened on September 25,1852. At first,children of priests,and later young persons from various strata of the population studied at the college. The following subjects were taught: scripture, the Russian and the Georgian languages, arithmetic, geography, chanting, the Abkhazian language (practical work).

In November 1853,after the beginning of the Russo-Turkish War,when the military operations took place in Abkhazia and Samegrelo, the functioning of the theological college was considerably hampered. It was transferred from Likhni to the settlement of Khoni in Imereti, and then to the village of Chkaduash in Samagrelo. As a result of the Turkish invasion in Samagrelo, the college ceased its functioning in October 1855.

In spite of the 10-year-long efforts of Archimandrite, subsequently Bishop Aleksandre, its restoration proved impossible. This was due to the evil intentions of the Russian supreme secular and ecclesiastical authorities,who wished to train Abkhazian priests in Russia,far away from the Georgians,in the completely Russian surroundings in order to russify them.

Although the Theological College of Abkhazia existed for only two years, it still made a certain contribution to the development of the spiritual culture of Abkhazia – it evoked in Abkhazian youth the desire to get education and inculcated in them certain interest and love for Orthodox Christianity.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ თორაძე

ისტორიული სამართლიანობის აღდგენა

„სცანი ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლნეს თქვენ“

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას საუკუნეების განმავლობაში ცნობდა მსოფლიოს მრავალი ეკლესია. კონსტანტინოპოლის ეკლესია კი, რომელსაც მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის ყოველთვის ჰქონდა პირველობის პრეტენზია, დაჟინებით არ აღიარებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიას, რადგან ეს უკანასკნელი გაცემულ იქნა ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მტკიცებით, საქართველოს ეკლესიისთვის თვითმწყემსობის უფლების მიცემა უნდა მომხდარიყო მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან და არა ანტიოქიისაგან, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ამის გამო, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის რუსეთის მიერ იძულებით გაუქმებამდე /1811/ და არც ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ, /1917/ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დაჟინებით არ აღიარებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას და მას ავტონომიურ, მცირე ეკლესიათა შორის მოიხსენიებდა. იგი, ასევე, არ ცნობდა საქართველოს ეკლესიის მეთაურის, პატრიარქის წოდებას. რა თქმა უნდა, ეს საკითხი აღელვებდათ ქართული ეკლესიის მესვეურებს და მთელ ქართველ საზოგადოებას; სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი საჭეთმპყრობელის საპატრიარქო ტიტული არაერთგზის გამხდარა საყოველთაო განსჯის საგანი. საჭირო იყო მეცნიერულ-ისტორიული და კანონიკური დასაბუთება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებისა, რადგან 1500 წლის მანძილზე მრავალი საბუთი დაიკარგა ან ჟამთა სიავემ შთანთქა.

მრავალი ათეული წელი მოუნდა ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას. ჯერ იყო და, XX საუკუნის დასაწყისში დიდი ბრძოლა დასჭირდა მეფის რუსეთისგან მიტაცებული ავტოკეფალიის დაბრუნებას. შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ღირსეული ადგილის დაკავებისთვის. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა 1960-1982-იან წლებში, როცა კვლავ დღის წესრიგში დადგა საკითხი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო აღიარებისა.

დავა და მოლაპარაკება ძირითადად მიმდინარეობდა საქართველოსა და კონსტანტინოპოლის ეკლესიის მესვეურთა შორის. მას საფუძველი ჩაეყარა 1963 წელს კუნძულ როდოსზე. აქ მიმდინარე ერთ-ერთ კონფერენციაზე ახლად არჩეულ ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსს ილიას /შემდგომში კათოლიკოს პატრიარქი ილია II/, კამათი მოუხდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების

წარმომადგენლებთან, საქართველოს ეკლესიის სტატუსისა და ეკლესიის მამამთავრის ტიტულის შესახებ.

ამ საკითხზე მოლაპარაკება განსაკუთრებით გაცხოველდა 1977-1978-იან წლებში.

1978 წლის მაისში საქართველოს ეკლესიას ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რათა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-სათვის აღსაყდრება მიელოცა / უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღსაყდრებულ იქნა 1977 წლის 25 დეკემბერს/. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი ბართლომე და შვეიცის მიტროპოლიტი პავლე. მისასალმებელი სიტყვა საოცრად თბილი და კეთილგანწყობილი იყო, თუმცა, მასში არსად იხსენიებოდა სიტყვები „საქართველოს პატრიარქი" და „კათოლიკოს-პატრიარქი". მათ ნაცვლად, ყველგან „საქართველოს ეკლესია" და „კათალიკოსი" ფიგურირებდა, ხოლო კვერთხზე, რომელიც საქართველოს პატრიარქს გამოუგზავნა მისმა ყოვლადუწმინდესობამ, მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს პირველმა, ასეთი წარწერა იყო: „კონსტანტინოპოლელი დიმიტრისგან ივერიელ ილიას". უხერხულობის თავიდან ასაცილებლად თვით მსოფლიო პატრიარქი არ იყო ხსენებული პატრიარქად, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ცნობისთვის, მსოფლიო მასშტაბით, ახალი ძალით უნდა გაგვეგრძელებინა.

1979 წლის 2-8 მაისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. მისი ყოვლადუწმინდესობის დიმიტრიოს პირველისა და წმიდა სინოდის წინაშე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ოფიციალურად დასვა სამი საკითხი, კერძოდ, ეცნოთ და დაედასტურებინათ:

1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც მიღებულ იქნა V ს-ში მეფე ვახტანგ გორგასლის ზეობის დროს.

2. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელისათვის პატრიარქის წოდება-ტიტული.

3. საქართველოს ეკლესიის ადგილი მართლმადიდებლურ ეკლესიათა დიპტიქში.

შეეხო რა საქართველოს ეკლესიისა და მისი მამამთავრის სტატუსს მსოფლიო ეკლესიათა შორის, საქართველოს კათოლიკოს-პატრაირქმა ილია II-მ აღნიშნა: „როდესაც წერილს ან მოლოცვას გვიგზავნის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორედ არ არის მოხსენიებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე როგორც წოდებულია V ს-დან. იმ ჟამთაგან დღემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის მამამთავარს უწოდებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს ადგილს.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუარა სორდია

ამირანისა და აბრსკილის შთამომავალთა ტრაგედია
(ბათუ ხარებავას გახსენება)

საკუთარი მშობლიური მიწა-წყლის, სახლის დაკარგვა სულის დაკარგვის ტოლფასია, უსულოდ კი არათუ სრულფასოვანი არსებობა, საერთოდ წარმოუდგენელია ნორმალური სუნთქვა.

შვილის, ძმის, ნათესავის, მეზობლის, მეგობრის, ნაცნობის დაკარგვა, გაუნელებელი ტკივილის მომტანი ომი, ამოწყვეტილი ოჯახები, გვარები... უგზოუკვლოდ დაკარგულნი,შვილის საფლავის დამკარგავნი, უპატრონო საფლავები აფხაზეთში, სამაჩაბლოში, კოდორის ხეობაში. . .

30 ათასი უშედეგოდ დაღუპული, 300 ათასი დევნილი საკუთარი მიწა-წყლიდან მარტო აფხაზეთში...

იერემია წინასწარმეტყველის სიტყვები მახსენდება: „ნუმცა დაგემართოთ ამგვარი რამ, გზად ჩამვლელნო! მოიხედეთ, შეხედეთ, თუ ყოფილა სატკივარი ჩემი სატკივრის მსგავსი, მე რომ მჭირს, უფალმა რომ შემყარა თავისი რისხვით!“ (გოდება იერემიასი, I, 12).

ჩვეულებრივ მოკვდავებს არ ხელეწიფებათ გამოთქვან თავიანთი უბედურება, ეს მხოლოდ უფლის რჩეულთა ხვედრია : „მე ვარ კაცი, ტანჯვის მნახველი მისი რისხვის კვერთხის ქვეშ;

„წამიძღვა და მივყავდი ბნელისკენ ,არა ნათლისკენ;

„დათვია ის ჩემთვის, საფარში მჯდარი და ლომი, დადარნებული;

„მოზიდა მშვილდი და ისართა სამიზნედ დამსვა;

„გულ-ღვიძლში გამიტარა თავისი კაპარჭის ამონასხლეტი;

„სიმწრით გამაძღო და აბზინდა შემასვა;

„მშვიდობა წაართვა ჩემს სულს, დამავიწყა კეთილდღეობა“... (გოდება იერემიასი, III, 1210, 15,17)

„ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები - გადამთიელმა.”

„მონები ხელმწიფობენ ჩვენზე, არა ჩანს მხსნელი მათი ხელიდან”;

„შემწყდარია ჩვენი გულის სიხარული, გლოვად გადიქცა ჩვენი ფერხულები“ (გოდება იერემიასი, V, 2,8,15).

ეს ღვთის რჩეული ერის უბედურება იყო, მაგრამ თავიანთი რწმენით, ერთობით მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელები მაინც დაუბრუნდნენ საკუთარ მიწა-წყალს და ისევ შექმნეს სახელმწიფო.

„სიძულვილის დევი“ შვა და ჩააყენა გაიძვერა მოყვარემ” ქართველთა და აფხაზთა შორის, მისგან ინსპირირებული დაპირისპირებებიდან, მისი რეჟისორობით დადგმული ტრაგედიიდან კი გამოსვალი ჯერაც არ ჩანს.

პროფესორი ჯემალ ხარებავა და მისი მეუღლე ლია კეკელია აფხაზეთში, სოხუმში ცხოვრობდნენ. იცოდნენ რა ამირანისა და აბრსკილის ნათესაობა, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო ქართველებთან, აფხაზებთან, სომხებთან, რუსებთან, ბერძნებთან და იქ მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელთან.

სიყვარულით შექმნილი ხარებავების ბედნიერი ოჯახი ერთგულებდა კოლხურ-აფხაზურ ჰუმანურ, სტუმართმოყვრულ ტრადიციებს, რუდუნებით, სიყვარულით ზრდიდა სამ შვილს: ბათუს, ლაშას, ხატიას.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?"

ომის დროს ოჯახს ხელიდან გამოეცალა ბათუ ხარებავა, ნიჭიერებით, კეთილშობილებით, სილამაზით გამორჩეული ვაჟიშვილი, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ჯემალ და ლია ხარებავები იმ აფხაზეთელ ინტელიგენტთა რიცხვს ეკუთვნიან, რომელთაც ბედმა არ აკმარა საყვარელი აფხაზეთის დაკარგვა, მშვენიერი ჭაბუკის სიკვდილი. 18 წელია მათი ოჯახი უპატრონოდ დარჩენილი შვილის საფლავის დარდის გაუნელებელ ცეცხლზე იწვის.

ლაშამ და ხატიამ აქ დაამთავრეს საშუალო სკოლა, უნივერსიტეტი, აქ მიაღწიეს თვითდამკვიდრებას. ლაშა იურისტია , სასწავლო-საკონსულაციო ცენტრის „ბუმა მერიდიანის" დირექტორი. ხატია ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტია, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის „ თეთრი ტალღის" მსახიობი, ამავე დროს, ლექციებს კითხულობს „ბუმა მერიდიანში".

ლაშამ თავისი მომავალი ნათია სახოკიას დაუკავშირა, პირმშოს კი გარდაცვლილი ძმის ბათუს სახელი დაარქვა. ტკივილიანი, მაგრამ მაინც იმედიანია მათი ცხოვრება.

ჯემალ ხარებავა ვერ გატეხა საქვეყნო და ოჯახის ტრაგედიამ. რაინდული შემართებით ებრძვის ეს კოლხი სიძნელეებს, იცის, დასაბრუნებელია აფხაზეთი, პატრონობა სჭირდება მის ნაგრამს, ყურადღება და მზრუნველობა ყოველ გაჭირვებულს და ეს კეთილი კაცი ირგვლივ უხვად თესავს სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს.

ჯემალიმ იცის, უღიმღამო, უმიზნო ცხოვრება არყოფნის ტოლფასია, უნდა გადაარჩინო სული, საქვეყნო, მაღალი იდეალები და აქეთკენ მიმართავს თავის ფიზიკურ და სულიერ ძალისხმევას.

წარმატებით გააგრძელა აფხაზეთში დაწყებული სამეცნიერო მოღვაწეობა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ვაჟა - ფშაველას შემოქმედებაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ჩამოაყალიბა ქართულ - უკრაინული აკადემია, გახდა „ფაზისისა" და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი.

პურმარილიანმა, სტუმართმოყვარე კოლხმა, აკადემიების სხვა ახალ წევრებთან ერთად, საზეიმოდ აღნიშნა ეს დღე და სუფრასაც სანიმუშოდ უთამადა. მისი ერუდიცია, ძმობა - მეგობრობის ნიჭი აქაც გამოვლინდა.

ბუნებრივია, პირველი სადღეგრძელო სამშობლოს, მის მომავალს მიეძღვნა. როცა აფხაზეთზე, იქ დარჩენილ უპატრონო საფლავებზე ჩამოვარდა საუბარი, ჯემალის თვალებზე ცრემლები აკიაფდა, რადგან 18 წელია მას შვილის საფლავი არ უნახავს.

სუფრას ესწრებოდა პოეტი - აკადემიკოსი გულნაზ ხარაიშვილი, რომელსაც ჯემალ ხარებავასა და სრულიად საქართველოს ტრაგედიამ მოსვენება არ მისცა, ძილი დაუფრთხო და დააწერინა პოემა სრულიად საქართველოს, შვილმკვდარი მშობლების, ობლად დარჩენილი საფლავების ხვედრზე.

გულნაზ ხარაიშვილის პოემა „მდუღარე ცრემლი" პიროვნული და ეროვნული სატკივრების მაღალმხატვრული მატიანეა, სიკვდილის საიდუმლოებასთან მიახლოების, მზეგადასულთა და ამქვეყნიერთა მიმართების უცდომელი ჭვრეტის ნიმუშია.

სიკვდილი ყველაზე უფრო იდუმალი, ამოუცნობი, თავზარდამცემი, მარადიული პრობლემაა და მიღმურ სამყაროში სულით შეღწევა განსაკუთრებული უნარით, ნათელხილვის და ნათელსმენის ფენომენებით არის შესაძლებელი.

გულნაზ ხარაიშვილი ის პოეტია, ვისაც სიცოცხლეშივე შეუძლია იხილოს სიკვდილის აჩრდილი და გაიცნობიეროს მისი იდუმალების არსი.

მეცნიერთა მტკიცებით, სააქაოსა და საიქიოს შორის ჩინური კედელი არ არსებობს, პირიქით, მუდმივი კონტაქტია, მათ შორის „კომუნიკაცია" რეალურია, ამ მხრივ ძალზე ანგარიშგასაწევ დასკვნებს გვათავაზობს სიკვდილის გადამტან ადამიანთა ნაამბობი.

აღნიშნავენ, რომ მიცვალებულები აფრთხილებენ ცოცხლებს, მიანიშნებენ მოსალოდნელ მოვლენებზე, გვეცხადებიან ხილვებში, სიზმრებში და გვეხმარებიან მომავლის განჭვრეტაში.

საკმარისია გავიხსენოთ დანტეს გარდაცვალების შემდეგ შვილისათვის დიდი მწერლის გამოცხადება სიზმარში, მამამ თავის მემკვიდრეს აცნობა, სად ინახებოდა „ღვთაებრივი კომედიის" დაკარგული მე-13 თავი, ,რომელსაც მხოლოდ ამის შემდეგ მიაკვლიეს. შექსპირის ჰამლეტისათვის მამის აჩრდილის მოვლინებამ, მისმა ნაამბობმა ფარდა ახადა სასახლეში დატრიალებულ თავზარდამცემ საიდუმლოს.

ყველა რელიგია იზიარებს მოსაზრებას, რომ ადამიანის გარდაცვალებისას კვდება ფიზიკური სხეული, მაგრამ ასტრალური და მენტალური სხეული აგრძელებს არსებობას.

მიღმური სამყარო მრავალ პოეტს უხილავს სულის თვალით (დანტე, გოეთე, სასულიერო პოეზია, ვაჟა-ფშაველა, ფეტი, სოლოვიოვი, ბლოკი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი).

გულნაზ ხარაიშვილის „მდუღარე ცრემლში" პოეტის წინამძღვარია უცდომელი ინტუიცია.

მის პოემაში, ბათუ ხარებავას პიროვნული უბედობის პარალელურად, ნაჩვენებია ომის ცეცხლში გახვეული აფხაზეთი, უცხოთა მიერ დანთებული ხანძარი, გვესმის უცხოთა სიძულვილით სავსე ხმები. ციდან ვარსკვლავების მოწყვეტა მიგვანიშნებს იმ მსხვერპლზე, რომელიც უნდა გაღებულ იქნას რრიგვ მხრიდან.

ცრემლით და სისხლით სველია მიწა, სოხუმში პალმებიც კი გადამწვარია, მის ადგილას კი ბაბუაწვერა ამოსულა, ცეცხლმოკიდებულია აბრსკილის მიწა, „ტკაცუნობს ცეცხლით მოდებული სახლის შიფერი," თოლიებისა და მტრედების ქალაქში ჭოტებისა და ბუების ავისმომასწავებელი კივილი ისმის...

აჩრდილისა და ტოროლას სახით ცხადდება ქართველი მიცვალებული და იმართება უცხო დიალოგი პოემის ავტორსა და ბათუ ხარებავას შორის.

სულის „მეტყველებას" აღწერდნენ დანტე („ღვთაებრივი კომედია"), გოეთე („ფაუსტი"), გალაკტიონი („ედგარი მესამედ").

მიღმური სამყაროდან პოემის პერსონაჟის გამოცხადება პოეტის კალმის საწაულმოქმედმა ძალამ გამოიწვია. იგი მედიუმია ბათუსა და მის მშობლებს შორის.

ყველა რელიგიაში არსებობს ღვთაებრივი სასამართლოს იდეა, რომლის მიხედვითაც, მიცვალებულის სული, ცოდვები სასწორზე იწონება და ცოდვილი ჯოჯოხეთში, წმინდანი სამოთხეში მკვიდრდება, რათა თავის მარადიულ სავანეს - ზეცას დაუბრუნდეს, რადგან სული ღვთაებრივი საწყისის მატარებელია.

საკმარისია გავიხსენოთ ეგვიპტური და ტიბეტური მკვდართა წიგნები,(კრებული „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ“ მოსკოვი, 1990წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნაზ ხარაიშვილის პოემის მიხედვით, სიწმინდემ და სიკეთემ ბათუ ხარებავა ანგელოზთა დასში დაამკვიდრა. მას ზეციური სულები ერის ტკივილს და ისტორიას აწერინებენ.

ბათუ უთვლის მშობლებს, რომ ცრემლის, დარდის ნაცვლად ილოცონ სამშობლოზე და მართალი ცხოვრებით თვითონაც სასუფეველი დაიმკვიდრონ, რადგან „სიყვარული და ძმობა რჩება სნეულის აბად“.

„ლურჯი ზეციდან“ პოეტის კალმის ძალით მოფრენილი ბათუს სული დედის ტკივილს, მის სუნთქვას ისმენს, დედის ცრემლებზე მოსულ ენძელებს ხედავს (შდრ. გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“ დედის ცრემლებზე იის ამოსვლის რწმენას). ბათუს ნოსტალგია აქვს „დედის უბის, დედის ალერსის“.

მამის ცრემლით შეწუხებული ბათუ „გულით პოეტს, სიმშვიდის დედას” მადლობას უხდის ღამისთევისათვის, უკვდავების ძეგლის დადგმისთვის და სთხოვს, ისევ ანუგეშოს მისი მწუხარე მშობლები.

პოემაში გაზიარებულია გარდასხეულების თეორია. ბათუ ოცნებობს „იდუმალ ფერთა სამყაროში დაბადებაზე,“ სამშობლოს ბედნიერებაზე: „მე მზის სხივი ვარ, ვცდილობ ერის გამობრწყინებას“. იმედად რჩება მომავლის ახალგაზრდობა, მამულის გულშემატკივართა, სამშობლოს დამცველთა ზოგად სახედ კი მოაზრებულია ლაშას პატარა ბათუ: „ბათუ პატარა,როცა დიდი ბიჭი გახდება, არვის დაუთმობს, ფეხი სადაც კოლხს დაუდგია,“ ამბობს ავტორი.

იმდენად მახლობელია გულნაზ ხარაიშვილისთვის „მდუღარე ცრემლში” წამოჭრილი თემა, რომ მეორე პოემის „მკვლელობა საკუთარ სახლში” პერსონაჟებიც გარდაცვლილთა სულები: არიან პოეტის ძმა, ვერაგულად მოკლული პოეტი ბეჟან ხარაიშვილი, მერაბ ლომიძე და ისევ ბათუ ხარებავა, რომელსაც „ანგელოზთა დასში” დაუმკვიდრებია ადგილი.

პოემის ავტორმა სწორად გაიგო ბათუს გენეტიკური კოდების ძახილი, რადგან ჯემალ ხარებავა ვაჟას ჰუმანისტურ პოეზიაზე, მაღალმორალურ ქართულ კლასიკაზე და ღირსეულ კოლხურ ტრადიციებზეა აღზრდილი. მან კარგად იცის საქართველოს ტრაგედიის რეჟისორთა ვინაობა და სიძულვილი კი არა, სიბრალული, გაგება აქვს აფხაზების, მათთვის ხელის გაწოდება, ჩატეხილი ხიდის აღდგენა სწადია და ამის გარანტიაა ჯანსაღად მოაზროვნე, მშვიდობის მოყვარე ადამიანების არსებობა ორივე მხარეს. ჯემალ ხარებავას სწამს, რომ ნორმალური ფსიქიკის აფხაზებსა და ქართველებს გასაყოფი არაფერი აქვთ, ჩვენ საერთო რწმენა, ერთიანი ტრადიციები, ადათები გვაქვს, რომ ერთია ჩვენი ზეცა, მიწა, ერთია ამირანი და აბრსკილი.

საფლავებსაც აკისრიათ დიდი მისია, იქ დარჩენილ საფლავთა ქვებიც იღაღადებენ ჩვენს წარსულზე, წარუშლელ ნაკვალევზე, რადგან „ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც, მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარმიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. და იმისათვის, რომ მივწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვებს, წავიკითხოთ გაცრეცილი ფურცლები“ „ნიკოლოზ ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა” , (თბ. 1993წ. თარგმანი ზ. კიკნაძის, გვ. 29).

გულო კობიაშვილი

ბეჟან ხარაიშვილის გახსენება

ბეჟან ხარაიშვილი ერთ-ერთ პოეტურ წრეში გავიცანი. სულით პოეტს გარეგნობაც პოეტური ჰქონდა, - ლამაზი ახალგაზრდა იყო, ნათელი ღიმილით. მალევე დავმეგობრდით და ჩვენს ყოველ შეხვედრას დიდი სითბო და სიყვარული ახლდა თან.

ჩვენი ბოლო შეხვედრა მინდა გავიხსენო: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა წიგნის სახელმწიფო პალატაში დავიწყე. რამდენიმე თანამშრომელი დავმეგობრდით და წესად შემოვიღეთ ე.წ. „მორიგეობა"- შესვენებაზე სადილობისას მორიგეობით უნდა გვემასპინძლა ერთმანეთისთვის. თავს არ ვუტყდებოდით, თორემ ეს „მასპინძლობა" ჩვენი მწირი ხელფასების პატრონებს ძალიან მძიმე ტვირთად გვაწვა, მთელი კვირა „მორიგეობიდან" „მორიგეობამდე" იმაზე ვფიქრობდით, სად რა გვეშოვა და როგორ გაგვეწყო სუფრა სულ ცოტა ათი თანამშრომლისთვის. ერთხელაც ჩემი მორიგი მორიგეობის დროს სამსახურში წასვლამდე „დეზერტირების ბაზარში" შევიარე, მაგრამ ისე დამზაფრა პროდუქტების სიძვირემ, ხელცარიელი გავეშურე გასასვლელისკენ. უცებ ბეჟანს მოვკარი თვალი, რატომღაც მორცხვად მიღიმოდა. როგორც ყოველ,თვის სიყვარულით გადავეხვიეთ ერთმანეთს, ჩემი გასაჭირი მოვუყევი, თან ვუამბე, წინა მორიგეობისას სადილი სახლში მოვახლაფორთე, პარკში ჩავდე, ეზოში ჩვენი ძაღლისგან სულგაფრთხობილი ვირთხაც წავაყოლე ხელს ნაგავში გადასაგდებად (ისეთივე პარკით) და ბედნიერი მივედი სამსახურში-მეთქი. ათი ქალი მაგიდას რომ შემოუსხდა და მე პარკიდან ვირთხა ამოვიღე (საჭმელი ნაგავში გადამიგდია!), უნდა გენახა იქ რა „მეორედ მოსვლა" ატყდა, ვინ ვის ახტებოდა თავზე, არ გაიგებოდა-მეთქი. ბევრი იცინა, ის იყო გზა უნდა გამეგრძელებინა, შემაჩერა და მკითხა - „დახლოებით რამდენი კილოს აწევა შეგიძლიაო?" „ვერ გავიგე, რას მეკითხები-მეთქი". გამომიტყდა-„საშინელ უხერხულობას განვიცდი, წარმოიდგინე რა დღეში ვარ, ვდგავარ ეს პოეტი კაცი, ჯონჯოლის წნილი მაჩუქეს და იმას ვყიდიო. თუ გიყვარვარ, რამდენსაც მოერევი, იმდენი წაიღე, იქნებ, რაც შეიძლება მალე მოვრჩე, თორემ წელან რომ დაგინახე, უხერხულობისგან ლამის სიცხემ ამიწია. არადა, რომ იცოდე, რა სიყვარულით მაჩუქეს ეს სავსე კასრიო". „- რას იზამ-მეთქი ძმაო. ცხოვრება მარტო პოეზია არაა, არსებობაც ხომ გვინდა-მეთქი.

ჩემს თანამშრომლებს ენა ჩაუვარდათ ათი კილო უგემრიელესი დელიკატესით რომ მივადექი, მარტო ჩვენმა სამეგობრომ კი არა, წიგნის პალატის ყველა თანამშრომელმა ჩვენს ოთახში მოიყარა თავი- მარტო სამსახურში კი არა, შინ წასაღებად თავსა და პირს ყოფნიდა ყველას, - რაც მათ ბეჟანი ლოცეს!

დიდი დრო გავიდა. ბეჟანი აღარსად შემხვედრია. ვწუხდი, ხან ვის ვეკითხებიდი, ხან ვის. ამაოდ.

2009 წლის შემოდგომაზე საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ეროვნულმა მწერლობამ" „ქართული პოეზიის ანთოლოგიის" გამოცემა გადაწყვიტა. ავტორებმა უწყეტ ნაკადად იწყეს ჩვენს გამომცემლობაში მოსვლა, ერთ-ერთი ავტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილიც აღმოჩნდა. „ერთ არაჩვეულებრივ, ყველანაირად ლამაზ პოეტს ვიცნობდი, ბეჟან ხარაიშვილს და აგერ უკვე რამდენი წელია მის ასავალ-დასავალს ამაოდ ვეძებ, თქვენი მოგვარეა, და რამე იცოდეთ იქნებ, მის შესახებ-მეთქი". ქალბატონი გულნაზი ატირდა და ძმა იყოო ჩემიო, - მითხრა.

ასე გავიგე ბეჟან, ჩემო ნათელო, კეთილო მეგობარო, დიდი ხნის შემდეგ შენი ტრაგიკული გარდაცვალება. ეჭვიც არ მეპარება ნათელში ეყოლები უფალს იქ, აქ კი პატივი იმით მოგაგეთ, რომ უკვე გამზადებული, უმაღლეს დონეზე გამოცემული „ქართული პოეზიის ანთოლოგია" შენი ბრწყინვალე პოეტური შემოქმედებითაცაა დამშვენებული!

ლენგური სხირტლაძე
მე-7 კლასის მოსწავლე

ჩემი თვალით დანახული ომი

ქართველ ერში არ არსებობს თაობა, რომელსაც ომის ქარცეცხლი არ ენახოს, გამონაკლისი არც ჩემი თაობაა.

ზაფხულის არდადეგები მხიარულად ჩაივლიდა, რომ არა ის ავბედითი 7 აგვისტო, როდესაც ულმობელი რუსეთის ჯარი შემოიჭრა ჩვენი პაწაწინა ქვეყნის საზღვრებში და შეუბრალებლად დაერია ქართველებს.

არ დამავიწყდება ხალხის შეშინებული და შეშლილი სახეები, რომლებმაც არ იცოდნენ სად წასულიყვნენ მაგრამ გარბოდნენ, გაურბოდნენ მტერს, რომელიც არ ინდობდა არც ხალხს და არც მათ საცხოვრებელ სახლებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით გახარებული ოსები ყველა ქართველში მტერს ხედავდნენ, ამიტომ არ ინდობდნენ ხალხს, რისი მაგალითიც ჩემს სოფელში მოკლული ქალია, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა მტრის წინაშე, უბრალოდ გახდა უთანასწორო ბრძოლის მსხვერპლი.

ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება არ შეგეშინდეს და სულით ხორცამდე არ შეგზიზღდეს სიტყვა „ომი". მიუხედავად იმისა ეს ომი შენს ქვეყანას ეხება თუ არა.

აგვისტოს ომმა მე დამანახა, თუ რა ბედნიერებაა მშვიდობა, რომ, პირველ რიგში, ქვეყანაში მშვიდობა და კაცთა შორის სიყვარული უნდა სუფევდეს.

ომმა და ჩემი სოფლის განადგურებამ ოსების მიერ, უფრო შემაყვარა ჩემი სამშობლო და ჩემი მშობლიური სოფელი კოდა. უფრო მეტად ვიგრძენი მშვიდობისა და სიცოცხლის ფასი.

ომი, მითუმეტეს, 2008 წლის აგვისტოს ომი უთანასწორო იყო, ამიტომაც დაიღუპა ბევრი ქართველი ვაჟკაცი, ბევრი დედა შავად შეიმოსა, ბევრის ცოლმა ჩაიცვა შავი კაბა, ბევრმა ჭირისუფალმა ვერ იპოვა თავისი მიცვალებული და მონატრებული ვაჟი ცხარე ცრემლით დაიტირა. ბევრი მიცვალებული უცნობად დაიმარხა საფლავში და, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრი დაიმარხა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, რომლის ნახვა ტკივილს იწვევს ყველა ადამიანის გულში.

ამ ჯარისკაცებმა ხომ ჩვენთვის, ჩვენი კეთილდღეობისთვის და ქვეყნის დასაცავად მიუშვირეს მკერდი ტყვიას და ზოგს მოვლილი საფლავი, არ ღირსებია და საყვარელი ადამიანის ცრემლი არ დასცემია გულზე.

აგვისტოს ომმა ნათელი მაგალითი მოგვცა იმისა, რომ ომი ანადგურებს და მიწასთან ასწორებს ქვეყანას, კვდება უამრავი მშვიდობიანი ადამიანი და კარგავს სახლ-კარს, რომლის აშენებისთვის წლები მიუძღვნია.

მე რომ ჩემი სოფელი დამეკარგა, ძილშიც არ მომასვენებდა იმ ადგილის კვნესა, სადაც დავიბადე და გავიზარდე.

ამიტომ მოვუწოდებ ჩემს მეგობრებს და თითოეულ ქართველს: გვიყვარდეს ხალხნო, ერთმანეთი და ჩვენი ქვეყანა, ვიცოდეთ ჩვენი ისტორია და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს - საქართველოს დასაცავად!

სამზარეულო „აპეტიტო“

სამედიცინიოს ინსტიტუტის მეტროს ამოსასვლელთან მეგობარი შემხვდა, ქალბატონი ლუარა სორდია, გზა ფეხით გავაგრძელეთ. ერთ-ერთ კაფეს ჩავუარეთ, საიდანაც სასიამოვნო და თვბრუდამხვევი სუნი გამოდიოდა, სურვილი გაგვიჩნდა კაფეში შევსულიყავით... ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანეთ. კარებს ასეთი წარწერა ამშვენებდა:

„საოჯახო სამზარეულო „აპეტიტო“ გეპატიჟებათ ჩვენთან,
სადაც შეგიძლიათ მიირთვათ როგორც ცხელი კერძები,
ასევე სალათები, შეკვეთის შემთხვევაში ყავა უფასოა.
ვიღებთ შეკვეთებს სადღესასწაული სუფრისთვის ადგილზე მიტანით.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს შესახვევი.
ტელ: 30-90-73, მობილური: 895-63-64-30.“

კაფეში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიქცია ლამაზად და კოპწიად მოწყობილმა ოთახმა, სალაროსთან მივედით. რათა ხაჭაპურის დაკვეთა მიგვეცა და ფული გადაგვეხადა. ფული მერე გადაიხადეთ, დაბრძანდით მაგიდასთან და ხაჭაპურს და წვენს მოგართმევთ. თეთრად გაქათქათებული სკამი ნაზად გამოვწიეთ და დაველიდეთ მომტანს. უცებ წუთიერი დუმილი ჩამოვარდა, შევხედე მეგობარს და შევნიშნე რომ სადღაც შორს იყო მისი ფიქრი გაფანტული.

სახეზე ნაღველი ეტყობოდა, მოურჩენელი ნაღველი. გამახსენდა რომ იგი ლამაზი სოხუმის მკვიდრი იყო, რომელიც ამჟამად არაფრისმომტან პოლიტიკას შეწირვოდა. მე კი ასეთი ფიქრი ამეკვიატა: ადამიანი როცა უმოქმედოა, მას დეპრესია იპყრობს, არა აქვს სარი აზროვნებიდ უნარი. აღარ არის ლაღი, თვითონაც დათრგუნულია და სხვასაც ამძიმებს. ვიგრძენი რომ, კაფეს მეპატრონეს სულში ლამაზი იდეებით დატვირთული გემი აქ გაეჩერებინა... კაფეში შემომსვლელებიც თითქოსდა საგანგებოდ გაფაქიზებულ-მოწესრიგებულნი იყვნენ.

მიმტანმა არ დააგვიან, მაგიდაზე იმერული ყველით დამზადებული ხაჭაპური დაგვილაგა და უკან გატრიალდა.

სასიამოვნო აღნაგობის ქალბატონი მაგიდას მოუახლოვდა და დაჟინებით დამაკვირდა, მე მგონი არ უნდა ვცდებოდე, მომმართა ღიმილით. თქვენ, პოეტი გულნაზი ხარაიშვილი ხართ, თქვენ კი ქალბატონი, მეცნიერი, ლუარა სორდია.

- მერედა თქვენ საიდან გვიცნობთ?

- აკადემია „ქალდეაში“ ღონისძიება ტარდებოდა. იქ ვიყავი მოწვეული და იქიდან გიცნობთ.

- ასე გავიცანი „შემოქმედი მარიანა“, ქალბატონს იმ წუთში გულის კარები გამოუღე და გაიმართა დიალოგი ჩემსა და მარინას შორის:

- მარინა, რამ გადაგაწყვეტინა ქართული სამზარეულოს გახსნა?

-სპეციალობით მუსიკოსი ვარ. ბავშვობიდან მიყვარდა სამზარეულოში ტრიალი, ჩემი ოცნება იყო კვების ობიექტი გამეკეთებინა.

-რომელი კუთხის საჭმელს ანიჭებთ უპირატესობას?

-ცინის... იმერელი ვარ და იმერულს ვანიჭებ უპირატესობას.

-ქალბატონო მარინა, მეც საჩხერიდან ვარ, ჰოდა, რადგან ერთი კეთილის ადამიანები გამოვდექით, თქვენთან ერთად, ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები რომ მოვიყვანო არ შემარცხვენთ?

-რა თქმა უნდა არა! ყველაფერს გავაკეთებ იმერული გულკეთილობით და სითბოთი.

-ქალბატონო მარინა, დაოჯახებული ხართ?

-ხმამაღლა გადაიკისკისა, ისეთი მეუღლე მყავს, ყველა ქალბატონმა ინატროს ისეთი, როგორიც ჩემი მეუღლე გახლავთ. ორი შვილი გვყავს. რივეს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.

-გასათხოვარივით გამოიყურებით.

-ჩემი ქმრის დამსახურებაა.

-სასმელები თქვენთან აკრძალულია?

-დიახ! აქ სასმელები მხოლოდ წვენებით შემოიფარგლება, ალკოჰოლური სასმელები აკრძალულია.

-როდის გახსენით კაფე?ქალბატონო მარინე გფარავდეთ წმინდა ბარბარე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთან ჩემი ფეხი.

ხაჭაპური მართლაც არაჩვეულებრივი იყო, დესერტიც ზედმიწევნით იყო შეგემებული,წამოვედით ლამაზი შთაბეჭდილებებით. ნამზადში დიდი გემოვნება იყო ჩადებული, მუსიკალური ხელოვნება და ვირწმუნე, რომ ადამიანთა შესაძლებლობებს წინ ვერაფერი აღუდგება.

დოქტორ გარი ჩაფიძეს ვულოცავთ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავჯდომარედ არჩევას და ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტისადმი მისი სახელის მინიჭებას.

ჟურნალ „ათინათის რედაქციის თანამშრომლები ულოცავენ გენერალ ლეიტენანტს, ბატონ სერგო წურწუმიას 70 წლის იუბილეს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გულნაზი ხარაიშვილი თუ შეიხედავ ჩემს სულში....2
მილოცვები....3-4

პროზა

რევაზ მიშველაძე
„უფასოდ“....6-9
მარტოხელა მგელი....9-11
გაოგნებული გაგნიძე....12-14

გივი სიხარულიძე
სიცოცხლის მოწმობა....15-16
გამაფრინე....16-17

გულნაზი ხარაიშვილი
ჭკვიანი თვალები....18-20
გულის სითბო....20-21

ნინო თორაძე სიყვარულის ისტორია....22

პოეზია
ტიტე მოსია....24
რობერტ მესხი....25-26
ელისო ფიჩხაია....27-28
ლამზირა შეყილაძე....29-30
გულნაზი ხარაიშვილი....31-36
დურმიშხან კუპატაძე....37
ზვიად ფეიქრიშვილი....38
ნანა სამხარაძე....39
ია სულაბერიძე....40
ლინა კვაჭაძე....41
მაია რთველიაშვილი....41

წერილები

ლუარა სორდია ღვთისგან ხელდასხმული მსოფლიო მოგზაურის დიდი მისია....43-48
ტიტე მოსია „ღმერთი სიყვარული არს“....49-54
სერგო წურწუმია ჯუმბერ ლეჟავა....55
რეზო ადამია ხაიმ სუტინის ფერწერული განმარტოება....56-60
ლუარა სორდია „გრაალი“ – კაცობრიობის მარადიული იდეალი....61-73
სიმონ ზაქარაია გია კვაშილავა - მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი....73-81
გულნაზ ხარაიშვილი სიახლენი ეროვნულ მწერლობასა და ქართველოლოგიაში....82-84
ლუარა სორდია მამულიშვილთა ოჯახის თავკაცი...85-86
მარიამ მირესაშვილი პარტიულობის ლენინური პრინციპი და ტროცკის ესთეტიკა...87-91
ნინო ვახანია ტაძრისკენ მიმავალი გზა....92-95
ნანა კუცია მონატრებული ჰარმონია....96-102
თამარ ყალიჩავა ზვიად გამსახურდიას იგავები....103-107

ი ს ტ ო რ ი ა

გივი როგავა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ისტორიიდან....108-112
ვახტანგ თორაძე ისტორიული სამართლიანობის აღდგენა....113-114

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ლუარა სორდია ამირანისა და აბრსკილის შთამომავალთა ტრაგედია....115-118
გულო კობიაშვილი ბეჟან ხარაიშვილის გახსენება....119
ლენგური სხირტლაძე ჩემი თვალით დანახული ომი....120
გულნაზი ხარაიშვილი სამზარეულო „აპეტიტო“....121

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი №1 2011 წელი

რედკოლეგია:

გულნაზ ხარაიშვილი - მთავარი რედაქტორი
სიმონ ზაქარაია - პასუხისმგებელი მდივანი

ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური
ბრუნო თრიბურგი – საფრანგეთის დეპარტამენტის უფროსი
იური მამედოვი – აზერბაიჯანი
ლუარა სორდია
ვანო შუშტაკაშვილი
ელისო ფიჩხაია
მარიამ მირესაშვილი
ელისო ცანავა
ლამზირა შეყილაძე

გარეკანზე:

I გვერდზე **რეზო ადამიას**, ხატმწერისა და ესეისტის, გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატის მიერ დაწერილი ხატი „წმინდა ნინო“
IV გვერდზე მისივე „სამი ქალიშვილი“.

დაიბეჭდა: შპს „ტრიადა“, თბილისი, გურამიშვილის 76
დირექტორი ზ. ჭელიძე